


ჩვენი მწერლობა

გამოდის თვეში ორჯერ პარასკეობით

ფასი 1,50 ლარი

19 მარტი 2010 №6(110)



„დონ ჟუანის“ მიძღვნა
მე — ალუდა ქეთელაური
ჩარლზ დიკენსის ნოველა
ზურაბ სამადაშვილის პიესა
ნანა ტრაპაიძე გივი ალხაზიშვილზე
ჟორჟ პომპიდუ ფრანგულ პოეზიაზე
ზაალ ებანოიძის მუნჯი ბედნიერება
ახალი ნობელიანტი — ჰერტა მიულერი
ნინო კვიციანიშვილი გიორგი ლეონიძეზე

შინაარსი

უხსოვთის ცხვრავიდან	2	ჟორჟ პომპიდუ „ფრანგული პოეზიის ანთოლოგიის“ წინასიტყვაობა
მესარეს-ინტერვიუ	7	თემურ ჩხეტიანი „გიჟვარდეს, ვიდრე ცოცხალი ხარ“ (მომზადა ნატა ვარადაძე)
ღრამატურები	8	ზურაბ სამადაშვილი ობლები (პიესა ხუთ სურათად)
პროზა	17	მანანა ავალიშვილი ზამთარი — თეთრი პატარკალი
ახალი წიგნები	19	მალხაზ ივანიძე სახასიათო თავისუფლება
პოეზია	20	ეკა ბაქრაძე ღია სარკმელი და სხვა ლექსები
პოეტის ერთი ლექსი	22	ზაალ ებანოიძე მუწჯი ბადნიერება
ლაბორატორია	23	ლორდ ბაირონი „ღონე ჟუანის“ მიქღვნა
ღიალოგი	26	„ჩემი წიგნის გამოსვლა მისი გაპარდენასავით იყო“ (თომას დევისისა და რაფაელ რერორის საუბარი ჰერტა მიულერთან)
ელვარე და ლოგოფრი	29	ნინო კვიციანიშვილი ამბავი დაფარული სიყვარულით
ფიქრები	39	კიდევ ერთხელ უცნობ გალაკტიონზე
რეპორტაჟი	41	თამარ ყალიჩავა სულში ჩაბრუნებული მჯერით („აგვისტოს შვილების“ წარდგინება სოხუმის უნივერსიტეტში)
გამოსაზრება	46	ზურაბ ლავრელაშვილი ნავიკითხეთ და დავრწმუნდით! (გვაქვს თუ არა ქართული კრიტიკა?!)
კრიტიკა	47	ნანა ტრაპაიძე ზღვართან ყოფნის პოეტიკა
დაბეჭდვის გაზეთი	50	ნინო ვახანია დანაშაული — სულიერი თავისუფლება (მთარგმნელის დებიუტი)
ხალოვნება	52	მაკა ჩარკვიანი და ვიცი, ღელვან საბანი (გია მირზაშვილის ერთი ნახატის გამო)
საორბი	53	გივი გამრეკელი ჭადრაკის ტრფიანს რომ ეტყვიან (ბოკაჩო, შექსპირი, რუსო, დიდრო, ვოლტერი...)
პარსონაჟი და კითხვები	55	გია მურღულია მე — ალუდა ქეთილაური
უხსოვრი ნოველა	56	ჩარლზ დიკენსი ლოთის სიკვდილი
ნაქვესები	61	მასვილსიტყვაობის ნიმუშები
მოზაიკა	63	ედიშა ვაჩნაძე

ორკვირული ჟურნალი
დამფუძნებელი „ილიონი“
 მისამართი: თბილისი,
 ჩუბინაშვილის №41
 რედაქცია – (995 32) 96_20_62
 რეკლამა – (995 93) 65_93_68
 გავრცელება – (995 77) 11_24_30
 ფაქსი: (995 32) 96_20_62
 E_mail: info@mtserloba.ge



დაბეჭდილია საბავაში "ომეგა ტეგი" PRINT HOUSE
 TBILISI, GEORGIA, 17 SARAJISHVILI STREET
 ტელეფონი: +995 32 53 03 62

მთავარი რედაქტორი – **როსტომ ჩხეიძე**
 პროზის რედაქტორი – **ივანე ამირხანაშვილი**
 პოეზიის რედაქტორი – **მაკა ჯოხაძე**
 კრიტიკისა და მთარგმანის რედაქტორი – **თამაზ ნატროშვილი**
 მხატვრული რედაქტორი – **კარლო ფაჩულია** დიზაინერი – **მალხაზ იაშვილი**
 სტილისტი—კორექტორი – **ნინო დეკანოიძე** დაკაბადონება – **თენგიზ რობიტაშვილი**
 ოპერატორი – **თამარ ჩიხლაძე** სარეკლამო მენეჯერი – **ეკა ბუჯიაშვილი**
 გავრცელების სამსახური – **ლევან კიკნაძე**

გარეკანზე: **ეკა ბაქრაძე**
გია ჩაღუნელის ფოტოგრაფია

„ჩვენი მწერლობის“ მომდევნო ნომერი გამოვა 2 აპრილს

ჟორჟ პომპიდუ (1911-1974) — ფრანგი პოლიტიკოსი, გენერალ დე გოლის კაბინეტის დირექტორი (1958-1959 წწ), საფრანგეთის პრემიერ მინისტრი 1962-1968 წლებში. 1969 წელს გახდა საფრანგეთის პრეზიდენტი გენერალ დე გოლის შემდეგ, მაგრამ გარდაიცვალა საპრეზიდენტო ვადის ამონურვამდე. გატაცებული იყო თანამედროვე ხელოვნებით და საფუძველი ჩაუყარა პარიზში ხელოვნებისა და კულტურის ცენტრს, რომელიც დღეს მის საპატივცემულოდ პომპიდუს ცენტრად იწოდება. იყო ფრანგული ლიტერატურის და ხელოვნების მცოდნე და ქომაგი. 1961 წელს თვითონვე შეადგინა და გამოსცა ფრანგული პოეზიის ანთოლოგია. ანთოლოგიისთვის მის მიერვე დაწერილ წინასიტყვაობაში მკაფიოდ ჩანს, თუ რა თამამი და ამავე დროს რა მოკრძალებული გახლდათ და როგორ იყო შინაგანად განათებული მშვენიერების ჭეშმარიტი სიყვარულით. აღსანიშნავია, რომ ეს ანთოლოგია ბატონმა პომპიდუმ თავის მეუღლეს, ქალბატონ კლოდს მიუძღვნა, რომელიც ასევე უაღრესად განსწავლული პიროვნება და კულტურის დაუცხრომელი მოამაგე გახლდათ.

ჟორჟ პომპიდუ

„ფრანგული პოეზიის ანთოლოგიის“ წინასიტყვაობა

პოეზია

რისთვის ვადგენ ფრანგული პოეზიის ახალ ანთოლოგიას, თუ არა უპირველესად ჩემთვის? პოეზიის ვნება, რომელზეც ბავშვობაში მეუბნებოდნენ, დიდობაში გაგივლილსო, ჯიუტად გამიგრძელდა და აგერ „ცხოვრების შუაგზაზეც“ მომყვება. ამ ასაკში კი ბუნებრივია სურვილი, ერთ პატარა კრებულში გააერთიანო ყველაფერი ის, ურომლისოდაც არ ნახვიდოდი წარმოსახულ უდაბურ კუნძულზე. სავსებით ბუნებრივია, რომ მომესურვა ჩემი აზრით საუკეთესო ლექსებისთვის ერთად მომეყარა თავი.



ლესთა შორის. ისეც ხდება, რომ ზოგი სიცოცხლე თუ ადამიანის ქმნილება დაუსრულებლობით ან ნახევრად ნანგრევებად ქცეული ინვევს რეზონანსს. მათ აქვთ მაღლი შემთხვევითი დაუშვებლობისა, რაც პოეზიისათვის არის ნიშანდობლივი. აქილევსი, ისევე, როგორც ლექსი, მარიამ სტიუარტი და მშვენიერი აიდა გახდნენ პოეტური სახეები, რადგანაც უდროოდ წავიდნენ. კოლიზეუმი პოეტურია, რადგანაც სანახევროდ დანგრეულია და საბერძნეთისა თუ სიცილიის ცის ქვეშ ეულად დარჩენილი კოლონის ტანი მიტოვებულობის პოეზიით მეტ სილამაზეს იძენს, ვიდრე სასწაულებრივად გადარჩენილი და შემონახული „კვადრატული სახლი“.

სიმართლე რომ ვთქვათ, ლექსი პოეზიის გამოხატვის ერთ-ერთი ფორმაა. პოეზიის პოვნა შეიძლება ყველგან: რომანსა თუ ნახატში, პეიზაჟსა და თუნდაც ყოფაში. ის ზოგჯერ ამჟღავნებს ოცნების წარმოდგენულ ძალმოსილებას, ზოგჯერაც საოცრად თავისთავადი წვდომის, სიღრმეებში ჩაყვინთვის უნარს. მკითხველსა თუ მაცურებელს აღუძრავს მელანქოლიურ სიხარულს, სასიამოვნო სევდასა თუ სასონარკვეთილებას, ან კიდევ – უეცარ ზეიმს, რომელიც ერთ-ერთი შთაბეჭდილება გახლავთ მშვენიერი პოეტურობისა. ყველა ან თითქმის ყველა ადამიანი მგრძნობიარეა მის მიმართ. არის პოეზია მზისა თუ ნისლის, პოეზია აღმოჩენისა და პოეზია ჩვეულებრივი იმედებისა თუ სინანულის, სიკვდილისა და სიცოცხლის, ბედნიერებისა და უბედურებისა. ნაკლები მნიშვნელობა აქვს, სად გამოიხატება: ლექსში თუ პროზაში, ქვაში თუ ნახატში. იმისგან კი, რაც ამას მოკლებულია, რაღა რჩება? ჰომეროსიდან, პლატონიდან, დელფოსის ციტატებიდან იღვრება პოეტური ძალმოსილება. არის-ტოტე და ციცერონი კი მხოლოდ სპეციალისტებს აინტერესებთ. „დონ კიხოტი“, „ლვთაებრივი კომედია“, შექსპირის თეატრი და დოსტოვესკის რომანი პოეზიით უმდიდრესი ქმნილებებია, რაც განაპირობებს მათ მოთავსებას უპირვე-

ლად მათ თუ პოეზია ყველგან შეიძლება შეგვხვდეს, ვერავინ აგვიკრძალავს, რომ იგი უპირველესად პოეტებთან ვეძებოთ. თუკი მე ლექსის ხელოვნება ყველაზე ძნელი, ამიტომაც უპირველესი მგონია, ეს იმიტომ, რომ პოეტი რისკავს და გაბედულად მიიღტვის იქითკენ, სადაც სხვებს შეუძლიათ დინჯად დაუცადონ ნაყოფის დამნიფებას. ის, რაც რომანისტიკისთვის შეიძლება იყოს მხოლოდ უმაღლესი შედეგი ან მოჩვენებითი, უსარგებლო სამკაული და მისი არარსებობის გამოც მას ვერავინ უსაყვედურებს, პოეტისთვის არის მისი ხელოვნების არსი და აზრი, უპოეზიო სურათი, სიმფონია თუ რომანი შეიძლება ნახო, მოისმინო და წაიკითხო. რუბენსი არ არის პოეტური, არც ვოლტერი, იქნებ მთლიანობაში არც ბახი და არც სეზანი. შეიძლება ვთქვათ, რომ სხვა ხელოვნებაში შემოქმედებითი ძალმოსილება და სრულყოფა პოეზიის გავლით მოდის, მაგრამ პოეზიას მოკლებულ ლექსს არაფერი ეშველება, იგი მკვდარი და აუტანელია: ეს დამართნიათ დიდ მწერლებს, მაგალითად, ვოლტერს, ისეთ დიდ პოეტებსაც მოსვლიათ, როგორებიცაა რონსარი და ჰიუგო. იშვიათია რომანის ოსტატებს შორის, რომ დიდი შრომისა და მოთმინების წყალობით ვერ

მოახერხონ ერთი ასატანი ნაშრომის, ზოგჯერ პატარა შედეგის შექმნა. მაგრამ რა საცოდაობაა ხვედრი ამდენი პოეტისა, რომლებმაც შექმნეს ათასობით ლექსი და ერთხელაც ვერ შეძლეს პოვნა რვა, ათი თუ თორმეტი სილაბის წარმატებული თანმიმდევრობისა, რომელიც ქმნის ერთ ლექსს, ნამდვილ ლექსს. ზოგი მკვდარია ან მოკვდება ბედნიერი, რადგან არასოდეს დაეჭვებულა, მაგრამ სხვებისთვის რამხელა სევდაა. რამხელა უსამართლობა! ყველაზე უფრო ლამაზი გოდობები, ყველაზე ბუნებრივი თემები, დამუშავებული რიტმები, მოძიებული რითმები და ეს ყველაფერი მკვდრადშობილი, არავისგან დატვირთული ბავშვისთვის, რაც გახლავთ ლექსი პოეზიის გარეშე.

მაშ რა არის პოეზია? რომელი დიდი მეცნიერი იტყვის, რა არის სული? შეიძლება ადამიანის სიცოცხლის ყველა ნიშნის დადგენა, მათი გაანალიზება და აღწერა. ეს ყველაფერი კოლეჯში გავიარეთ: ლექსის ანალიზი, კომპოზიცია, ლექსიკა, რიტმი, რითმა, ჰარმონია. პოეზიაში ყველაფერია ის, რომ გული, რომელიც სცემს – არის სულისთვის. სხვა ყოველგვარ გარეგნულ გამომჟღავნებას არა აქვს ახსნა და ნაკლებად შეიძლება განისაზღვროს. პოეზიის განსაზღვრების მოძებნას მე შევეცდებოდი იმ შთაბეჭდილებებში, როცა ლექსი აღძრავს მკითხველში გარკვეულ გაოგნებას, გამოჰყავს თავისთავიდან და ზმანებაში გადაადგებს ან პირიქით, აიძულებს ჩაულრმავდეს საკუთარ სულს იმდენად, რომ თვალეში ჩახედოს ყოფნასა და ბედისწერას. ამ ნიშნებით გამოიცნობა პოეზიის წარმატება. როცა მარგო ტირის მელიორამაში, ეს ხდება იმიტომ, რომ მან შეიგრძნო სიყვარული, ძველი თამაშისა და შემთხვევითობის, სიღარიბისა და სიკვდილის არსებობა. შეიძლება შექმნილიყო საცნაური სიღამაზე “ორ ობოლში”, მაგრამ ობოლის ტირილში ნაკლები პრობლემაა, ვიდრე ტირილში შექსპირთან ან ევრიპიდესთან. სხვაობა გამოკვეთილია.

ასეთი არის იდუმალი და უსაზღვრო ამბიცია ანთოლოგიის ყველა ავტორისა. თუ ვინმე თავისთვის იწყებს, ამთავრებს და აქვეყნებს უკვე სხვებისათვის. შერჩევა უსასრულო სფეროში იმ ყველაფრისა, რაც მას მიაჩნია ღირსად და შემძლედ მკითხველში გამოიწვიოს სიღამაზით გაოგნება — აი, მიზანი მისი ძალისხმევისა. შეიძლება ითქვას, რომ იგი ღალატობს საკუთარ თავს, რადგან გასცემს საიდუმლოს იმისა, რაც აღელვებს. ისიც უნდა ითქვას, რომ მას აქვს პრეტენზია, ჰქონდეს იმედი გამოძახისა, იმედი, რომ უცნობი მკითხველი გაამართლებს მის არჩევანს.

ძალიან სახიფათო ცდუნებაა, უძღვნა ფრანგ საზოგადოებას ანთოლოგია ფრანგული პოეზიისა, რომელსაც ყველა იცნობს ან ჰგონია, ვიცნობო. თანაც იგივე პოეზიის ამდენი ანთოლოგიის შემდეგ. მე თვითონ უზომო სიამოვნება და სარგებლობა მივიღე მარსელ არლანის ანთოლოგიის ან მაგალითად ფრანგული პოეზიის ანთოლოგიის ტირი მონლისეული წინასიტყვაობის ნაკითხვისას, რათა მეფიქრა, რომ ჩემი შრომა ყველასთვის უსარგებლო იქნებოდა. ყოველ შემთხვევაში იმ მტკიცების სანინააღმდეგოდ, რომ ფრანგი არაა პოეტი, და რომ პოეზია ჩვენი ლიტერატურის სუსტი წერტილია. ყველაზე საოცარი ის არის, რომ ერთ-ერთმა იმათგანმა, ვინც აიტაცა ეს თვალსაზრისი და მიანიჭა მას განსაკუთრებული ჟღერადობა, – ანდრე ჟიდმა, – დაამთავრა იმით, რომ თვითონ გამოაქვეყნა ფრანგული პოეზიის ანთოლოგია.

ისინი, ვინც ნაკლებად აფასებენ ფრანგულ პოეზიას, ამას აკეთებენ ინგლისურ და გერმანულ ლიტერატურასთან შედარებით. არაფერი მგონია ისე ამაო და შეუძლებელი, ვიდრე სხვადასხვა ენებზე შექმნილი ლექსების შედარება. დავაკვირდეთ, როცა კი პოეტმა სათარგმნელად მოძებნა უცხოელი პოეტის ლექსი, მან თითქმის მთლიანად დაკარგა სამიზნე. ეს ეხება არა მხოლოდ სუსტებს, არამედ ყველაზე დიდებსაც. არაფერი არ უახლოვდება ბოდლერის შემოქმედებაში ლონგფელოს მისეული თარგმანის უფერულობას, არაფერია ნერვალის ქმნილებებში ისე სამუალო, როგორც მისი თარგმანები “ლენორასი” ან თუნდაც “ფაუსტისა”. შესაძლებელია მოვიხმოთ ბევრი სხვა მაგალითი, თუნდაც “გეორგიკების” პოლ ვალერისეული თარგმანი.

დავაკვირდეთ იმასაც, რომ როცა პოეტი სხვა ქვეყანაში მოიპოვებს განსაკუთრებულ სახელს, ეს იწვევს მისი თანამემამულეთა გაოგნებას. ვერც ამერიკელები იგებენ ედგარ პოთი და ვერც გერმანელები ჰაინეტი ფრანგების გატაცებას. ეს ალბათ იმით აიხსნება, რომ იმის გარდა, რაც ითარგმნება, პოეზიაში არის ათასი რამ, რომლის თარგმნაც და უცხოელ მკითხველამდე შესაგრძობად მიტანა შეუძლებელია, მაშინაც კი, როცა იგი ავტორის ენაზე სხაპასხუპით ლაპარაკობს. წარმოვიდგინოთ, როგორ იქმნება ლაფონტენის ყველაზე მშვენიერი ლექსის ხიბლი:

**მიჯნურნო, ბედნიერო მიჯნურნო, გინდათ მოგზაურობა?
რომ იყოს უახლოეს ნაპირებთან...**

(სიტყვა-სიტყვითი თარგმანი)

ნუ ვილაპარაკებთ ამის თარგმანზე. რომელი უცხოელი შეძლებდა არა მხოლოდ ლაპარაკს და ნაკითხვას ჩვენს ენაზე, არამედ მასში ყოფნას ჩვენსავით სულხორციანად? პირიქით! ვიფიქროთ, მაგალითად, სიული პრიუდომზე: მაღალი სული, ამალეღვებელი თავის მონახაზებში, ნატიფ ფიქრებში და რომელსაც სჭირდა მხოლოდ ერთი უბედურება, როგორც ამბობენ, “იყო გვერდით” შთამბეჭდავი მუდმივობით: რა დააკლდებოდა მის ლექსებს უცხოელის თვალში? არაფერი! თითქმის არაფერი იქიდან, რაც მას მართლა აკლდა, არ ითარგმნება. გადაულახავი სიძნელები, რომელსაც ჩვენ ვანყდებით უცხოელი პოეტის შეგრძნებისას, ორმაგ თამაშს თამაშობენ და შეუძლიათ აღმოგვაჩინონ მშვენიერებანი, რომლებიც არ არსებობს, და ისინი ხელს გვიშლიან სხვა რამის შემჩნევაში. ავიღოთ, მაგალითად, XV ან XVI საუკუნეთა ფრანგული ლექსები. იმ ხიბლში, რომელსაც ჩვენ იქ ვპოულობთ, რამდენია ძველი ორთოგრაფიის, ხმარებიდან გამოსული ან მნიშვნელობაშეცვლილი გამოთქმების თუ სანეტაროდ არქაული სინტაქსის წილი? პირიქით, ბევრი სხვა ლექსი მისანვდომი იქნება მხოლოდ რამდენიმე ერუდიტისათვის, რომელთაც უნარი შესწევთ, აღადგინონ თავიანთ გონებაში თავდაპირველი ძალმოსილება სიტყვებისა და მეტყველების კონსტრუქცია – ქცეული გაუგებრად ან ცუდად დაძველებულად. თუკი ძნელია შეიგრძნო რონსარის ლექსი – მისი თავდაპირველი და რეალური ფასეულობით, არ მიუმატო და არ დააკლო არაფერი ენის ევოლუციიდან გამომდინარე, მაშინ როგორ შეიძლება გქონდეს პრეტენზია, რომ სამართლიანად გამოარჩიე უცხო ლექსი?

მე მგონი, საკმარისად ვისაუბრეთ ფრანგულ პოეზიაზე, იგი დაახლოებით ისევე მდიდარია, როგორც ნებისმიერი სხვა, ისევე უხვი და ისევე მრავალფეროვანი. მკითხველთაგან მხოლოდ ცოტას, თუნდაც იყვნენ პოეზიის თავიანთსმცემლები, მონოდებით და პროფესიით ერუდიტები, შეუძლია წარმოიდგინოს ლექსების მასა, რომელიც ჩვენს ენაზე შეუთხზავთ და დაუნერიათ, მაშინაც კი, თუ ვიკმარებთ მთავარ ანთოლოგიებში შესულ პოეტთა შეკვეცილ ჩამონათვალს. მაგალითად – ესტაშ დეშანი, XV საუკუნის ბოლოს მოღვაწე პოეტი, რომლის შემოქმედებაც XIX საუკუნეში დაიბეჭდა. აი მაგალითი პოეტისა, რომლის უგულვებელყოფაც არ შეიძლება, რადგან სიკვდილიდან ოთხი საუკუნის მერეც იპოვა გამომცემელი (რამდენ ჩვენს თანამედროვეს შეუძლია ჰქონდეს ამის იმედი?) და რომელსაც ჩვენ არ ან თითქმის არ ვიცნობთ, თუმცა მისი პოეტური შემოქმედება ათ სქელ ტომს შეადგენს. თუ ერთმანეთზე მივანჯობთ ყველა ლექსს, რომლებიც ჩვენი პოეტების მიერ XVI საუკუნეში ან XVII საუკუნის დასაწყისში დაიწერა, შეიძლება გაოგნდეს კაცი და ეს სიმდიდრე წარმოგვიდგება საოცარი მრავალფეროვნებით. აქ ყველა ჟანრი: რონდო, ვირელე, სონეტიდან ეპოპეამდე – ყველა თემა, ყველა რიტმი, სტროფებისა და რითმითა ყველანაირი კომბინაცია ერთმანეთის მიყოლებით არის გამოყენებული. ამით აიხსნება ჩვენი დღეების უარყოფითი დამოკიდებულება სტროფის, საზომისა და რითმის მიმართ. ზოგი ბრმად მიჰყვება შთაგონებას. სხვები კი დღესა და ღამეს აერთიანებდნენ ერთ ლექსსა თუ ერთ სტროფზე. ზოგმა პოეზიას გრძნობაში მიაგნო, ზოგმა იდეაში ეძება, ზოგმა პირნიშნად ფორმალურ სილამაზეში, რომელიც ერთისთვის მოძრაობაში იყო, მეორესთვის უძრავ ბრწყინვალეობაში, მესამესთვის ლექსიკისა და სინტაქსის დახვეწაში, სხვებისთვის მხოლოდ მუსიკაში. არიან ისეთები, ვისთვისაც მუსიკა მუდმივი ჰარმონიაა, და ისეთებიც, ვისთვისაც ის ხელისშემშლელია. ასე რომ, ფრანგული პოეზიის ერთ განსაზღვრებაში ჩაკეცვა ჩემი აზრით მოჩვენებითი და ილუზიურია. იგი გადაკვეთილია ბევრი, ძალიან ბევრი ნაკადულით, რომლებიც საუკუნიდან საუკუნეში ჩნდებიან და იკარგებიან. ფრანგული გენიისათვის გარეგნულად ყველაზე უცხო ფორმასაც ღებულობენ ჩვეულებრივ, როგორც ყველაზე თანამედროვეს, ყველაზე დამუშავებულს, თუნდაც მალარმესა და ზოგიერთი სხვა სიურეალისტის პერმეტულობას. მათ ხელახალ გამოჩენას ჭვრეტენ იმ საზომით, რომ საუკუნეები მალღებდებიან ჟერარ დე ნერვალთან, შარლ ორლეანელთან, მორის სცევთან, რათა მხოლოდ რამდენიმე ციტირება მოახდინონ.

საბოლოოდ, ჩვენმა პოეტებმა, მთლიანობაში, ისევე როგორც სხვებმა, იმავე საშუალებებით იპოვეს სათქმელად იგივე საგანი, ჩვენი ენის თავისებურებათა და შესაძლებლობების გათვალისწინებით. ამ თვალსაზრისით უსიტყვო როლი, მაგალითად, იქნებოდა უფრო ხელსაყრელი შესასწავლად, ვიდრე ესა თუ ის ზეგავლენა ან ესა თუ ის შტრიხი ფრანგული გონებისა, თუ ჩვენს პოეზიას აქვს ორიგინალური ხასიათი, რომელიც შეიძლება განისაზღვროს, ეს, ჩემი აზრით ისაა, რომ იყოს გამოხატვის ერთ-ერთი საშუალება ხალხისა, ვინც დღევანდლობამდე სხვაზე მეტად იფიქრა ადამიანის განსაზღვრასა და მის სულში შეღწევაზე. გაქცევის პოეზიაზე უფრო ჩვენში განვითარდა

ჭვრეტის – ადამიანის თავისთავში დაბრუნების პოეზია. ფსიქოლოგებისა და მორალისტთა გრძელ სიას სრულიად ბუნებრივად პასუხობს ანალოგიური მსვლელობა პოეტებისა, რომლებმაც ლექსად გარდათქვეს მელანქოლია, ბედის მორჩილება, ადამიანის სულის სიხარული და სასოწარკვეთილება თვითშეცნობის ფასად, სიცოცხლისა და სიკვდილის პრობლემები. მონტენს, ლაროშფუკოს, სტენდალსა თუ პრუსტს პასუხობენ ვიიონი, რონსარი, ლაფონტენი, რასინი თუ ბოდლერი, ისევე როგორც, უეჭველად პასკალს, ბოსუეს, ვიქტორ ჰიუგოსა თუ პოლ კლოდელს.

მაგრამ ამდენ მიმოსვლაში რისთვის არის საჭირო, წინ ნამოვნიო ჩემი გემოვნება და პრიორიტეტები? თავს ნებას ვაძლევ, ავხსნა ის წესები თუ პირობები, რომელთაც მიკარნახეს ჩემი არჩევანი. თავდაპირველად ვიტყვი, რომ მსურდა შემექმნა არა ფრანგი ეროვნების პოეტთა ანთოლოგია, არამედ ანთოლოგია ფრანგული ენის პოეტებისა. უნდა ითქვას, რომ გამოვრიცხე ლანგედოკის ყველა პოეტი, ტრუბადურებიდან მისტრალის ჩათვლით. ისიც უნდა ვთქვა, რომ უნდა შემენირა შუასაუკუნეთა პოეზიაც, რომლის ენაც ისე განსხვავებულია ჩვენისაგან, რომ მისი ნაკითხვა უთარგმნელად შეუძლებელია. მის გამო არასპეციალისტი მკითხველის მიერ XV საუკუნემდე არც ერთი ლექსის პირდაპირი ნაკითხვა არ არის შესაძლებელი. ამიტომაც ეს ანთოლოგია იწყება ესტაშ დეშანითა და შარლ ორლეანელით. კიდევ ერთიც, მე უნდა გამეთანამედროვეებინა ორთოგრაფია და ენა ყოველთვის, როცა კი რიტმისა და რითმის პატივისცემა ამის საშუალებას მომცემდა, და უნდა დამემატებინა რამდენიმე აუცილებელი ასო. მსგავსი მოდერნიზაცია დამჭირდა XV, XVII და XVIII საუკუნეთა ტექსტებში. ჩემი მიზანი გახლდათ, თავი მომეყარა ლექსებისთვის, რომელთა ნაკითხვაც ყველა შეეძლებოდა ახსნა-განმარტების გარეშე, ჩამომეცილებინა მათთვის არქაული იერი, რომელიც ხიბლს მატებთ ზოგიერთის თვალში, მაგრამ ნაკითხვისას ბევრს უქმნის დამატებით სიძნელეებს. მინდოდა, რომ ბოდლერი და ვიიონი თანაბარი იარაღით ყოფილიყვნენ შედარებული ერთმანეთთან. პრაქტიკულად ამ მიზნის მიღწევა შეუძლებელია, ყოველ შემთხვევაში, მე ყველაფერი ვიღონე მასთან მისაახლოებლად.

თუმცა XV საუკუნიდან მოყოლებული XX-მდე არ შეეჩერებულვარ, მაგრამ მეოცედიან იმ პოეტებს ვირჩევდი, რომლებიც უკვე გარდაცვლილი იყვნენ. ამ წესს ის უპირატესობა აქვს, რომ რჩები უბრალო და არც მომჩივან-მოსაყვედურე გეყოლება. სინანული, რომელიც ამან დამიტოვა, არ არის დიდი (იქნებ სამი-ოთხი პოეტი დამაკლდა?!), სხვა მხრივ, რომ ვთქვათ, როგორ დავიჩემო და გავაკეთო არჩევანი ცოცხალთა შორის, როცა ასე ძნელია თავისი შესაფერისი ადგილი მიუჩინო 50 და მეტი წლის წინათ გარდაცვლილებსაც კი.

რადგან დიდი ამბიცია მაქვს, რომ არსობრივად მოგანოდოთ ჩვენი პოეზია, ესე იგი ფრანგულ ენაზე დაწერილი ყველაზე ლამაზი ლექსები, ისინი, რომლებიც ასეთებად მივიჩნიე იმ იმედით, რომ ნამდვილად ასეთნი არიან, მივმართავ, რაც შეიძლება ფართო საზოგადოებას. მე უარი ვთქვი, მხოლოდ იმის გამო გამომერჩია ლექსები, რომ ისინი ცნობილი არიან ყველასათვის. თუ მართლა მშვენივრად ვალიარებდი, მხოლოდ მაშინ შემქონდა კრებულში. ასევე მტკიცედ ვიმოქმედე უკანასკნელ წლებში ძალიან

მოდური იმ ტენდენციის წინააღმდეგ, რომელსაც სჩვევია ყველაზე უფრო ცნობილ პოეტთა უგულბელყოფა ხელახლა აღმოჩენილ და აღდგენილ სახელთა სასარგებლოდ, რომელთაც მოსდევს აღმოჩენის დიდი ხმაური და მცოდნის მიერ მხოლოდ თვალის უბრალო გადავლება. უეჭველია, რომ სენტ-ბევემა ერთ დღეს აღმოაჩინა რონსარი და ბატონმა დელატუმმა გამოაქვეყნა შენიე. რონსარი არასოდეს ყოფილა დავინწყებული, მეტნაკლებად გამოჩნეულს და ზოგჯერ გაკრიტიკებულსაც არასოდეს შეუწყვეტია არსებობა. ბუალო მას უტევდა, მაგრამ ბოლოს და ბოლოს ეს იყო რონსარი, რომელსაც ის უტევდა და არ ტყურო. რაც შეეხება შენიეს, ალბათ საჭირო იყო მისთვის ლექსების გამოქვეყნებამდე მოეკვეთათ თავი, რათა შთამომავლობას უფლება ჰქონოდა იგი აღმოჩენილად გამოეცხადებინა. თანაც საკმაოდ მალე. ძალზე იშვიათად ხდება, რომ დავინწყებიდან ამოყვანილი ქმნილებანი უძლებდნენ დღის სინათლეს. ისევე, როგორც დიდი ხნის წინათ დაკრძალული სხეულები. ის, ვინც მათ ამოთხრის, ხედავს დაუზიანებელსაც და იმასაც, იმნამსვე როგორ იქცევა მტვრად. ჩემდათვად პატივს ვცემ მავანი ანთოლოგიის ავტორს, ვინც განსაკუთრებული ადგილი დაუთმო XVI საუკუნეს, რომლის წიაღშიც მრავალი ნაკლებად ცნობილი სახელია და ამით ნამდვილი სამსახური გაუწია პოეზიის მოყვარულთ, მაგრამ არანაკლებ აუცილებელია იმის აღიარებაც, რომ XVI საუკუნის პოეზიაში არის უსაზღვრო ხარახურაც, უზარმაზარი რაოდენობაც უნიჭო მელექსეებისა, რომლებიც გარკვეული პირობების შესაბამისად ამოშავებდნენ თემებს და სიუჟეტებს. პირიქით, “დიდი რომანტიკოსები”, რომელთა აბუჩად აგდება დღეს კარგ ტონად ითვლება, მაინც ცოცხლობენ შეფასებათა ტყვეობაში და აგრძელებენ თავიანთ ქროლვას.

**აფრქვევენ სინათლის ნაკადს
თავიანთ ბნელ ღვთისმგობობებს**
(სიტყვა-სიტყვითი თარგმანი)

(მაპატიეთ, რომ ხელიდან არ გავუშვი შესაძლებლობა, რათა ამ ციტირებით ვალი მომეხადა და თავი დამეღწია ლეფრან დე პომპინიანისგან).

რისკს, ვაითუ ვინმეს ბანალურობის მოქადაგედ ჩავთვალე, არ შევუყოვნებია და მოდიდან გამოსულ დიდ პოეტებს მნიშვნელოვანი ადგილი მივუჩინე, რაც, ჩემი აზრით, სამართლიანი და აუცილებელია. აუცილებელია შეჯახება კონფორმიზმთან, რადგან კონფორმიზმის უარესი ფორმა ცდილობს ღირებულებათა კიბის აყირავებას და არა მარტო მწერალთა წინააღმდეგობის შესაქმნელად, არამედ ყველასთვის ორმხრივი სარგებლიანობით ხელსაყრელი ადგილის დათმობისთვის. ბევრ ჩვენს პოეტში გაჩნდა უცნობის სასარგებლოდ ცნობილის უგულვებელყოფის სურვილი. ტიერი მოლნიეს გავლენით ზოგიერთი შეიყვარებდა კორნელის ოდესლაც გათამაშებული პიესების გამო. პატივი უნდა ვცეთ ტიერი მოლნიეს, რადგან მან გააფართოვა ჩვენი ჰორიზონტი და გვაჩვენა, რომ კორნელი არ არის მხოლოდ ოთხი ტრაგედით შემოფარგლული. “სირენადან” მოყოლებული “პეტარადემდე” ვიპოვით ნამდვილ მშვენიერებებს, მაგრამ მაინც გავბედით თქმა, რომ ყველაფერი ეს ვერ შეედრება ვერც “სიდს” და ვერც “პოლი-

ევქტს”. ასევე ჰიუგოს უკანასკნელი წიგნებიდან ამოარჩევინ “სატანის აღსასრულსა” და “ღმერთს” – აღმაფრთოვანებელ ლექსებს. რა ვულკანია! რა თქმა უნდა, მაგრამ რამდენი წიდაც და პირიქით, უფსკრულში მოისვრიან “მონიფულობის კრებულებს” და მათგან დატოვებენ “ჩაძინებულ ბოზს” “ჟერიმადეთის” (ნუნუნის) მიზეზებით. მე მგონი, დაგვცინიან. ბურჟუას გაოცებაზე გათვლილი ეს არჩევანი “დადას” დაბადებიდან 60 წლის შემდეგ გადაიქცა ამქვეყნად ყველაზე უფრო ბანალურ და ვულგარულ რამედ. ჩვენ იმ ეპოქაში ვცხოვრობთ, როცა ბურჟუაზიამ აღმოაჩინა მარქსი, ამავე სულიერი მისწრაფების გამო სჯერათ მორის სცევის, პოლ ლაფარგისა და ალფრედ ჟარის აღმოჩენა, ეს რა თქმა უნდა სულაც არ არის იმის საბაბი, რომ უნდა დაბრუნდნენ ფრედერიკ დე პლეი, კაზიმირ დელავინი და ფრანსუა კოპე. საჭიროა მხოლოდ, რომ ყოველგვარი მიკრობების გარეშე თითოეულს თავთავისი ადგილი მიუჩინო. საინტერესოა აღინიშნოს, რომ ის ზედმეტობანი, რომელზედაც ვლაპარაკობ, გამოიწვია ნებისმიერ ფასად ორიგინალობის გამოჩენის სურვილმა, რამაც პირიქით, შექმნა უგემოვნობა. მე ვლაპარაკობ მათზე, ვინც რონსარის “ამურებიდან” მოისვრის ალტაცების ღირს ლექსებს თითქოსდა მათი სიადვილის გამო მისივე “ჰიმნების” ან “სიტყვების” სასარგებლოდ. ვინც ხელის ერთი მოსმით გახვეტავს ჰიუგოს ყველაზე ცნობილ ლექსებს “სატანის აღსასრულის” დაუსრულებელი დეკლამაციების წარმოსაჩენად, სამუდამოდ დააპატიმრებს მიუსეს “ღამეებს” და მისგან აიღებს მხოლოდ “მთვარის ბალადას” ან “ბარბერინის სიმღერას”. ჩემი პრინციპული ძალისხმევა გახლდათ, მიმელნია ოქროს შუალედისთვის და მომეყვანა მხოლოდ ჩვენი საუკეთესო პოეტები, მათი საუკეთესო ლექსები, და არავითარი კომპლექსი არ მანუხებდა იმის გამო, რომ ჩემს არჩევანს აკლდა მოულოდნელობის ეფექტი.

ანალოგიურმა საფიქრალმა მაიძულა უფრო ყურადღებით ვყოფილიყავი ისეთ მწერლებთან, როგორც კორნელი ან რასინია. კარგად მესმის, რომ ჩემმა წინამორბედებმა თეატრი გამოიციხეს, მაგრამ როგორ შევქმნათ ჩვენი პოეზიის ნამდვილი ანთოლოგია, თუ იქ არ იქნებიან კორნელი და რასინი? ახლა გაჩნდა ტენდენცია, მათი პოეზიიდან მოიყვანონ მხოლოდ ვითარებათა გამო დაწერილი ლექსები ან ფსალმუნთა საშუალო დონის პარაფრაზები, მაშინ როცა მათი ტრაგედიებიდან იღვრება პოეტური მშვენიერება. მე დავიკავე საწინააღმდეგო პოზიცია და კორნელისა და რასინის შემოქმედებაში გამოვყავი ცალკეული სცენები და ტირადები, რომელთა მშვენიერებაც დრამატული მოქმედების მიღმა შეიძლება წარმოჩენილიყო. ერთმა რამემ დამარწმუნა ამაში: ცნობილ სცენაში, სადაც ფედრა გამოუტყდება იპოლიტს, იგი ზედიზედ წარმოთქვამს ტირადებს: პირველი მე წარმომიჩნდა მდიდარი შინაგანი პოეზიით და დამოუკიდებელი ყოველგვარი დრამატული სიტუაციისაგან, მეორე კი პირიქით.

**აჰ, ვერაგო, შენ მე ძალიან კარგად გამიგე,
მე საკმაოდ ბევრი გითხარი, რათა ცდომილებიდან
გამომეყვანე,
მაშ კარგი, ახლა შეიცან ფედრა და მისი მძვინვარება.**

მომეჩვენა, რომ ვაცლიდი არსს იმ ვითარებიდან გამომდინარე მშვენიერებას, რომელშიც ის წარმოითქვა (ფედ-

რას ხასიათიდან, იმ მდგომარეობიდან, რომელშიც ის იმყოფებოდა, რაც განაპირობებს პერსონაჟთა მომავალ ბედს). ამიტომაც მე ის გამოვრიცხე და პირველი ფრაგმენტი შევიტანე: რადგან ბოლოს და ბოლოს ვერ ვხედავ ბუნებით განსხვავებას ამ პირველ ტირადასა და შენიეს ამგვარ ლექსს შორის, ისევე, როგორც ვერ ვხედავ განსხვავებას “სიდის” სიყვარულის სცენებსა და ლამარტინის, მიუსესა და ბოდლერის მსგავს ლექსებს შორის. დიალოგი არ არის საკმარისი, რომ მოაცილო ლექსებს მათი წმინდა და არსობრივი თვისებები და “სიდისა” და “ქიმენას” აქცენტები სულაც არაა ნაკლებად ლირიკული და პოეტური, ვიდრე იყო ლექსები, როგორიცაა “ტბა” ან “აივანი”. ამასვე ვიტყვოდი ლაფონტენზეც. ის ხომ ერთ-ერთი უდიდესთაგანია. მამ როგორ მოვუნახოთ ადგილი, როგორ მივაგოთ პატივი მის იგავთა ციტირების გარეშე? მამ მე არა ვყოფილვარ მიკერძოებული. ვცდილობდი დამეცვა მხოლოდ ისინი, რომელთა პოეტური სილამაზეც უსხლტდება წმინდა იგავის ხასიათს და სცდება მის საზღვრებს.

შეიძლება ითქვას, რომ მე ცივი გონებით ამოვწურე ყოველივე ხარისხიანი მთელს პოეზიაში? სავარაუდოა, რომ არა. წიგნში შევიტანე ლაფონტენის იგავები, რადგან ისინი პოეზიის შედეგებია, და არა იმიტომ, რომ მხოლოდ კარგი იგავებია. ამ დროს კი გამოვრიცხე კლემან მაროს იგავები, რადგან მომეჩვენა, რომ იქ პოეზია არ იყო, თუმცა მორალი, აზროვნება, თხრობისა და ფორმის დახვეწილობა ქმნიდა პატარა შედეგებს. ასევე არაფერი ამიღია ჩვენი დიდაქტიკური, სატირული და ეპიგრამული პოეზიიდან. დიდი სილამაზეა მატურენ რენიესა და ბუალოს სატირებში, ისევე, როგორც მისივე “პოეტურ ხელოვნებაში”. ჩვენს XV-XVIII საუკუნის მწერლებთან ვხვდებით მომხიბვლელ ეპიგრამებს. ის გვხვდება XIX საუკუნეშიც, მაგალითად, მიუსესთან, და XX საუკუნეშიც, მაგალითად, ფრან ნოელთან, მაგრამ მათში პოეზია არ არის მიზეზი ან მიზანი, ლექსი აქ მხოლოდ საშუალებაა, რომელიც მნიშვნელობას და ძალმოსილებას მატებს გონების სიტყვას, მაქსიმუმს, დარიგებებს. ისიც არ უნდა დავივიწყოთ, რომ საუკუნეთა განმავლობაში ლექსი იყო საზეიმო გამოხატვის ერთ-ერთი ფორმა, დიდებული სამოსი, რომელსაც იცვამდნენ საგანგებო შემთხვევებში, მაგრამ მას არ გააჩნდა იმგვარი დატვირთვა, რომ ეცადათ შეექმნათ ისეთი პოეტური ქმნილება, როგორც მართლა სასურველია. მოლიერისათვის “ძუნწის” პროზასა და “სწავლული ქალების” ლექსებს შორის მხოლოდ ის განსხვავებაა, რომ ამ შემთხვევაში საჭირო იყო საზეიმო სამოსის ჩაცმა, რათა განსაკუთრებული პატივი მიეგო თეატრისა და საზოგადოებისათვის. მოლიერის ლექსებში არის საოცარი სიმსუბუქე, დასრულებულობა, მკაფიობა, მაგრამ მათი ფუნქცია გახლავთ მხოლოდ პერსონაჟის ხასიათის და ფიქრის სცენაზე გამოხატვა. მათი ჭეშმარიტი ლირიკულიება დრამატულ სიტუაციასთან სრულ შერწყმაშია. ამიტომაც განსხვავებით რასინისაგან, მათ ვერ დაიბევეს ადგილი პოეზიის ამ ანთოლოგიაში.

ასევე, აქ შეხვდებით მხოლოდ მწირად წარმოდგენილ ისეთ მწერლებს, როგორიც გახლავთ მატურენ რენიე, მოლიერი და ბუალო. ასევე ვთქვი უარი ეპიგრამულ პოეზიაზე, გონების ლექსებზე, რადგან ისინი არ არიან სულსმირნი. ვერავითარი მოჩვენებითი თავაზიანობა ვერ გამოვიჩინე XVIII საუკუნის მიმართ, თუმცა ამ ეპოქის ბევრი ავ-

ტორი მართავდა ლექსს სიმსუბუქითა და სინატიფით, ზოგჯერ მართლა ნიჭიერადაც, მაგრამ ისინი მაინცადამაინც არ ყოფილან მონოდებით პოეტები. შეიძლება გამოიკალიოს ტრაგედიების ავტორების, ნიშანდობლივად ვოლტერის მიმართ. მაგრამ აქ აშკარადება ჩემს თვალში გამოუხსნორებელი ნაკლი და ეს მაიძულებს გამოვრიცხო ძალიან ბევრი სახელი. ვოლტერის ტრაგედიების ლექსები მხოლოდდა ექოა კორნელისა და უფრორე რასინისა. დიალოგი და ტირადები განუწყვეტელი პაროდებია და უეჭველად შეუგნებლად ხდება. ამის გამო არაფერი ამიღია ლუი რასინისა და ვოლტერის ტრაგედიებიდან, ასევე ფლორიანის იგავებიდან. ვერაფრით შევეწიე რომანტიზმის, პარნასის, სიმბოლიზმის, ბოდლერის მოსწავლეებს, რომელთაც ნალექეს XIX საუკუნის ბოლო და XX-ის დასაწყისი. ყალბი ბოდლერი ყალბ პიკასოზე მეტი არა ღირს, ამასვე ვიტყვოდი ყალბ რონსარზე.

მაინც მოვალენი ვართ ვალიაროთ, რომ ანთოლოგიამ მაშინაც კი, როცა ჭეშმარიტ არსამდე უნდა დავინროვდეს, მაინც უნდა მოგვცეს მოკლე შინაარსი დაახლოებით მთელი ფრანგული პოეზიისა და, მაშასადამე, ადგილი უნდა დაუთმოს ყველა იმას, ვინც ერთხელ მაინც მიუახლოვდა ნამდვილ პოეზიას. იქნებ ვინმეს გაუკვირდეს, თუ არ არის აქ წარმოდგენილი თუნდაც ბოდლერის “ლექსები პროზად” ან, მაგალითად, “მალდორორის სიმღერები”? მაგრამ ვამჯობინე მქონოდა გარკვეული ხარვეზები, ვიდრე შემეცვალა სალექსო კრიტიკრიუმები. ბოდლერი და რემბო ისედაც ფართოდ არიან წარმოდგენილნი და იქნებ ლოტრეამონი არ არის არსებითი? ბეფისა და აგრისა დ’ობინიეს მოზომილ ლექსებს აქვთ მხოლოდ ამბის თხრობის ლირებულება. მე ორიენტაცია ავიღე რიტმულ და კლასიკურად გართომულ ლექსებზე, გარდა რამდენიმე თანამედროვე გამოიკალიოსისა, რადგან თუ ახლა მხატვრობა ეძებს თვითგანახლებას ფორმის დარღვევაში, პოეზიამ გამოსავალი ჰპოვა ტრადიციულ რიტმსა და რითმაზე უარის თქმით.

იმ რამდენიმე პრინციპის ახსნას რომლითაც ვმოქმედებდი, დავამატებდი იმას, რომ საბოლოოდ პოეზიაში უფრო მეტად ვიდრე სხვაგან, საჭიროა ნიჭი. ცხად სიადვილეს რა თქმა უნდა მირჩევნია ლაფონტენის, რასინის, ბოდლერისა და მაღარმეს უმაღლესი სრულყოფილება. მაგრამ ვერაფერი: ვერც მგრძნობელობა, ვერც აზროვნება და ვერც ოსტატობა – ვერ შეედრება პოეტად ყოფნის ღვათებრივ მაღლს. მიუსეს, მაგალითად, ის ჰქონდა, რაც უნდა ვთქვათ მასზე. მათ, ვისაც ის არ გააჩნიათ, რაც უნდა ღირსებები ჰქონდეთ, მაინც დიდი უბედურება ენიათ. ბეფი თუ სენტ-ბევი, თეოფილ გოტიე თუ ფრანსუა კოპე, სიული პრიოდომი თუ შარლ მორა, თუმცა ზოგიერთი ხანდახან ეხებოდა მშვენიერებას, მაგრამ მაინც ვერ გაექცნენ სიმდარეს. აი, აქ ჩანს ტალანტის უპირატესობა: როცა ღვთიური მაღლი მოეცხება მინარს თუ თეოფილს, ან სენტ-ამანს ან მარსელინ დებორდ-ვალმორს ან მორეასს, ჩვენ გვაქვს ბედნიერი ლექსები, მაგრამ როცა ეცხება მალერებს, ვინის ან ვალერის, საქმე გვაქვს ჩვენი ენის ერთ-ერთ ყველაზე მშვენიერ ლექსებთან, რომლებიც მაშინვე ანათებენ და გაიწყებენ უამრავ დამუშავებულ ლექსს, რომელთაც ვერც მჭევრმეტყველება, ვერც აზრთა დიდებულება და ვერც ბრძნული ბუნდოვანება ვერ უშველით.

დასასრული შემდეგ ნომერში

თემურ ჩხეტიანი

„ბიყვარდეს, ვიდრე ცოცხალი ხარ“

— თქვენი აზრით, რა არის უკიდურესი გაჭირვებულ მდგომარეობა?

— როცა ლექსის დანერაც შეუძლებელია.

— სად ისურვებდით ცხოვრებას?

— გააჩნია, ვისთან ერთად?..

— რა არის უმაღლესი ბედნიერება?

— განსაკუთრებული არაფერი: დამსახურებული და ნამდვილი სიყვარული.

— თქვენი საყვარელი ლიტერატურული პერსონაჟები?

— ასეთები ძალიან ბევრნი არიან. თუნდაც კანუდოსელები გურამ დოჩანაშვილის რომანიდან „სამოსელი პირველი“.

— თქვენი საყვარელი ისტორიული პერსონაჟები?

— ალექსანდრე მაკედონელი, მარკუს ავრელიუსი, დავით აღმაშენებელი...

— თქვენი საყვარელი მხატვარი?

— ლიონელო ვენტურის ნიგნის მიხედვით: მანედან ლოტრეკამდე. მოდილიანის და ფიროსმანის დამატებით.

— თქვენი საყვარელი კომპოზიტორი?

— მოცარტი, ბეთჰოვენი და რომანტიკოსები: შოპენი, შუბერტი, შუმანი...

— რომელ თვისებებს აფასებთ ყველაზე მეტად მამაკაცში?

— ჟინი სიცოცხლისა და სიყვარულისა.

— რომელ თვისებებს აფასებთ ყველაზე მეტად ქალში?

— სილამაზე და კეთილშობილება.

— რომელი ადამიანური სათნოებაა თქვენთვის უფრო მომხიბლავი?

— სიკეთე.

— თქვენი საყვარელი საქმიანობა?

— როდის რა... ამჟამად — ვირტუალური ურთიერთობანი.

— თქვენთვის ნაცნობი რომელი ადამიანი გინდოდათ ყოფილიყავით?

— ჩემი თავი, ოღონდ ბევრად უკეთესი, ვიდრე ვარ.

— თქვენი ხასიათის მთავარი თვისება?

— ადვილად მიყვარდება.

— რას აფასებთ ყველაზე მეტად მეგობრებში?

— იმას, რომ შეუძლიათ მიიღონ ჩემი კეთილგანწყობა და ასევე მიბასუხონ.

— თქვენი მთავარი ნაკლი?

— ის, რომ ძალიან განვიცდი ჩემს ნაკლს.

— თქვენი ნარმოდგენა ბედნიერებაზე?

— ბედნიერება თავდავიწყებაა, თუმცა თავდავიწყება მაინც არ არის ბედნიერება.

— რა იქნებოდა თქვენთვის ყველაზე დიდი უბედურება?

— ოცნებას თუ ვეღარ შეეძლებდი.

— როგორი გინდოდათ ყოფილიყავით?

— ფიზიკურად ძლიერი და უფრო ჭკვიანიც.

— თქვენი საყვარელი ფერი?

— ნითელი და შავი.

— ყვავილი, რომელიც ყველაზე მეტად გიყვართ?

— ია.

— თქვენი საყვარელი ფრინველი?

— მერცხალი.

— თქვენი საყვარელი მწერალი?

— ლაო ძი-დან მოყოლებული ბესო ხვედელიძის ჩათვლით.

— თქვენი საყვარელი პოეტები?

— ჰომეროსიდან მოყოლებული აგერ, თქვენი თაობის პოეტების ჩათვლით.

— საყვარელი ლიტერატურული გმირი ქალები?

— ასეთები უამრავნი არიან. თუნდაც ნასტასია ფილიპოვნა და სონია მარმელადოვა დოსტოევსკიდან.

— საყვარელი გმირები რეალურ ცხოვრებაში?

— ძნელად თუ გავიხსენებ.

— საყვარელი გმირი ქალი ისტორიაში?

— ალბათ ქეთევანი.

— საყვარელი სახელი?

— ძმიშვილების სახელები: რუსიკო და ირაკლი.

— რას ვერ იტანთ ყველაზე მეტად?

— უაზრო ხმაურს.

— ისტორიული პიროვნება, რომელმაც თქვენი ზიზი დაიმსახურა.

— ასეთები არიან, მაგრამ მათი გახსენება არ მსურს.

— საომარი მოქმედება, თქვენი აზრით, ღირსი მეტნაკლები ალტაცებისა?

— დიდგორის ბრძოლა... ქართველი ვარ.

— რეფორმა, რომელსაც თქვენ განსაკუთრებით უმაღლეს შეფასებას აძლევთ?

— ოჯახის ინსტიტუტის ჩამოყალიბება.

— ნიჭი, რომელსაც გინდათ ფლობდეთ?

— მუსიკის ან მხატვრობის.

— როგორი გინდოდათ რომ მომკვდარიყავით?

— ძილში, უშფოთველად...

— თქვენ სულიერი მდგომარეობა ამჟამად?

— ცოტა აფორიაქებული ვარ!..

— ქმედებანი, რომლებიც თქვენს შემწყნარებლობას იმსახურებენ?


— ის ქმედებანი და თუნდაც ძლიერი გადაცდომანიც, რომლებიც სიყვარულის გამოა ჩადენილი.

— თქვენი დევიზი?

— გიყვარდეს, ვიდრე ცოცხალი ხარ.

— თუკი ოდესმე შეხვდებოდით ღმერთს, რას ისურვებდით, რომ მას თქვენთვის ეთქვა?

— „მე არავითარ უხერხულობას არ განვიცდი იმის გამო, რომ შენ ამ ქვეყნად ასეთი მოგავლინე“.



ზურაბ სამადაშვილი

ოკლები

□

პიესა ხუთ სურათად

მოქმედი პირები

- მამა იობი — ღვთისმსახური
- ტახო — ძმები
- ბელო —
- ქეთი — სიმპათიური გოგონა

სურათი პირველი

ქალაქის გარეუბანი ზღვასთან ახლოს. სასტუმრო ოთახი ძველებურ კერძო სახლში. ოთახის სიღრმეში, მარჯვნივ, შესასვლელი კარი. ავანსცენაზე — მაგიდა და ორი სკამი, მათ წინ — სავარძელი. მარცხნივ — ტახოს ოთახი, მოშორებით — ბელოს ოთახის კარი. უკანა კედელზე — თარო ზედ განლაგებული ძაღლების ფიგურებით. ყველა ფიგურას ფლომასტერით „მ“ აწერია. თაროს ზევით ჰკიდია ორლულიანი თოფი; იქვე, ოდნავ ზემოთ, ვხედავთ კედელზე გაკრულ ჯვარცმას. მარცხნივ, კედელთან პროდუქტების კარადაა, მარჯვნივ — კომოდი, კომოდზე — ჩარჩოში ჩასმული ძაღლის ფოტოსურათი. შავ ტანსაცმელში გამონყობილი ტახო ეს-ესა დაბრუნდა დასაფლავებიდან და ჰალსტუხს იხსნის, მერე კარაიდან იღებს დიდ ქილას, მოახრახნის თავსახურს და იქიდან არყის ბოთლს ამოაძრობს, ბოთლსაც და ქილასაც ისეთივე „მ“ აწერია. შემოდის მამა იობი.

მამა იობი — კარი ღია დავეტოვე შენი ძმისთვის.
ტახო — ჰო, შენ იცი, ერთი წამითაც არ დაგავინწყდეს ეგ ბენტერა! სხვა რამეზე იფიქრე, კარგზე იფიქრე, სულ ბელოს ხსენებაში როგორ უნდა იყო! არაყი მაინც არ გინდა?
მამა იობი — ეგ არ უთხრა, ისევე ჩხუბი მოგივათ. რატო ბენტერა, დღესაც უნდა იჩხუბოთ?
ტახო — ბენტერაა და თანაც ღორია. ბელოს იმიტომ ეძახიან. არ დავლიოთ-მეთქი?!
მამა იობი — მაგაზე არ განყენინებ (მაგიდასთან ჯდება), აბა, რით გამიმასპინძლებდი!
ტახო (თავისთვის) — რას ვეკითხები ამ ლოთს!
მამა იობი (ირონიული ღიმილით) — რაო?
ტახო — რაო და, მიმიპურჭყებია ასეთი ცხოვრებისთვის!
მამა იობი — ნუ იგინები.
ტახო — ეს თუ გინებაა, მაშინ ათასჯერ მიმიპურჭყებია, ანდა სულაც ასითასჯერ!
(არაყს უსხამს)
მამა იობი — არ თქვა! ნუ იგინები (ანვევტილებს)! დღეს მამა დასაფლავე, ნუ გავინწყდება!

* მარტინ მაკ-დონაჰის „მარტოსული დასავლეთის“ მიხედვით

ტახო — გულითაც რო მოვინდომო, ვინ დამავინწყებს! აქ არა ხარ შემსხენებელი?

მამა იობი (ხელს ჩაიქნევს) — აცხონოს ღმერთმა (სვამს).

ტახო — ამინ.

მამა იობი — სხვათა შორის, კარგმა საზოგადოებამ მოიყარა თავი.

ტახო — კარგი ერთი! კარგმა, არა?.. ლეშიჭამია ნაბიჭვრები! გაძლომა უნდოდათ მუქთად.

მამა იობი — მამაშენის ხსოვნას სცეს პატივი, მასე ლაპარაკი არ შეიძლება.

ტახო — ქელები თუ იქნებაო, მეკითხებოდნენ, დასალევს სად ყიდულობო, ეგ ბოზანდარები! ვერ მივართვი! შენ კი დამდგარხარ და კარგი ხალხი მოეთრაო, გაიძახი.

მამა იობი (შეშფოთებით) — არ შეიძლება-მეთქი, გეუბნები, რატო არ გესმის.

ტახო — მართო ჩემზე რო იყოს, კიდე ჰო. ვეტყვი, მოდი, ჩაცეცხლეთ, თქვე ბოზანდარებო-მეთქი, მაგრამ, შენ ხო იცი, ოჯახის ბიუჯეტს მთლიანად ბელო აკონტროლებს, უმაგისოდ ერთ ლარსაც ვერ ვხარჯავ.

მამა იობი — ცოტათი მართლა მოიძუნნებს შენი ძმა.

ტახო — ცოტათი? აბა შენა ხარ! ღორია-მეთქი, ჩამოყალიბებული ღორი! ცოტათიო. შენცა ხარ, რა!

მამა იობი — შენი ძმა არი მაინც.

ტახო — ისე, ჩვენში რო დარჩეს, ეს არაყიც მაგისია. თუ შემოგვისნრო, უთხარი, რო შენი თხოვნით გამოვიტანე, გაიგე? თორე ატყდება, ნერვებს ამახვეს და მერე მე ავახვე თავ-ყბას.

მამა იობი — კარგი, მასე ვეტყვი (ჭიქას გამოაცარიელებს). კარგია ეს დალოცვილი.

ტახო — შეგარგოს ღმერთმა.

მამა იობი — ამ უბანში გადმოსვლამდე წვეთს არა ვსვამდი, ახლა კი... თუმცა, ღვთის წყალობით, მაინც ბოლომდე არ გავლოთებულვარ.

ტახო — კი, ძმაო, როგორც შენ იტყვი!

(ჭიქებს ავსებს)

მამა იობი (გამომცდელად) — ორაზროვნად იღიმიები.

ტახო — არა, მამაო, რა ორაზროვნად!

მამა იობი — თქვი ბოლომდე, რისი თქმაც გინდა. ადრეც შემიმჩნევია ეგ ღიმილი.

ტახო — რა ვიცი, დალევა აქ ვისწავლეო, გაიძახი (ჩაიცინებს), მე კი ჩიტმა სხვა ამბავი მომიტანა...

(პაუზა)

მამა იობი — ჰო, რაო ჩიტმა, ადრეც ლოთობდაო?

ტახო — არა, მამაო, უარესი. ერისკაცობისას ჯიბგრობდაო, პლანსაც აბოლებდაო, შენ ხარ ჩემი ბატონი, კარგ ქორფა-ქორფა გოგოებსაც არ იკლებდაო. ჰა, ეგრე იყო?

მამა იობი — რა სისულელეა! ოჯახი მყავდა...

ტახო — გამოტყდი, რა გვაქვს ერთმანეთთან დასამალი! ნაჯღომიცა ხარ?



მამა იობი — არა, ნაჯდომი არა ვარ... ცოცხალი ხნით დამაკავებს. მოჩხუბრების გაშვებება ვცადე და ხო იცი, როგორც ხდება ხოლმე, ქვა მთხლიშეს თავში. აი, ცამეტი ნაკერი მადევს, აი, დაადე თითი, გრძნობ ჩაღრმავებას? სიკვდილს ძლივს გადავურჩი. მთელი კვირა უგონოდ ვყოფილვარ, ოპერაციაც კი არ მასხოვს.

ტახო (ინტერესით) — ტუნელი და რალაცა სინათლეო, რო გაიძახიან, შენც ნახე?

მამა იობი — არა, მსგავსი არაფერი მასხოვს, გათიშული ვიყავი.

ტახო — იტყუებიან ეგ ნაბოზრები (ნაირვეს უთვალე-რებს), მართლა მაგრად მოგხვედრია! გაგისწორდა, გონზე რო მოხვედი?

მამა იობი — რა გამისწორდა, იცი? რო გადავრჩი და ის ბიჭი მკვლელი რო არ გახდა.

ტახო — ეხლა, ეგეთი სიაფანდობები არ იყოს!

მამა იობი — მართალს გეუბნები, ეგრევე ეკლესიისკენ გამინია გულმა. აღსარება ჩავაბარე, ვიმარხულე, ვეზიარე, სასამართლოს მერე სტიქაროსანიც გავხდი.

ტახო (უცებ წამოიყვირებს) — ოჰ, მაგის დედა ვატირე! ეგ ძუკნა! არ არი დასაბრედი?

მამა იობი (შეშფოთებით) — ვისზე ამბობ? ვინ გავახსენდა?

ტახო — ჩემი დამპალი მეზობელი, მელოტი ნორა! ტუპიკში რო ცხოვრობს (მამა იობი თავის დაქნევით ანიშნებს, ვიცი ვინც არიო), ვალი აქვს ასი წლის წინანდელი. აი, დღეს მოგცემ, აი, ხვალ! ამასობაში ისე დაბერდა, ხანდახან ვეღარც მცნობს.

მამა იობი — ბევრი მართებს?

ტახო — შვიდი ლარი. მაგ შენს ზიარებაზე და აღსარებაზე გამახსენდა. რო მოეცა ის ვალი, ხო დაგვატიყუბდი ლუდზე? ხო იქნებოდა ცივი ქაფქაფა ლუდი ზიარებასავით, ჰა? ღირსი არ არი, დავიჭირო ეგ ბებერი ძუკნა და ეს არყის ბოთლი შევტენო?

მამა იობი — არ შეიძლება მოხუც ქალზე მასეთი ლაპარაკი.

ტახო — მე ტახო იმიტო მქვია და მე იმიტო ვარ მე, რო ასეთი ლაპარაკი ვიცი. სხვანაირად რო ვლაპარაკობდე, სხვა ვიქნებოდი და ტახო არ მერქმეოდა, რამე სხვა სახელი მერქმეოდა. შენ კი ამდენ ლაპარაკს გირჩევნია, ადგე და ნორასთან მიმეგზავნო, იქნება ღმერთის მაინც შერცხვეს და გამოგატანოს ის ოხერი შვიდი ლარი. უთხარი, მამა გარდაეცვალა და ფული სჭირდება-თქო. ჰა, როგორი აზრია?

მამა იობი — მე იქ მიმსვლელი არა ვარ, სისულელეს ამბობ. მოცემა რო სდომებოდა, აქამდე...

ტახო — შენ თვითონ რატო არ მაძლევ ბინის ქირას? ეგ ოთახი კი არ მიჩუქებია შენთვის. გაჭამო, გასვა და ბინის ქირაც აღარ გამოგართვა? ეგრე სად არი! შენ და ნორამ რით ვერ გაივტო, რო ვალს გადახდა უნდა, მაგდებთ თუ რამია საქმე!

მამა იობი — ეგ ვალი დიდი ხნის წინ გადავუხადე შენს ძმას და ზევიდან მომავალი თვის ქირაც მივაყოლე, გასაგებია? დასაფლავების ხარჯებისთვის სჭირდებოდა.

ტახო — ყველაფერს როგორ მასწრებს ეგ ნაბოზარი.

მამა იობი — კარგი, დამშვიდდი. ვიცი, აგაფორიაქა მამის გარდაცვალებამ, მაგრამ რას იზამ, უნდა გაუძლო, შეეგუო...

ტახო — რას როშავ, ამაფორიაქა კი არა, ძლივს დაისვენეს ყურებმა, ტვინს მინყალედა თავისი შენიშვნებით,

ნეტა ბელოც მალე გაფშეკდეს ფეხებს, შვებით ამოვისუნთქებდი.

მამა იობი — ვირულად ხუმრობ, მაგრამ ეგეც გასაგებია ჩემთვის.

ტახო — ვხუმრობ, არა?

მამა იობი — ეხლა, პირიქით, მეტი სიღინჯე გმართებს, მეტი სერიოზულობა. ცოლის შერთვას არ აპირებ? არავინა გყავს შერჩეული?

ტახო — კი, როგორ არა, რიგი მიდგას კართან.

მამა იობი — მართლა მაინტერესებს, არ გეხუმრები. ყოფილხარ შეყვარებული?

ტახო — კი, ერთხელ მეც მივირთვი ბებიაჩემისა, მაგის დედაც...

მამა იობი — ეხლა მაინც ნუ იგინები.

ტახო — აბა, რა ექნა, თემაა დედაფეთქებული.

მამა იობი (ხელებს შლის გაკვირვებული) — რა თემა, სიყვარული? სიყვარულიც საგინებელია?

ტახო — მომისმინე! სკოლაში მიყვარდა ერთი. აი, გიყვები, ჯანდაბას, რახან გაინტერესებს. ნითური გოგო იყო, რიჟიკას ვეძახდით. იჯდა გაკვეთილზე და მთელი დღე კალამს ლეჭავდა. არ ვიცი, მაგ დროს რაზე ოცნებობდა, მაგრამ ფაქტია, რო კალამი სულ პირში ჰქონდა გაჩრილი. ჰოდა, ერთ მშვენიერ დღეს, ეს ოხერი კალამი შემთხვევით გადაეცვალა, გაეჩხირა გლანდებში და ჩემი სიყვარულიც ამით დამთავრდა.

მამა იობი (პირჯვარს იწერს) — რა მოკვდა?

ტახო — რა მოკვდა, დაბოლილი ხო არა ხარ, იმას რა მოკლავდა! კი არ მოკვდა, გათხოვდა ეგ ძუკნა. ნეტა მართლა მომკვდარიყო, ჩემს გულში სამარადისოდ დარჩებოდა ნათელ წერტილად. ვილაც პედერასტ ექიმს გაჰყვა ცოლად, ვინც ეგ ოხერი კალამი ამოაძრო გლანდებიდან. აქამდე ვნანობ, რო არ მივედი და ის კალამი უფრო ღრმად არ ჩავტენე საყლაპავში, იქნება მართლა გაეფშეკა ფეხები... მოეთრა ეს თესლი!

(შემოდის ბელო ჩანთით ხელში. ჩანთიდან სხვადასხვა ჯიშის ძაღლების ფიგურებს იღებს და თაროზე აწყობს. ტახო ყურადღებით ადევნებს თვალს.)

მამა იობი (ბელოს) — შეგავგინა რალაც.

ბელო (ფიგურებზე უთითებს) — საქმეზე შევიარე, მინაპლასტიკია.

ტახო — ნაბოზვარპლასტიკი.

ბელო — ნაბოზვრისგან მესმის.

ტახო — ჩაიგდე ხმა!

მამა იობი — კარგი, ნუ დაიწყებთ! დღეს მაინც შეიკავეთ თავი!

ბელო — ხომ დაინახე, მამაო, მაგან დაიწყო.

მამა იობი — არ შეიძლება, სხვა რამეზე ვილაპარაკოთ?

ტახო — სხვა რაზე მაგალითად?

მამა იობი — მაგალითად... კიშკას საქციელზე. მამათქვენს არ ელაპარაკებოდა, მაგრამ დასაფლავებაზე მოვიდა, გარდაცვლილს პატივი სცა, კუბოს მოკიდა ხელი.

ბელო — მაგ დამპალს ერჩია, სიცოცხლეში ეცა პატივი. ორჯერ ჩააყუდა კაცი ვირის აბანოში და ორჯერვე უმიზეზოდ.

ტახო — ვილაცა გოგოებს შეაგინა და ხულიგნობისთვის დააკავა მაგ ნაბიჭვარმა.

ბელო — და დასაფლავებაზე გამომეჭიმა ეგ მართლა ძალი!

მამა იობი — ე.ი. დანაშაულის მონანიება სცადა, მოგი-სამძიმრათ, მოგებოდითათ.

ბელო — მაგათმა რეზომ დაახია ყურები ჩემს საცოდავ ლესის, სისხლისგან მაგიტომაც დაიცალა.

(დარდიანად იხედება ჩარჩოში ჩასმული ფოტოსურათისკენ)

ტახო — არა გაქვს დამამტკიცებელი საბუთი, ტყუი-ლად ილლი ენას.

ბელო — საკუთარი პირითა აქვს ნათქვამი რეზოს. იდგა ქურჩამი და ტრაბახობდა, ქვეყანამ მოისმინა მაგისი ლაქლა-ქი.

ტახო — ეგ არ ითვლება, არაპირდაპირი სამხილია. ასე ათასი რამის მოგონება შეიძლება. უბანში იტრაბახა ბიჭმა, დიდი რამე!

ბელო — შენ ოღონდ ჩემი სანინალმდეგო თქვი და სხვა არაფერი გინდა.

ტახო — ჰამ, ჰამ, ჰამ *(ყვეფით მიახტება ბელოს)* კარგია? ყვეფის მეტი რა ისმოდა ამ სახლში, ჰამ! ძლივს დაისვენა ყურმა.

ბელო *(მუჯღუფუნით იგერიებს)* — მაგიტომ უნდა მოეკ-ლათ? ყვეფა ძალის საქმე. აბა, გაეჟიმა დედამისი და პა-ტარა რეზოები გაემრავლებინა?

ტახო — ნამეტანს იყეფებოდა, სკდებოდა ყვეფით.

მამა იობი — გეყოფათ! ისედაც ბევრი ბოროტებაა ქვე-ყანაზე, მკვდარ ძაღლებს მაინც გაანებეთ თავი.

ბელო — თუ ისედაც ბევრია, ცოტა ჩვენც რო მივუმა-ტოთ, არაფერი შეეტყობა.

მამა იობი — საინტერესო მიდგომაა, ვერაფერს იტყვი.

ტახო — ეგრევე ჩაიგდო ენა.

ბელო — ეგრევე. ვის სპირტს უბერავს გამნარებით?

ტახო — მამაჩვენს პანაშვიდი გადაუხადა, იმ ქვეყნად მიმავალს გზა დაულოცა, ერთი ჭიქა აღარ ეკუთვნის?

ბელო — შენი ბოთლი გამოგეტანა, რალა ჩემსას ეცი?

ტახო — ჩემი ბოთლი წინა საუკუნეში ჩავიყუდეთ.

ბელო — შევამონმებ, სიაფანდო!

ტახო — ამონმე და იყავი! გამოვალე ეგ დამპალი კარა-და და სადღაა ბოთლი, გამქრალა, ფააფუ! თითქოს სადღაც გაიპარაო, ეგ ბოზანდარა.

ბელო — ე.ი. გამოვალე და კარადა ცარიელი იყო?

ტახო — უცარიელიესი.

მამა იობი — „უცარიელიესი“ არ არსებობს.

ტახო — მამაო იობ, გრამატიკის გაკვეთილები იმ ძველბიჭებს ჩაუტარე, დასაფლავებაზე რო ელაქუცებოდი. რალა დროს ჩვენი გაკვეთილია!

მამა იობი — ვინ ძველბიჭებს?

ტახო — ბრუცასა და ზიგოტას. აქაოდა, შავები არიანო, ლამის მუხლზე დაჩოქილი ართმევედი ხელს, ხან ერთს და ხან მეორეს.

ბელო — მეც შევამჩნიე, დიდი ჩახუტება და ბაზარ-ვაგ-ზალი გქონდათ.

მამა იობი — თანამდებობას, ტიტულებს და მით უფრო — ძველბიჭობას ჩემთვის მნიშვნელობა არა აქვს. გამომე-ლაპარაკენ და გამოველაპარაკე, აღსარებაზე დავიბარე ორივე, რა არი ამაში ცუდი?

ბელო — ცუდი ის არი, რო ერთმა თავისი საყვარელი აჩეხა დანით, მეორემ საკუთარ დედას გადმონათხევიანა

ტვინი, შენ კი დამდგარხარ და მეგობრულად ეჭუქუჭუკები. შენს მაგივრად მე შემრცხვა, თქვენსკენ გამოსხედვაც აღარ მიწოდდა.

ტახო — აბა, ბიჭო! მოგეჭრა თავი.

მამა იობი — მე რა დამრჩენია, პოლიციამ და სასამარ-თლომ ორივე გაამართლა, მე რა შუაში ვარ!

ბელო — მართალია, მაგის დედაც!.. მთავარია ღვთიური სამართალი, გავკარი პოლიციასა და სასამართლოს. მე თუ მკითხავთ, სულაც არ არი საჭირო ეს დამპალი სასამართლო.

მამა იობი — ჰო, ხალხი ალბათ მართლაც ლაპარაკობს, მაგრამ მე რა შემიძლია? მე რა გავაკეთო? მოსამართლე მოსამართლეს არა ჰგავს და პოლიციელი პოლიციელს. კაცმა არ იცის, ვის ემსახურება იუსტიცია.

(ძმები გადაიხარხარებენ)

ტახო — ყოჩაღ, იობანე, სოლიდურად გამოგივიდა.

ბელო — ეს ბოზური „იუსტიცია“ საიდანლა მოიგონე?

მამა იობი *(ბრაზით)* — წყლის ნაყვია თქვენთან ლაპა-რაკი.

ბელო — იუსტიციაო. ამერიკულ ფილმებში უყვართ ასეთი სიტყვებით მარიაჟობა, თუმცა „უცარიელიეს“ მი-ლიონჯერ სჯობია.

ტახო — ისევე მე მზნევენ, პლასტიკატების მოყვარულო?

ბელო *(თაროს შეავლებს მზერას)* — ნუ ჰყოფ ცხვირს სხვის საქმეში!

ტახო — როდემდე უნდა გააგრძელო ამ დამპალი სათა-მამოებით სახლის დანაგვიანება? თანაც ქრისტეს რო მი-უნყოფ ხოლმე!

ბელო — სამუდამოდ. *(მიმოიხედავს)* ჩემი ფლომასტერი სად არი? სად შეიკვებე?

ტახო — რა ვი, მაგის დედაც!..

ბელო — შენ არ იყავი, გუშინ საღამოს, ქალებს წვერ-ულ-ვაშს რო ახატავდი? მთლად გადაჯღაბნე ახალი ჟურნალი.

ტახო — მერე? რო მეცი და ლამის მხარი ამომიგდე, შენ არ იყავი?

ბელო *(თავისი ოთახისკენ წავა)* — გეცი და ძალიანაც კარგად მოვიქეცი, შე ქეციანო.

ტახო *(თვალს გააყოლებს)* — შენი წუნკალი დედაც!..

მამა იობი *(დარდიანად)* — უფარგისი ვარ, მცირედმორ-წმუნე. ჩემს თვალწინ მკრეხელობს მართლმადიდებელი კა-ცი და ვერაფერს ვეუბნები, სიტყვები ვერ მომიფიქრებია, დამაჯერებელ არგუმენტს ვერა ვპოულობ. თუ მაინცდამა-ინც კოლექციის გაკეთება უნდა, მარკები მოაგროვოს, ხა-ტები მოაგროვოს, პეპლების კოლექცია გააკეთოს... ეჰ, არა ვარ ღირსი მამაო მერქვას, ღვთის მსახური მერქვას. არა-და, ბერობას ვაპირებ, მღვიმეც კი შევარჩიე.

(პირჯვარს იწერს, თავყვანს სცემს ჯვარცმას)

ტახო — ეხლა, ეგრე არ გინდა, მამა იობ, ეგეთები არ იყოს! მაგ საქმის არაფერი გამეგება, მაგრამ მეც ვიცი, რო ბერად ბერებმა უნდა გაკურთხონ. როგორც განაბებშია, რა! უნდა დასხდნენ „სხოდკაზე“ და ნამოგაყენონ განაბად. ბერობას ვაპირებ და მღვიმეც შევარჩიე, ეგრე სად არი!

მამა იობი — საჭირო რწმენას რო ვიგრძნობ, ღვთის ნე-ბით ყველაფერს ეშველება. *(პირჯვარს იწერს)* ტყუილად არ მქონია ხილვა, ტყუილად არ დამსიზმრებია ეს ადგილი, ღვთის ნებამ მომიყვანა ამ უბანში, მე კი *(ხელს ჩაიქნევს)* საკმარის რწმენას ვერ ვგრძნობ, აი, ვერ ვგრძნობ და რა ექნა!

ტახო — ბელოსთან ლაპარაკს აზრი არა აქვს, ამიტომაც ვერაფერს ეუბნები, მაგაზე ნერვიულობა შეიძლება? არ შეიგინოთო, არ იჩხუბოთო, სულ მაგას ჩაგვიჩინებ, მეტი რაღა უნდა ქნა, დედის გინებას ხო არ დაგვიწყებ? *(ენის მოჩლეკვით აგრძელებს)* დამშვიდდი, იობი, გენაცვალე, გული არ აგიჩქროლდეს, ნუ ნერვიულობ, დედა გენაცვალოს!

მამა იობი — უბანში ორი მკვლელობა მოხდა და აღსარებაზე სინანული არავის გამოუთქვამს, გადაკრული სიტყვაც კი არ დასცდენია არავის. სექსი და ფული, სექსი და ფული, ეგ არი სულ, სხვა არაფერი აღარდებთ.

ტახო — არც ეგ არი ცოცხა. ის მკვლელობები კი, მკვლელობები არ იყო, უბედური შემთხვევა იყო. ზიგოტას გოგო დათვრა და მთვრალი შეუვარდა მანქანას. დანით მიყენებული ქრილობები ჰქონდაო, რო გაიძახიან, ვინ დაადგინა? ხო გამოათრიეს მანქანის ქვეშიდან? ხომ გადაუარა მანქანამ? აბა, რა გინდათ? რის დანა, რა დანა! ბრუცას დედა კი კიბეზე დაგორდა. ყველამ იცის, სუსტი ფეხები ჰქონდა იმ ბეხრეკს, ჰოდა, დაგორდა და გაიჩქრევა თავი. მასე შეიძლება მეც დამაბრალონ მამის მკვლელობა. რატომაც არა? მივადე ლულა შუბლზე და გავისროლე, რა არი აქ შეუძლებელი?

მამა იობი — მონმე ხომ არი? ე.ი. უბედური შემთხვევა იყო.

ტახო — საქმეც მაგაშია. იმ მომენტში, ეს ბოზიშვილი ჩემი ძმა რომ არ ყოფილიყო გვერდით, ყველა მე დამაბრალებდა, საკუთარ მამას ტვინი გადმოანთხევინაო.

(შემოდის ბელო ფლომასტერით ხელში და ფიგურებზე იწყებს ძ-ს წერას).

მამა იობი — იცი, რას გეტყვი? შენ ადამიანებში სიკეთეს ხედავ და ეგ მომწონს შენში *(ტახო გაკვირვებით შესხედავს)*. აი, მე კი მომეთხოვება, მასე ვიყო და პირიქით, მზად ვარ, ცოდვილს პირველმა ვესროლო ქვა.

ბელო — კაი გამომთვრალები ხართ ღმერთმანი! სხვისი არაყი უფრო კარგად ათრობსო, რო ამბობენ მართალია? ჰა?

მამა იობი — ე.ი. რა გამოდის, ცოდვილებს ვემტერები? ცოდვილების დაუძინებელი მტერი ვარ?

ბელო — მაგას რა, ისევე შეერყა რწმენა?

ტახო — დაახლოებით.

ბელო — სულ ეჭვებში როგორ უნდა იყო, მამაო იობ?

მამა იობი — ნამდვილმა მორწმუნემ წყალზე ფეხით გაავსა უნდა შეძლოს. როგორ ფიქრობთ, მე შევძლებ?

(კარი ძლიერი დარტყმით იღება და ოთახში შემოდის ქეთი. ხელში ჩანთა აქვს, საიდანაც ორი ბოთლია ამოჩრლილი).

ქეთი — სალამი უფროს ძმებს! ვაჰ, მამა იობიც აქ ყოფილა! გაუმარჯოს მამა იობს.

მამა იობი — ღმერთმა დაგლოცოს, ქეთი.

ქეთი — როგორა ხართ, ჯიგრებო, როგორ ერთობით?

ტახო — პატარა ღრეობა გვაქვს მამის გარდაცვალებასთან დაკავშირებით.

ქეთი — უი, ბოდიში, სულ დამავიწყდა, აგარაკზე ვიყავი.

მამა იობი — ნათელში ამყოფოს ღმერთმა.

ბელო — არა უშავს, შენ ყველაფერი გეპატიება.

ქეთი — ჩავიჭერი. სერიოზული საქმეა, ძალიან სერიოზული *(ჯიბიდან ლატარიის ბილეთების შეკვრას ამოიღებს)*. კიშკას ძმას გადავეყარე გზაზე, ოცი ბილეთი მომცა. თუ გამოიყიდი, სამსახურს შემოგთავაზებო. ხომ იცით, როგორ ვუყვარვარ, ზეზეურად დნება ჩემზე.

ბელო — ეგ ანანისტი, ეგ!

ტახო — შენ ვის არ უყვარხარ, ჩემო ქეთი, ვინ არ დნება შენზე!

ქეთი — რატომაც არა, ვისზე ნაკლები ვარ! თქვენ მხოლოდ ის მითხარით, რამდენ ბილეთს შეიძენთ და პატივისცემა ჩემზე იყოს, მოგიკვდეთ ჩემი თავი.

ტახო — ლატარია გოიმებს მისალე, არაყს რას აფასებ?

ქეთი — გეფიცები, ჩემს თვალწინ გადაფხიკა რეზომ და ფოტოაპარატი მოიგო, ყოველ პარტიაზე ერთ ცალს ვყიდულობო. უკვე სამი უთო მოუგია.

ბელო — სამი უთო რაღა უბედურებაა!

ქეთი — გეფიცებით, ჩემს თვალწინ გადაფხიკა ფოტოაპარატი.

ბელო — ოთხ ლარად მომცემ ორ „პოლიტრას“?

ქეთი — კარგი, დღეს რახან ასეთ სიტუაციაში ხართ, დიდ ფასდაკლებას ვაცხადებ. თქვენ, მამაო იობ, თქვენ რამდენი ბოთლი მოგართვათ?

მამა იობი — მორჩი ამ ტონით ლაპარაკს! რახან არ იშლი მამაშენის გამოსხილი სანამლავის გაყიდვას, კახპის როლს მაინც ნულარ თამაშობ, მთლად ბავშვი ხარ ჯერ.

ქეთი (თმას აუჩეჩავს მამა იობს) — არც ისეთი ბავშვი ვარ, როგორც თქვენ გგონიათ.

(მამა იობი სინანულით გადაიქნევს თავს)

ბელო (ფულს აძლევს ქეთის) — აი, მაგ ორი ბოთლის ფული.

ტახო — ვალში მეც ამილე ერთი ბოთლი.

ბელო (ლატარიის ბილეთებში იქექება) — გადაშენდი შენი დამპალი ბოთლით.

ტახო — აი, ხომ გესმით, რა ნაბოზარი ძმა მყავს!

ქეთი (ფულს დაჰყურებს) — ეს რა არი, ბელო, ლარში მაგდებ? აქ სამი ლარია!

ბელო (ლარს ამატებს) — კარგ დროს მოხვედი, ყოჩალი გოგო ხარ.

ქეთი — როგორ მატყუებდი, შე ბოზო!

მამა იობი — მორჩი ბილწსიტყვაობას.

ქეთი (მამა იობს) — ტირილი არ იყოს, მამაო, გაბრაზებული ვარ.

ბელო — მომეცი ეგ ლარიანი, ორლარიანს მოგცემ და ჯანდაბას, ამ ერთ ბილეთს გადავფხეკავ.

ქეთი — ძალიან კარგი. სხვა მსურველები არიან?

მამა იობი — ლატარიალა გაკლდა.

(ბელო ზურგით შეტრიალდება, ფრთხილად ფხეკს ბილეთს, მერე უფრო ენერგიულად შეუდგება საქმეს)

ქეთი — რა ვქნა, მამაო, რით ვიარსებო? სამუშაოს ვერ ვშოულობ, მიცემა დავინყო?

მამა იობი — ფუი ეშმაკს.

ტახო — რა აცინებს ამ ბოზიშვილს?

ბელო (სიცილით) — დაერხათ ჩემს მტრებს, ჩემს მოძულეებს! აი, ჩემი მშვენიერი ბილეთი, ჩემი ლამაზი ბილეთი *(ტახოს აუფრიალებს ბილეთს)*! ხედავთ, ჩემს გადასარეგ, ხუთლარიან ბილეთს?

ტახო — ჰო, ვხედავთ, ვხედავთ.

ბელო — კარგად ხედავთ, არა?

ტახო — გაეთრიე იქით, თვალებში ნუ მეჩხირები!

ბელო (კიდევ უფრო ახლოს მიუტანს თვალებთან) — ციფრებს კარგად არჩეე?

ტახო — გაეთრიე-მეთქი!

ბელო — შეხედე! *(ბილეთს სახეზე არტყამს. ტახო წამოხტება და ჩხუბს იწყებენ)*

მამა იობი — გეყოფათ! მორჩით, თქვე ლანირაკებო!

(მოჩხუბრების გაშვებებს ცდილობს)

რამ გადაგრიათ, მორჩით ახლავე!

(დარტყმას იღებს ფეხზე, წამოიყვირებს)

მეც მირტყამთ, ვირებო?

ტახო — ბოდიში, მამაო, ამ ბოზიშვილს ვუმიზნებდი.

მამა იობი — პირდაპირ სახსარში მგლიჯე, მომტყდა ფეხი.

ქეთი (სიცილით) — თქვენც გაილახეთ, მამაო?

მამა იობი — გადარეულები ხართ ყველანი.

ბელო — ამ ნაბოზარმა დაიწყო.

მამა იობი — ჯერ არ გაცივებულა მამათქვენი და უკვე ერთმანეთს ხოცავთ.

ქეთი — აღსარებაზე როდის მოვიდე, მამაო იობ, ჩემს სექსუალურ ფანტაზიებზე როდის გელაპარაკოთ?

(მამა იობი მკაცრად შეხედავს)

რა ვთქვი, მამაო, ისეთი!

მამა იობი — აქ სად მოვხვდი, რა ჯურის ხალხია?! ბავშვები სპირტით ვაჭრობენ, ძმები ერთმანეთს ჭამენ, ორი მკვლე-ლი არხეინად დაეხეტება ქუჩაში. ვინა ხართ საერთოდ?

ქეთი — და ყველა უბედურებასთან ერთად ფეხმძიმე-დაც ვარ. *(პაუზა)* ვხუმრობ, ბიჭებო, ნუ გეშინიათ.

(მამა იობი ხელს ჩაიქნევს და კოჭლობით გადის სცენიდან).

ამ კაცს სულ არა აქვს იუმორის გრძნობა. გავაცილებ, თორე მთვრალია, შეიძლება მეორე ფეხიც იღრძოს.

(ქეთიც გადის)

აბა, თქვენ იცით, არ დაინდოთ ერთმანეთი.

ბელო — ეს გოგო რალაც საეჭვოდ ეტორღილება მამა იობს. ეზოს მეორე ბოლომდე რა გაცილება აუტყდა, არადა სხვა დროსაც გაუკეთებია ასეთი რამე.

ტახო — რო იცოდე, მამა იობი ჯერ კიდევ ახალგაზრ-დად ითვლება.

ბელო — ლანირაკია, რა!

ტახო — ჰო, და სხვებს ეძახის ლანირაკებს. თანაც მაგ-რად ჭედავს სიმთვრალეში. წელან, ცოტაც და ატირდებოდა.

ბელო — გადაირეოდა, მამაჩვენის ამბავი რო იცოდეს.

ტახო — იქნება მიბოზო კიდევ!

ბელო — წავალ, ჩემი არყით გავისველებ ყელს, შენ ცი-ვი წყალი დალიე.

(არყის ბოთლს აიღებს და თავის ოთახში შევა. ტახო გინე-ბით ჩაეშვება სავარძელში).

სურათი მეორე

სალამო. ოთახის ცენტრში დგას ახალი ლუმელი. ტახო ზის სავარძელში და ათვლიერებს ყურნალს. შემოდის ბელო ჩან-თით, უახლოვდება ლუმელს და სათუთად ეხება. ტახო უკმაყო-ფილოდ ბუზღუნებს.

ბელო — ვამონმებ, რა! *(პაუზა)*

ვდგევარ, ძმობილო, ჩემთვის, მშვიდად, წყნარად და ვა-მონმებ ჩემს საყვარელ ლუმელს.

ტახო — ვხედავ, ბრმა არა ვარ.

ბელო — შენს თვალწინ შემონმება ბევრად უფრო სასი-ამოვნოა.

ტახო — იქნება ერექციაც იგრძნო, იმპოტენტო.

ბელო — იმპოტენტებს ერექცია არ ემართებათ, კი უნ-და იცოდე მაგდენი.

ტახო — არ ვიცი, მაგ ამბავში გამოცდილება შენ უფრო გაქვს.

ბელო (არხეინად) — მოკლედ, ჩემს ლუმელთან მიახლო-ვებული არ გნახო!

ტახო — ვერც მნახავ.

ბელო — ჩემს ლუმელს სათოფეზე არ მიეკარო-მეთქი, გაფრთხილებ! 300 დოლარი ლუმელში მიმიცია, 250-გაზის შემოყვანაში, წვალეზა ცალკე.

ტახო — ჰო, დამპალო, ჰო, როგორც შენ იტყვი.

ბელო — შემოსულიყავი ნილში და იქნებოდი არხეინად.

ტახო — ამიხსენი, რაში გეჭირდება ეს დამპალი ლუმელი?

ბელო — მაგას გვიან მიხვდები, მუხლებამდე თოვლს რო დადებს, მაშინ.

ტახო — საჭმელს არავინ ამზადებს და გასათბობად ეს არ გამოდგება, რაში გადაყარე ამდენი ფული?

ბელო — საჭმელსაც მოვამზადებ და გათბობითაც კარ-გად გავთბები. *(ისევ ლუმელს ეფერება)* ჩემი ლამაზი ლუმე-ლი, ჩემი კოხტა სტატუეტები, კიდევ რა? რა და ბატონო — ჭერი, იატაკი, ავეჯი...

ტახო (გამოჯავრებით) — იატაკი, ავეჯი...

ბელო — მოკლედ, ამ სახლში ყველაფერი ჩემია. ასე რომ, ბიჭუნი, ხელი არაფერს ახლო! ჩემი ნებართვის გარე-შე არაფერს შეეხო, გასაგებია?

ტახო — ბენტერა ღორი კი არა, შენ „ნაბოზვარი ღორი“ უფრო შეგეფერება.

ბელო — „ბელო“, გენაცვალე, საძნე სახლს ნიშნავს, ანუ ქონებითა და დოვლათით *(ხელებგაშლილი დატრიალდება, ოთახს მოავლებს კმაყოფილ მზერას)* გატენილ სახლს. მამა იობს კითხე, ჩემი თუ არ გჯერა. აი, ტახო კი ნაღდი ღორია, პატარა, მჭლე, გაუბედურებული ღორი.

ტახო — შე მართლა ღორო, რო გაიძახი, არაფერს შეე-ხოო, ამიხსენი, იატაკს როგორ არ შეეეხო?

ბელო — მაგაზე წერილობით ნებართვას მოგცემ.

ტახო — ფრენა მაინც შემეძლოს!

ბელო — ეგეც ჩემი განსაკუთრებული ნებართვით! ერ-თხელ და სამუდამოდ შეიგნე, მთელი ეს სივრცე მე მეკუთ-ვნის. მემკვიდრეობით მე მივიღე, მხოლოდ მე!

ტახო — მიიღე ჩემი თანხმობით.

ბელო — მაგას უკვე აღარა აქვს მნიშვნელობა, ფაქტი ფაქტია. *(გაოცებული მოიჩრდილავს სახეს)* ეს რა მტკვერი ირევა ჰაერში? რა თავხედობაა!

ტახო — რაო?

ბელო (საზეიმო ხმით) — რა და, ბებიაშენისა! რა მტკვერი ირევა-მეთქი!

ტახო — მტკვერია, რა! ადის იატაკიდან და ირევა ჰაერში.

ბელო — ვინ მისცა ამ ნაბოზარ მტკვერს მაგის უფლება?

ტახო — გეყოფა თავის მოგიჟიანება. მაგ ჩანთით რა მოგიტანია, რით გამახარებ?

ბელო — შენი საყვარელი სტატუეტები მოგიტანე *(ჩან-თიდან იღებს ძაღლების ფიგურებს და ფრთხილად აწყობს თა-როზე)*, ვიცოდი, გაგიხარდებოდა.

ტახო — ისევ ეს დამპალი ფიგურები.

ბელო — ძაღლი ადამიანის ერთგული მეგობარია, წე-სით უნდა იცოდე ეს. ისე, სხვათა შორის, ჩიფსებიც ვიყიდე. *(ჩანთიდან ჩიფსებსაც იღებს)*

ტახო — ხახვიანი უნდა გეყიდა.

ბელო — მე ასეთი მიყვარს.

ტახო — წუნკი ხარ.

ბელო — წუნკი რა შუაშია, მე ასეთი მიყვარს.

ტახო — ათი თეთრით ნაკლები ღირს და ეს ნახვი იმიტომაც გიყვარს.

ბელო — შენ, საერთოდ, რა შუაში ხარ, ვის დაკარგვი-ხარ, შე მართლა წუნკო, ჩემთვის ვიყიდე და გემრიელადაც მივიროთმევე.

ტახო — ჰო, მიერთ-მევე დედიშენისას, ეგრეა (იატაკზე მდგარი ბოთლი-დან არაყს ჩამოისხამს)!

ბელო — მე მანყინოს, ბატონო, თანახმა ვარ. აი, შენ კი მიყურე შორი-დან. ეს რაღა ნაბოზრო-ბაა?

(მაგიდაზე მდგარ ჭიქას იღებს, ყნოსავს)

ეს საიდან?

ტახო — იქიდან!

ბელო — ჩემს არაყს ცეცხლავ?

ტახო — შენსას კი არა, ჩემსას.

ბელო — საიდან, მათხოვარო, არყის ფული?

ტახო — ფულის მეტი რა მაქვს.

ბელო — საიდან-მეთქი?

ტახო — დაკითხვაზე ვარ, პოლიციის ბოზო?

ბელო — მიპასუხე!

ტახო — წადი, შენი დედაც!..

(**ბელო იღებს ბოთლს და სითხის დონეს ამო-მებს. ტახო ყურნალს გადადებს, მაგიდას მიუჯდება**).

ბელო — ჩემი ბოთლიდან გინრუპია.

ტახო — შანსი არ არი.

ბელო — ასიანია.

ტახო — შენი დედაც!..

ბელო (ბოთლიდან მოსვამს) — განწყალბებულია აშკარად.

ტახო — განწყალდი მაგაზე უარესად.

ბელო — ფული საიდან? მე ამახიე?

ტახო — მქონდა, დენი და წყალიც გადავიხადე, ქვითა-რი კარადაშია.

(**ბელო კარადასთან მივა, ქვითარს მოძებნის, აკვირდება**)

ბელო (ყოყმანით) — ყალბია, ბეჭედი არ ეტყობა.

ტახო — ბრუცინანიც ყოფილხარ.

ბელო (ისევ ქვითარს უკვირებებს) — ვერ წარმომიდგენია!

ტახო — არ არი გასაკვირი, შენ ვერც წარმოიდგენ.

ბელო — რასთან დაკავშირებით უნდა გადაგეხადა?

ტახო — მატერიალურად დაგეხმარე, მათხოვარო.

ბელო — გადავამონმებ ამ ქვითარს.

ტახო — ამონმე რამდენიც გინდა. (**პაუზა**)

სასმელი კი უფულოდაც ნიაღვარებით მოედინება.

ბელო — ეგ როგორ გავიგოთ?

ტახო — თუ გარეგნობა გივარგა, ქალები არაფერს მოგაკლებენ.

ბელო — შენი გარეგნობით მკვდარ ვირთხასაც შეაშინებ.

ტახო — ქეთი სხვანაირად ფიქრობს.

ბელო — ქეთი?

ტახო — ჰო, ქეთი.

ბელო — მიჰქარავ!

ტახო (ბოთლზე უთითებს) — აი, ფაქტი. და გასკდი ეხლა შურით.

ბელო — სიაფანდი ხარ.

ტახო — თუ ასეა, არა-ყი საიდან?

(**პაუზა**)

ბელო — ე.ი. მართალს ამბობ?

ტახო — მომისმინე. მოვიდა და ვეუბნები, ნი-სიად მომეცი არაყი და მა-მაპაპურად ჩაგკოცნი-მე-თქი. ფული არ მინდაო, მიპასუხა, კარგად მასია-მოვნე და ფულს საერ-თოდ არ გამოგართმევო. როგორ ფიქრობ, უარს ვეტყვოდი? ჰოდა, ორივემ კარგად ვისიამოვნეთ.

ბელო — არ არი ქეთი მასეთი გოგო. თანაც არა-ყი ზევიდან...

ტახო — როგორც გა-მომიტყდა, ჩემისთანა გა-მოცდილი კაცები მოს-ნონს, ლანირაკებს ზედ არ უყურებს.

ბელო — არა მჯერა.

ტახო — თავში ქვა გიხლია.

(**ჩიფების პაკეტს ხსნის და ჭამას იწყებს**)

ბელო — რას აკეთებ, ვინ მოგცა უფლება?

ტახო — არავინ.

ბელო — მომეცი ახლავე 40 თეთრი, ულაპარაკოდ!

ტახო — ულაპარაკოდ, არა?

ბელო — დიას, ბატონო პედოფილო.

ტახო — ამ დამპალი ჩიფებისთვის?

ბელო — არ გადაიხდი და აგახევ სიფათს!

ტახო — 40 თეთრი რა ამბავია, ვაკეში იყიდე?

ბელო — ფული მივილოთ, შე ნაბიჭვარო, დროზე! (**ტახო ოცთეთრიანს ამოიღებს და ზიზლით მიაგდებს მაგიდაზე**) აქ ნახევარია!

ტახო — (**ზიზლიანი გამომეტყველებით შეცვლის ოცთეთ-რიანს ორმოცდაათთეთრიანით**) — ხურდა შენთვის დაიტო-ვე, წუნკალო.



მხატვარი ალექსანდრე სლოვინსკი

ბელო — რას მელაპარაკებთ! (*ხურდას დაუბრუნებს ძმას*) მათხოვრობას შენა ხარ ჩვეული!

(*ტახო ათთეთიანს ესვრის, კისერში მოარტყამს. ერთმანეთს მიეჭრებიან, ლანძღვა-გინებით გაგორდებიან იატაკზე. ამ დროს შემოდის ნასვამი მამა იობი*).

მამა იობი (*მცირე ხანს დაჰყურებს მოჩხუბარ ძმებს*) — ვირებო, ისევ ცემა-ტყეპაში ხართ?

ტახო — ეხლავე, მამაო, ეხლავე, ამას მივასიკვდილებ და მოგხედავ.

ბელო — იქით მივასიკვდილებ, პედოფილო.

მამა იობი (*ნაქცეულ სკამს გაანწორებს, ზედ დაჯდება*) — ნახევარი საათის წინ, კიშკას გვამი ამოათრიეს წყლიდან.

ბელო — ვისი გვამი?

მამა იობი — ვისი და კიშკასი. ამბობენ, თავი მოიკლავ.

ბელო (*ძმას*) — ხელი გამიშვი! არ გესმის, რა ხდება!

ტახო — ჯერ შენ გამიშვი!

მამა იობი — ვალები ჰქონია მაგ უბედურს. (*ძმები აუჩქარებლად წამოიზღაზნებიან, ტანსაცმელს იფერთხავენ*) ჩვენს პლაჟზე გასულა. თურმე ხედავდნენ, როგორ მიიწევა და სილრმისკენ. ესლა კი ასვენია ნაპირზე, მკვდარი, დამხრჩვალნი. სპირტით გამჭყიპა მამამისმა. ისევ იქა დგას თვითონ და მელოდება.

ბელო — რამე ხო არ გეშლება, მამაო? ბევრი გაქვს დალეული?

(*მამა იობი ბრახით შეავლებს თვალს*)

გუშინ სალამოს ვნახე, ველაპარაკე კიდევ.

ტახო — რახან გუშინ ნახე, დღეს უეჭველად ცოცხალი უნდა იყოს?

ბელო — საოცარია მანინც.

მამა იობი — ვილაც ბიჭს დაუნახავს ეგ ამბავი, თავიდან ბოლომდე. ჯერ, თურმე, იჯდა და პირდაპირ ბოთლიდან სვამდა, მერე, ეგრევე, ჩაცმული შესულა წყალში. მიდიოდა და მიდიოდაო, ასე თქვა იმ ბიჭმა, ალბათ წყლის ქვეშაც გადადგა ნაბიჯო. სწორედ მაგიტომ ნაფუკითხე ლოცვა, იქნებ ეგონა, წყალზე გაივლიდა?

ბელო — არ გინდა, მამა იობ, ეგეთები.

მამა იობი — რატო? გვქონია მე და კიშკას, მაგ თემაზე, ლაპარაკი. რწმენის ამბავია ეგ ყველაფერი.

ტახო — ბევრი ნუ გაახურეთ, რა! ერთი დამპალი პოლიციელი იყო, რა გაგიხდათ ეგ თქვენი კიშკა. ორჯერ ჰყავს მამაჩემი დაპატიმრებული.

მამა იობი — შეგირცხვა ცხვირი! მიცვალებულზე როგორ ლაპარაკობ?!

ტახო — არ მიყვარს პირფერობა და კუდის ქიცინი, ნაღდი კაცი ვარ.

ბელო — ეს რა მესმის! ვინ ამბობს ამას! მამაო იობ, მთელი პაკეტი ჩიფსები შემიჭამა ამ დამპალმა, ყოველგვარი ნებართვის გარეშე.

ტახო — ფული გადავუხადე.

ბელო — ნაღდი კაცი ვარო, გაიძახის, ეს ფუფლო.

ტახო — დიახაც, რო ნაღდი ვარ.

ბელო — თანაც მოსწავლე გოგოებს რყენის, ჩასალპობია ციხეში.

ტახო — რა მოსწავლე, ხო არ გააფრინე! სკოლის ასაკის გოგო რო გეთქვა, კიდე ჰო.

ბელო — ეგ სულ ერთია, კრიმინალის სუნი უდის მაგ ამბავს.

მამა იობი — ვისზე ლაპარაკობთ?

ტახო — ქეთიზე ამბობს. დღისით შემომიარა და ცოტა ვასიამოვნეთ ერთმანეთს, სალაპარაკოდ არც ღირს.

მამა იობი — ქეთი მთელი დღე ბინის დალაგებაში მეხმარებოდა, წამითაც არსად წასულა.

(*ტახო თავისი ოთახისკენ მიდის. ბელო გზას უჭრის*).

ბელო — სად მიიპარები, სიაფანდო, ქალის უნახავო, საით მიიციურცლები?

ტახო — გაეთრიე!

ბელო — გამეცი პასუხი.

ტახო — გაეთრიე-მეთქი!

ბელო — შემთხვევით, ხომ არ გაცისფრდი? ხომ არ აელვარდი ცისფრად?

ტახო (*ხელის კვრით იცილებს*) — გადაშენდი!

მამა იობი — ტახო, მოიცადე, რაღაც უნდა გითხრა.

ტახო — შენც ხმას იღებ, შე ჯიბგრო? რატო სწრი ცხვირს სხვის საქმეში? ტყუილში ვერასოდეს გამომიჭერთ, გესმით? ვერასოდეს! მე და ტყუილი?! მე... ესე იგი... ესე იგი!.. (*ოთახში შევარდება, კარს აჯახუნებს*) თქვენი დედაც!..

ბელო — ენა დაგება, არა? „ესე იგი, ესე იგი“, რა „ესე იგი“, შე ზნედაცემულო!

(*ტახო გამოვარდება, ღუმელს ნიხლს დაჰკრავს და კვლავ ოთახში გაუჩინარდება. ბელო ვერ ასწრებს მის დაჭერას*).

მართლა ცისფერია ეს უბედური! ყოველთვის ეჭვი მქონდა და აი, დადგინდა კიდევ!

(*ღუმელთან მივა, დაათვალიერებს*)

ამ ღუმელს რამე რომ მოსვლოდა, ვინ ამინაზღაურებდა ხარჯს? ეს პედერასტი? აი, მამაო იობ, ასეთ ნაბოზართან მაქვს საქმე. ისე, ხო სიმპათიური ღუმელია, არა? თქვი კაცურად. ხო გახდის კაცს ღუმელის უნახავს?

ტახო (*ოთახიდან*) — კარზე მიჯღაბნილ ძ-ს ხედავ, მამაო? „ბელოს“ ნიშნავს მაგ გამოქლიავებულის გაგებით.

ბელო — კაცების საუბარში ნუ ერევი, გოგონი, ტაკუნებს მიხედე.

ტახო — შე მართლა ტაკუნა.

მამა იობი — სულ ჩხუბობთ, სულ ავსიტყვაობთ; რა ვქნა, სად გადავსახლდე! (*ცხვირსახოცი მიაქვს სახესთან*) როგორ მლლით, იცი? მთელ ენერგიას მართმევთ.

ბელო — სურდო გაქვს, მამაო იობ? სურდოს, ხო იცი, რაც უხდება?

მამა იობი — მეტირება, სურდო რა შუაშია?

ბელო — გაგიტყდა, არა? (*ხმას უწევს ტახოს გასავონად*) ტახოს გაპედარასტება გაგიტყდა?

მამა იობი — წყენა მათირებს, წყენა! მოვდივარ, გეუბნებით, ახალგაზრდა კაცი ტრალიკულად დაილუპა-მეთქი, თანაც, როგორც ვიცი, ერთად იზრდებოდით, ერთ სკოლაში სწავლობდით, თქვენ კი ფეხებზე გკიდიათ, ჩხუბობთ ამ გახუხული კართოფილისა და ამ ღუმელის გამო. არ არი სატირელი? რა დამრჩენია ტირილის გარდა?

ბელო — ფეხებზე არა მკიდია. პირიქით, ძალიანაც განვიცდი.

მამა იობი — რაღაც ვერ გატყობ.

ბელო — ძალიან მწარედ განვიცდი, მამაო, ძალიან მწარედ.

ტახო (*ოთახიდან*) — დედიშენისამ!

მამა იობი — აი, ხომ გესმის? უჯიგროები ხართ.

ბელო — მაგ ცისფერზე პასუხს ვერ ვაგებ. (*ღუმელისკენ ტრიალდება*) ისე, ხო მართლაც მაგარი ღუმელი გაეჭითე,

მამაო? დღეს დავაყენე, ახალთახალია. ტახო ნილში არ შემოსულა და ამიტომ ვერც გამოიყენებს. ან როგორ შემოვიდოდა, ლატაკია ეგ უბედური... მაგრამ თუ არც ფული აქვს და არც იმ არასრულწლოვან კახპას მიუცია სასმელი, ვის არაყს უბერავს? ტახო!

მამა იობი (ყვირილით) — უგრძნობი ლანირაკი ხარ, უგულო ლანირაკი!

ბელო — შესაძლებელია. ვიღებ შენიშვნას... საწყალი კიშკა, საცოდავი.

(პაუზა. მამა იობი დგება, წასასვლელად ემზადება.)

მამა იობი — შენი წაყვანა მინდოდა, სხეულია გადასასვენებელი, მამამისი მელიოდება. მოგვეხმარები?

ბელო — რაზეა ლაპარაკი!

მამა იობი — იქნება მართლაც უბედური შემთხვევა იყო?

ბელო — ტახო, შენ არ წამოხვალ?

ტახო — რატო, მიცვალებული რო ვათრიო? ნავიდეს, მაგის დედაც!..

მამა იობი — ამისი გამოსწორება არ შეიძლება.

ბელო — რაში გეჭირდება, იქ ცისფერი არ გამოდგება, ჯანიანი ხალხია საჭირო. *(ბელო და მამა იობი გადიან. ტახო ღუმელთან მიდის და სისტემას ანთებს)*

ტახო — ეს არი ამ პედერასტის ღუმელი? ეს არი გადასარევი ნივთი? ვნახოთ, რა მოხდება, ჩამრთველი მაქსიმუმზე რო დავაყენოთ, ზედ ქვაბი რო დავდგათ *(დგამს ქვაბს)*... უბრალოდ, ინტერესისთვის. ქვაბში ეს დამპალი ფიგურები ჩავყაროთ *(ყრის ქვაბში ფიგურებს)*, ესეც ინტერესისთვის... და სასეირნოდ ნავიდეთ. რო მოვალ, წვნიანიც მზად დამხვდება. *(გადის)* ვნახოთ, ვინ ისიამოვნებს ამ გადასარევი კერძით.

სურათი მისამე

ბელო და მამა იობი ბრუნდებიან. ბელოს არყის ბოთლი გამოაქვს და მხოლოდ თავისთვის ისხამს.

ბელო — მძიმე სურათი იყო.

(ყურნალს დასწვდება, უინტერესოდ გადაფურცლავს)

მამა იობი — ნულარ იტყვი!

ბელო — მაგათმა რეზომ რა ილრიალა და იქვითინა! ალბათ ამის მერე მაინც ეცოდინება, ძაღლებს ყურები რომ არ უნდა დააგლიჯოს.

მამა იობი — შენც იქვითინებდი, ერთადერთი ძმა რომ დაგეკარგა.

ბელო — ოღონდაც მაგას მოვესწრო, ვიყიდი უზარმაზარ ტორტს და დავპატიყებ მთელ უზანს.

მამა იობი — რა გელაპარაკო! *(ცრემლს მოიწმენდს)*

ბელო — ნუ იწირბლები, რა! ეგ რა ჩვევა გაქვს, დალევ ორ ჭიქას და მერე გაუთავებლად იწირბლები.

(მოხერხებულად მოეწყობა, არაყს გადაჰკრავს)

მამა იობი — რო წარმოვიდგენ, გული ტკივილით მეკუმშება. საწყალი კიშკა! მარტოდმარტო ზის და ფიქრობს, ღირს თუ არა სიცოცხლე, ეჰ! ბევრი სიმწარეა ცხოვრებაში, მაგრამ ტკბილი წუთებიც ხო არი? სიკეთეც ხო არი? მოგზაურობაა, ფეხბურთია, კალათბურთია...

ბელო — ტელევიზორია ბოლობოლო.

მამა იობი — მაგან კი სიკვდილი არჩია. ერთი სიტყვაც ვერ ვთქვი პანაშვიდზე, მერე კი, როცა ცოტა მოვედი გონს,

ვიფიქრე, — ეჰ, ჩემო კიშკა, ჯან-ღონით სავსე კაცო, კაცურ კაცო, ძმაცაცების მოყვარულო, შენ აღარა ხარ ამ ქვეყნად და უამრავი სულწაწყმედილი არხეინად დაეხეტება, ისინი ხომ შენს ფეხის ფრჩხილადაც არ ღირან?! — აი, ასე ვიფიქრე ზუსტად, თქმით კი ვერაფერი ვთქვი, ვიდექი ჩუმად და ცრემლები ლაპალუპით ჩამომდიოდა.

ბელო — ვაჰ, ნახე, რა წერია, მამაო იობ! ნორვეგიაში ვილაც გოგო დაბადებულა უტუჩებოდ.

მამა იობი — რას ამბობ?

ბელო — რას და გოგო დაბადებულა ტუჩების გარეშე, წარმოვიდგენია? უტუჩებო გოგო! *(პირს ამოძრავებს, უტუჩებო ადამიანის განსახიერებას ცდილობს)*

მამა იობი — მსგავსი არაფერი გამიგია.

ბელო — სასწაულია, რა!

მამა იობი — სად იყვნენ, იმ დროს, მაგ უბედურის ძმაცაცები? რომ ეთქვათ, რას მიჰქარავ, რა თვითმკვლელობა აგიტყდაო. ხომ აღარ მოიკლავდა თავს? ან მე სად ვეგდე? არყით ვიჭყიპებოდი ალბათ. მაგისი სული კი, ეხლა ჯოჯოხეთში იწვის და იტანჯება. ჰო, საცოდაო ძმაო, ძმაო და შვილო, ჩემო კიშკა, შენ პირდაპირ ჯოჯოხეთში მოხვდებოდი, ყველა თვითმკვლელი ხომ პირდაპირ ჯოჯოხეთში ხვდება.

ბელო — გაფიცებ, ნაღდად? ყველა თვითმკვლელი?

მამა იობი — რა, არ იცოდი?

ბელო — არა, ბოზანდარა ვიყო!

მამა იობი — ყველაზე დიდი ცოდვაა. სხვა რო მოკლა, თუ გულით მოინანიებ, შეიძლება მოგეტევოს, თვითმკვლელობა კი მიუტევებელია.

ბელო — ვაი, მაგის პატრონს! ე.ი. გაიჩალიჩა ჯოჯოხეთი.

მამა იობი — ცოტა მეც დამისხი, გაშრა ყელი.

ბელო — ვერ მოგართვეს, მამაო იობ.

მამა იობი — ნახევარ ბოთლზე მეტია დარჩენილი.

ბელო — სავსეც რომ იყოს, არ დაგალევენებ, შენთვის არ შეიძლება.

მამა იობი — უწილადე მოყვასსო, სახარებაშია.

ბელო — დღეს არავითარ შემთხვევაშიო, ეგეც სახარებაშია.

მამა იობი — დღეს რაღაა ვითომ?

ბელო — კაცმა თავი მოიკლა და შენ ეს თვითმკვლელობა ვერ შეაჩერე, წვეთიც არ გეკუთვნის. თანაც ტირილი გიყვარს დალევის შემდეგ.

მამა იობი — ნუ განმსჯი ასე მკაცრად, ამ სიტყვებს არ ვიმსახურებ.

ბელო (თავისთვის) — მუქთაზე იწვევს ბიჭი.

მამა იობი — დამწვრის სუნი არ გცემს?

ბელო — თუ ჩემი ბინის სუნი არ მოგწონს, მიბრძანდი შენს ოთახში. ძალით არავინ გაჩერებს.

მამა იობი — დამწვრის სუნს მართლა ვერ გრძნობ?

ბელო — მაგარი მთვრალი ხარ, მოლანდებები დაგეწყო.

მამა იობი — შენი ძმა არაყზე უარს არ მეტყოდა.

ბელო — შენც მიხსენე რა, უხსენებელი!

მამა იობი — რა გინდა, იქაც მოვიდა, ცხედრის გადასვენებაშიც მიიღო მონაწილეობა, მწარე ენა აქვს, თორე, არ არი ცუდი ბიჭი.

ბელო — კიშკას მშობლებს როგორ ეკაიფა, მიაქციე ყურადღება?

მამა იობი — ჰო, მაგაში მართალი ხარ, ქელები არ უნდა ეხსენებინა. ჩააცვიდა, ქელებს რამდენ კაცზე აკეთებთო.

ბელო — ბოლომდე კიდევ არ იცი, რა გათახსირებულია!
მამა იობი — საცოდავი მშობლები ლამის თავს იკლავდნენ დარდით, ეგ კი, დაეყუდა არხეინად და ხაშლამაზე ალაპარაკდა.

ბელო — წაეკაიფა კიშკას მშობლებს, რა ძნელი გამოსაცნობია!

(იციინის უცებ, თაროს შეავლებს თვალს და სიცილი შეეყინება სახეზე)

სად გაქრა ჩემი ფიგურების კოლექცია?

(თაროს მიეჭრება, მერე ღუმელს შეახებს ხელს)

ვაჰ! ჩართულია!

მამა იობი — გამორთვა დაგავიწყდა?

ბელო — ვას, ეგ ბოზიშვილი! *(ფრთხილად გამორთავს გავარვარებულ ღუმელს, ქვაბს გადმოიღებს და გადამდნარი ფიგურების ამოღებებს იწყებს)* მოვკლავ მაგ გველს, არ ვაცოცხლებ! *(თოფს ჩამოსხნის)* ჩემი ხელით გამოვუყვან ნორვას! დავადუღებ, მაგ მართლა ღორს!

მამა იობი — თავი შეიკავე როგორმე, ნერვებს ნუ აყვები!

ბელო — მივახვრიტავ ასიანი!

მამა იობი — მომეცი თოფი, გთხოვ, მაგის გაფიქრებაც დიდი ცოდვაა.

ბელო — როგორც მამაჩემს უქნა, ზუსტად ისე გავუხვრეტავ შუბლს.

მამა იობი — ნუ სცოდავ, უბედური შემთხვევა იყო.

ბელო — შემთხვევების მარტო შენისთანა დოცლაპიებს სჯერათ! ბავშვობიდან ვერ იტანდა, რალაცა დამპალი სათამაშოსთვის შეიძულა, ბოლმა ჰქონდა გულში. იმ დღეს კი ვარცხნილობაზე წაკამათდნენ. აქაოდა შენიშვნა მომეცო, ამ თესლმა დასტაცა თოფს ხელი, აი, ასე მიაღო ლულა შუბლზე და გაისროლა. ნახევარი თავი წააცალა საკუთარ მამას. ეს არი უბედური შემთხვევა?

(შემოდის ტახო)

ტახო — სათამაშო დამიტვრია, ხმაურიანია ძალიანო. არადა, ისე ბზინავდა, ვერც წარმოიდგენთ.

(ბელო თოფს მიუშვერს, მამა იობი გაოგნებულია, ტახო მაგიდასთან ჯდება)

მამა იობი — წარმოუდგენელია, წარმოუდგენელი!

ტახო (ბელოს) — ხედავ, რა დღეშია? რა დღეში ჩააგდე?

ბელო — მოკეტე! რახან ამდენი მიჰქარე, მოკეტე მაინც!

მამა იობი — მითხარით, რო უბედური შემთხვევა იყო, მითხარით.

ბელო — ეხლა ეგ აღარ არი მთავარი, მთავარი ჩემი „სტატუეტები“.

ტახო — გესმის, რა ადარდებს?

ბელო — ადამიანის მეგობრების გადადნობაც ღვთისგომბაა.

მამა იობი — მამას როგორ ესროლე!

ბელო — რა ნამუსით აანთე ჩემი ღუმელი?

მამა იობი — ტახო, თქვი, რო უბედური შემთხვევა იყო.

ტახო — ჰო, თითქმის... აფექტის მდგომარეობაში ვიყავი, თავს ვერ მოვერიე. *(მამა იობი ამოიკვნესებს)* არ მიყვარს კრიტიკა, ვერ ვიტან შენიშვნებს, გულს მიწყალებდა.

ბელო — გესმის, მამაო?

ტახო — თმა როგორ დაგიყენებიაო, მაიმუნს გევხარო.

კი, ცოდვაა, მაგრამ რა მექნა, სულში ჩამაფურთხა.

ბელო — ჩემი კოლექციის გადადნობაც სულში ჩაფურთხებაა.

ტახო — ჯერ არ მესროლო, ჯერ სათქმელი დამამთავრებინე. *(მამა იობს)* მტირალა, მისმენ? ეს ვაჟბატონი იჯდა სკამზე, სისხლით დათხვრილი და მევაჭრებოდა, თუ ამ ამბის გაბაზრება არ გინდა, შენს წილზე თქვი უარიო.

ბელო — მოკეტე, ნაბოზვარო!

ტახო — ასე გამომტყუა მთელი ქონება, ერთი თეთრიც არ დამიტოვა საარსებოდ.

მამა იობი — არა მჯერა, თქვენი აღარაფერი მჯერა. ალბათ მე დამცინით, ჩემს გასაპამპულეზლად მოიგონეთ ყველაფერი.

ტახო — რას ამბობ, იობანე, ეს სახლი, ეზო, ფული ამ დამპალი ღუმელისთვის, ამის დედას რო გავკარი, მუქთად შეიტყაპუნა.

მამა იობი — კარგი, გეყოფა, მაინც აღარ გისმენ.

ტახო — შანტაჟით გამომტყუა მემკვიდრეობის წილი.

ბელო — სიცოცხლეს მაგ სიტყვებით ემშვიდობები?

(თოფს შემართავს)

ტახო — ჩიფსების ჭამით სკდება.

მამა იობი — ბელო, არ ესროლო, გთხოვ! თავს ნუ მომაკვლევიანებ!

ბელო — გამოემშვიდობე სიცოცხლეს.

ტახო (დამცინავად) — ვერ ეღირსები!

(ბელო სასხლეტს გამოკრავს, ტყვია არ გავარდება. ხელმეორედ შეაყენებს სასხლეტს, მაგრამ კვლავ უშედეგოდ)

შენ რა, მთლად გამოტვინდი?!

(ჯიბიდან ორ ტყვიას იღებს)

თოფში დაგიტოვებდი? ხედავ, მამაო, მართლა მკლავდა! რალაცა ბინძური, ზოოფილური სათამაშოებისათვის მკლავდა, ფაქტიურად მომკლა კიდევც.

ბელო (ისტერიულად) — მომეცი ტყვიები, ჩქარა!

ტახო — რას ბრძანებთ!

ბელო — ტყვიები-მეთქი, დროზე!

ტახო — წადი, შენი დედაც!..

ბელო — იგინები კიდევც, შე ნაბიჭვარო!

(ძმას მიეჭრება, ტყვიების წართმევას ცდილობს, მერე მუშტი-კრივზე გადადის. დაუნდობლად ჩხუბობენ. სასონარკვეთილი მამა იობი გავარვარებულ ქვაბთან მივა და მასში ჩაჰყოფს ხელს. მცირე ხნის შემდეგ სიმწრისგან აყვირდება, მაგრამ ხელს მაინც არ იღებს. ძმები ჩხუბს წყვეტენ)

ტახო — მამაო, რას აკეთებ, მაზობისტი ხარ?

ბელო — მთლად გააფრინე, იობანე?

(მამა იობი ქვაბს მოისვრის. ტკივილის, ნანახისა და გაგონილისგან გაოგნებული გავარდება გასასვლელისკენ)

ტახო — სად მირბის ეს გადარეული?

ბელო — აბა, შენთან რა უნდა აკეთოს? ამოუხვედი ყველას ყელში!

ტახო — ძალიანაც კარგი! დადექი ეხლა მარტო და ხეხე შენი იატაკი.

ბელო — მარტო მე ვხეხო?

ტახო — არა, დედიშენისამ, მე დაგილაგებ სახლს! იობანემ აქაურობა ყირაზე დაგიყენა და მე ვალაგო?! აჰა, ეს შენი ტყვიებიც, სათითაოდ გაირჩევი უკან!

(ტყვიებს დაუყრის და ოთახში შვეა)

ბელო (თავისთვის) — გადამირჩი დღეს, თესლო. გაგიღიმა ბედმა!

დასასრული შემდეგ ნომერში

მანანა ავალიშვილი

ზამთარი – თეთრი პატარძალი

შორიდან თვალი მოჰკრა იმ ფერებს, ახალგაზრდობისას ძალიან რომ მოსწონდა. ბიჭი იმ უბანში ძალზე პოპულარული გახლდათ. დადიოდა გულგრილი, უყურადღებო მზერით. წყალობასავით არიგებდა სალაშს და მხოლოდ თავისდა შესაფერად მიჩნეულ გოგონებს უღიმოდა ტკბილად, საამოდ. გუქას მალევე გადაავიწყდა თვალმოკრული ფერები, რომლებიც იმ ბიჭს ამშვენებდა. გადაავიწყდა, როგორც გაფრენილი დილა, როგორც ტალღების ჩავლა.

მთელი ბავშვობა მშობლების პატიოსანი შრომის შემეყურემ გაატარა. გამუდმებულმა წესრიგმა სილაღე მოაკლო და გულდანყვევით შეჰყურებდა ამხანაგებს, ყველაფერი რომ ეადვილებოდათ. წესრიგმა ძლიერ არგო. მერე მიხვდა, რომ მშობლებმა სამუდამო სახსოვარი დაუტოვეს — სიმშვიდე და სიმყარე. წრეგადასულ მხიარულებას, მუდმივ თავშექცევას, პეპელას სიმსუბუქეს გამოსცილდა და წიგნს მიაპყრო გულისყური. სამედიცინო ინსტიტუტში მესამე წელს ჩაირიცხა. დადიოდა გაფართოებული თვალებით, მიღწევის ჩუმი სიხარულით სავსე. დამოუკიდებლობამ ძალა შემატა. ღირსების გრძნობას უვლიდა, უფრთხილდებოდა. აფეთქებულ გაზაფხულს მოგვიანებით შეამჩნევდა, შემოდგომის სინანულს უბრად ჩაუვლიდა ხოლმე. მიღწევის, აღიარების ნუთებში მოსწავლეობის წლები ერთმანეთის მიყოლებით შემოლაგებოდნენ შინ და თვალებში ჩააშტერდებოდნენ.

ახსენდებოდა პრესტიჟული სკოლა — თამამი, შინაურული, თავმოწონე, ღიმილად ქცეული დედებით სავსე. „აი იას“ მშვენიერებას, ეროვნულ ძღვენს ნაკლებად აღიქვამდნენ, სამაგიეროდ მშობლებთან ერთად განსაზღვრული ჰქონდათ, სად ჩასასტავებელიყვნენ, სად დარეგისტრირებულყვნენ, როგორ გატელევიზორებულყვნენ, რანაირად რეალიზებულიყვნენ.

მაშინ, მონაფეობის წლებში, ერთხელ პირისპირ შეეხალა კმაყოფილებით თვალებაპრიალებულ ბიჭს და სულ ახლოდან დაინახა მისი საუცხოო ფერები.

ახალი უცხოური ფილმის გამო თავპირისმტვრევა გამართულიყო რუსთაველის კინოთეატრში. გუქა სალაროსთან სულ ახლოს იდგა და გული აჩქარებით უცემდა. უცებ რკინის მოაჯირის ის ჭრელთვალეზა ყმანვილი გადმოანვა, შემოსცინა და სთხოვა, სამი ბილეთი აეღო. გუქა შეკრთა. ერთ წამს აღმურმა გადაჰკრა და გრიალში ძლივს გააგონა, რომ ოთხ ბილეთს იღებდა და მეტს არ მისცემდნენ. ბიჭმა მაშინვე შეაგება: იმ სამისთვის უარი ეთქვა, გუქას კი მასთან და მის ამხანაგ გოგოებთან ჯდომა ერგებოდა წილად. გუქას თითქოს სახეში ხელი შემოკრეს, ისე აიღწა, ენა დაება, ჯიბეში ხელი შემთხვევით ჩაიყო. ხურდა ფული მუჭაში მოიქცია. იდგა გაოგნებული. უცებ ხურდა ფულით სავსე ხელი ჯიბიდან ამოიღო და სახეში შეაყარა მოაჯირზე გადმონოლი, სახემცინარ ბიჭს. ჭრელთვალეზა ყმანვილს სიმწარემ სახე დაუჩხვლიტა, უშვერად იგინებოდა, წინ ინევდა. ვილაცხები აკავებდნენ. გუქა არ გატოკებულა, დაძაბული შეჰყურებდა.

ახლა ამ უსიამოვნო გახსენებით თავი მოიწონა. ის იყო რალაც მელოდია ნაილილინა, რომ კაბინეტში მაღალი ხმელი ქალი შემოვიდა შვიდიოდე წლის ბიჭთან ერთად. უპირატესობის გრძნობა ჩაბეჭდილიყო ქალის სახეზე. ძვირფასი შავი პალტო ეცვა. კისერი ჩაეფლო საყელოზე მოვლებულ შავსავე ბენეში. მუქი მწვანე ფერის ქუდი შუბლს უფარავდა, იმფერისვე ხელთათმანის ხელი კარის სახელურზე ჩამოედო. ცვიად ილიმებოდა. გუქას რალაც ენიშნა. მკაცრად დაფარული უთანასწორობა ჩადგა მათ შორის.



— ეს ჩემი შვილიშვილია, რინიტი ანუხებს...
— ვნახავთ, ვუნამლებთ და თუ ყველაფერს შეასრულებს, ადვილად მორჩება.

ბიჭი ყურადღებით უსმენდა. თითქოს რალაცის არ სჯეროდა. გუქამ ფანჯარასთან დასვა, პირის ღრუში ჩახედა, პრიალა იარაღი ენაზე დაადო. ყელი მოყვითალო სითხით გამოავლენინა და შემკრთალ ბიჭს დაუყვავა. უთხრა, რომ მალე მორჩება, ყელის ტკივილი სულ გადაავიწყდება. მერე მაგიდას მიუჯდა, ერთხელ კიდევ შეათვალღიერა ბიჭი და დანიშნულების წერას შეუდგა. ქალმა შემადლებული ხმით თქვა: „თქვენ, პატარაეზოიან სახლში არ ცხოვრობდით? გუქას წერა არ შეუნყვევტი, თავი დაუქნია. — საერთო ტუალეტი გქონდათ არა? ყველაფერი შეიძლება, მაგრამ აი, საერთო ტუალეტი... — ცერად გახედა წერით გართულს. გუქამ ბოლო სიტყვას მკვეთრი წერტილი დაუსვა და თითქოს რალაც მოაგონდაო, ისე შეათვალღიერა ქალი. ერთ წამს თვალი გაუჭერდა. მოსულმა არ შეიმჩნია და უფრო ხმატკბილად განაგრძო. — გაჭირვებამ შეგაძლებინათ ამ მდგომარეობისთვის მიგელწიათ არა? — გუქას მოეჩვენა, ქალის სახე და დაგრეხილი ღიმილი გადიდა, გაფართოვდა. თავი გაიქნია და მტკიცედ თქვა: — გაჭირვებამ არა, მოწოდებამ. — კარგია, კარგი, როცა გაგიმართლებს, — წამოდგა და კარისკენ ისე გაემართა, სახიდან ღიმილი არ მოსცილებია. ბიჭი თავჩალუნული მიჰყვა. გუქამ სიტყვა დაადევნა: — კლინიკა კერძოა და, თანაც, ძვირადღირებული.

ახლა ბუნების რომელი შედევრი შემოვა, გაიფიქრა და კარი შემოაღო წარმოსადგემა კაცმა. ისეთი ღიმილი ჰქონდა, რომ ყველაფერი ააჟრიამულა. გოგონა შემოჰყვა. ექიმისათვის არც შეუხედავს ისე დაჯდა და ფართოფოთლება ხეს გახედა. ბაბუამ დაინყო, რომ ბავშვს ნალვლის ბუშტი ხშირად ახსენებდა თავს. გოგონას ისეთი სახე ჰქონდა, თითქოს უკადრისობდა, რალაც რომ ანუხებდა. გუქამ გულისხმიერად უთხრა, რომ ყველაფერი ჩავილიდა, თუ თვითონ მოინდომებდა. მერე გახამებულზენრიან ტახტზე წამოაწვინა, მუცელზე ხელს აჭერდა და ხმადაბლა ეკითხებოდა, სტკიოდა თუ არა. გოგონა უსიტყვოდ ანიშნებდა. გუქას მოეჩვენა, რომ ბავშვთან ურთიერთობის სიშორემ მცენარეც შეაკრთო. მერე კაცს მზერა გაუმართა და ის იყო, უნდა აეხსნა, რა და როგორ მოქცეულიყო, რომ ხალხის ზრიალში გაეხვია. კაცს თვალი აღარ მოაშორა და შეამჩნია, მის სახეზე შეყრილი ხურდა ფულის

კვალი. ქალი შენრიალდა, აფორიაქდა. კაცს სახეზე ჩრდილმა გადაუარა და შეყოვნდა. ნასვლა დააჩქარა, ხმაურით წამოღება. შვილიშვილი დინჯად, ამაყად გაჰყვა. კართან შედგა და ქალს გამომცდელად შეხედა. — იცით, სადღაც მინახიხართ. — შეიძლება, რაღაც ბუნდოვანია, ის სადღაცაა. კაცს სახე გაეყინა და გამომწვევად მიუგო: — ჩემთვის არაფერია ბუნდოვანი. — ბედნიერი კაცი ყოფილხართ, ერთუცნობიანი, — შეჭლიმა გუქამ და ამრეზილ გოგონას შეხედა.

კაცმა სამედიცინო აპარატურას, კაბინეტის მოწყობილობას თვალი შეავლო და ხმა ააუღერა: — ფანტასტიკური კლინიკაა, — ქალმა ყურადღებით შეხედა, მოეჩვენა, კაცს წლები გადაეცალა. — იცით, დღეს წვეულება მაქვს, ცნობილი სახეები მოვლენ, გთხოვთ, თქვენც მობრძანდეთ, ვიზიტკას დაგიტოვებთ. გუქას ძველმა წყენამ შეახსენა თავი და მშვიდად თქვა: — ცნობილების წვეულების მოკლე შინაარსს აქვე მოგახსენებთ და, თუ იმისთვის მძახით, ვთქვა: „მოემზადეთ, ვიღებ, მაშინ არ გამოვდგებით“...

კაცი აიტკიცა. არ მოუხედავს, სწრაფად გაეცალა იქაურობას. გოგონას წყენისგან სახე ჩამოუბნელდა. გადმოგებდავენ თავიანთი ბრიყვეული სიმალლიდან და მორჩა, საქმე გასწორდება, — ფართოფოთლები მცენარეს გაესაუბრა გუქა.

შინ გაშლილი ნაბიჯით მიდიოდა. გამვლელების სახეები ერთმანეთში ირეოდა. ვიღაცამ განცვიფრებით შემოხედა, უცნობის მზერამ სახეზე გადაუარა და გადაიკარგა. ბინაში შესვლისას ნარდის თამაშით ერთმანეთს ნაკიდებული ქმარ-შვილი დაინახა. ქვების ჭახაჭუხი ისმოდა. — ოჰო, ინდივიდი მოვიდა, — ნარდისთვის თვალი არ მოუცილებია, ისე თქვა შვილმა — უნდა გეთქვა, ძლიერი ინდივიდი, — შეუსწორა მამამ.

ქმარ-შვილს უკვე ესადილა. სუფრის ალაგებას შეუდგა. ჭურჭელი დარეცხა. ტელეფონის ზარმა ოთახი შეანრიალა.

— გუქა, — გამოსძახა ქმარმა, — შენთან იქნებიან, რომელიმე ბავშვს ჩაღისფერი ან მღვრიე შარდი ექნება, შეიძლება, მოხარშულ სტაფილოს იგნორირებას უკეთებს. გუქამ ყურმილი აიღო. მამაკაცის დაბალი, სუფთა ხმა ჩაესმა.

— სალამო მშვიდობისა, გამახსენდა, სად გნახეთ. — გუქა დაიძაბა, ცივი ჰაერი სტვენით შეიჭრა სხეულში. — კინოთეატრ „რუსთაველში“, ბილეთების რიგში, დიდი ხნის წინათ... ბევრი ხალხი ირეოდა, მაინც დამამახსოვრდით, ოღონდ რა ფილმი გადიოდა, ვერა და ვერ გავიხსენე. — „ნისლების სანაპირო“... — მოკვეთა სიტყვა გუქამ და ყურ-

მილი ისე სწრაფად დადო, თითქოს ხელი ეწვოდა. — რაო, — თავი მოაბრუნა ქმარმა, — რისი სანაპირო? — ნისლების, რა, არ გაგიგია? — მკვახედ მიუგდო სიტყვა ცოლმა. — აბა, ეხლა ოო... — გაგულსდა კაცი. — სახელწოდება მომენონა, მაგრამ შენ რატომ შეიცვალე? ბიჭმა განგამის მოახლოება იგრძნო და ხალისიანად წამოიძახა. — კარგი სათაური რამდენიც გინდა ვიცი, მაგალითად: „მშვიდობით იარაღ“, მა-

მას წყენამ გადაუარა და თავისდა უნებურად აჰყვა: „წყნარი ამერიკელი“, „თეთრი მდუმარება“, — შეაგება ვაჟმა. „ამოდის, ნათდება“, — გამოაცხადა გუქამ. — ხომ გითხარი, ძლიერია-მეთქი, — წყენით თქვა ქმარმა.

დილით თოვლმა გადათეთრებული ქალაქი დაახვედრა. თოვდა გულუხვად, ხალისიანად. ფანტელებს სადღაც გადაემალათ ადამიანთა შური, სიავე, სულმოკლეობა. ზამთარი — თეთრ კაბაში გამონწყობილი პატარძალი, გამვლელებს ფიფქებს ურიგებდა. „დადვის თოვლი ვითარცა მატყელი“, — გაახსენდა გუქას. დერეფნის ბოლოს ორი ქალი შეთქმულივით საუბრობდა. იმ კუთხემდე დილის სითეთრე ვერ აღწევდა. ტკივილისაგან დაკანონულმა ხმამ შეაჩერა და სმენა გაამახვილა. კაბინეტის კართან შეყოვნდა. ვითომ ჩანთაში საჭირო ნივთს ეძებდა, კარგად გაჩხრიკა.

— ძალიან მიყვარდა, მე შეეჩვიე, ასე საშინლად მომქცევოდა, წყენას სათვალავი აღარ ჰქონდა. იცი რა, ამასწინათ სიყმანვილე და გაზაფხული ერთად დამესიზმრა. — ორივე ერთია და... — ჩაიშრიალა მეორე ქალის ხმამ. — გამოსავალი ყოველთვის არსებობს.

— რა, სიზმარია გამოსავალი? — თუნდაც, მინიშნებაა, განდობა, შეგრძნებაა, წინასწართქმაა, — იცი, ასე არავისთან ილაპარაკო,

ხომ იცი, ადამიანების უმრავლესობა ერთმნიშვნელოვნად ყოფითია. ზოგი ეკალზე ამოსული ეკალია და, მაშინ ნახე ცინიზმის კასკადი.

ყველაფერი გაჩუმდა. რაღაც ძალზე გასაგები, ძალზე მისახვედრი შეიცნო ორივემ. გუქამ მძიმედ გადაატრიალა გასაღები. თეთრ ოთახს ისე შეავლო თვალი, თითქოს უცხო, უკაცრიელ ადგილას მოხვდა. აკანკალებული ხელით დაუსხა წყალი ფართოფოთლებიან მცენარეს. რაღაც ძალზე ნაცნობი, თან შორეული, მუდამ ცოცხალი და გულის კუნჭულში მიმალული მოეჩვენა ამ ქალების განდობილი საუბარი. უცებ გაახსენდა ვერისუბანი — მყუდრო, ოჯახური, ნათესაური. ჯანაშიასა და მლეთის ქუჩის გადაკვეთაზე შუახნის კაცი ხშირად იდგა ხოლმე — ტანმორჩილი, თმაშეთხელებული. ლამბაქისოდენა ხელებს შლიდა და მღელვარე ხმით რაღა-



მხატვარი ავთანდილ პოპიაშვილი

ცას უმტკიცებდა თავის უბნელს. შავი ველ-ვეტის ქურთუკი ეცვა, მოკლებენვიანი საყელოთი დამშვენებული, დიდი, ბრახუნა ბათინკებით დადიოდა. გაკვირვებული, მოლოდინით სავსე თვალებით იცქირებოდა. ძველი მოკრივე გახლდათ, უბანში ყველა თბილად ესალმებოდა, დაიმედებულნი, რომ ცუდს არავის გაუკეთებდა. ერთხელ სტომატოლოგიური კლინიკის მოსაცდელში იჯდა და, თითქოს საგონებელში ჩავარდნილი, ექიმის დაძახების მომლოდინე პაციენტებს მალულად ათვალიერებდა. კაბინეტიდან ახალგაზრდა ქალი გამოვიდა. ქათქათა ხალათი ეცვა და ხშირი შავი თმა კეფასთან მჭიდროდ შეეკრა. გაფრენილი თვალ-ნარბი მერცხლის ბოლოს მიუგავდა. მომლოდინე ადამიანები შეათვალიერა და მალალი ხმით თქვა: — ბატონო კახა, მობრძანდი. — ძველი მოკრივე შეიშმუნა, ფრთხილად წამოდგა, ხალხის შეთვლიერება ვერ გაბედა. მოშორებით მჯდარმა ფაფუკლოყებიანმა ქალმა წამოიძახა: — კი მარა, ჩვენ, ჩვენი რიგია...

— ქალბატონო, — გაჭიანურებით წართქვა ექიმმა, — განა არ შეიძლება, ვეტერანი, დამსახურებული კაცი მივიღო?

ქალმა მხარზე გადადებული ძვირფასი ბენვი შეისწორა და ათვალწუნებით შეხედა ძველ მოკრივეს.

ამის გასვენებაზე გუქას დანანებით გაელიმა და გაიფიქრა. ახლა შუბლზე თანამდებობისა და მქონებლის ბეჭედი თუ არ გაზის, ვინც გინდა იყავი, მით უფრო — ადამიანი.

ფანჯარას მიუახლოვდა. ქუჩაში რკინის მდინარე მიედინებოდა. ფეხით მოსიარულეებს უგრძნობი, უგულისხმო სახეები ჰქონდათ. ყვითელ ავტობუსში მონიტორზე თეთრი დათვები ყინულზე კოტრიანლებდნენ, ერთმანეთს თათებს უბათქუნებდნენ. მათ თამაშს მგზავრები ვერ ამჩნევდნენ. ყველა თავის მძიმე ფიქრში გახვეულიყო. გუქა სანერ მაგიდას მიუჯდა; თავი ხელებში ჩარგო; სიჩუმეს ველარ გაუძლო, მაგიდის უჯრა გამოსწია და რადიოს დასწვდა. რომელიღაც ტალღაზე გააჩერა. უცებ ძლიერმა ხმამ გადაფარა სივრცე: „ეს სამეფო ვისი არის, ან ჰმორჩილობს ვისსა ხმასა?“

იჯდა ერთიანად შეკუმშული, შეშფოთებით ავესო თვალები. ელოდა კარის ჭრილში გამოჩენილ სახეს, ელოდა გამომეტყველების მსგავს სიტყვას — ხორკლიანს, დამცინავს, შემპარავს. იჯდა გაშუმებული, დუმილად ქცეული. კარი გაიღო თუ არა, შეკრთა, შიშმა გათანგა. შეიდიოდნენ წლის გოგონამ შემოვი თავი და დაინკრიალა. — ექიმო, თითები მისივდება, დედას არა სცალია და მე მოვედი!

— მობრძანდი, — ხელები გაშალა გუქამ.

სახასიათო თავისუფლება

ქუთაისის ლიტერატურულ ცხოვრებას აქვს თვითმყოფადობის უაღრესად მინიერი ნიშანი, რომელსაც მეორენაირად თავისუფლებას ვუნოდებდი.

თავისუფლება არის აქაური ლიტერატურის ჰაერი, მინა და წყალი უკვდავებისა.

ტრადიციისა და ნიჭიერების ისეთ თავისებურ ნაზავს, როგორიც აქ, ქარებისა და ვარდების ქალაქში იგრძნობა, სხვაგან ვერ ნახავთ.

ტრადიციულობა სიღრმისა და მდგრადობის გაგებით. მეტი არაფერი. ან მეტი რალა საჭიროა, თუ თავისუფლება ხასიათში გაქვს.

სწორედ „სახასიათო“ თავისუფლების ნიმუშია თემურ ამყოლადის ნიგნი „ზღვარი“, წერილების, ნარკვევებისა და ესეების კრებული, რომელიც ქუთაისის გამომცემლობამ „მონამეთა“ გამოსცა 2008 წელს.

ნიგნი ჭარბად არის პროზაული და პოეტური მოტივები, თუმცა მთავარი მაინც კვლევა და ანალიზია. ასეა დანერული პირველივე ეტიუდი – მიტროპოლიტ ნაზარის უკანასკნელი დღეების ქრონიკა. თავდადებული მღვდელმთავრის დახვედრის ამბავი ავტორს გამონვლილვით აქვს შესწავლილი. ქუთაისის სახელმწიფო ისტორიულ არქივშიც ბევრი უმუშავია. ამიტომაც მგონია, რომ ეს უნდა იყოს ამ ტრადიკული ამბის ყველაზე ზუსტი ვერსია.

ოსტატურად არის მოთხრობილი თავგადასავალი გურიის ყოფილი მთავრის, ბედს დამდურებული დარდიმანდისა და შფოთისთავის, დავით გურიელისა, რომლის მთავარი დევიზი ყოფილა: „არა, სმამი პირველია!“

ძალიან ჰგავს დავითი კირილე მიმინაშვილს. ერთხელ ქორწილში ჩხუბი აუტეტხა ვინმე ბესარიონ დგებუაძეს და ისე დახანჯლეს ერთმანეთი, რომ საკაცეებით წაიღეს აქეთ-იქით.

თუმცა ეს დეტალია. მოტივი კი ის არის, რაც პორტრეტის ყოველ აზ-ზაცში იგრძნობა – სიყვარული და თანაგრძნობა გზაბნეული გმირის მიმართ.

თემურ ამყოლადე ღვანლს არ უვიწყებს მირიან ჭყონიას, მეცხრამეტე საუკუნის უჩინარ, მაგრამ ნიჭიერ მოღვაწეს, ფრიდრიხ შილერის დრამის „ვილჰელმ ტელის“ მთარგმნელს, რომელიც ქუთაისში, გაბაშვილების გორაზე, წმინდა გიორგის ეკლესიის ეზოში, მამია გურიელის საფლავთან ახლოს არის დაკრძალული.

საინტერესოდ იკითხება სილუეტები და პორტრეტები მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარსა და მეოცე საუკუნის დასაწყისის ინტელიგენციის ისტორიიდან. ხოლო რაც შეეხება „უიშვილების ამბავს“, რომელიც ეხება ქუთაისში მცხოვრებ გოგია უიშვილის შვილიშვილის შვილიშვილს – ვაჟას, ეს არის ნოველა, ეგნატე ნინოშვილის პროზის სამყაროსთან რომ მიგვაახლოვებს.

ავტორის კრიტიკული წვდომის უნარს გვიჩვენებს წერილები, რომლებშიც გაანალიზებულია ნიკოლოზ ბარათაშვილის, ალექსანდრე ყაზბეგის, ზაალ ებანოიძის, გრიგოლ ჯუღლუხიძის, გონერ ჭეიშვილის, ავთანდილ ნიკოლეიშვილის, დავით თედორაძის, თემურაზ ლანჩავას, გენო კალანდიას, თორნიკე ერისთავის, შოთა ზოიძისა და სხვათა შემოქმედების საკითხები.

შეიძლება ითქვას, რომ ეს არის ნიგნი – ხასიათი, ავტორის შემოქმედებითი და პროფნული პორტრეტი, რომლის მთავარი შტრიხებია სიბო, სიკეთე, კორექტულობა, თანმიმდევრულობა, სევდა, ფარული ტკივილი. და თავმდაბლობა, რომელიც ვისიმე წინაშე ქედმოხრა კი არ არის, არამედ ლიტერატურული ცხოვრების სირთულეების მცოდნე კაცის ზნე და ეტიკეტი.



მალხაზ ივანიძე



ლია სარკმელი

ლია სარკმელი...
 ყოფნა-არყოფნის
 დარაბებს მიღმა
 გზა-გასაყარი...
 ჩამოღვენილი
 წმინდა სანთელი,
 აღმოდებული
 სულის საყდარი...
 ღია სარკმელი,
 გზა უსასრულო,
 ყოფნა-არყოფნის
 გზა გამრიყავი.
 ნუთუ ასეთი
 გაუმხელელი
 და უნაპირო
 დარდი იყავი?!.
 ღია სარკმელი
 დაუსაბამო
 და მარტოსული
 სულის სარქველი,
 ყოფნა-არყოფნის
 დარაბებს მიღმა
 საბედისწერო გადასასვლელი...
 დარაბებს მიღმა
 დუმს გაზაფხული
 და დაზაფრული
 ღია სარკმელი
 შეუცნობელი ფიქრის
 გზა-მკვლევი,
 საბედისწერო და საკვირველი...
 ანგელოსივით ფრთებგამოსხმული
 მიეახლები ზეცის სამანებს,
 ღია სარკმელი გაგათამამებს...
 ყოფნა-არყოფნის
 დარაბებს მიღმა
 სიკვდილ-სიცოცხლის
 გზა-გასაყარი,
 დუმს ჩაღვენილი
 წმინდა სანთელი,
 აღმოდებული სულის საყდარი.

ნუთუ ეს ის არის, კაფანდარა და საყვარელი ვუნდერკინდი, რომელიც ადრე გაზაფხულზე გამ-
 ლილი ენძელასავით გვიღამაზებდა ცხოვრებას მაშინ, როცა ერთფეროვნება იყო ჩვენი თითქმის
 ერთადერთი სატკივარი.

რამდენი დრო გასულა. რამდენი ტკივილი მოსულა. რამდენი დარდი და ნაღველი დაგროვებია
 პოეტის ფაქიზ სულს. თუმცა რაღა გასაკვირია. ეს არის ცხოვრება. ეს არის პოეზია. ეს არის
 მოქალაქეობა ქვეყნისა, რომელსაც თვალწინ გიკლავენ.

არის მიზეზი, ეკა ბაქრაძე ისევ გვიყვარდეს, ისევ ველოდეთ, ისევ ვუსმენდეთ, როგორც მაშინ –
 სინრფელისათვის, ისე ახლა – ტკივილისათვის.

პოეზიაში თუკი არსებობს კოლექტიური ემოცია, ამის გამოხატვა ეკა ბაქრაძის მუზასაც ძალუძს. მას
 შეუძლია გრძნობათა განზოგადება, საერთო ტკივილის გამოხატვა და მისი აყვანა ხელოვნების სიმა-
 ლეუმდე, სადაც თანაარსებობს ორი სანყისი — შთაგონება და მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობა.

ერთი სიტყვით, თქვენს წინაშეა ნაცნობი პოეტი უცნობი პოეტურ-ბიოგრაფიული პროფილით.

ეკა ბაქრაძე

* * *

არსებობს შიში:
 პანიკური, უსაგნო შიში,
 ზოგს სიკვდილისა ეშინია,
 ზოგსაც – სიცოცხლის,
 ზოგს – სიბნელეში მარტოდ დარჩენის,
 ზოგს – უშვილობის, უსახსრობის, უამინდობის.
 ზოგსაც – საერთოდ შვილის გაჩენის...
 ზოგს – ობობების, მწერების და ქვეწარმავლების,
 ტერორისტების, ბანდიტების, ქურდ-ბაცაცების,
 ზოგსაც – ქეჩოში ხელის ნავლების
 ან სახიფათო რამ გატაცების.

არსებობს შიში:
 ანმეოს შიში, მომავლის შიში,
 შენი სისხლ-ხორცის, ახლობლების,
 გენის და ჯიშის დამცირების,
 დაცემის და გადაგვარების,
 სულის წარწყმედის, აჭედელი გულის კარების,
 შიში სიბერის, განკითხვის დღის და აღსარების.
 შიში სრულიად უსაფუძვლო, უსადაურო,
 უშინაარსო, უსიტყვო და უსათაურო...

ეჰ, რას გაიგებ
 ვის რა უჭირს,
 ულხინს და უღირს
 მტყუანს და მართალს,
 სანდოს და უღირსს
 შიში თანაბრად მოსდებია,
 მთელი სამყარო შეშლილია!
 მე კი ამქვეყნად აგრერიგად
 საკუთარ თავის რომ მეშინია,
 ისე არავინ არ მაშინებს,
 ისე არავის არ ვეძალები,
 მხოლოდ საკუთარი თავის მეშინია,
 მხოლოდ საკუთარ თავს ვეკრძალები!..
 შიში სრულიად უსაფუძვლოდ, უსადაუროდ,
 უაღმსარებლოდ, უსიტყვოდ და უსათაუროდ...

არამაგალონი

ბაგრატის ტაძარს დაატყდა მეხი,
 კვლავ სიმწრის ცრემლი ჩამომედვარა
 გულზე უხეშად დაგადგეს ფეხი,

დავით, შეძრწუნდა მთელი ქვეყანა!
 საფლავის ლოდიც ველარ გაუძლებს
 უსამართლობის ამდენ სიმძიმეს...
 მწყემსი კეთილი სატანის პირმშოს
 ავედრებს უფალს და თავს იმცირებს
 ერი და ბერი ღვთით კურთხეული,
 ქვეყანა სვე-ბედ ნამუსახდელი
 უკეთუ, ვინძლო არ განიწიროს –
 უნდა გადარჩეს!.. მაგრამ როდემდის?!
 თუკი სატანა ძალმოსილია,
 თუ ყველაფერი გამოთვლილია,
 ნუთუ საქართველო „ვინ ვის“ განაკუთვნებს?!
 გუშინ ხელმეორედ მოგვიკლეს ილია!..

თეთრი ქარი

– თეთრი ქარი რომ დაუბერავს,
 ქარვისფერ მურაბებს გაგიხსნიო,
 ცოტაც წამოიზრდები და
 სამყაროს კანონებს აგიხსნიო,
 რომ შემპირდი, მას შემდეგ
 რა ხანია, გზაჯვარედინზე ვდგავარ და
 ისევ თეთრ ქარებს ველოდები.
 ვაი, რა უსაშველოდ ყოვნდებიან
 ზამთრისპირული მელოდები...
 მურაბებს ობი მოსდებიანთ,
 ზამთარი გადაუტარებიათ.
 სულში კი, კვლავ თეთრი ქარებია...
 სულში ქარები ჩამისახლდნენ,
 ქარები სულში ჩამისაფრდნენ
 თაროზე მურაბები ჩამიშაქრდნენ...
 .შ. თეთრი ქარი რომ დაუბერავს,
 სამყაროს კანონებს აგიხსნიო...
 ჰმ...

* * *

როგორც ყოველთვის ცას მოეფინა
 ნათლით მოსილი მთვარის აურა,
 ნახევარმთვარე იდუმალებით
 წინათაც ბევრჯერ მეუცნაურა...
 უსასრულობის მწუხრში დანთქმული
 ის ნახევარი რატომ არა ჩანს?
 სავსე მთვარიდან, ერთი მთელიდან
 მარტოდენ ნამგლისხელა გადარჩა.
 ასე საკუთარ თავს რომ მოაკლდე
 ერთი მთელიდან ნამგლის ტარამდე,
 აისბერგით უნდა მოვაკლდე
 ან მთვარესავით დაპატარავდე.
 ცდომილი სულის ღრმა ნაპრალებში
 უგზო-უკვლოდ რომ გაუჩინარდე,
 საკუთარ არსში უნდა მინავლდე,
 ბნელი ნათლისგან უნდა გაჰყარო,
 ივსება მთვარე ცდომილ სულებით
 და მაჯასავით ფეთქავს სამყარო...

* * *

ისევ უმზეოდ მოდის აპრილი,
 ან რალასა იქმ, ქართველო კაცო?
 იმ გულგრილობით გადაჩხაპნილი
 ის იმედებიც თუ ჯვარზე აცვეს...
 ვინ ქართველობას სუფრასთან იქებს,
 ვინ სამწყსოს ყიდის მთიან-ზვრებიან!
 მომრავლებია ურცხვი და მლიქნე
 მამულს ნარ-ეკლად მოძალებია.
 ვაი, სად წყდება ქვეყნის სვე-ბედი,
 ჰოი, ნუგეშო უნუგეშობის.
 შენ შეუძლებელს, ალბათ, შეძლებდი,
 შენ – დიდოსტატო ცრემლის შემშრობის.
 ყველა იმედი ერთად განზილდა,
 იმ ერთის გარდა, იმ ერთის გამო
 ნახანძრალს ღვივის რწმენის ნამწვი და
 ღირს განძარცვული იმედით გვემა.
 დაგიმკვიდრდება, ვიცი, აპრილი
 მარაბდის ზეცით ან და მარადის,
 აამზიანებ რწმენას-მარადისს,
 მაგრამ მანამდის?!
 მაგრამ მანამდის?!
 მირჩიე რამე, მართალო კაცო!

* * *

ეჰა, ქართველნო,
 ესე არს გმირი!
 ღვთით ბოძებული
 და დანაპირი...
 ნულარა სტირი,
 ესე არს გმირი!
 ამდენი ხანი რომ მოელოდი,
 ჩუმის ნატვრითა რომ ნატრულობდი,
 სულს იურვებდი და სულდგმულობდი,
 მოაქჟამომდე რწმენით მხნეობდი,
 მზეგრძელობდი და უსასრულობდი...
 ესე არს გმირი!
 ესე არს გმირი!
 საქართველოსთვის თავგანანირი
 შენი სისხლის და სულის ნაწილი,
 ილიას სულთქმა, ვაჟას არწივი.
 ესე არს გმირი –
 ღვთით დანაპირი,
 სალი კლდესავით ქედგამართული,
 ხანადაფჩენილ ურჩხულთა რისხვად,
 ძღვეის მახვილად ამონვართული...
 ჯიში ქართული, გენი ქართული,
 შენი სისხლის და სულის ნაწილი.
 ცამდე მართალი, საქართველოს
 უცნობი გმირი,
 თავგანანირი!
 ეჰა, ქართველო,
 ნულარა სტირი –
 ესე არს გმირი!
 ესე არს გმირი!!!

პარსკვლავთცენა

შემომეჩვია გაუცინარ დღეთა საღმობა,
იმედებს ვკემსავ ყუნნმაგარი ბრტყელი მახათით.
ყოველგვარ ტკივილს შესატყვისი უნდა წამლობა,
მე კი ტკივილთა საუფლოში დიდხანს დავხანდი.
ვინ იცის იქნებ მილიონი სინათლის წელი
ციტგან დაღვრილი ნათლის სვეტი ჩემად მოსული
იყო მარტოდენ ანარეკლი, რალაც ღვთიური
იდუმალებით საუკუნოდ გარემოცული.
ის ვარსკვლავი კი, რას გაიგებ, ვაი თუ ჩაქრა,
ვაითუ მოსწყდა ცის კიდეს და მწუხრში შთაინთქა.
იქნებ აუხდა სანადელი პატარა გოგოს,
ვარსკვლავთცვენის დროს იდუმალ რომ
გულში ჩაითქვა.
აუჰ, დაღვრილა მილიონი სინათლის წელი
ნათლის ჩქერალი ალბათ ისევ ისე გზაშია,
ნატვრისფერ ტკივილს ვარსკვლავთცვენა
ისევე შვენის,
ახლა ის გოგო გულუბრყვილო დიდი ბავშვია...
ნატვრაც ჟამივით გამოხტება, ალბათ ახდება
ვარსკვლავეთის და იდუმალი სულის მისნობა...
და სამყაროსაც ნუგეშით ჩაუსახლდება
დალღილ თვალეში გამომკრთალი
მარადისობა...

ბიჭი ჩიკორა

(შვილს – გიორგის)

ჩემი ცხოვრებაც ისე გაზღაპრდა,
როგორც იყო და არა იყო რა.
მეცა მყავს სახლში პატარა ბიჭი,
მაგისმა დარდმა გადამიყოლა.
დრო გავიდა და თან გავიყოლა
იმ ჯადოსნური ზღაპრების ხონჩა,
უკან მომბლავის ხარი ნიკორა,
წინ ჰორიზონტზე დიდი მზე მოჩანს.
გათავდა, მორჩა! ბედის გორგალმა
იგორა, ვიდრე არ გატყდა ნავსი,
ახლა სახლში მყავს ბიჭი ჩიკორა
აცხადებული ოცნების მსგავსი.
დუმილის კათხა დაცარიელდა
უიმედობის დასალიერთან,
ნათლის ჩქერალით აივსო თასი,
მეცა მყავს სახლში პატარა ბიჭი
აცხადებული ოცნების მსგავსი...
ვერცხლისწყალივით დაუდევარი
და ღობემძვრალა ბიჭი ჩიკორა,
ჩემი ცხოვრების აზრიც ეგ არის,
მაგისმა დარდმა გადამიყოლა.
ამ უნაზესი დარდის გარეშე
არ ექნებოდა სიცოცხლეს ფასი,
მეცა მყავს სახლში პატარა ბიჭი
აცხადებული ოცნების მსგავსი!



ზაალ ებანოიძე

მუნჯი ბედნიერება

რა ხმები, რა ხმები გამოისმის,
მთვარე რომ წარმოსახვას კარს უღებს;
შიგნიდან მარჯვენს რომ გამოინვდი,
გარედან თავის დაკვრით პასუხობ.
და მოჩვენარობა ალამაზებს
საგნებს და დახატვას გაძალებს;
და ცვრიან მინდვრების დანახვაზე
შემთვრალი კაცივით ბანცალებ.
თავლადი ხასიათის გამო არის
ცაში რომ უსხეულოდ ადინარ,
თუ ცეცხლზე შემდგარი სამოვარის
ორთქლიდან ამოზრდილი ლანდი ხარ.
„სიცოცხლე ჰაერით თრობაშია“ —
ამბობ და ხეტიალით ერთობი;
შენივე ფანტაზიამ მოგაშია
და თვალში ჩაიყენე ფერდობი.
თვალთვალი, თვალთვალი შეგიძლია
და ფიქრი შეგიძლია — ასევე;
ბერდები, მხარი არ შეგიცვლია —
ჯიუტად ანგრეე და აშენებ.
და გული, ბებერი — თუა მთელი,
სურათიც ერთია მარადის:
ფოთლების, ფოთლების ჟრუანტელი
ფეხდაფეხ დუმილში გადადის.
დუმილი გრიგალის სამოსია —
საცაა შემოიხევეს მგონია:
თანდათან ქარქაშიდან ამოსწია
ხმალი და — ტაშს უკრავ გოლიათს.
ალავერდს გადადის ქარებთან
(მთავრდება იმათი გარინდებაც);
და გულს რო ხურჯინივით დაბერტყავს—
მტვერიდან სიტყვები ყალიბდება.
ვილაცა ჩურჩულებს — „ღვთისათანა“
და ინყებს ლოცვას და ფერებსა
და ფიქრი უფალთან მისატანი,
იმოსავს მუნჯ ბედნიერებას.

ლორდ ბაირონი

„ღონ ჟუანის“ მიქლვანა

ბობ საუთი! პოეტი ბრძანდები და ლაურეატიცა ბრძანდები, სინიდიხი მთელი რასისა, თუმც ამ ბოლო დროს ტორი გაგვიხდი, ამისთანები კი გეხერხება; ახლა რას იქმ ჩემო ეპიკურო რენეგატო? მარტო ჰყუდიხარ თუ სხვა ტბელებს ჩაჰკვირხარ? მელოდიით გადავსებულ ბუდედს მაგონებთ, „ქადაში ჩაკირული ოცდაოთხი შაშვი ქადის გაჭრისთანავე ამღერდება“ (ეს ძველი სიმღერა და ახალი სიმღერი ზედგამოჭრილია ერთმანეთისთვის), „სათავითაო კერძი ხელმწიფეს“, რეგენტი ბრძანდებოდეს, თუ გინდა, ასეთ საკვებზე სული რომ უკანკანებს;

და კოლრიჯი სადღა დაიარება, ამ ბოლო ხანს რომ დაგვიფრთიანდა, მაგრამ ჩამოგვიმძიმდა კიდეც, შავარდენს რომ კაპოტი ქვემოთ ექაჩება, – ერს მეტაფიზიკის ამხსნელად დასდგომია – მაგრამ ნეტა მაგისი ახსნანი ხელახლა ასახსნელი არ გაგვიხდეს.

ეი, ბობ! თავზედი რომა ბრძანდები, თვითონვე უწყი; ნაგებდა ნატვრა, ყველა აქაური მგალობელი ჩიტი დაგეტანა და ერთადერთ შავ შაშვად გედურთა თავი კერძში; თვითონვე გამოსავათდი, თუ რაც თავს უყავ, და ძირს დაეხერხე აფრენილი თევზით და სულს ლაფავ გემბანზე, რაკილა მალლა შეიფრთხილა, ბობ, და დასკვი, წვეთიც რომ არ გიდულს, სუთლად გამოხევებულო ბობ!

ეს უორდსუორტიც რომ ხანგრძლივ ექსკურსიას მისტანებია (მგონი, კაი ხუთას გვერდზე გაუჭრელებია ნიგნი), ახალი სისტემის უთავბოლო ვერსიას გვაჩეჩებს, ბრძენკაცთა ჩამძირავს საგონებელში; ეს პოეზია გახლავსთ – თვითონ კი ასე გვიმტკიცებს და ვინცობა ასეცაა, რადგან ძალსაც გააცოფებს – და ვინც ამ პოეზიისას გაიგებს, ჰეი ჰე და ბაბილონის გოდოლს ერთ სართულსაც დაადგამს.

ეი, ჯენტლმენო! დიდხნობით განუცალკევდით უკეთეს საზოგადოებას და თქვენებური საზოგადოება შეგვიქმენით კესუიკში, და ჭკუა-გონებას ჯერაც ერთურთს რომ უზავებთ, ბოლოს და ბოლოს ულოგიკურეს დასკვნასაც გამოჰკარით ხელი, რომ პოეზია მხოლოდ თქვენთვინ იმეტებს გვირგვინებს; ინროება ასეგვარ ჰაზრთა მანატრებინებს, ეგ თქვენი ტბები ოკეანედ გადაგენელათ.

მე ვერც წვრიმალ აზრებს ავყვები და ვერც ჩემს თავმოყვარეობას დავახურდავებ ასეთ მდაბიურ ცოდვაზე; ხერხიანობამ დავიხვავათ მთელი დიდება, რადგანაც მართოდენ ოქრო ვერ მოპირავდა თქვენს საქციელს.

შენ ჯამაგირს გამოჰკარ ხელი, განა ამისთვის არ იკლავდი თავს?

უორდსუორტიც აქციზში მოკალათდა. გაცვეთილი ჯეელები კი ბრძანდებით, მაგრამ პოეტებიც ბრძანდებით აკი და მორჭმითაც დასკუბებულხართ უკვდავების ბორცვზედ.

კადნიერ შუბლებს დაფნა გიფარავთ – ალბათ სათნო სინითლის ნატამალსაც; და იყოს ასე, არა მშურს თქვენი არც ნაყოფი, არც რტოები და არც დიდება, შიგ რომ ეფლობით, ასპარეზი ყველასია და ყველამაც თავი გამოსცადოს, და თავთავისი ბრწყინვალეობაც შეიშნოს.

სკოტი, როჯერსი, კემპბელი, მური და კრახი ეცდებიან ტოლი არ დაგიღონ შთამომავლობის წინაშე.

მე კი, ფეხოსან მუზებთან ერთად რომ დავხეტილობ, ფრთოსან რამებზე ამხედრებულთ რას შეგეჯიბრებით, გისურვებთ, იღბალმა, თუკი ინებებს, მოგმადლოთ დიდება, რასაც ეშურებით, და ნიჭი, რაცა გჭირდებათ. და გაგახსენოთ, რომ პოეტი არაფერს კარგავს, თუ მოძმეთ შესაფერ საჩუქარს უძღვნის; და დღეის დღეზე წუნწნი ხოტბისაკენ მიმავალ ბილიკს ვერ გაგინაღდავთ.

ვინც დაფნებს შთამომავლობისათვის თვალის მოსაჭრელად აგროვებს (შთამომავლობა კი ხშირად ამ ბრწყინვალე ანდერძს სულაც არ ითხოვს), ამ გროვებ-გროვებით დიდ მოსავალს ვერ მოიმკის, თავს თუ ავენებს ასეთი ახირებით. და მაინც, აქა-იქ დიადი იშვიათობანი ამოიზრდებიან ტიტანებივით ზღვის სიღრმიდან; მაძიებელთა უმეტესნი კი წარვლიან, და თუ საით, უფლის გარდა სხვა ვინ გაიგებს.

თუ ავადსახსენებელ ჟამს ბოროტი ენით დაგესლილმა მილტონმა შურისსაძიებლად დროს მოუხმო; და თუ შურისმგებელი დრო დალაზვრას მილტონის ავისმზრახველთ და სიტყვა „მილტონურს“ „დიადთან“ შეათანაბრებს, ეს იმიტომ, რომ მილტონს არც საკუთარი სული-სათვის უღალატნია თავისი სიმღერებში და არც ნიჭი მოუხმარია დანაშაულებრივად; არ შეუძლებია მამა, რათა ვაჟისათვის შეესხა ხოტბა, და სიცოცხლეც ისე დაასრულა ტირანიის სიძულვილით, როგორც დაინყო.

დაფიქრდით, სამუელივით რომ შეეძლოს ამ ბრმა ბერიკაცს სამარიდან აღდგომა, რათა თავისი წინასწარმეტყველებით კვლავაც გაუყინოს სისხლი მონარქებს, ანდა ისევე ცოცხალი რომ იყოს, გაჭაღარავებული დრო-ჟამითა და დევნით, უმწეოდ მომზირალი გულქვა ქალიშვილების ხელში, დაქანცული, ფერმკრთალი და ლატაკი, განა სულტანს გააღმერთებდა?

ან გონებრივად საჭურის კასლრეის ქედს შეუშვებდა? ამ ცივისსილიან, ფარისეველ, შემპარავ, ნამხდარ ერეტიკოსს! კრიალა ხელები ერინის სისხლით რომ შეუღებავს და უფრო მეტი ჟღერის ჟინით გახელებულს ხოცვა-მუსვრა მონათესავე ნაპირზე გადმოუტანია; იგი ყველაზე უგვანი იარაღია, ტირანიას რაც სჭირდება; ნიჭიც რომ საკმაოდ აყრია, არც მეტი, არც ნაკლები, სხვისი გამოჭედილი ბორკილები რომ დააგრძელოს და კარგა ხნის შეზავებული სანამლავიც შესთავაზოს.



ორატორიცი ბრძანდება, ისეთ ნაყარ-ნუყარა ფრაზებს აფრქვევს, კანონიერად გათახსირებულს, უსირცხვილოზე უსირცხვილო მლიქვნელებიცი კი ვერა ბედავენ მის შექებას, და ვერც მტრები – ერები მონყალედ ილიმებიან და ერთი უნებლიე, მხიარული ნაპერწკალიცი კი არ გამოკრთის ამ უსასრულოდ მბრუნავი იქსიონის დოლაბიდან, სულ რომ ტრიალ-ტრიალებს, რათა მსოფლიოს გადაუშალოს უბოლოო ტანჯვა მუდმივ მოძრაობისა.

თავის საზიზღარ საქმეშიცი კი არ უქნია ღმერთს, ზღანდავს, ჩხლართავს და ისეთი რალაც-რალაცები მიჩრება ხოლმე, მის ბატონებსაც რომ აშინებთ ხილვაც; ლაგამს ამოსდებს სახელმწიფოს და აზრებს ზღუდავს; შეთქმულებებს და კონგრესებს ხლართავს; კაცობრიობის ხუნდებს ანახლებს ეს მონათშემქმნელი თოქმაჩი, ძველ ჯაჭვებს ამაგრებს და ამისათვის ღვთისა და კაცის ზიზღს იძკის.

გონივრულად თუ განვსჯით, მას, სულით ხორცამდე საჭურისსა და რალაც შუალედურ სქესად ქვეულს, მხოლოდ ორი მიზანი აქვს – ემსახუროს და დააბას; ჰგონია, შუალედურ სქესს ჯაჭვი რომ შეუბამს, კაცებსაც მოუხდებათო, მრავალი ხელობით აღჭურვილი ეუტროპიუსია, თვალდავისილი შეჰყურებს თავისუფლებას, სიბრძნესა თუ

მახვილგონიერებას, უშიშარია, რაკილა გრძნობა ყინულს არ გააჩნია; და მან კიერებად გადაქცევია გაბედულება.

საით მივბრუნდე, მისი ბორკილები თვალში რომ აღარ შემეჩხიროს, მე თვითონ ხომ ისინი არასოდეს შემეგრძენია? იტალიისკენ! იტალიავ, ამ ბოლო ჟამს შენს გამოცოცხლებულ რომაულ სულს იმედი გაუცრუა იმ ტყუილმა, ამ ქვეყნიდან რომ მოგიბერა; არა მსურს მოჟღარუნე ჯაჭვი ვიხილო, არა მსურს ვისმინო ერინის ჯერაც მწვანე ჭრილობათა კვნესა, ხმამალლა რომ შემომტირიან, ევროპას ჯერაც ჰყავს მონები, მოკავშირენი, მეფეები, არმიები და საუთიც ცოცხალი ბრძანდება, სნეული ხმით რომ მიუგალობოთ.

ამრიგად, ლაურეატ ბატონო, მოძღვნას ვაგრძელებ, სადა, წრფელი ლექსით განყობილი სიმღერისა. და თუ სახოტბო ჰანგები არ გამომდის, „იმიტომ, რომ ლურჯ-ყვითელად ვრჩები“; განდგომილების პოლიტიკა ჯერაც ვერ შევისწავლე, ასერიგ მოდური დღესდღეობით; რწმენის შენარჩუნება ჰერკულესური ვალია, განა ასე არ არის, ჩემო ტორო, იულიანეზე იულიანევე?

ინგლისურიდან თარგმნეს პაატა და როსტომ ჩხეიძეებმა

შენიშვნები:

1. კოლრიჯის „ლიტერატურული ბიოგრაფიები“ (1817).
2. იმდროინდელი სლენგიტ, dry hob („გამოხვეებული ბობი“) აღნიშნავდა დაუსრულებელ სქესობრივ აქტს. ასეთი უნმანური კალამბური, ალბათ არ შეიძლება შესულიყო 1818 წლის გამოცემაში.
3. უორდესუორთის ადგილი საბაჟოშია – ან აქციზში – ან კიდევ ლორდ ლონსდეილის სუფრასთან, სადაც ეს პოეზიის შარლატანი და პოლიტიკური პარაზიტი ნახორხალს თქველფს გაჩქარებული; ეს მოქცეული იაკობინელი დიდი ხანია მოერგო არისტოკრატული ფარისევლობის ყველაზე უარეს სახეობას – მასხარულ მლიქვნელობას (აქ და ქვემოთაც თვითონ ლორდ ბაირონის კომენტარები გამოყოფილია მუქი შრიფტით).
4. „ფერმკრთალი, მაგრამ არა გვაძვივით გაფითრებული“ – ამბობენ რომ ორმა ქალიშვილმა მოპარა მილტონს წიგნები, თაღლითობით დაუქციეს სახლი. ასეთი სისასტიკე, როგორც მშობელსა და სწავლულს ალბათ დიდ ტკივილს განაცდევინებდა, ჰეილი მას ღირს ადარებს. იხ. მისი „მილტონის ცხოვრება“.
5. შეიძლებადა ასეც: „განა იგი ლაურეატა დაქირავებულ ცხენზე შეჯდებოდა, გახდებოდა მჯღაბნელი, თავგაყიდი, სულგაქირავებული, საზიზღარი ისკარიოტელი?“ საქვოა „ლაურეატი“ და „ისკარიოტელი“ კარგი რითმა იყოს,

თუ ვინმეს მოუხდენია დიდი ზეგავლენა დასავლურ სამწერლო პროცესებზე, მათ შორის ერთ უპირველესთაგანს ლორდ ბაირონს, ვისი სახელიცი და პოეზიაცი მალევე გაცდებოდა ევროპას და თაყვანისმცემლებსა და მიმდევართ ისეთ მხარეებშიც ჰპოვებდა, რომელთა არსებობა იქნებ არც კი სმენოდა, ყოველ შემთხვევაში, ბუნდოვანი წარმოდგენა ექნებოდა. აქ, ჩვენში ილია ჭავჭავაძეს ეამყებოდა, ბაირონმა ტალანტები რომ აიყოლია და მისი ათინათი საქართველომდეც აღწევდა; და ენატრებოდა ის დრო, როდესაც ეს დიდებული სახელი სრულფასოვნად დამკვიდრდებოდა ქართულ ლიტერატურაშიც, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი. ჯერჯერობით კი ის შეეძლო, რომ დღითიღამი ეძღვნა მისთვის „მგზავრის წერილებში“ და მადიებლობის, დაუდგრომლობისა და დიდი განახლების სიმბოლო-

მთარგმნელებისაგან

დაც დაესახა, თანაც თვით გოეთესთვისაც დაემჯობინებინა. ლორდ ბაირონი იმ რანგის მოვლენაა, ვის თხზულებათა სრული კრებულებიცი აუცილებლად უნდა მოგვეპოვებოდეს... თუმც სრულ კრებულს ვინ ჩივის, როდესაც თითო-ორილა მეტ-ნაკლებად წარმატებული ლექსისა და ერთი პოემის ანაბარა ვართ, თორემ დრამატული პოემები – „კაენი“ იქნება, „მანფრედი“ თუ „სარდნაპალი“ – ისე სუსტადაა გადმოღებული ქართულად, თარგმანებს არც მიეთვლება. და მითუფრო გწყდება გული, რომ თამარ ერისთავმა – იმ პოემის („შილიონის პატიმარი“) ჩინებულმა მთარგმნელმა – მისებური ხელოვნებით ვერ აამეტყველა „ჩაილდ ჰაროლდის მოგზაურობაც“, მიუხედავად იმისა, რომ დიდხანს უტრიალებდა და გულმოდგინედ სინჯავდა მასთან მისასველ

გზებს. ეს პროექტი რომ განხორციელებულიყო, ხელთ გვექნებოდა სანიმუშო, ქრესტომათიული ქმნილება, თუ როგორ უნდა გარდაისახოს დიდებული პოეტი სხვა ენაზე მთელი თავისი შარავანდით... მაგრამ რაკილა ჯერჯერობით მოკლებულნი ვართ ამ სიხარულს, ის მაინც შეეძლოთ, რომ სულ უფრო გავალვივით მკვლევართა და მთარგმნელთა ინტერესი ამ მიმართულებით, რათა ძალიანაც აღარ გადაივადოს ლორდ ბაირონის თხზულებათა სრული კრებულის მოვლინებამ ჩვენს სამწერლო-საზოგადოებრივ სივრცეში.

მართლაც მოვლინებამ, თორემ მარტოდენ ქართულად ამეტყველება რა ბედენაა!..

დადგება ის დროც, როდესაც მიზანმიმართულად გაიშლება მთარგმნელობითი საქმიანობა ამ მიმართულებით... თუმც ამჯერად იმის თქმა ვიკმაროთ, რომ ლორდ ბაირონის ეპიკური ქმნილების – „დონ ჟუანი“ – ქართულად გადმოლება თავის დროზე განუზრახა ოთარ ჩხეიძეს, ოღონდაც გართმევაზე იმთავითვე აელო ხელი და პოემის თარგმნას თეთრ ლექსად აპირებდა.

ჭაშნიკად გადმოიღო „დონ ჟუანის“ მიძღვნა (რომელიც გალექსილი პოლემიკური სტატია უფროა, ვიდრე უშუალოდ ლექსი) და ჩაურთო ბიოგრაფიულ რომანში „იტალიური დღიურები ბაირონისა“. თხრობამაც დაისაჭიროვა და, თანაც, ამ ნაწყვეტის გამოქვეყნება შემაგულიანებელიც უნდა ყოფილიყო მისთვის, რათა ჩანაფიქრი კიდევც აღესრულებინა.

მაგრამ ამჯერადაც იმავე მიზეზით მოუწია განზრახვაზე ხელის აღება, რა მიზეზითაც წლების წინათ გამოეცალა ვახტანგ ჭელიძეს, ერთად რომ მოჰკიდეს ხელი ჯონ მილტონის ეპიკური ქმნილების – „დაკარგული სამოთხე“ – თარგმნას. მიხვდა – ისე დადრეკდა ეს მძიმე საქმე, რომ შესაძლოა რომანებისათვის ვეღარ მოეცალა, არადა, „მატიანე ქართლისას“ ციკლის გაგრძელებას ეშურებოდა.

და ახლაც შეატყობდა, „დონ ჟუანის“ ქართულად ამეტყველება აუცილებლად რომანების ხარჯზე მოხდება, თანადროულად ორივეს განხორციელება გამძინელდებაო. და ისევ ბაირონის პოემას შეეღებოდა... თუმცა ჯერჯერობით... ოდესმე უთუოდ რომ იპოვნიდა საამისო დროს... მაგრამ ეს „ოდესმე“ აღარ დადგებოდა...

თითქოს შემკვიდრეობით გადმოგვეცა ამ ჩანაფიქრის აღსრულებაც.

ბარემ ჩვენც მოგვესინჯა ეს პოემა, რომლის უთარგმნელობაც ხარვეზად დაჩნევია ქართულ კულტურას და უკვე აღარც გვეპატიება ქართველობას ინგლისური ენის ასეთი გაფუფუნების ხანაში – ბოლოსდაბოლოს, რისთვის

გვინდა ამ ენის ცოდნა, თუკი მის წიაღში ამოზრდილი საკაცობრიო ქმნილებანი ვკლავაც მიუწვდომელი დარჩება ჩვენთვის. ფრანგი ფილოსოფისის ეტიამბლის ქრესტომათიული სიტყვებისა არ იყოს: ნამდვილად მხოლოდ ის წავიკითხავს, რაც გვითარგმნია.

გართმევაზე ფიქრი ჩვენც თავიდანვე გამოვრიცხეთ.

და... აღარც თეთრი ლექსი მოვინდომეთ.

და ეს იმიტომ არა, რომ პოეტურ ქსოვილს გავექციეთ. ბოლოსდაბოლოს, ანგლო-საქსური ეპოსი „ბოვულფი“ გვითარგმნია ჯერ კიდევ სიჭაბუკისას ძველქართული სალექსო საზომით – წყობილი სიტყვით.

თავისთავად ამოგვესვეტა თვალწინ ფაჰრ ად-დინ გურგანის ეპოსის – „ვისრამიანი“ – ქართულ პროზაული თარგმანი უცნობი შემოქმედის მიერ –

და შუასაუკუნეთა ეს მცდელობა და უდავო მონაპოვარი ყოველთვის დარჩება ჩვენი კულტურის საგანძურში.

ასევე ძალდაუტანებლად ამოტივტივდა ჰომეროსის ეპოსის – „ოდისეა“ – ზურაბ კიკნაძისა და თამაზ ჩხენკელისეული პროზაული ორეული, რომელიც „ვისრამიანის“ ტოლფასად მიგვაჩნია (სხვათა შორის, ოთარ ჩხეიძესაც ძალიან მოსწონდა ეს თარგმანი და შთამბეჭდავ მოვლენადაც შეაფასა).

როდესაც ჰომეროსის მთარგმნელებმა ეს გაბედული ჩანაფიქრი აღასრულეს, თვალწინ ჰქონდათ სწორედაც ქართული „ვისრამიანის“ მაგალითი, და ამასთან გრიგოლ წერეთლის ჟანრობრივი განსაზღვრებაც. ჩვენი დიდებული ელინისტი ხომ „ოდისეას“ რომანად მოიხსენიებდა.

მართლაც რატომ უნდა ეცადათ ჰეგზამეტრული საზომის კალკირება, როდესაც შეიძლებოდა ძველთაძველი ეპოსისათვის ძალდაუტანებლად მიენიჭებინათ თანამედროვე რომანის ფორმა?

და განა „დონ ჟუანი“ უფრო მეტადაც არ არის თანამედროვე რომანი?

მამ რატომ არ შეიძლება ამეტყველდეს პროზაულად?

მითუფრო, სანიმუშოდ არამარტო „ვისრამიანის“ მთარგმნელის მაგალითი მოგვეპოვება, არამედ „ოდისეას“ მთარგმნელებისაც.

დაე „დონ ჟუანი“ მათი მომდევნო იყოს მესამე.

ოღონდ... თუკი თავი მოვაბით ისე, როგორც ლორდ ბაირონს ეკადრება.

ყოველ შემთხვევაში, შესაძლოა სხვებმა გაითვალისწინონ და ამოოდ არ შეალიონ ძალ-ღონე ბაირონული ლექსის კალკირებას.

* * *

„მიძღვნის“ პროზაული ვერსია ნავიკითხეთ „ჩვენი მწერლობის“ სალონში, ერთ-ერთი თავყრილობისას, და არაერთი მოსაზრება თუ შენიშვნაც მოვისმინეთ. საერთოდ მსმენელებს ურიგო შთაბეჭდილება არ დარჩენიათ, მაგრამ მისი გამოქვეყნება მაინც არ გვიჩქარია – დაე ჯერ საგრძნობლად წავგენია წინ „დონ ჟუანის“ თარგმნა და მის ფონზე გადაგვეხალისებინა ეს მცირე ნაწილი.

და ახლა, როდესაც შუა გზას მივალნივით, თავს უფლებას ვაძლევთ, „მიძღვნამ“ მზის სინათლე იხილოს.

ცხადია, ეს სულაც არ ნიშნავს, რომ საბოლოოდაც აუცილებლად ასევე დარჩება.

იქნებ კიდევ დარჩეს, განა გამოვრიცხავთ, მაგრამ შესაძლოა სულ სხვა შინაგანი რიტმი ვამჯობინოთ მისთვის თანამედროვე რომანის იერის მისანივებლად და მასზე დაყრდნობით გავაწყოთ ეს დიდებული ეპოსი, რომელთან ჭიდოშიც მარცხივც საპატიოა, თუკი მოძმესა შენსა სიძნელეს გზისას გაუადვილებ!..

* * *

სხვათა შორის, „მიძღვნა“ ლორდ ბაირონის სიცოცხლეში „დონ ჟუანის“ არცერთ გამოცემას არ დართვია.

პირველი და მეორე სიმღერაც ანონიმურად გამოქვეყნდა.

ბაირონს საერთოდ სიფრთხილე არ სჩვეოდა, მაგრამ ამ გადაწყვეტილებას იმით ამართლებდა: არავითარი სურვილი არა მაქვს, რომ ძალს ღამით შევებო.

სამშაბათს, 23 მარტს
 ჟურნალ „ჩვენი მწერლობის“
 დარბაზში გაიმართება
 განხილვა
 ნინო სადღობელაშვილის
 რომანისა
 „ორსული“
 მომხსენებელი
 როსტომ ჩხეიძე
 დასაწყისი 14 საათზე
 ჩუბინაშვილის 41

ჰერტა მიულერი ნობელის ლიტერატურული პრემიის მე-11 ლაურეატია.

დაიბადა 1953 წელს ნიციშიდორფში, რუმინეთის გერმანულენოვანი უმცირესობის რეგიონში. მამა – ნაციტი, დედა – 1945-50 წლებში რეპრესირებული. 1973-76 წლებში სწავლობდა ტიმიშოარას უნივერსიტეტში ფილოლოგიის ფაკულტეტზე. ჩაება ჩაუშეს-კუს რეჟიმის ოპოზიციურ მოძრაობაში. 1979 წელს დაითხოვეს სამსახურიდან. იდეენება რუმინეთის საიდუმლო პოლიციის - „სეკურიტატი“-ს მიერ. 1982 წელს მისი პირველი წიგნი „დაბლობები“ ცენზურამ აკრძალა. 1987 წელს წავიდა ემიგრაციაში დასავლეთ ბერლინში. 2009 წელს გამოსცა „სუნთქვის საქანელა“. წერს თავის მშობლიურ გერმანულ ენაზე. ამავდროულად პირველი სუაბელი მწერალია ბანათიდან (გერმანულენოვანი უმცირესობის რეგიონი რუმინეთის სამხრეთ-დასავლეთში), რომელმაც კიდევ ერთხელ ახადა ფარდა არც თუ ისე შორეული წარსულის მწარე რეალობას – კომუნისტურ დიქტატურას, რომელსაც მილიონობით ადამიანი ემსხვერპლა. ამდენად, ეს უმაღლესი ჯილდო მნიშვნელოვანია არა მხოლოდ გერმანული კულტურისათვის, არამედ ყველა მათთვის, ვინც რუმინეთის კომუნისტური რეჟიმის სასტიკმა და უმოწყალო ჩექმამ გადათელა. ისინი ათეულობით წლები სასწრაფო ებლაუტებოდნენ იმედს, რომ რაღაც შეიცვლებოდა. მათ შორის მწერალი ქალის ახლო ნათესავებიც იყვნენ, რომლებიც წლობით ენამებოდნენ დობრუჯასა (ერთ-ერთი საკონცერტაციო ბანაკი რუმინეთის სამხრეთ-აღმოსავლეთში) თუ საბჭოთა კავშირის გულაგებში. სწორედ ამ დამორგუნველი სულისკვეთებითაა აღსავსე ჰერტა მიულერის მთელი შემოქმედება – 22 რომანი და პოეტური კრებულები. მრავალ განსაცდელგამოვილი, მაგრამ ქედუხრელი ქალი მწერლობაში პოულობდა ხსენას.

იგი შავი ბუმბულით შემოსილი პატარა ჩიტვიცაა. ფართოდ გახელილი თვალები, ნათელი მზერა, ოდნავ შემფოთებული გამოხედვა. ღიმილი შინაგან დაძაბულობას ვერ ფარავს. დაიჩივლა: „წერვები დაწყებაზე მაქვს, იმდენად, რომ აღარც მოსმენა შემიძლია, აღარც ლაპარაკი. ეს ეწინააღმდეგება ჩემს ხასიათსა და ცხოვრების წესს. მარტო ყოფნა და წერა. ჩემი შინაგანი სამყარო და ჩემი სამუშაო. გამოსატვის სხვა საშუალებას ვერ ვხედავ ჩემში“.

გადანწყვიტა მხოლოდ ერთ ინტერვიუზე დათანხმდეს ნობელის პრემიის მიღებასთან დაკავშირებით, ისიც ნახევარი საათით. არავითარი ფოტოსესიონები, რომლებიც რუმინეთის საიდუმლო პოლიციის დაკითხვებს მოაგონებენ.

...საბოლოოდ საუბარმა ორსაათნახევარს გასტანა.

„ჩემი წიგნის გამოსვლა მეხის გავარდნასავით იყო“

□

თომას ღვიძლისა და რაფაელ რირორის საუბარი ჰერტა მიულერთან

— ჰერტა მიულერ, რა განცდა გაგიჩნდათ, როდესაც შეგატყობინეს, რომ ნობელის პრემიას განიჭებდნენ ლიტერატურის დარგში?

— იმ წუთას არაფერზე მიფიქრია. ხმა ვერ ამოვიღე. დიდი ბედნიერება რაღაცით დიდ უბედურებას ჰგავს: ვერ გავიგია, რა მოგდის. ნობელის ფონდიდან კიდევ მისაყვედურეს, რატომ არაფერს ამბობო. ცხადია, კმაყოფილი ვარ, მაგრამ საქმე ისაა, არ მჩვენია სიხარულის ხმამაღლა გამოხატვა. რაც მთავარია, არ ვისურვებდი, ამ პრემიამ რაიმე შეცვალოს ჩემში. რუმინეთში მუდამ თან მდევდა სიკვდილის შიში. რომ არ გავნადგურებულყავი, ინსტინქტი გამომვიშუშავე: ყველაფრისთვის კუთვნილი ადგილი მიმეჩინა – როგორც საფრთხის, ისე თავის გადარჩენის შანსისთვის. ამიტომ ვიცი, რა ადგილს დაიკავებს ეს პრემიაც. ის არა ჩემში, არამედ ჩემ გვერდით იქნება. წარმატება ხომ ჩემმა წინებმა მოიპოვეს და არა მე.

— რა ადგილი ეკავა წიგნებს ოჯახში, სადაც იზრდებოდით?

— შინ წიგნები საერთოდ არ ყოფილა. მამა რომ გარდაიცვალა, ძალიან პატარა ვიყავი. დედა მინდვრად მუშაობდა. ერთადერთი, ვისაც ბიბლიოთეკა ჰქონდა, ნაციტი ბიძაჩემი იყო, და წიგნებიც, ცხადია, ამ იდეოლოგიით იქნებოდა შერჩეული. 1945 წელს იგი „ღირსეულად დაეცა ბრძოლის ველზე“. რუსების შემოსვლას სოფელში თან ახლდა საშინელი განუკითხაობა. ბებიაჩემმა რა იცოდა, რომელი წიგნი უქმნი-

და საფრთხეს და რომელი არა, და ყველას უკლებლივ ღუმელში შეუძახა. ორი დღე ამ ცეცხლზე თბებოდა.

— ვიდრე წიგნების გამოცემას დაიწყებდით, თქვენ დაუპირისპირდით საიდუმლო პოლიციას. ამის გამო სა-მუშაოც კი დაკარგეთ ქარხანაში. თავიდან წინააღმდეგობის გამოსახატავად ხომ არ აიღეთ ხელში კალამი? როდის და რამ გიბიძგათ ამისკენ?

— ლიცეუმში სწავლის დროინდელი ჩემი ლექსები ახალგაზრდული, მაგრამ საკმაოდ სერიოზული იყო. თუმცა ერთ მშვენიერ დღეს ვთქვი: „კმარა; ეს ხომ ყველას შეუძლია!“ მას მერე კარგა ხანს აღარაფერი დამინერია. ამასობაში ოპოზიციონერ აქტივისტთა ჯგუფს დავეუახლოვდი და მივხვდი, რომ ჩემი ადგილი იქ იყო. ჩვენ ხომ ისეთ აბსურდულ სისტემაში ვცხოვრობდით, სადაც ყველაფერი თავდაყირა იდგა. ის, რაც ცხოვრებაში ყველაზე მნიშვნელოვნად მიმაჩნდა, იკრძალებოდა. შეუძლებელი იყო ვყოფილიყავი ის, ვინც მინდოდა. აქედან გამომდინარე, დისიდენტი თავისთავად კი არ ხდები, არამედ რეჟიმი გქმნის და გაყალიბებს ასეთად.

როგორც მოგახსენეთ, ახალგაზრდული ლექსების შემდეგ არასოდეს მქონია წერის სურვილი, და თუ ეს მაინც გავაკეთე, ამის მიზეზი თვითგამოსატვის ძიება იყო, მცდელობა, დავრწმუნებულყავი საკუთარი თავის არსებობაში. დავინყე რაღაცების ჩანიშვნით, რამაც საშუალება მომცა მერწმუნა, რომ ვაზროვნებ. მერე გადაწყვიტე ყველაფერი ეს გარკვეული ფორმით ჩამომეყალიბებინა. თუმცა ამას არ

მივიჩნევდი იმად, რასაც ლიტერატურა ჰქვია. გადამწყვეტ მომენტში მეგობრებმა შემაგულიანეს და ასე შეიქმნა ჩემი პირველი ნიგნი „იედერუნგენ“ ღრმა და არაჯანსაღ ძილში ჩაფლული ჩემი მშობლიური სოფლის შესახებ.

— **თქვენი ამ პირველი ნიგნის გამოსვლის შემდეგ საშინელი ცენზურის წნეხის ქვეშ მოექცით. რამ მოგცათ ძალა, გაგვერძელებინათ წერა?**

— საუკუნეთა მანძილზე ჩვენში ერთადერთ პროვინციულ-პატრიოტულ ლიტერატურას ჰქონდა არსებობის უფლება. სრულიად მიუღებელი იყო რაიმეს დანახვა კრიტიკული თვალთ. ჩემი ნიგნის გამოსვლა მეხის გავარდნასავით იყო. ყველამ ზურგი გვაქცია, და თუ ამის შემდეგ კვლავ გავაგრძელებ წერა, მხოლოდ იმიტომ, რომ ეს შინაგანად მამხნევებდა, ეს ერთადერთი იყო, რასაც ვებლაუჭებოდი, მიუხედავად იმისა, რომ ვიცოდი, ამით ვერაფერს შევცვლიდი. თუმცა არიან მწერლები, რომლებმაც ეს შეძლეს: პოლ სელანი, თომას ბერნჰარდი, პეტერ ჰანდკე. მიზნად დავისახე ისე მწერა, მათ რომ მოეწონებოდათ, და გონებაში ვეკითხებოდი: როგორია? კარგია?

— **თქვენი ნიგნების უმრავლესობა დიქტატურასა და ტოტალიტარულ რეჟიმებთან დაკავშირებულ მახინჯ მოვლენებს ეხება. აქ ყველაზე შთაბეჭქდავია ძალა მოლოდინისა. საიდან მოდის ის?**

— ადამიანი ყოველთვის რალაცის მოლოდინშია. როდესაც მისი ცხოვრება ასე თუ ისე ასატანია, ამაზე არ ფიქრობს, მაგრამ როდესაც ის გაუსაძლისი ხდება, უკვე ზუსტად იცის, რას უნდა ელოდოს. დიქტატურის პირობებში ყოველდღე დიქტატორის სიკვდილს ელიან და მუდმივად ავრცელებენ ხმებს მისი ავადმყოფობის შესახებ.

— **შიშის გრძნობა, რომელიც თქვენს პერსონაჟებს დაუფლებია, ხელშესახებიც კია. ისინი ამ შიშით გაჟღერებულ შაერს სუნთქავენ. თვითონაც თუ გამოგვიცდიან?**

— დიახ, ეს იყო ყოველსმომცველი შიში სიკვდილისა, განცდა იმისა, რომ მათ ვერსად დაემალები. არავითარი პირადი ცხოვრება, სრული დაუცველობის გრძნობა. ვცდილობდი დამერწმუნებინა თავი, რომ ეს ნორმაა, ცხოვრების ნესია. რალაც ხნით ეგუები, მაგრამ მალე აუტანელი ხდება. ყველაზე საშინელი მაინც უძლურების გრძნობაა. როდესაც მორალურად განადგურებული ხარ, ძნელია შეინარჩუნო ნორმალური ურთიერთობანი, ფასი ეკარგება ყველაფერ ადამიანურს.

— **თქვენს ნაწარმოებებში ხშირად განსაკუთრებული ადგილი უკავიათ და მნიშვნელობა ენიჭებათ ნივთებს. რით ახსნიდით ამას?**

— ნივთებს მართლაც დიდი მნიშვნელობა აქვთ. განსაკუთრებით მაშინ, როდესაც აღარაფერი გაგაჩნია და ერთი პატარა ჩემოდნის ამარა დაეხეტები. ძალადობის ერთ-ერთი უკიდურესი ფორმა პირადი ქონების სრული ჩამორთმევაა. ნაცისტებმა ებრაელები რომ გააძევეს, მათ ყველაფერი დაატოვებინეს. წარმოიდგინეთ, რას ნიშნავს, სადღაც

აღმოჩნდე ყველაფრის და ყოველგვარი დაცვის გარეშე, რადგანაც ნივთები ჩვენ გვიცავენ, გვაძლებინებენ ცხოვრებაში. უფრო მეტიც, მათ აქვთ ერთი განსაკუთრებული თვისება – ჩვენზე მეტს ცოცხლობენ. გიფიქრიათ იმ უამრავ სათვალესა და ფეხსაცმელზე, აუშვიცში რომ ნახეს? აი, ამ ჭიქას, მაგიდაზე რომ დგას, შეუძლია ჩვენზე მეტხანს იცოცხლოს, თუ მას არ დაამსხვრევენ. ეს მარადისობის ერთი პატარა გამოვლენაა, რომელიც, ცოტა არ იყოს და, კიდევ მაშინებს. ზოგჯერ მიხარია, რაიმე რომ ტყდება; ცოტა კონკურენციაც ხომ უნდა იყოს ცხოვრებაში!

— **რა მნიშვნელობას ანიჭებთ ბუნებას, სახელდობრ, ზეცას, რომელსაც ასევე საკმაოდ დიდი ადგილი უკავია თქვენს შემოქმედებაში?**

— ბავშვობაში ხშირად მარტო დავრჩენილვარ ბუნების წიაღში და იქაურობა საშიშად მომჩვენებია, მაშინ ამის სიტყვებით გამოხატავს ვერ ვახერხებდი, მაგრამ ვფიქრობდი, რომ ბუნება გვკვებავს, თუმცა ამავდროულად გვმთანთქავს, რამდენადაც ვხედავდი, როგორ იხოცებოდა ხალხი და მინაში უჩინარდებოდა, რათა ეს ადამიანები მცენარეებად გარდაქმნილიყვნენ.

კატეხიზმი გვეუბნება: „უფალი ყველგან არს“. სინამდვილეში ის იყო პირველი დიქტატორი! ის უთვალთვალებდა, ვინ რას იქმნობდა, და თითქმის ყველა სცოდავდა მის თვალში. ყოველთვის ვგრძნობდი რალაც უხერხულობას; ჩემს თავზე ზეცა იყო გადაჭიმული, საიდანაც ღმერთი მიყურებდა. ძროხებს მარტოკა ვწყემსავდი, შემეძლო გამეხადა და მდინარეში მეზანაფა, მაგრამ ეს არასოდეს გამიკეთებია, რადგან ღმერთს შეიძლება დავენახე, სიმშველე კი ცოცხავა.

ფიქრობ, ბუნება ყველაზე უკეთ მიგვანიშნებს ჩვენს ხანმოკლე ცხოვრებაზე: ყოველ წელიწადს, შესაბამის სეზონში ყველაფერს უბრუნდება სიცოცხლე, ჩვენს სხეულს კი არა. ჩვენი სხეული დროებით მოგვეცემა, თითქოს გვათხოვესო, მერე ღმერთი მის უკან დაბრუნებას მოითხოვს.

იცით, რადგან ზღაპრების ნიგნები არ მქონდა, თვითონვე ვიგონებდი მათ.

— **საუბრისას მუდამ ახსენებთ სიკვდილს...**

— დიახ, სიკვდილი მუდამ თან გვდევს, და მე ყოველთვის მეშინოდა მისი, მაშინაც კი, მუხლუხა რომ დამეცემოდა მხარზე. სიკვდილი ყოველისმომცველია, ნებისმიერ დროს შეუძლია გტაცოს ხელი.

— **თქვენ საკმაოდ შორს დგახართ რეალიზმისგან, ამ სიტყვის ჩვეულებრივად მიღებული გაგებით. ხომ არ მიმართავთ პოეზიას, ფანტაზიას, ზოგჯერ ფანტასტიკასაც, რათა მათი საშუალებით მიუახლოვდეთ სინამდვილეს?**

— არ ვიცი, რა არის სინამდვილე, უფრო სწორად, ვიცი, როგორია ის ყოველდღიურ ცხოვრებაში: ყოველთვის ვხედეები, მატყუებენ თუ სიმართლეს მეუბნებიან. მძულს ტყუილი, ლალატი, ბინძური ხრიკები, ანუ ყველაფერი, რაც



ჰერტა მიულერი

არაგულწრფელია. მწერლობაში ისეთ რამეს აწყდები, რაც ცხოვრებაში ჯერ არ მომხდარა, მაგრამ ეს სინამდვილედ აღიქმება, რადგან მწერლობას, მართალია, ხელოვნური, მაგრამ თავისი კანონები აქვს. თუმცა ცხოვრებას სასაცილოდაც არ ჰყოფნის მწერლობა.

პარადოქსია, მაგრამ გამოგონილი სინამდვილე ზოგჯერ უკეთ ესადაგება რეალურს. ამ უცნაური მშვენიერების წყალობით ვიტანთ მწერლობას, თორემ პირადად მე არ მიყვარს წერა, არ ვენდობი ენას.

— საიდან მოდის ეს უნდობლობა ენის მიმართ?

— რატომ უნდა ვენდობოდე მას? ენა ხომ მოლაპარაკის ანარეკლია. ამდენად, ის არაფერია. ენით ყველაფერი შეიძლება მოიმოქმედო. დიქტატურის დროს ყველამ გამოვცადეთ ეს: ენა იყო საუკეთესო საშუალება — ყველა გაგაცურებინა. დუმილის შემთხვევაში ნაკლებად თუ ვინმეს მოატყუებ.

— იქ, რუმინეთში, ხომ არ არის თქვენი მშობლიური ენა უსამშობლოდ დარჩენილი ენა?

— ჩემს სოფელში ყველა გერმანულად ლაპარაკობდა ორი ადამიანის — ექიმისა და პოლიციელის — გარდა, რომლებთანაც არც არავის სურდა საქმე ჰქონოდა. რუმინული 15 წლისამ წიგნებით ვისწავლე, და მაშინვე მომხიბლა ამ ენის სილამაზემ, მისმა უღერადობამ, პოეტურმა გამოთქმებმა. ისიც კი მიფიქრია, რომ რუმინული უფრო შეესაბამება ჩემს ბუნებას, ვიდრე გერმანული. მაგალითად, მცენარეთა სახელები, მათი გრამატიკული სქესი: შროშანი გერმანულში მდებდრობითია, რუმინულში — მამრობითი. ასევეა ვარდიც. მას მერე სულ სხვა შეხედულება შემექმნა საგნებზე, ყოველი მათგანი ორგვარად აისახა ჩემს წარმოდგენაში. იმდენად, რომ ეს ორი ენა ჩემთვის ერთმანეთისგან განუყოფელია.

— რით ახსნიდით, რომ თქვენს წიგნებში ძალიან მაღალფარდოვანი გამოთქმების გვერდით ხშირად ვხვდებით უხამსობებს რეჟიმის მესვეურთა მეტყველებაში?

— უკმეხობებს უხამსობებს მათდამი ძალიან დიდი ზიზღის გამო მივმართე. ერთი მხრივ იყო მაღალი ტრიბუნებიდან წარმოთქმული სიტყვები პროგრესსა და ხალხის ბედნიერებაზე, მეორე მხრივ კი ეს დაბეჩავებული და გაუბედურებული ხალხი, და იმდენად ღრმა გახლდათ უფსკრული მათ შორის, რომ ვცოფდებოდი. როდესაც წავიკითხე ვიქტორ კლემ-პერერის წიგნი მე-3 რეიხის ენის შესახებ, მივხვდი, რომ დიქტატურები მუდამ ერთსა და იმავე ხერხს მიმართავენ: ისინი მარტივი და გასაგები ენით კი არ ლაპარაკობენ, არამედ ყველანაირად ცდილობენ თავგზა აგობნიონ. ჩვენ ვცდილობდით ყური აგვერიდებინა მათთვის. სხვათა შორის, აქაც იგივე მდგომარეობაა რეკლამებთან დაკავშირებით. ვცდილობ თავი დავიცვა მათგან, რათა არ შემოაღწიონ ჩემს სამყაროში.

— თქვენი პირველი წიგნი რუმინულ ენაზე ფრიად დაგვიანებით, 2005 წელს გამოვიდა. რატომ გადახვედით რუმინულზე და თან პოეზიით?

— ერთხელ რუმინეთში მატარებლით მგზავრობის დროს ერთმა მეგობარმა მე და ოსკარ პასტიორს* გაზეთების მთელი დასტა მოგვიტანა გზაში თავის შესაქცევად. ბერლინში დაბრუნებულმა ამ გაზეთებიდან ცალკეული სიტყვების ამოჭრა დავინწყე, მერე კოლაჟი გავაკეთე და რაღაც გამოვიდა. ესეც მწერლობის ერთ-ერთი სახეობაა —

* პოეტი რუმინეთის გერმანულენოვანი უმცირესობიდან. 1945-49 წწ დეპორტირებული იყო საბჭოთა საკონცენტრაციო ბანაკში.

გამზადებული სიტყვებით. რუმინულად წერა არ შემიძლია და ასე გავასწორე ანგარიში ამ ენასთან.

— რას წარმოადგენს თქვენთვის თქვენი ახალი რომანი „სუნთქვის საქანელა“?

— ჩემს ცნობიერებაში ღრმად არის გამჯდარი დეპორტაციის თემა, რადგან არა მხოლოდ დედაჩემმა, მთელმა მისმა თაობამ გამოიარა ეს ჯოჯოხეთი. 50-იანი წლების დიქტატურის პერიოდი შავბნელი დრო იყო, როდესაც სრულიად უმიზეზოდ შეედლოთ ნებისმიერი ადამიანის დაპატიმრება, დეპორტაციაზე ლაპარაკიც კი აკრძალული გახლდათ. ვისაც ეს შეეხო, გადაკვრით თუ ახსენებდნენ მათ. დედაჩემიც სულ რაღაცით შებოჭილი მეჩვენებოდა. ჩვენს სოფელში ბოლო სამასი წლის მანძილზე არაფერი იცვლებოდა, მაგრამ ისინი, ვინც რუსეთის ბანაკებიდან დაბრუნდნენ, სრულიად შეცვლილიყვნენ; აღარ იცვამდნენ ტრადიციულ ეროვნულ კოსტუმებს და ქალებს აღარ ამშვენებდა გრძელი ნაწნავები, რადგანაც მათ თმას ხოტრავდნენ. ეს სახეები მუდამ თან მდევდა და ჯერ კიდევ ჩემს პირველ წიგნში გამოჩნდა. ყოველთვის მინდოდა დამეწერა იმ საყოველთაო დასმენებსა და მძიერ-მწყურვალთა ტანჯვაზე, მაგრამ კიდევ მეშინოდა, შევძლებდი კი მთელი სისრულით დამეხატა ეს საზარელი სურათი?

— ამ წიგნზე მუშაობა ოსკარ პასტიორთან ერთად დაიწყეთ. იცოდით მისი გადასახლების შესახებ?

— დიახ, მას დიდი ხანია ვიცნობდი, მაგრამ ოსკარი თითქმის არასდროს ლაპარაკობდა ამის შესახებ, თუმცა ბანაკში გატარებულმა წლებმა ღრმა კვალი დაუტოვა. ბუნებით უაღრესად მოკრძალებული და მორიდებული, შიშითაც იყო შეპყრობილი. ვფიქრობ, ეს უშლიდა ხელს, საჯაროდ ელაპარაკა ამ თემაზე.

— რა გავლენა იქონია ოსკარ პასტიორის უეცარმა სიკვდილმა (2006 წ.) თქვენზე, როგორც მწერალზე?

— უაღრესად დიდი. ოსკარი რომ არ მომკვდარიყო, არ ვიცი, რა ბედი ეწოდა წიგნს. უდიდეს პატივს ვცემდი და დიდხანს ვგლოვობდი. გაოგნებული, სრულიად დადამბლავებული ვიყავი. სწორედ მაშინ ვიფიქრე, რომ ჩემი ვალი იყო ეს წიგნი დამემთავრებინა და გამომეცა. ოსკარმა ხომ ცხოვრების უკანასკნელ წლებში დიდი დრო შეაღია მას, და მეც დავასრულე, რათა ოსკარის სიცოცხლე ამ წიგნში გაგრძელებულიყო.

— შეუძლია ლიტერატურას იბრძოლოს, რათა ყოველივე ეს დავინყებას არ მიეცეს?

— რასაკვირველია. ყველაფერი საკონცენტრაციო ბანაკებისა და იქაურ საშინელებათა შესახებ წიგნებიდან ვიცი. ისინი, ვინც საკუთარ თავზე იწვინა, და ისინიც, ვისაც ეს აინტერესებს, წერენ შინაგანი მოთხოვნილებით. „სუნთქვის საქანელა“ პირადად ჩემი ცხოვრების კი არა, ჩემს გარშემო მყოფთა, დედაჩემის თავგადასავალია.

— ნაკითხული აქვს დედათქვენს „სუნთქვის საქანელა“?

— არა, დედაჩემი ერთი უბრალო ქალია. ჩვენ არასოდეს ვსაუბრობთ ამ თემებზე. იცის, რომ მწერალი ვარ, მაგრამ ჩვენი ურთიერთობანი სხვა განზომილებებშია. ამასთან, დუმილს იგივე ძალა შეიძლება ჰქონდეს, რაც სიტყვას. თანაც ყველას აქვს უფლება თავისი არჩევანისა — ილაპარაკოს თუ გაჩუმდეს.

ფრანგულიდან თარგმნა
ლია რუსაკაძე

ნინო კვიციანიშვილი

ამბავი დაფერფლილი სიყვარულისა

გიორგი ლეონიძის პირველი, ძალზე ღრმა და ამავე დროს უიღბლო, ტრაგიკულად დასრულებული სიყვარული უთუოდ იმსახურებს, მას უფრო მეტი ყურადღება დაუთმობთ და სატრფიალო ლექსების განხილვის ფონზე, ზოგიერთი საგულისხმო, ნათესავთა წრეში მოძიებული და შეძლებისდაგვარად შემონმებული ფაქტები მოვიხმო.

ლეული ლორთქიფანიძის შესახებ ცნობები ძირითადად შემეგრძობა დეიდაჩემმა, არაბისტმა ცისია კახიანიმა. ქალთა გიმნაზიის დამთავრების შემდეგ, ლეული ლორთქიფანიძეს სწავლა გაუგრძელებია სამედიცინო სასწავლებელში. მისი ერთი მეგობართაგანი, რომელთან ერთადაც იგი ჯგუფურ ფოტოზეა აღბეჭდილი, იყო გიორგი ლეონიძის ბიძაშვილი თამარ ლეონიძე. შესაძლოა მისი მეოხებით დაუახლოვდა ყმანვილი გიორგი ლეონიძე ლელის.

ლელის მამა სერგო ლორთქიფანიძე თბილისში საკმაოდ გავლენიან ფორაქიშვილების ოჯახში ჩასიძებულა. მისი მეუღლე იყო ეკატერინე ფორაქიშვილი და ახლადდაქორწინებულებს რამდენიმე წელი ფორაქიშვილთა ცნობილ სახლში უცხოვრიათ. სერგოს და ეკატერინეს ერთი ბიჭი და ორი გოგონა პატარაობაშივე მოკვდომიათ. ლელის ორი ძმა ჰყოლია – პავლე და სიკო. სიკო ლორთქიფანიძე ყოფილა მშენებლობისა და საშენ მასალათა მინისტრი და ცხოვრობდა ფალიაშვილისა და ნაფარეულის ქუჩების გადაკვეთაზე, გიორგი ლეონიძის ძმის, ვეტერინარ სიმონ ლეონიძის სახლის მოპირდაპირე მხარეს.

ლეული ლორთქიფანიძე, გარემოებათა გამო, მშობლებმა მიათხოვეს მის თანაკურსელს, გვარად გოგორიშვილს, რომელიც შორეულ, მეხუთე თაობის ნათესავად ეკუთვნოდა. ეს არ ყოფილა სიყვარულის შედეგად შექმნილი ოჯახი. თანაც ვილაც-ვილაცები თურმე კიცხავდნენ, შხამავდნენ ლელის, ღვთის საგმობი საქმე ჩაიდინეო. ნაზი ფსიქიკის ადამიანი აღმოჩნდა. წონასწორობა დაკარგა და გათხოვების მეხუთე თვეზე თავი მოიკლა. გარდაცვლილის ნათესავების რწმუნებით, ეს უნდა მომხდარიყო 1916 წლის გაზაფხულზე. მისი ნათესავის, ზეინაზ ლორთქიფანიძის მონათხრობის მიხედვით, ამ ტრაგედიის მერე ლელის ქმარი



გიორგი ლეონიძე

დაჭლექებულა და მალე კიდევაც გარდაცვლილა. უეჭველი ფაქტია (ეს ბებიამ ჩემ ნინო ლეონიძისგანაც მსმენია), რომ ლეული ლორთქიფანიძე, როგორც თვითმკვლეელი, დაუსაფრთხილად დიდუბის ეკლესიის გალავანთან, მაგრამ საფლავის წარწერა არ დარჩენილა.

ლეული ლორთქიფანიძის სამი ფოტო და ამხანაგებთან გადაღებული ჯგუფური სურათი დეიდაჩემმა განსვენებულის ნათესავებში მოიპოვა. სურათებზე აშკარად ჩანს – დახვეწილი სახის ნაკვთების, მიმზიდველი გარეგნობის მქონე ლეული ლორთქიფანიძე, მდიდარი შინაგანი სამყაროს, უფაქიზესი სულის პატრონიც რომ იყო. სხვანაირად იგი ასე ვერ მოხიბლავდა დიდ პოეტს.

გიორგი ლეონიძემ სიყმანვილის ჟამს გაიცნო (სავარაუდოა, რომ მათი შეხვედრა მოხდა 1915 წელს) ეს იშვიათი გარეგნობისა და ნატიფი ბუნების ქალიშვილი. სარწმუნო ოჯახური გადმოცემით და ნათესავთა ნაამბობიდან კარგად ვიცვი – ლეული ლორთქიფანიძე, ასაკის შესაფერისად, ძალზე განათლებული, ნიჭიერი და ზომიერად თამამი ახალგაზრდა ყოფილა; კარჩაკეტილობა არ ჰყვარებია, არ ერიდებოდა საზოგადოებაში გამორჩენას და გიორგი ლეონიძესაც ერთ სალონურ, სტუმართმოყვარე ოჯახში გაუცვინა. პოეტი პირველი ნახვისთანავე მოუხიბლავს მშვენიერ გოგონას და არც ლეული ლორთქიფანიძე დარჩენილა მის მიმართ ეულგრილი. ერთმანეთს დროდადრო წერილებსაც უგზავნიდნენ.

გიორგი ლეონიძის უფროსმა შვილიშვილმა, ისტორიკოსმა გიორგი ქავთარაძემ მიაშობ: ლორთქიფანიძეებს იმხანად სოლოლაკში, ამაღლების ქუჩაზე უცხოვრიათ. შეყვარებულებს აკავშირებდა ლორთქიფანიძეების მოსამსახურე, სომეხი ყმანვილი ბეგო. სიყრმის მეგობრები – ლადო გუდიაშვილი და გიორგი ლეონიძე, როცა რომელიმეს შემწეობა სჭირდებოდა, ერთმანეთს ბეგოს ეძახდნენ, ესა და ეს მინდაო. ის მოსამსახურე ბიჭი, ეტყობა, ერთგულად ასრულებდა თავის მოვალეობას და მისი სახელი, ორი განუყრელი მეგობრისთვის, თანადგომის, დახმარების სიმბოლოდ ქცეულა.

გიორგი ლეონიძისა და ლეული ლორთქიფანიძის მიჯნურობის ამბავი შეუმჩნეველი არ დარჩენიათ ქალის მშობლებს. მათ (ალბათ ნამეტანი სიხალგაზრდავისა და არამყარი მდგომარეობის, სიღარიბის გამო) შეუფერებლად ჩათვალეს გიორგი ლეონიძის სიძეობა და ქალიშვილი სასწრაფოდ შერთეს ცოლად თავიანთი ოჯახისა და წრისათვის უფრო სასურველ კაცს. ასეთ ქმედებას საშინლად დაუთრგუნავს შეყვარებულები და სავალალო შედეგამაც აღარ დააყოვნა.

იმ დროისათვის ლორთქიფანიძეების ოჯახი უკვე ახლანდელი აღმაშენებლის გამზირზე, გერმანიის საელჩოს გვერდით ყოფილა საცხოვრებლად გადასული. ერთხელ, როცა სადილობდნენ, ლელის შინაურებისთვის უთქვამს,

ცოტა ხნით უნდა დაგტოვოთ და მალე მეორე ოთახიდან სროლის ხმა მოისმა. ახალგაზრდა ლელი ლორთქიფანიძემ თავი მოიკლა, საფეთქელში პისტოლეტის ტყვია დაიხალა.

გიორგი ქავთარაძე ნაღველმორეული იხსენებს: პაპაჩემს, ეტყობა, თვალწინ ედგა და ტანჯავდა იმ ბედდამწვარი ქალის სახე. მუშტაიდის ბაღისკენ მიმავალი, როცა იძულებული იყო, ლელი ლორთქიფანიძის თვითმკვლელობის მოწმე, ავადგასახსენებელი სახლის გვერდით ჩაველო, ერთს გახედავდა იმ წყეულ შენობას, ფუი ეშმაკსო, იტყოდა და ფერდაკარგული, აფორიაქებული, ფეხს აუჩქარებდა, რათა მალე გასცლოდა იქაურობას

გასაკვირი არ არის, რომ გიორგი ლეონიძის პიროვნებას სამუდამო დაღი დაამჩნია თავზარდამცემმა ტრაგედიამ, რაც თვალნათლივ აისახა პოეტის შემოქმედებაში. მისი სატროფო, უფროსთა გაუმართლებელი წინდაუხედაობის მსხვერპლი, როგორც ითქვა, დიდუბის ეკლესიის მახლობლად დაკრძალეს. ამის თაობაზე სხვა აზრი არ მსმენია.

აქ საჭირო გახდება თვალის გაგადევნოთ პოეტის აღნიშნული პერიოდის ლექსებს, რათა რამდენადმე მწყობრი, თანმიმდევრული სურათი გამოიკვეთოს, ვიგრძნოთ მისი მოწყვლული სულის მღვლეარება.

გიორგი ლეონიძის ადრეულ ლირიკაში ცალკე დგას ელეგიური შეფერილობის თოთხმეტმარცვლიანი თეთრი ლექსი „ღამის ჩვენება“, რომელიც სწორედ ტრაგიკული ბედის ახალგაზრდა ქალს ეძღვნება. 1915 წლით დათარიღებულ ამ ლექსში ეს არამიწიერი სილამაზის, ნამდვილ ანგელოზად მოვლინებული არსება ჯერ კიდევ ცოცხალია, მაგრამ სტრიქონებში, ალაგ-ალაგ ფონავს ავი წინათგონობა, რაც, საბოლოოდ, უცნაურ ხილვას მწუხარე იერს აძლევს. „ღამის ჩვენების“ კითხვისას ჩვენს წარმოსახვაში ცოცხლდება გენიალურ შემოქმედთა მიერ დახატული იდეალურ ქალთა – ბეატრიჩესა და ოფელიას – სახეები; განსაკუთრებული სიახლოვე დანტეს სულიერ სამყაროსთან ჩანს, რაზედაც შემდგომ მოგვინებს ზოგიერთი რამის თქმა. ერთი შეხედვით მშვიდად მდინარი სტრიქონები დიდ შინაგან დაძაბულობას გვაგრძობინებს:

შუალამისას აივანზე ვზივარ დაღლილი და ფიქრებს მიმკობს შენზე ფიქრი სასიხარულო, მე მაგონდება შენი სახე ღიმილმორთული, შენი თვალები – ცისარტყელაშემოვლებული! ნეტამც აქ იყო! ღამე ვარდად გაიშლებოდა, არ იქნებოდა ეს ქვეყანა ჩემთვის სამარე.

ვარდის ხსენება, ღამის ვარდად გაშლის სურვილი შემთხვევითი არ არის. ვარდის ფერი და სურნელი გასდევს საოცნებო ქალის სახეს და ვარდის ტრადიციულ, ძველისძველ სიმბოლიკას ახალი ელფერი ეძლევა, ახალი სიცოცხლე ენიჭება. სამარის ხსენებამ ბუნებრივად დაბადა ხატი დაღლილი მთვარისა, რომელიც კუბოში ჩაჭედდით პატარა ქალთან არის შედარებული. ღამეში კაშკაშებს უკიდევანო ასტრალური სამყარო და ციდან მოწყვეტილი ვარსკვლავის ცეცხლოვანი გაელვებაც სხვანაირად შეაკრთობს აივანზე მჯდარს, თავის უიღბლო ხვედრს შეახსენებს. სწორედ ამ ადგილას სასოებით წარმოსთქვამს პოეტი შეყვარებულის სახელს, მის ახლოს ყოფნას დაჟინებით ნატრობს:

როგორც კუბოში პატარძალი – დაღლილა მთვარე, ირმის ნახტომით იპენტება ლურჯი ცისკიდე. მე კი ვჩურჩულებ: ლელი, ლელი, ნეტამც აქ იყო! ვერ ვამჩნევ ვარსკვლავს, ცეცხლის რკალად გასრიალებულს, ვერ ვამჩნევ, თორემ ჩემს ბედ-იღბალს შევადარებდი.

იგია ერთადერთი, ვისი ღიმილიც უნუგეშოს „გამქრალ გაზაფხულს“ დაუბრუნებდა. იგი წარმოუსახავს დამბანგველ ვარდად, რადგან მინიერი ყვავილების ფშვენას მისთვის შვება არ მოაქვს და ამ დროს ხდება უეცარი გარდასახვა – მთელი სამყარო თითქოს ვარდის უნაზეს ფურცლებში ეხვევა:

ვერ მათრობს ვარდი, ველარც ლურჯი იასამანი, შენი ფიქრები დამათრობენ მშვენიერებით! ვარდისფერ ნაბადს ისხავს ზეცა გაფითრებული, ვარდისფერ ფიქრით ტოკავს გული შეყვარებული, ასე მგონია: გამოჩნდები, ახლავე განახავ!..

ბოლო ფრაზის თქმისთანავე პოეტს უცნაური, დამაბრმავებელი ხილვა ეცხადება – მისი სათაყვანებელი არსება ოქროს ეტლში ზის, მზის სახედ, მზის ორეულად ელვარებს და ეს მოჩვენებითი ბედნიერება მღვლეარებისგან ამუნჯებს ყმანვილ კაცს, გაჩახჩახებულ მზედ მოვლენილი სასნაული მთვარის სხივებით ისირმება, რაც კარგის ნიშანი არ უნდა იყოს (გავიხსენოთ კუბოში ჩანვენილი პატარძლის სახე):

ვხედავ ოქროს ეტლს, მშვენიერი შორით მოსცურავს და ჰაერს არღვევს მღვლეარება ცეცხლის ფრთებისა, მესმის შენი ხმა, სიყვარულით ათრთოლებული, შენმა მერდინმა შორს, სივრცეში გაიფრიალა მოსჩანს ეგ სახე, მხიარული შუქის მფრქვეველი, მოსჩანს ჩემი მზე, მოსჩანს ჩემი ბედნიერება!.. მოუახლოვდი ჩემს აივანს და დადგა ეტლი, როგორ ციმციმით ჩამოდიხარ საფეხურებზე, მთვარის ნათელი სამოსელად შემოგხვევია

ზემოთ მოხმობილ ნაწყვეტში ნათქვამი იყო, რომ ვერც ვარდი და ვერც იასამანი ვერ ათრობდა შუალამისას აივანზე გარინდულს და რანამს „სიყვარულის ბედნიერება“ მოეახლა, ვარდის დარი ქალი იხილა, მყის დაიბანგა („გული ჩამიკვდა, ვით ყვავილში მთვარალი პეპელა“), გამოაგნებელი მშვენიერების მხილველმა ლაპარაკის უნარი დაკარგა და გულში დაგუბებული წმინდა გრძნობა თვალებს მიანდო („მხოლოდ თვალები მოგასმენენ უთქმელ სიყვარულს!“).

ლექსს მოკვეთილად აბოლოებს მწუხარე ამოძახილი, ორი სტრიქონი, რითაც ცხადი ხდება, როგორ ნატრობს პოეტი სამზეოდან გაუჩინარებას, ვინაიდან ღამეულმა ჩვენებაში მისი სული უჩვეულოდ დაამძიმა და ჩნდება გარდუვალის, ავის მტანჯველი მოლოდინი:

ახ! ვყოფილიყავ მაშინ ნუთი, ხომ გაქვრებოდი, არ აპყვებოდა ჩემს სიმღერას ცრემლის ნისლები.

„ლამის ჩვენების“ დაწერიდან ერთი წლის მერე, ძალდატანებით გათხოვებულმა ლელი ლორთქიფანიძემ (ეს ადრევე აღვნიშნეთ), ტრაგიკულად დაასრულა სიცოცხლე, თავი მოიკლა, რასაც მისი შეყვარებული მდუმარედ ვერ შეხვდებოდა. არაერთ ლექსში ჩანს კვალი ღრმა მწუხარებისა, ჭაბუკ გიორგი ლეონიძეს ლელი ლორთქიფანიძის დაღუპვამ რომ არგუნა. როგორც ამბობენ, ეს ტრაგედია გაზაფხულზე მოხდა; „აპრილის შაირს“ თარიღად 1916 წელი უზის. პოეტი ალგეორიას მიმართავს, ლექსის დასაწყისში, ბედისგან განწირულ სატრფოს ყვავილად იხსენიებს:

**ბაღჩას ჩავედი და ყვავილებს ვუაღერებდი,
ჩემსავით ობოლს და განწირულს მათში ვეძებდი
ვეძებდი ყვავილს, ღალატით რომ ჩამომჭკნარიყო,
მაგრამ ღიმილით განგმირული მათში არ იყო.**

სასონარკვეთა თანდათან ძლიერდება. მიუწვდომელ ოცნებად დარჩენილი ქალი გაუნღლებელ მწუხარებას ტოვებს პოეტის დაკოდილ გულში, ყოველი სტრიქონი მარადი სინანულის ოხვრას გამოსცემს:

**– ახ, ვინ იყავი, შორეულო, მაგრამ თვისტომო,
ვინ მაგრძნობინე სამუდამო ამაოება;
ახ, რარიგ მსურდა, შენს კალთაში ჩამერგო თავი
და განმეცადა შენთან ერთად უსაზღვროება!..**

ამავე რკალის შემდეგ ლექსს – „ვარსკვლავიდან ვარსკვლავამდე“ – ქვესათაურად აქვს „ყვავილები“, რაც გიორგი ლეონიძის სატრფიალო ლირიკისთვის ნიშანდობლივია. აქ ხორციელი ვნების ნიშანწყალიც არ ჩანს, პოეტის მზერა ცისკენ ინაცვლებს, იგი „საღვთო სიტყვას“ იშველიებს და სწორედ ეს არის, რითაც მისი რჩეული დანტეს იდეალს ემსგავსება. ყველაზე მკაფიოდ ამაზე ფინალური სტრიქონები მიგვანიშნებს:

**უხილავო მე ვერ ჩაგწვდი, სულსა ჰსწყურის
მარად სწამდე,
ის დაგეძებს საღვთო სიტყვით, ვარსკვლავიდან
ვარსკვლავამდე!**

ძალზე ლაღად იკითხება „აპრილის შაირებიდან“, სადაც თითქოს ტრაგიკული ტონალობა არც იგრძნობა, მაგრამ შეყვარებულთა შეხვედრა ემპირეაში ხდება, მინიდან ეთერულ სივრცეშია გადატანილი; იმას კი ვიგებთ, რომ ორივეს ლურჯი თვალები ჰქონია. ჯვარედინად გართმევის პრინციპი სამსტროფიან ლექსში თავიდან ბოლომდე არაა დაცული, მაგრამ ძალზე სასურველ შთაბეჭდილებას ახდენს სტრიქონთა თავისუფალი, დაუბრკოლებელი მდინარება. პირდაპირ არის ნათქვამი, რომ სიყვარულის საგანი „გაზაფხულის ვარდ-ბილიკებით“ შემოიჭრა პოეტის ცხოვრებაში და გვირგვინები შემოუწყო გარშემო მის ლექსს. ამდენად, ტირილსა და კვნესას საკმაო მიზეზი აქვს, რასაც საგრძნობლად ამძაფრებს ლირიკისთვის ესოდენ დამახასიათებელი კითხვითი მიმართვები. ნათქვამი რომ უფრო ცხადი გახდეს, მოვიტანთ წინა ორ სტროფს:

**ინკრიალებენ ოქროს ხმებით შენთვის სიმები
და ჩუმ ძახილში შენც ნარნარად დაიმალები;
შემდეგ შეხვდებით სიყვარულით განალიმები
და რას ეტყვიან კვლავ ერთმანეთს ლურჯი თვალები?**

**შენ შემოიჭერ – გაზაფხულის ვარდ-ყვავილებით
და გვირგვინებით შემოჭვინე ლექსი პირველი
თუ ახლაც ვსტირი, მასში რაა ღიმილის ღირსი,
თუ ახლაც ვკვნესი, მასში რაა გასაკვირველი?!**

ცხადია, ცოცხალ ადამიანს ასე არ მიმართავენ, ეს სულთა კავშირია. ლელი ლორთქიფანიძის სახით შთაგონებული შემდეგი ლექსი, რომელსაც უბრალოდ „შაირი“ ჰქვია, აშკარად მეტყველებს, რომ ლექსის ადრესატი აჩრდილთა სამყაროშია გადასული და პოეტი სინანულს ვერ მალავს მასთან გულსაკლავი შეხვედრის გამო. ეს აზრი ნათლად იკვეთება ლექსის მეორე ნახევარში, ბოლო ორტაეუბეში, საიდანაც, ამლერებული ტონალობის მიუხედავად ნაღველი გამოსჭვივის:

**გიმღეროდი: ყვავილი ხარ, ოცნებაში შლილი,
უკვდავების შაირი ხარ, მზეზე დაფერფლილი**

**მე შევდექი ვით შედგება დასასრულზე მთვარე
და ვიძახი: რისთვის გნახე, რისთვის შეგიყვარე?!**

გარდაცვლილ სატრფოსვე ეძღვნება რუსთველური მაღალი შაირით დაწერილი ლექსი „მოდავრიშე თვალები“, სადაც ქალი ვარდის ბაღადაა წარმოსახული, ხოლო მისი „ორი თვალი“, მიყოლებით, „ორ მინერალთან“ და „ორ გიჟ მეტეორთან“ არის შედარებული; მასვე მიმართავს, „ვარდისფერ ამეთვისტოს“ მიმსგავსებული თვალების გამო – „ჩემი გულის ჩუმ საყდარში ჰკრთიან თაფლის სანთელივით“. ეს რომ ხანმოკლე გატაცება არ ყოფილა, ყველაფრიდან ჩანს. პოეტის ფანტაზია ჭეშმარიტად უშრეტია და იჯერებ – არ არსებობს ძალა, რაც მათ ერთმანეთისგან გათიშავდა:

**ვეძებ კიდევ შედარებას:
ალუბლის ქვეშ ირმის წყაროს –
მას ვერავინ ვერ დამცალოს,
მას ვერავინ ვერ გამყაროს!**

ხსენებული ლექსის დაწერის მიზეზი უფრო გასაგები რომ გახდეს, აქ ერთი მცირე გადახვევა დამჭრდება. დეიდაჩემმა, ცისია კახიანმა, გიორგი ლეონიძის დისწულმა, უცნაური რამ მიაბო, თავისი ახალგაზრდობისდროინდელი: ადრიანი გაზაფხულის საღამო იყო. ბიძაჩემი გვესტუმრა. ხშირად იცოდა ჩვენთან შემოვლა, ყურადღებას არ გვაკლებდა, ყოველნაირად გვეხმარებოდა. იმ დღეს ზედმეტად აფორიაქებული მომეჩვენა. კარგა ხანს, შუშაბანდის მხარეს, აყვავებულ ბაღს გაჰყურებდა, პაპიროსს აბოლებდა. რატომღაც მოუნდა, ჩემთვის გული გადაეხსნა და სიჭაბუკეში ნანახი სიზმარი მომიყვა – გაუჭრელ წყვილადში თურმე ორი, აღმასივით მოელვარე თვალი დაუნახავს. მალე იმ თვალებს ორი დიდი, მბრწყინავი ცრემლი მოსწყევტია და სიბნელეში ჩაქანებულა, დანთქმულა. ის თვალებიც

ნამსვე გაუჩინარებულა. ამის მხილველს, ელდანაკრავს, შეძრწუნებულს, გამოღვიძებია. თეთრად გაუთენებია ის ღამე. მეორე დღეს თავისი შეყვარებულის დაღუპვის ამბავი გაუგია. ვინ იტყვის, როგორ მოეშხამებოდა გუნება, რა სასონარკვეთაში ჩავარდებოდა.

დეიდაჩემის მონაყოლმა დამაფიქრა. სიზმარმა მალე იცის დავინყება, აქროლება. ის საბედისწერო ხილვა კი გიორგი ლეონიძეს, ეტყობა, მთელი ცხოვრების მანძილზე არ მოშორებია. შთაბეჭდილება მექმნება, ამ ჩვენების ანარეკლი ყველაზე მეტად ჩანს ჩვენს მიერ მოხმობილ ლექსში „მოდავრიშე თვალბი“. სწორედ გულთამხილავ სიზმარს ეხმინება მასში ნახსენები „შენი ორი თვალი“, „ორი მინერალი“, „ვარსკვლავი ორად ორი“, „წვეთანკარა... ორი გიჟი მეტეორი“, „ორი მარგალიტი“. პოეტს ნაკლებად იზიდავს „ოქროთი მოკენჭილი“, „ვარსკვლავებით დაჩითული ცა“, რადგანაც უფრო წარმტაცი სილამაზე დედამინაზე იხილა:

**აქ ვარსკვლავი ნათობს ორი, ჩემგან ხშირად
დაღვესული;
საუბრად და შესაყრელად მათკენ ილტვის ჩემი სული.**

ამგვარივე ტონალობისაა ისევ ლელი ლორთქიფანიძის ხსოვნის უკვდავსაყოფად დაწერილი „ცრემლიანი ლექსი“, რომელშიც საკმაოდ უხვად არის გამოყენებული რუსთველისეული ფრაზები, ზმნის ფორმები თუ მიმართვები („დალალს ვარდი შეამკობდეს“, „შეეტრფიან“, „იტყოდიან“, „ჰანგსა ჰსთქვიან“, „ჰხედავ, ჩემო“, „მაგრამ, ჩემო“ და მისთანანი). ირგვლივ „სამიჯნურო, საგვირგვინო“ ყვავილების ზღვაა და საბედისწეროდ, ვინც ამ ყვავილებით უნდა შემკობილიყო, ცოცხალთა შორის აღარაა და პოეტს, პირიქით, გულს უქლავს, მწუხარებით ავსებს მათი სიმრავლე:

**მაგრამ, ჩემო, რისთვის მინდა, როს საფლავში
გძინავს წყნარად,
გაზაფხულის ვარდ-ზამბახებს ველარ შეხვდი
მოლიმარად,
მზის ამოსვლა და ძახილი, მწუხარების მექმნეს ზარად,
გარს ყვავილნიც იშლებიან ობოლ გულის შემაზარად.**

ამავე ციკლს განეკუთვნება და განცდის სიმძაფრით გამოირჩევა ლექსები: „სიყვარული“, და „***ეს ყვავილი ცისფერთვალა“, რომელთა სტრიქონებში გაბმული ვაება ისმის, ვინაიდან სატრფოს სპეტაკი სული „ქალწულებრივ ქვეყანაში: იქით მხარეს, იქით კიდეს“ ეგულება.

გარდაცვლილის სახელზე აღვლენილი მხურვალე ლოცვაა ამავე საზომით დაწერილი ლექსი „სულის თეთრი ლეგენდა“, სადაც თავიდანვე ნათქვამია – „სულის დედოფლის“ ბოლო გზა ვარდებით როგორ მოფინა პოეტმა და ყვავილებში პეპელასავით მოფარავტე მისი სული დაინახა. ესამუშება, მინიერმა რანაირად თქვას ღვთიური სიწმინდის ქება, ნარგისს და ბულბულს ალაპარაკებს მის არამქვეყნიურ მშვენიერებაზე და თავს იმშვიდებს, სიკვდილის უარყოფამდე მიდის, მოიარებით ამბობს თავის სათქმელს:

**სთქვა ბულბულმა:
სიკვდილშიგან იყო ისე მშვენიერი,
რომ სიკვდილმაც შეიცვალა სახე თვისი და იერი.**

**და მეც ვამბობ: არ ყოფილა არც სამარე, არც სიკვდილი,
გარდაქმნაა ყოველივე,
გარდაქმნაა შენი ჩრდილი.**

ლექსის მეორე ნაწილში გაცისკროვნებულს ხედავს სასუფეველში მყოფ სატრფოს და ნანობს, რომ იგი მინაზე იშვა (აქ შეუძლებელია არ მოგვაგონდეს რუსთაველისა და დანტესეული წარმოსახვით შექმნილი იდეალური ქალები – ნესტანი და ბეატრიჩე და რომ ეს შემთხვევითი, ზედაპირული პარალელი არ გახლავთ, მოგვიანებით უფრო დავრწმუნდებით). პოეტი მიღმა სამყაროში მყოფ სატრფოს ესიტყვება:

**ჰკითხე, ჩემო, იქაც ჩემო,
დილის შემდეგ რად ჰკრთის ღამე,
მინაზედან რისთვის იყავ, რად იცრემლე, რად ენამე?
და თუ გეტყვის დილის ნიავს, დილის ლექსად დააბარე,
რომ წმინდაა შენი მხარე,
რომ სიკვდილი – უკვდავების ზიარების არის მფენი,
რომ ღიმილით ეზიარე,
ცისკრის ფრთებით ანაფრენი.**

ლელი ლორთქიფანიძის მშვენიერების ჩაუქრობელი ათინათი დასთამაშებს ათმარცვლიან „მთვარის სიცილს“, სადაც კვლავ მისტირის პოეტი „სატრფოს ღიმილსა თუ სიმწუხარეს“. ამდაგვარივე სულისკვეთებისაა მისი მომდევნო უსათაურო „***განთიადისას მზეს ეშაირე“, რომელშიც გაცხადებულია გარდაცვლილის სიზმარული დაპირება – „მითხარ: მოგივალ ახალის ტრფობით და სამუდამოდ შემეყვარდები („ახალი ტრფობა“, შორეულად, დანტეს „ახალ ცხოვრებას“ გვახსენებს). აქ ჩანს, როგორ ენამება და დაექებს გაუჩინარებულის კვალს სამზეოზე დარჩენილი („მწუხრზე გაფრინდი... და დავილაღე შენზე ფიქრებით, შენის ძიებით...“) ამ ტანჯვას აბოლოვებს მხურვალე ვედრება პოეტისა, რომელიც ვერასგზით ვერ ეხსნება სატრფოს ხატს:

**ო, დამიბრუნდი, უძვირფასესო,
ვით განთიადი, ვით გაზაფხული!**

გიორგი ლეონიძის ადრეულ ლირიკაში ერთ-ერთი საუკეთესოა კვლავ ლელი ლორთქიფანიძის სამწუხარო ხვედრით დალდასმული თავისუფალი ლექსი „დღეს გადატყდა შენი სალამური“, რომლითაც, ვფიქრობთ, იწყება „ყიფჩაღის პაემანის“ ავტორის ნამდვილი ფერისცვალება, მისი განუშეორებელი ხელწერა. ამ ლექსის ცალკეულ მონაკვეთებად დანაწევრება ძნელად მოსახერხებელია და სრულყოფილად რომ აღვიქვათ, იგი მთლიანად უნდა ამოვიწეროთ:

**დღეს მოვსხლეთ ცრემლებს და ჩვენი თვალები
უკანასკნელად გააცილებენ შენს კუბოს...
მერე მე გავყვები შენს სიმღერებს და შენივე სევდით
დავავიროვებ ჩემს გრძნობებს...
მე ჩავიკეტები შენი სევდის სენაკში და დიდხანს,
დიდხანს
ვიგლოვებ საქართველოს ჩაჩქან-გვირგვინებს.**

ქარი წაიღებს ჩემს ფიქრებს და ღრუბლებად გაშლის ღამიან კოლხიდაში.

...იტირე, მხოლოდ მაშინ, როდესაც ჰრეკს ზარები შუალამისა, ცისკრად კი მოგვევლინეთ შენნი რჩეულნი და ამომავალ მზის სხივებით მოგიქსოვთ დიდების დროშას. იტირე! დღეს შენი სალამური გადატყდა და მისი ცრემლებიც დაე, შენს შავ წამწამებზე ჩამოგორდეს.

ეს ლექსი არცერთ მანამდე დაწერილს არ გავს – მკვეთრად განსხვავდება დანარჩენებისგან, როგორც გრაფიკული გამოსახულებით, ასევე მეტაფორათა აგების თავისებურებითაც; არათანაზომიერი სტრიქონები სრულიად განსხვავებულ რიტმს ქმნის (შორეულად შეიძლება გაგვასხენდეს ებრაელთა ბიბლიური მეფის, დავითის, ფსალმუნთა ამალღებულის მდინარება). ბოლო ორ აბზაცში გლოვის აღმნიშვნელი სიტყვის („იტირე“) განმეორებით ტრაგიზმის გრძნობა მწვერვალს აღწევს. აქ სავსებით ახალი ხედვა და პოეტიკა გვაქვს; დიდოსტატურად არის მოძებნილი ნანარმოების წერტილი. მონმენი ვხვდებით გასაოცარი პოეტური სახის დაბადებისა:

იტირე! დღეს შენი სალამური გადატყდა და მისი ცრემლებიც დაე, შენს შავ წამწამებზე ჩამოგორდეს.

როგორც ადრე ვნახეთ, იმ ლექსსაც („ღამის ჩვენება“), გიორგი ლეონიძემ ჯერ კიდევ ცოცხალ ლელი ლორთქიფანიძეს რომ უძღვნა, მწუხარე იერი დაჰკრავს, „ცრემლის ნისლებშია“ გახვეული და საერთოდაც, მთელ ლექსს გულის დამამძიმებელი წინათგრძნობა მსჭვალავს (ამის ერთი მაგალითი გიორგი ლეონიძის ცხოვრებიდან უკვე მოვიტანეთ).

არც ისე იშვიათია შემთხვევები, როცა შემოქმედი ადამიანები მოახლოებულ უბედურებას წინასწარ გრძნობენ. შექსპირის თანამედროვე გენიალურ ინგლისელ პოეტს, წმინდა პავლეს ეკლესიის წინამძღვარს ჯონ დონს ასეთი რამ შეემთხვა. მან ხათრი ვერ გაუტეხა თავის კეთილისმყოფელ სერ რობერტ დრურის, ვის სახლშიც იმჟამად ცოლთან ერთად ცხოვრობდა და იძულებული გახდა პარიზში წაჰყოლოდა. თვით რობერტ დრური უნდა ხლებოდა მეფე იაკობის მიერ საფრანგეთის მეფე ჰენრი მეოთხესთან წარგზავნილ ელჩს ლორდ ჰეის. ფეხმძიმე ცოლმა უთხრა ჯონ დონს, რომ მის არყოფნაში რაღაც საშინელება მოუვიდოდა, რასაც ქალი წინასწარ გრძნობდა. ცხადია, ამის გამგონე პოეტი კარგ გუნებაზე ვერ დადგებოდა, მაგრამ სხვა გზა აღარ ჰქონდა, თავისი კეთილშობილების გამო. პარიზში ჩასვლას თორმეტი დღე დასჭირდა. ორი დღის მერე მეგობართა წრეში წვეულება გაიმართა. რობერტ დრურის სტუმრები გააცილა და როცა ნახევარ საათში მობრუნდა, ჯონ დონი საშინლად აფორიაქებული დახვდა. მან სერ რობერტს უთხრა თუ რა თავზარდამცემი ჩვენება გამოცხადდა – იხილა, ოთახში როგორ გაიარ-გამოიარა მისმა ცოლმა და მკვდარი ბავშვი უჩვენა. მეორე დღეს რობერტ დრურის თავის მამულში მსახური გაგზავნა ამბის გასაგებად. მსახურმა თავად ნახა, რა ზუსტად ამხდარიყო ჯონ დონის წინათგრძნობა – მის ცოლს სწორედ უცნაური ჩვენების დღეს და საათს, აუტანელი ტანჯვის მერე, მკვდარი ბავშვი დაბადებოდა (ხუთი დღის მერე დედაც მიიცვალა). ეს ამბავი მოთხრობილი აქვს ჯონ დონის მეგობარსა და პირველ ბიოგრაფს ისააკ უოლტონს თავის დიდად ფასეულ წიგნში.

ნათგრძნობა – მის ცოლს სწორედ უცნაური ჩვენების დღეს და საათს, აუტანელი ტანჯვის მერე, მკვდარი ბავშვი დაბადებოდა (ხუთი დღის მერე დედაც მიიცვალა). ეს ამბავი მოთხრობილი აქვს ჯონ დონის მეგობარსა და პირველ ბიოგრაფს ისააკ უოლტონს თავის დიდად ფასეულ წიგნში.

ყველაფრიდან ჩანს, ამ ტრაგედიის მერე პოეტი მთელი ცხოვრების მანძილზე დათრგუნული იყო. გარდაცვალებამდე რამდენიმე დღით ადრე წარმოთქმულ ერთ-ერთ უძლიერეს ქადაგებაში ჯონ დონი, სხვათა შორის, ამბობს: „ჩვენ, დედის საშობი ჩასახულები, ჭეშმარიტად მკვდრები ვართ, იმდენად, რომ არც ვიცით თუ ვცოცხლობთ ისევე, როგორც ღრმა ძილში და არ არსებობს ქვეყნად უფრო ვინრო სამარე და უფრო მყრალი საპყრობილე, ვიდრე ეს საშობი, ჩვენ რომ მასში საჭირო დროზე მეტხანს დავრჩეთ ანდა ვადაზე ადრე მოვკვდეთ. სამარეში მატლები კი არ გვკლავენ, ჩვენ ვამრავლებთ და ვასაზრდოებთ მათ, ხოლო შემდეგ ვზოცავთ მატლებს, რომლებიც თავად გავაჩინეთ, საშობი მკვდარი შვილი კი კლავს დედას, რომელმაც ჩასახა იგი და ხდება მკვლელი, უფრო მეტიც – დედის მკვლელი, თვით იმის მერე, როცა თავად კვდება“.

ეს საბედისწერო შემთხვევა თავად ჰქონდა განცდილ-გადატანილი ჯონ დონს და ასეთი შემადრწუნებელი ძალით იმიტომაც აღწერა; დაგვანახა, რა ჯოჯოხეთურ გარემოშია მოქცეული ღმერთის ქმნილება – ადამიანი, რომელიც, დაბადებამდე, ფატალური ძალების ტყვეობაში იმყოფება, ვინაიდან „თვალეში გვაქვს და ვერ ვხედავთ, ყურნი გვასხია და ვერ ვისმენთ“.

საგულისხმოა, რომ ქალის სხეული და საშობი ბიბლიაში „სიკვდილის სახლად“ არის მიჩნეული, რასაც თავად აღნიშნავს წმინდა წერილის უბადლო მცოდნე, გამოჩენილი საეკლესიო მოღვაწე, უდიდესი პოეტი-მეტაფიზიკოსი ჯონ დონი.

აქ კვლავ მოგვიხდება გიორგი ლეონიძის ამავე ციკლის კიდევ სამი, 1917 წლით დათარიღებულ, განსხვავებული ჟღერადობის ლექსზე დაკვირვება, სხვადასხვა კუთხით რომ წარმოგვიდგენს უძვირფასესი ადამიანის დაუვინყარ სახეს.

პირველი მათგანი („ლელის“) ყველაზე მცირეა და მასში არაჩვეულებრივი სინაზით არის დახატული მიუწვდომელ ოცნებად დარჩენილი არამიწიერი არსება, ვისაც სამარისთვის ვერ იმეტებს, ეთაყვანება. ფაქიზად შერჩეულ სიტყვიერ სამკაულს სამკაული ცვლის და ყოველ სტრიქონში იგრძნობა წმინდა სიყვარულის თანმხლები სასოება:

შველი ხარ თუ ზამბახი, სუფთა და მოკამარე, შენ მინისა არა ხარ, შენ არ გიცნობს სამარე.

შენ მთვარის ფეშქაში ხარ და ყვავილთა სამოსი, შენზე ფიქრიც სურნელობს, ვით ცეცხლზე ბალსამოსი –

ჩემთვის თვალმუეღვამო, ჩემგან შესამკობი ხარ – ერთი ხარ და ზარიფი, ათას ყვავილს ჯობიხარ.

მეორე ლექსიც თითქმის ასევე დასათაურებული („ლელის“), ამკარად ტრაგიკული ტონალობით არის აღსავსე და იგი უკვე მინას მიბარებული შეყვარებულის კაეშნიანი დატირება, მისი ამაოდ ძებნაა („დიდხანს ვეძებდი უხილავ სახეს, დიდხანს ვეძებდი სახეს ღმერთისას...“) შეუძლებელია არ შეგვგრძნობს ვაებამ ვაჟკაცისა, ვინაც ასეთი ფასდაუდებ-

ლი საუნჯე „კუბოში მდებარე“ დაინახა. სასონარკვეთილ პოეტს სატრფოს იდეალად ქცეული, უცერად გამქრალი უმანკოება ბეატრიჩესავით ნათელმოსილად ესახება; ცხოვრების ამოებასთან გადაჯაჭვული ათასნაირი კითხვები უსერავს გულს და ამ საბედისწერო შემთხვევის გამო თავის თავს ადანაშაულებს, დემონად იხსენიებს. უნუგეშო და მღელვარეა ეს ხმა:

**საით მიდიან? – არას ამბობენ... თვით არ იციან,
რისთვის კვდებიან –
გულით ცივნი და უსიცოცხლონი მიმქრალ
თვალეებით გვეთხოვებიან...**

**და რაც ძიებამ ვერ მომანიჭა, ის შენში ვპოვე,
ო, ლელი, ლელი;
სახე წარმტაცი, ყვავილოვანი, სახე ძვირფასი
და მომხიბველი.**

**მე შენს თვალეში ამოვიკითხე, რად მომევილინე
მინას ვნებული,
როგორც დემონმა გიპოვე, ლელი! ხილულ ღვთაებად
მოვლინებული.**

სრულიად უეჭველია, რომ მესამე ლექსიც – „ლურჯი თვალი“ – ლელი ლორთქიფანიძეს ეძღვნება, მისი მშვენიერების, სრულყოფილების გასაცოცხლებლად არის დანერგილი და მთავარი ყურადღება აქაც სატრფოს თვალთა განუმეორებელ ელვარებაზეა გადატანილი; ერთმანეთზეა ასხმული თვალთან დაკავშირებული იშვიათი სილამაზის შედარებები და მეტაფორები, სიახლით რომ გამოირჩევიან და ამავე დროს რუსთველისეულ ხატებსაც ვგავონებენ:

**ლურჯი თვალი, ლურჯი მხერა, შავშუბა და ისარა,
ვით აპრილი, ვით ყვავილი, შუქურა და ცისკარა,
როგორც ორი ლურჯი ცა, ცისარტყელით ხეული,
შავ ლერწამთა ქალაში ნაზად გამომწყვდეული.**

პოეტს მომარჯვებული აქვს კონტრასტის უძველესი და უბერებელი ხერხი, რაც ასე უხდება და ლაზათს მატებს ლექსს. აქ არის ხმები და მოტივები, შემდგომში კიდევ უფრო რომ დახვენა და სრულტყო გიორგი ლეონიძემ, ახალ სიმაღლეზე აიყვანა. ამის ნათელსაყოფად კიდევ რამდენიმე სტრიქონს მოვიტანთ, ჭაბუკი შემოქმედის მზარდ ოსტატობაზე რომ მეტყველებს:

**თვალი ლურჯად ქებული, ლურჯად გამომზირალი,
ხან ვერცხლოვან ღიმილით, ხან ნისლივით მტირალი;**

**და მაგ თვალთა ციალით, მარად გავიმსჭვალე,
ცას ცისკარი ანათებს, ჩემს გულს – შენი თვალეები.**

**ნახველი...
და ნახველი, დამიტოვე ნალველი,
ცისკარი-ლა მშთენია, შენი გამომსახველი.**

პოეტური ხერხებიდან გიორგი ლეონიძეს განსაკუთრებულად უყვარს განმეორება და მუდამ ოსტატურად იყ-

ნებს მას. უკიდურესი სინანულის გამომხატველი და ამავე დროს ლაღად, სიმღერის კილოზე ნათქვამი ესოდენ ექსპრესიული ფრაზა („ნახველი... და ნახველი...“), მის მოგვიანებით დანერგულ შედეგში – „სიმღერა პირველი თოვლისა“ – ოდნავ სახეცვლილად გამოყენებული, კიდევ უფრო დიდ შთაბეჭდილებას ახდენს. ძნელია ამაზე მოხდენილად, გულშიჩამწვდომად გაეტირო სიყმანვილეს, რომელიც ხელიდან გისხლტება:

**ნასულა და ნასულა,
ნეტა საით ნასულან
ის პატარა სიზმრები?
სიჭაბუკის დღეები
შორიდან მომბლავიან,
როგორც მთიდან ირმები.**

ამ საზომისა და ტონალობის ლექსები უხვადაა გაბნეული გიორგი ლეონიძის პოეზიაში. შეგვიძლია ერთი პარალელიც მოვიხმოთ თვალთა სილამაზესთან დაკავშირებული ზემოთ მოტანილი სტრიქონისა („ცას ცისკარი ანათებს, ჩემს გულს – შენი თვალეები...“) ასევე მოგვიანებით დანერგილი (1934) საუცხოო სატრფილო ლექსიდან – „ტყუპი იაგუნდები“, რათა ცხადი გახდეს, როგორ ამრავალფეროვნებს პოეტი თავის ადრინდელ სახე-სიმბოლოებს:

**მთებზე მთვარის ნამქერი,
ზედ ზოლები მკრთალები
და შენი, მშვენიერო,
დასათხრელი თვალეები!**

ვერ ვიტყვი – ლელი ლორთქიფანიძისადმი მიძღვნილი ყველა ლექსი გახდა ჩვენი დაკვირვების საგანი, მაგრამ „მკრთალი იაშმა“ რომ ამ ქვეყნიდან ნასული სატრფოს მნარე გამოგლოვება და მასში ლელი ლორთქიფანიძე იგულისხმება, სრულიად აშკარაა. 1917 წელს სხვას არავის მიმართავდა იგი ასე: „ვეღარ ვიპოვი შენს ლამაზ თვალეს...“, „უძვირფასესო, არ დაბრუნდები“. აქ, უპირველეს ყოვლისა, საყურადღებოა უჩვეულოდ თამამი, ჭეშმარიტად ლეონიძისეული და, ამდენად, სიახლით აღბეჭდილი სახეები: „შენი თვალეები, როგორც მტევანი“, „შენი ტუჩები – ვით სანახველი...“

ამ შედარებებიდანაც ჩანს, გიორგი ლეონიძე სამყაროს დიონისური ხედვისკენ რომ იჩენს მიდრეკილებას.

ამავე ლექსის ბოლო სტროფში კი ილანდება სიმბოლიზმის მხატვრული სამყაროდან მომდინარე მეტაფორები, რომელთა მსგავსი ვალერიან გაფრინდაშვილისა და ტიციან ტაბიძის პოეზიაში შეინიშნება. ნაკლულევანი, დისონანსური სარიტმო წყვილი კი (გითვლი-სიყვითლე) იმაზე მეტყველებს, რომ კლასიკური სისადავის მიმდევარი პოეტი ჯერ კიდევ მაჭარივით დაუდულარია, ჯიუტად ეძებს თავის ნამდვილ სახეს:

**ნისლებს გაჰყვები რაღაც განგებით,
მე კი სიმღერებს ამაოდ გითვლი;
გკოცნიან თეთრი ფარშევანგები
და შემოდგომის ჭლექი სიყვითლე!**

„ჭლეკი“ ამ შემთხვევაში ეპითეტად არის გამოყენებული და ფერმკრთალ სიყვითლეს აღნიშნავს, რაც პოეტს გარდაცვლილის იერის დასახატავად დასჭირდა. აღსანიშნავია, რომ ფარშევანგს მრავალი სიმბოლური გამოხატულება აქვს. მათ შორის შეიძლება დავასახელოთ: სიამაყე, ზეციური დიდება, შეუბღალავი სული; იგი სამოთხის ფრინველადაც ითვლება (ფრინველი, ჩიტი მითოლოგიაში გარდაცვლილის სულს წარმოსახავს), ხოლო წელიწადის დროებიდან შემოდგომას განასახიერებს. თეთრი ფარშევანგები სამოთხის ბინადართა, ანგელოზების იერზე, ფერზე მიგვანიშნებს და „შემოდგომის სიყვითლეს“, როგორც ვხედავთ, ფარშევანგთან არის დაკავშირებული, ყოველივე ეს კი ბუნებრივად მიესადაგება ტრაგიკულად დაღუპული ახალგაზრდა ქალის უმნიშვნელო პიროვნებას.

* * *

ლელი ლორთქიფანიძისადმი მიძღვნილი ლექსების განხილვისას რამდენჯერმე ვახსენე დანტეს მუზა – ბეატრიჩე პორტინარი – ლვთაებრივი შესახედაობის, ანგელოსური ბუნების არსება, რომელიც შეუღარებელი ძალით განადიდა და სამუდამოდ უკვდავო გენიალურმა ფლორენციელმა. თავიდან ბოლომდე ბეატრიჩეს პიროვნებით არის შთაგონებული დანტეს ახალგაზრდობისდროინდელი გასაოცარი ქმნილება, „ვეროპის პირველ ფსიქოლოგიურ რომანად“ აღიარებული „ახალი ცხოვრება“, რომელსაც დანტე თავისი „მეხსიერების წიგნს“ უწოდებს და რომელშიც დანტერილებით, სტრიქონ-სტრიქონ არის განმარტებული ბეატრიჩესადმი მიძღვნილი კანტონები და სონეტები. ცხრა წლისამ იხილა დანტემ თითქმის მისი თანატოლი, გამოგონებული სილამაზის, „უკეთილშობილეს, „სისხლისფერ-მენამულ სამოსელში“ გამოწყობილი გოგონა. მოგვიანებით დანტერილ, ბეატრიჩესადმი მიძღვნილ პირველსავე სონეტში დანტემ წინასწარ იგუმანა, რომ იგი მალე დაიღუპებოდა.

პირველი ნახვიდან ცხრა წლის მერე, პოეტი კვლავ შეხვდება უკვე დაქალბუღულ, თვრამეტი წლის ბეატრიჩეს, რომელსაც მასზე უფროსი ორი ბანოვანი ახლავს. ბეატრიჩე მიესალმება დანტეს, რითაც ენით აუნერულ ნეტარებას ანიჭებს. ამჯერად მას უბინოების აღმნიშვნელი თეთრი სამოსელი აცვია. „განსანმენდელი“ (***, 31-33) ბეატრიჩე კვლავ ალისფერ სამოსელშია.

ამ შეხვედრის შემდგომ დანტეს ესიზმრება, რომ მის ოთახში შემოიჭრება ცეცხლისფერი ღრუბელი. მერე ხედავს მძინარე შიშველ ქალს, რომელსაც სისხლისფერი ქსოვილი აფარია. მას ეალერსება ამური, ვისაც ხელთ ბეატრიჩეს გული უჭირავს. დანტეს ერგვნება, ამური აღვიძებს მძინარეს, აძალეებს მისივე გულის ჭამას. უეცრად შეყვარებულთა მეუფე ქვითინს იწყებს და ბეატრიჩესთან ერთად ცად ამალდებდა.

„ახალი ცხოვრების“ ერთ-ერთ უკანასკნელ, ოცდამეცხრამეტე თავში დანტეს ეცხადე-

ბა უძლიერესი ჩვენება და ბეატრიჩე კვლავ სისხლისფერ სამოსელშია. მალე იმ ქალაქის შუაგულში, სადაც ცხოვრობდა და გარდაიცვალა უკეთილშობილესი დამა, დანტე ქუჩაში შეხვდება პილიგრიმებს, ორ კეთილშობილ ქალბატონს, რომელთაც მათი თხოვნის შემდეგ უგზავნის ბეატრიჩესადმი მიძღვნილ ლექსებს; მათ შორის, ერთი ასე იწყება: „ჩემს მწუხარებად, დაე, უღერდეს ჩემი სალამი...“, ხოლო პოეტის მიერ მოხმობილ ბოლო სონეტში, სადაც მისი ამოოხვრა ზეცისკენ – გაბრწყინებულ დარბაზისკენ მიექანება, იგი კეთილშობილ ბანოვანებს დასასრულ ასე მიმართავს:

მაგრამ შორს არის ბეატრიჩე სიღრმეში ცათა სახელი მისი მესმა, ჩემო ქალბატონებო.

ამ სონეტს კვლავ მოსდევს საკვირველი ხილვა და დანტე აღთქმას დებს, მეტი აღარაფერი თქვას ღვთივკურთხეულზე, სანამ უფრო ღირსეულ რამეს (აქ იგულისხმება უკვე ჩაფიქრებული „ღვთაებრივი კომედია“) არ შექმნის. უზენაესს ევედრება კიდევ რამდენიმე წლის სიცოცხლე მისცეს და მაშინ „იგი იმედოვნებს, თქვას მასზე ის, რაც არასოდეს არცერთ ქალზე არ თქმულა“. მართლაც ასე მოხდა, გენიამ დანაპირები შეასრულა – მსოფლიო პოეზიაში ძნელად მოიძებნება „ღვთაებრივი კომედიის“ ბადალი ქმნილება.


ჩვენ ადრე ვნახეთ, რუსთაველის ტრადიციების ერთგული გიორგი ლეონიძე რა ხშირად მიმართავს ვარდის სიმბოლიკას, ლელი ლორთქიფანიძის გარეგნობასა და შინაგან სამყაროს როცა ხატავს. ცხადია, მასშტაბების გამო, შესაძარებლად ნაკლებად გამოდგება, მაგრამ აქ შეიძლება გავვახსენდეს „ღვთაებრივი კომედიის“ დასასრული, კერძოდ, „სამოთხის“ სიმღერები, ბეატრიჩე, წმინდა სულელებთან ერთად, ტბაში აღმოცენებული გიგანტური ვარდის ფურცლებში რომ ჩაესვენება.

იტალიური წარმოშობის გამოჩენილ გერმანელ მოაზროვნესა და ღვთისმეტყველს რომანო გუარდინის (1885-1968) აქვს უღრმესი ესსე „ვიზიონერული ელემენტი „ღვთაებრივი კომედიაში“ (1946), სადაც მრავალი ნახნავით არის წარმოდგენილი ეს დიდებული სიმბოლო. ხსენებულ ესსეში, რომელიც ცნობილმა მწერალმა და თეოლოგმა ვიქტორ რცხილაძემ თარგმნა, მოხმობილია „სამოთხის“ სიმღერების რამდენიმე ნაწყვეტის ბნ.კარედი, რომელთა მცირე ნაწილს ჩვენც დავიმონწმებთ:

„ნათელი ვარდის ხატში მეჩვენა წმიდა გუნდი, რომელთანაც ქრისტე თავისი სისხლით დაქორწინდა.

მაგრამ მეორე, ფრთებით ატყორცნილი მის დიდებას უჭვრეტს და გალობს, რომელზედაც მისი სიყვარული აღინთება, და მისი სიკეთე, რომ მან იგი ასე ლამაზად შექმნა.

მსგავსად ფუტკრების გუნდისა, რომელიც ყვავილებში ეშვება, ხოლო სხვა შინ ბრუნდება, სადაც მათი გარჯა ტკობად გადაიქცევა.



ასე ჩაეშვება იგი ყვავილში, რომელიც მრავალი ფურცლის მშვენიერებას თავის გარშემო აღმართავს, და შემდგომ კვლავ მიბრუნდება იქით, სადაც მისი სიყვარული მარადიულად სუფევს.

ყველა მათი სახე იყო ცოცხალი ალის, მათი ფრთები – ოქროსი, და დანარჩენი ისე თეთრი, რომ ვერავითარი თოვლი (სინმინდით) მას ვერ გადაამეტებს“.

ღრმა, ზუსტი, ვეებერთელა ცოდნის ნაყოფი, ბევრის მთქმელია დიდი სწავლულის განმარტებანი, ციტატას რომ მოსდევს:

„ფუტკრები არიან ანგელოზები, რომლებიც ტბაში ყვინთავენ, რათა მისი სინათლის სისავსე ნეტარებს მიუტანონ და მათგან კვლავ სინათლის ფსკერს დაუბრუნდნენ – გამობატულება ყველა მხრივ ჩაქსოვილი სიყვარულისა და სიცოცხლის კავშირისა.

რას ნიშნავს ეს მთლიანობაში?

შევაჯამოთ: საქმე ეხება სიმბოლოს, რომელიც ჰარმონიულ წესრიგში გაერთიანებულ მრავალფეროვნებებს გამოხატავს. ვარდი შეიცავს ადამიანთა ყოფიერებას მისი პიროვნებებითა და ქმედებებით, რომლებიც შევიდნენ მის მარადიულ ფორმაში. იგი არის ღმერთთან მისული და მასთან კავშირში აღსრულებული ქმნილება. მაგრამ ყვავილის ფორმა ნიშნავს, რომ აღსრულებული ყოფიერების ხასიათი არის მისი მშვენიერება, წმიდა აყვავება ყოველგვარი მიღწევისა და სარგებლის მიღმა“.

რომანო გუარდინი თვით დანტეს ქმნილებიდან ამოდის, როცა ფიქრობს, რომ „ღვთაებრივი კომედიის“ ფინალში ვარდი ზეციურ ქალაქს შეენაცვლა და, ამდენად, ბუნებრივია „...ვარაუდი, რომ სურათი წმინდა ქალაქისა, აპოკალიფსისის ახალი იერუსალიმისა, თავის როლს ასრულებს ვარდში“. დანტეს აღწერილ სამოთხეში ახალ იერუსალიმად მოაზრებული ზეციური ქალაქი სხვებმაც შეიცნეს (შეგვიძლია დავასახელოთ დიდი ინგლისელი პოეტი უისტენ ოდენი).

რომანო გუარდინი ხაზგასმულად აღნიშნავს: „...დანტემ არა ქალაქის, არამედ ვარდის სურათი აირჩია. ამ არჩევანისთვის არ მოიპოვება არავითარი ისტორიული საფუძველი, მაგრამ იგი მომდინარეობს პოეტის უშინაგანესი შეხედულებიდან. იგი ყოფიერებას მართლაც შეიგრძნობს ასე, რომ უკანასკნელი რამ მის წესრიგსა და ხასიათზე ზემოქმედებდა მშვენიერების კატეგორიით უნდა გამოთქვას“.

როგორც მსოფლიოს, ასევე ქართული პოეზიის მრავალსაუკუნოვანი ტრადიციები მყარი ნიადაგი იყო საიმისოდ, რომ გიორგი ლეონიძეს ფართო სპექტრით გამოყენებინა ვარდის სიმბოლიკა. ჩვენ მხოლოდ ალაგ-ალაგ აღვნიშნეთ ცალკეული შემთხვევები, რაც საგანგებოდ არის შესასწავლი.

დანტეს მსგავსად, ახალგაზრდა გიორგი ლეონიძე არსად არ ამბობს, რომ სამომავლოდ იგი შეეცდებოდა თავისი პირველი, ტრაგიკულად დაღუპული, არამინიერი სილამაზის სატრფოს უკვდავსაყოფად, მისი შესაფერი, უფრო ღირსეული ქმნილება დაენერა. მიუხედავად ამისა, მან ასეთი რამ სიცოცხლის მიწურულს შესძლო და ეს გახლავთ გენიალური „ნატურის ხის“ საუკეთესო, განსაცვიფრებლად პოეტური მოთხრობათაგანი – „მარიტა“. მართალია, მოქმედება ავტორის მშობლიურ სოფელშია გადატანილი, მთავარი

გმირიც, შესაბამისად, ფარდაგებისა და ხალიჩების საკვირველი მქსოველი, ულამაზესი სოფელი გოგოა, მაგრამ მარიტას პროტოტიპი რომ ლელი ლორთქიფანიძეა, ამის თქმა არ უნდა იყოს უსაფუძვლო, რასაც თვით მოთხრობის ცალკეული პასაჟები დაგვიდასტურებს.

„მარიტას“ პირველივე სტრიქონები მზისა და ცეცხლის ფერებშია გახვეული (დანტეც, „ახალ ცხოვრებაში“, მეტწილად, ნითლით შემოსილს ხედავს და ხატავს ბეატრიჩეს) და ყველაფერი იქეთკენ მიდის, რომ გამოჩნდეს მთავარი გმირის გარეგნული ხატი – ბრონეულის ყვავილი. ყველაფერი საამისოდაა შემზადებული და ეს გაშლილი მეტაფორა მენამულ შუქს ფენს მოთხრობის ფინალსაც, რათა უზადოდ შეიკრას ნაწარმოების კომპოზიცია.

დავაკვირდეთ, რაოდენ ამაღლებული, დინამიური და ფერადოვანია მოთხრობის შესავალი ნაწილი, შორს გამიზნული შეკითხვით რომ იწყება:

„ვის არ უყვარს მზე?“

მზეს ესწრაფვის დიდი არწივი, პატარა ტოროლაც, „ცას ნავალო“, რომ წკრიალებს ყოველ დილით, აექანება ცისკენ მითოლოგიური ფრთებით.

პირველ რიგში ბრონეულს უყვარს მზე!

როგორ მწვავს ბრონეულყვავილის ნაეღვები გამოსხივებანი!

მიყვარს ცეცხლური ყვავილი, მზიანეთის სხივმფენარა აღნაკადი ოქრომდნარი, სეფესანთელივით რომ ბრდღვიალებს; მიყვარს მისი გულის ავსებულობა! თითქოს მზე სავსებით შეუნოვიაო.

არა, არ მჯერა, რომ იგი, სხვა ყვავილივით დასჭკნეს როდისმე, ჩამოცვივდეს, განქარდეს, ამტვერდეს! არა, არ მჯერა!

მზის ნაბადებია; მის კოკორში დაგუბებული სხივთა ნაგალობარი; შიგ ჩაწერილია ანკარა სხივთა რაკრაკი; მზისობა უჩანს თითოეულ ნაკვთში.

ყვავილი კი არა მზის ნაკადულის კამკამია! – ასე იტყვის გულისხმისმყოფელი!

ბუნების ასეთივე საჩუქარი იყო, ჩემს ოცნებას რომ შემოჰხვევია ბრონეულყვავილივით, – მარიტა! ნათლით სავსე, ლიმცისკროვანი ყვავილი ჩემი ყრმობისა!

მარიტა!

მარიტა თითქოს მზეს ჩამოვარდნოდა!

ქალი კი არა, – მთვარის გამოახლება იყო!“

გავიხსენოთ გარდაცვლილი ლელი ლორთქიფანიძის შესამკობად დაწერილი ლექსის სტრიქონი: „შენ მთვარის ფეშქაში ხარ და ყვავილთა სამოსი“. ამავე აზრის გამომხატველია ცოცხალი ზემოთ მარიტას მშვენიერებაზე მეტაფორულად ნათქვამი – „ბუნების საჩუქარი“.

პოეტს მინაზე ჩამოსულ, განსხეულებულ სასწაულად ესახება თავისი რჩეული და ამაღაც წერს ასე ამაყად, დაჯერებულად:

„მარიტას მერე მე აღარ გამკვირვებია არც ყინცვისის ღვთაებრივი ფრესკა, არც არმაზელი ტურფა სერაფიტა“.

„ახალი ცხოვრების“ მეცხრამეტე თავში ჩართულ მოზრდილ კანცონაში დანტე თვით ანგელოზს ათქმევინებს ბეატრიჩეზე: „ო, სამყაროს შემოქმედო, ამ წარმავალ დედამინას სასწაული მოეკლინა“.

ცად ამაღლებულ, ემპირეაში მყოფი სატრფოს სულს კი ჩვენს მიერ ადრე ციტირებულ ლექსში გიორგი ლეონიძე

ალგ ზნეულები მიმართავს: „შენ მიწისა არა ხარ, შენ არ გიცნობს სამარე“.

დანტეს დღე და ღამე ეცხადებოდა ბეატრიჩეს სახება. ვიზიონერული ხილვებით აღსავსე „ახალი ცხოვრების“ ოცდამეექვსე თავში იგი წერს – როცა ქალაქის ქუჩებში ბეატრიჩე გამოჩნდებოდა, ადამიანები ყოველი მხრიდან გამოვლინდნენ ამ სასწაულებრივი სილამაზის სანახავად და ბევრი მათგანი ამბობდა: „ეს ქალი კი არ არის, ზეცის ანგელოზთაგან ერთ-ერთი უმშვენიერესია“.

გიორგი ლეონიძის მოთხრობაში იგივე აზრი თავისებურად არის გამოხატული: „გადამეტი არ გეგონოთ და მარიტას მშვენიების სამზერად საგანგებოდ მოდიოდნენ მეზობელ სოფლებიდან. მოდიოდნენ და უყურებდნენ.“

– რამ წარმოქმნაო, ჰკვირობდნენ“.

„ნატურის ხის“ დამწერს არ ელევა ეპითეტები, შედარებები, ხატოვანი თქმები, მეტაფორები, სიმბოლოები, რათა რამდენადმე სრულყოფილად შეამკოს არნახული მშვენიერება, „ბუნების საჩუქარი“.

„ახლაც, ჩემს თვალწინ დგას აღმასური სახე, მწყაზარი. მოციმციმე ტრედონა, წყნარი, როგორც მაისის თეთრი ნვილა, ქალი მტევანით შემკობილი, ჩაკდემით მოსიარულე; ნაზი, როგორც ნიაგი, ვერხვში შეხიზნული.“

მართლაც, პირმეტყველი სამოთხე იყო მარიტა!

გიოცნებია ნუკრის თვალზე? (ლეელი ლორთქიფანიძის იმავე ლექსში ასე ეხმიანება პოეტი: „შველი ხარ თუ ზამბახი, სუფთა და მოკამარე...“ – ნ.კ.) გყვარებია მერცხლიანი თვალები? ძვირფასი სახის დამარმარება? მარიტას სახე მართლაც სინათლე იყო! ბრონეულის ყვავილივით ჰყვავდა მისი სილამაზე!

...

მარიტას სულის მშვენიერება აღემატებოდა მის გარეგან სილამაზეს! გულში ია ამოსდიოდა!“

ამ ნაწყვეტში შემთხვევითი არ გახლავთ მოსხლეტილი, მანათობელი ფრაზა: „მარიტას სახე – მართლაც სინათლე იყო!“ უმალ ისევე ჩნდება სამოთხეში დავანებული ბეატრიჩეს უკვდავი ხატი, რომელიც მთლიანად ნათელითაა ნაქსოვი. „სამოთხის“ ბოლო სიმღერებში პოეტს ბეატრიჩეს სახით ეცხადება „უბასრესი ნათელი, რომლის გაძლება თვალს არ ძალუძთ“ (XXVIII, 17, 18). სწორედ ბეატრიჩეა წერტილი, წყარო, ვისი მეოხებითაც დანტე „უნათლესი შუქით არის გარემოსილი“ (***, 49). ბეატრიჩე პოეტს „ნათელი ნაკადის სახით ევლინება“ (***, 61). ამგვარი მაგალითების მოტანა მრავლად შეიძლება.

გიორგი ლეონიძე მინიშნებათა ნამდვილი დიდოსტატია. ორიოდ ფრაზა, სოფლებების ერთმანეთთან გადააპარაკება და მოთხრობას ბუნებრივად ეწვის აბესალომისა და ეთერის ულამაზესი, მწუხარე თქმულება. ეს იმიტომაც არის შემზადებული, რომ მარიტა ეთერივით ობოლია, მასავით ღარიბი და პირმშვენიერი, ისიც უბადრუკ ქოხში ცხოვრობს. სოფლებების პანია დიალოგს რემარკა არ ახლავს, ყველაფერი ისედაც მისახვედრია:

„– გლეხის ქალი და ეგრე ლამაზი?

– განა ეთერიც გლეხის ქალი არ იყო, უღარიბესი მენისქელის ასული, მეფისწული აბესალომი რომ ეტრფოდა?“

დიდებულია ფონი, როცა ახალდაქვერევულ ჩაჩიკას ცხენზე შემოსმული პატარა მარიტა სიდედრთან, დიდება ლელაურთან მოჰყავს და თითონაც იქვე რჩება საცხოვ-

რებლად. აქ მხოლოდ ერთი უბრწყინვალესი აბზაცის მოხმობას დავჯერდებით და ამითაც ვიგრძნობთ კახეთის შემოდგომის ულეველ მაღლს:

„ენკენისთვის მიწურულები იყო, როცა ყურძნები დაკრეფილია, ქვევრები ნიგვზის ფოთლებით აყალოთი ახლად არის ნახურული, ეზოებში კი მოდებულია ბრელი ახალმოჭრილი სიმინდისა. ამ დროს მოყვითლული დღეები კელაპტარებივით იწვიან. ჰაერი გამჭვირვალეა, ცა ლურჯად ჩამდნარი, უციაგესი...“

ზღაპრული გარემოს გასაცოცხლებლად შერჩეული ფერები ზედმინვევით ესადაგება მარიტას მზერის მომტაცებელ გარეგნობას. კელაპტარივით მობრიალე „მოყვითლული დღეები“ და „ლურჯად ჩამდნარი, უციაგესი ცა“ თავის ადგილს იკავებს, როცა გიორგი ლეონიძეს კალმის მაგიერ თითქოსდა უფაქიზესი ფუნჯი უჭირავს და თითქოს ისე ხატავს მარიტას იერსახეს:

„ყვითელი აბრეშუმით თმა-კულუღი... ლურჯი თვლები... ისე ვიგრძენი, თითქოს ჩვენს ეზოში ია შემოვიდა, შემოვიდა და შემოფინა... მე შევდექი და ვაკვირებულმა ცქერა დაეინყე, მერე მონინებით მივუახლოვდი, ხმის გაცემა გავბედე და... მალე ერთად ვთამაშობდით მე და მარიტა!“

„ლურჯი თვლები“ უმალ ლელი ლორთქიფანიძეს გვაგონებს. ადრე ვნახეთ, რა მგზნებარებით წერდა გიორგი ლეონიძე გარდაცვლილი სატრფოს თვალთა სილურჯეზე. ცნობილია, ლურჯი ფერი ღვთისმშობლის ფერია და სწორედ ღვთისმშობლის მაღლი ფინება მის მოსახელე მარიტას, აგრეთვე, ამ პერსონაჟის მიღმა მდგარ ლელი ლორთქიფანიძესაც. ასევე ბუნებრივია სილურჯის დაკავშირება იასთან, რომელიც განსაცვიფრებელი სილამაზის გოგონას განასახიერებს. საერთოდ, „ნატურის ხე“ პირველი ფურცლებიდანვე იის სურნელითაა გაჟღერებული.

მარიტამ იცის – მისი თანატოლი ბიჭი ლექსებს წერს, თავის თავშიაც ხელოვანს ხედავს; ტყუილად ხომ არ არის მასზე ნათქვამი: „გაზაფხულის ყველა ფერით ხალიჩას ჰქსოვდა...“ ერთხელაც სთხოვს მისი სილამაზისა და ნიჭის მალმერთებელ ყმანვილს:

„– მომეცი შენი ლექსი, ამ ფარდაზე ამოვქსელო! – მეტვენებოდა, – აქეთ-იქიდან კი ვარდებს ამოუქარგამო! მაგრამ სად მქონდა ისეთი ლექსი, რომ ღირსი ყოფილიყო მარიტას გულსისყურისა, თუ მისი თითების შრომისა?“

ყოველმხრივ გამართლებულია, მარიტას შეყვარებულად გიორგი ლეონიძემ ალალი მწყემსი ბიჭი გედია ნათელიძე რომ გამოიყვანა. გვერდიდან მაყურებელი უფრო მარჯვედ და დამაჯერებლად აღწერს ქალ-ვაჟის ერთმანეთისადმი ტრფობას. გედია თვით ავტორის ორეულია და ეს იქედანაც ჩანს, თუ როგორ ეწურება გული, როცა მარიტა გაუბედურდება, ძალით გაათხოვებენ: „...შერთეს მარიტას უნდომი, უნდო, უსიყვარულო ქმარი შეთე-მლაშე, ყომრალი კაცი, მგლისფერი...“ მარიტათვის ნისლისფერი ცხოვრება დაიწყო...“

აქაც, უნებურად, ვახსენდება ასევე უნდომრად გათხოვებული და დანაცრებული ლელი ლორთქიფანიძე. უმთავრესი კი ის არის, რომ მოთხრობაში ყველაზე დრამატული ამბების აღმნიშვნელ დროდ ყურადღების მისაქცევი თარიღია დასახელებული – 1916 – ლელი ლორთქიფანიძის დალუპვის წელი და ესეც არ არის შემთხვევითი; იგი ჭვირნიშანივით არის ამოწვერილი ამ ნაწარმოებში და უბედურების მომასწავებელია.

ჩვენ აღარ შევუდგებით იმის განსჯას, რა სასტიკად მოექცა უბინო მშენებლებს ტლანქი სულის ტვინდაბნელებული ბრბო, რაოდენი შეურაცხყოფა აგემა, რის შემდეგაც „მარიტა აღარავის სჩვენებია“.

ერთადერთ ნინადადებაშია ჩანრეტილი და მოქცეული მისი მონამებრივი აღსრულება და აქაც უკანასკნელად, აბესალომის განწირული სატრფოა მოხსენიებული:

„მარიტა ზეზურად დადნა და სულ მალე უთქმელი სევდით გადავიდა ეთერის ქვეყანაში“.

მიხვდა „მისი ცოდვის მზიდველი სოფელი“, რა ამაზრზენი დანაშაული ჩაიდინა და მისი გულქვაობის გამოსყიდვას შეეცადა, ზღვა ცრემლებს აღვარღვალდა მისგანვე გამეტებულის კუბოსთან. აქვე ჩანს, როგორ მომაჯადოებლად გამოიყურებოდა წრეგადასული სიბნელის, დაუნდობელი უგუნურობის მსხვერპლი:

„მარიტას უხრწელი სილამაზე – მთვარის საშუბლე, პიტალო ვერცხლური სახე, დამარმარებული ყელი, – სიკვდილიშვიც კი მომხიბლაობდა“.

ადრე დამონმებულ, გარდაცვლილ ლელი ლორთქიფანიძეზე დაწერილ ლექსში („სულის თეთრი ლეგენდა“), როგორც ვნახეთ, ნათქვამია: „სიკვდილშიგან იყო ისე მშენიერი, რომ სიკვდილმაც შეიცვალა სახე თვისი და იერი...“ ეს თითქმის ერთი და იგივეა; სურათიც და განცდაც ორივეგან სრულიად მსგავსია.

ჭეშმარიტად გრანდიოზული, კოსმიური მასშტაბებისაა ის სურათები, მარიტას დასაფლავებას რომ მოსდევს. აქ ისეთი სიმალლე, ნიჭი და ოსტატობაა გამომჟღავნებული, რომ ალბათ გულგრილი თვით „ახალი ცხოვრებისა“ და „ღვთაებრივი კომედიის“ შემქმნელიც ვერ დარჩებოდა. ამის გონებით წვდომა და განჩხრეკა შეუძლებელია. ეს უნდა შეიგრძნო, განიცადო და დაინახო:

„უცბად მზე გაჩაღდა, აბრიალდა, თითქოს მისი ნაწილი მარიტა მასვე შეუერთდაო.“

მარიტას სიკვდილმა, როგორც ხალხი იტყოდა, – მთები გადააბნელა, ქვეყანა დააცარიელა, ქვა დაადნო, კლდე დაშალა...

ხალხური ლექსი იტყოდა: მარიტას სული პეპელასავით გაფრინდა და ანგელოზები ზარის რეკვით შეეგებნენო!

იმასაც იტყოდნენ, ზეცაში მტრედი აფრინდა მახარობლადო – მარიტა მოდისო!

საიქიოში – ოქროს სკამი მიართვესო, დაღლილსაო.

ღვთისმშობელს ეთქვა თურმე: ფერზე გეტყობა, ძლიერ დაღლილხარ, დაჯე, შვილო, შორიდან მომავალი ხარო!

იესო ქრისტემ კი ხელმანდილი ამოიღო, მუბლზე უნდა მოესვა, რომ გაეცოცხლებინა, მაგრამ ისეთი ლამაზი იყო, მინაზე დასაბრუნებლად ვერ გაიმეტაო, მოინდომა, სულ გვერდით ჰყოლოდა, ახლაც გვერდითა ჰყავსო ვარსკვლავადო...“

ნარმოუდგენელია იმაზე უკეთესი ფინალის მიგნება, გიორგი ლეონიძემ

სასწაულებრივი ძალისა და მომხიბველობის ქმნილებას რომ მოუძებნა. გადის წლები. უმშვენიერესი, უსამართლოდ და დაუნდობლად ჩაქოლილი არამინიერი არსება აღარავის ახსოვს. მხოლოდ მისი ყმანვილქალობის მონუსხული მხილველი ჩადის მშობლიურ სოფელში და ინახულებს „მარიტას ნაეზოვარს“. იქ რაც დახვდა, იმისი სხვაგვარად გადმოცემა შეუძლებელია:

„ირგვლივ ყოველივე დამუნჯებულიყო. ნამოსახლარზე მარიტას სახლის ნაკედლარებიც კი აღარ ჩანდა.“

იქ, სადაც მარიტას მამისეული სახლი იდგა, ახლა ქერის ბურღო ეყარა და ქათმებისგან გარს მტვერი და ბუნგალი ირეოდა.

ყოველივე ნალექილი იყო „ზვირთთაგან მღელვარისა ამის მიუნდობლის სანუთოსათა“.

აღარც ერთი ხე არ გადარჩენილიყო მარიტას ეზოში. მხოლოდ ძველი ქერის ადგილზე, თავისით ბრონეული ამოვარვარებულიყო.

ჩემს წინ, ახლად აყვავებული, ცეცხლისფრთიანი ბრონეული ყვავილი მილიმოდა, მარიტას სახესავით ალაკრული!

ვუყურებდი მხიარულ მზიან ყვავილს და არა მჯეროდა, რომ მარიტა აღარ ამშვენებს დედამინას! არც ის მჯერებოდა, რომ ამ მტვერსა და ნაგავში ასეთი ბრწყინვალე ყვავილიანი ხე ამოსულიყო თავისით!

მართლაც საიდან მოდის სილამაზე? ან სად მიდის? სად იკარგება, თუ დროებით მიეფარება?


ვინ იცის?“

მზესთან წილნაყარი ბრონეულის ყვავილი რომ მარიტას სიმბოლოა, ამას დიდი მიხვედრა არ სჭირდება, მოთხრობიდანვე იკითხება. ისიც ბუნებრივი და გამართლებულია, ბოლო სტრიქონებს კითხვის ნიშნები გარდვიგარდმო რომ სერავს.

ეს ადგილი უცნაურად ეხმიანება ლელი ლორთქიფანიძისადმი მიძღვნილ, ადრევე დამონმებულ ლექსს, სადაც ჭაბუკი გიორგი ლეონიძე, მომხდართ თავზარდაცემული, სამზეოდან მოულოდნელად გამქრალი ანგელოზური სინმინდის არსების გამო გაოგნებული კითხულობს: „საით მიდიან? არას ამბობენ. – თვით არ იციან, რისთვის კვდებიან...“

ამავე ლექსის ბოლოს, განდობილი იერით ეუბნება სატრფოს აჩრდილს: „მე შენს თვალეში ამოვიკითხე, რად მოვევლინე მინას ვნებული...“

ყოველივე იმისგან გამომდინარე, რაც ზემოთ ითქვა, აშკარა უნდა იყოს: „ნატვრის ხის“ გულისგული, ამ წიგნის გვირგვინი, „მარიტა“ რომ შექმნა, გიორგი ლეონიძემ თავის მიუნდომელ ოცნებას, უნუგემოდ დაფერფლილ, მინიერ ვნებებზე ამაღლებულ, რუსთველურ, ჭეშმარიტად ღვთაებრივ სიყვარულს და ამ სიყვარულის გაუხუნარ ხატებას – ლელი ლორთქიფანიძეს – მართლაც რომ ხელთუქმნელი, სამარადისო ძეგლი დაუდგა.



კიდევ ერთხელ უცნობ გალაკტიონზე

საქართველოში ყველას საკუთარი გალაკტიონი ჰყავს. ყველა თავის ნილ სულის საგზალს პოულობს მის პოეზიაში. ახლიდან აღმოსაჩენიც, როგორც ჩანს, კვლავ და კვლავ ბევრია ამ უძირო და უკიდევანო, იდუმალ სამყაროში.. ქვემოთ გთავაზობთ საუბარს, რომელიც ბატონი ლევან ჯაშისგან ჩავინერეთ. იგი განათლებით ინჟინერი გახლავთ, თუმცა, ვფიქრობთ, პოეზიისა და საზოგადოდ, მწერლობის სიყვარულით მრავალ ლიტერატორს არ ჩამოუვარდება. მან საკუთარი მოსაზრება გაგვიზიარა გალაკტიონის ერთ ლექსზე. კერძოდ, „გემი დალანდის“ შესახებ ვისაუბრეთ.

შეიძლება მკითხველმა თავიდან გაიკვიროს, გალაკტიონის პოეზიაში რაღა მაინცდამაინც „გემი დალანდი“ გამოვარჩიეთ?! შეგახსენებთ, ეს ლექსი გალაკტიონის საეტაპო ლექსად მიიჩნევა, რომელშიც პირველად არის ნახსენები ლენინი და კრემლი. აქედან გამომდინარე, მიჩნეულია ქართული ლენინიანის დასაწყისად, სათავედ.

მაგალითად, თენგიზ ბუაჩიძე წერდა: „რთული იყო გალაკტიონის გზა რევოლუციისკენ. პოეზიაში იგი შემოვიდა როგორც ხალხის მომავალ გამოსვლათა მომღერალი. შემდეგ იყო რუსული და დასავლეთევროპული დეკადენტური პოეზიით გატაცების წლები, ოღონდ მკვეთრად გამოხატული რომანტიკული სულისკვეთებით. დაბოლოს, „გემი დალანდი“ — მოგონება ლენინზე, პეტროგრადზე, მოსკოვზე“ („სიტყვა გალაკტიონზე“, „ლიტერატურული საქართველო“, 1974 წლის 5 აპრილი). იგივე აზრია გამოთქმული გრიგოლ აბაშიძის წერილში „ჩვენი ეპოქის დიდი პოეტი“, რომელშიც ვკითხულობთ: „გალაკტიონი თებერვლისა და ოქტომბრის რევოლუციების უშუალო შთაბეჭდილებებით წერს ლექსებს: „დროშები ჩქარა“, „რამდენიმე დღე პეტროგრადში“, „გემი დალანდი“... და წერილის ავტორი „გემი დალანდის“ ხსენებას მოადევნებს: „ოქტომბრის რევოლუციის გრანდიოზულობით შთაგონებული პოეტი საქართველოში ბრუნდება...“

საერთოდ, როდესაც გალაკტიონზე საუბარი, თითქმის ყოველთვის არის ნახსენები „გემი დალანდი“ და აუცილებლად იმ კონტექსტით, რომ ეს ამ ლექსში მთელი რევოლუციია, იმ ეპოქის სულისკვეთება გამოხატული და ასე შემდეგ. კომუნისტური ეპოქის კიდევ ერთი გამოძახილი გვინდა შეგახსენოთ — ეს მასალა გალაკტიონის 90-ე წლისთავეზე, მოსკოვში, კავშირების სახლის სვეტებიან დარბაზში გურამ ენუქიძის გამოსვლიდან გახლავთ. იმ დროის მაღალი რანგის ჩინოსანი თავის სიტყვაში ერთგან სხვა ლექსებს შორის ახსენებს „გემ დალანდს“, რომელმაც, მისივე სიტყვებით, დასაბამი მისცა ქართულ ლენინიანას.

მოკლედ, ამ მასალებიდან ჩანს, რომ ლექსის მიმართ ეს აზრი იმთავითვე „დაკანონდა“ — იგი არის რევოლუციური სულისკვეთების გამომხატველი და მისგან სათავეს იღებს ქართულ საბჭოთა პოეზიაში ლენინზე შექმნილი მთელი ნაკადი.

გავიდა წლები და ნოდარ ტაბიძემ მართებულად შენიშნა: „ბევრი ქართული ლექსი ახლებურ ნაკითხვას მოითხოვს...“

ჩვენს საუბარს, მაგალითად, დავარქმევდი: „კიდევ უფრო უცნობი გალაკტიონი“. ბატონი ნოდარი თავის წიგნს დოსტოევსკის ასეთი შინაარსის სიტყვებს ნაუმძღვარებს — ადამიანი არის ამოუცნობი საიდუმლო, რომელსაც უნდა ჩაწვდე და შეიცნო.



დავუბრუნდეთ ჩვენი საუბრის მთავარ თემას — ლექსს „გემი დალანდი“. რამ განაპირობა მისი შექმნა? სინამდვილეში პოეტის ცხოვრების ამ ეპიზოდზე ვიცით შემდეგი: გალაკტიონი მოემგზავრებოდა მოსკოვიდან, გაჭირვებით ჩამოაღწია ოდესამდე და იქიდან წამოვიდა გემი „დალანდით“. ბატონი ნოდარ ტაბიძე იხსენებს გალაკტიონის ერთ ჩანაწერს: „მასსოვს დალოლი ქარისაგან და დაფლეთილი ვიდეტი გემის ბაქანზე... გაისმა წმამალაი ძახილი — „გალაკტიონი!“ — მძლავრი ტაშისცემა და დაუფინყარი ოვაციები.“ ეს კი მხოლოდ და მხოლოდ პოეტის ფანტაზიის ნაყოფია. წერდა იმას, რაც ეოცნებებოდა.

საკითხავია ისიც, ნამდვილად ერქვა თუ არა ამ გემს „დალანდი“? ამ სათაურით ლექსი დაწერილია 1918 წელს. ყოველ შემთხვევაში, 1921 წლამდე, ვიდრე საქართველო რუსეთის მეთერთმეტე არმიის შემოსვლითა და ძალადობით თავისუფლებას დაკარგავდა.

მოდით, დავუბრუნდეთ უფრო ადრინდელ ხანას, 1914 წელს. გავიხსენოთ გალაკტიონის სხვა ლექსი „სანთლები“. ამ ლექსში მოთხრობილია ამბავი და მხოლოდ ბოლო სტრიქონი გამოხატავს გალაკტიონის, როგორც ავტორის აზრს: „როგორ მაგონებს ეს სანთლები ჩემს იდეალებს.“

ჩვენი აზრით, აქ არის გამოძახილი შუასაუკუნეების ცნობილი ლეგენდისა მფრინავ ჰოლანდიელზე. როგორ დავასაბუთოთ ეს მოსაზრება? ამ ლეგენდის უამრავი ინტერპრეტაცია არსებობს. თუმცა ძირითადი არსი ერთია: მფრინავი ჰოლანდიელის გემი არის გემი-მოჩვენება, რომელიც განწირულია. განწირულია, არასოდეს მიადგეს ნაპირს და ამიტომაც მასთან შეხვედრა „სამუდამოდ დაკარგვის“ მომასწავებელია. პოეტი ამბობს: „... და გემს უმიზნოდ საუკუნოდ დაავიანდა...“

ეს გემი კი არ მიცურავს, ზღვის ზედაპირს დაცლებული მიფრინავს და ისე მოძრაობს. ამიტომაც ჰქვია მფრინავი ჰოლანდიელი. ამ ლეგენდამ, როგორც ჩანს, გალაკტიონისთვის სიმბოლური დატვირთვა შეიძინა და ამიტომაც დაწერა ლექსი: „სანთლები“. როგორც მფრინავი ჰოლანდიელის გემისთვის მიუწვდომელია ნაპირი, ასევეა გალაკტიონისთვის მისი იდეალები.

ეს იდეა და ამ გემზე ფიქრი პოეტისთვის გრძელდება დიდხანს.

**დაილუპა ის ხომალდი დიდი ხანია,
ო, რამდენი მწუხარება ამიტანია,
იგი ან არ ქრის ზვირთთა შორის,
როგორც ჩვენება
და ლელვაში არ აქვს სული და მოსვენება...**

ერთ სხვა ლექსშიც, რომელსაც ჰქვია “დაილუპა ის ხომალდი”, ლაპარაკია მფრინავ ჰოლანდიელზე. როგორც ჩანს, პოეტისთვის წლების მანძილზე გრძელდება (1928 წლამდე) ამაზე ფიქრი და ლეგენდა მფრინავ ჰოლანდიელზე გალაკტიონისთვის ძალზე მნიშვნელოვანი მიგნებაა.

მეთხოთმეტე საუკუნის ამ ლეგენდას აქვს რეალური საფუძველი: იყო ვიღაც პორტუგალიელი მოგზაური, რომლის ცხოვრებისა და თავგადასავლის მიხედვით შეიქმნა ეს ლეგენდა. თუმცა თქმულების სხვადასხვა ვერსია არსებობს, რომლებიც მოვიძიეთ. საინტერესოა, რამდენად პოპულარული იყო იგი? ამის საბუთად ორიოდე ნიმუშიც იკმარება: მასზე დაყრდნობით შეიქმნა ჰაინრიხ ჰაინეს ნოველა და რიჰარდ ვაგნერის ოპერა „მფრინავი ჰოლანდიელი“.

სხვათა შორის, მეოცე საუკუნის ოციან წლებში ამერიკაში ერთ-ერთმა ავიაკომპანიამ გამოუშვა ბომბდამშენი, რომელსაც ერქვა „დალანდი“. მფრინავ ჰოლანდიელზე მივაკვლიეთ ასევე რუსი პოეტის — ნიკოლაი გუმილიოვის ლექსს. ეს ლექსი 1909 წელსაა დაწერილი და, ვფიქრობ, ეხმანება გალაკტიონის „სანთლებს“. შესაძლოა, გალაკტიონს ეს ლექსი ნაკითხულიც ჰქონოდა. ორივე ლექსის შთამაგონებლად მფრინავი ჰოლანდიელის ამბავი გვესახება.

ახლა გემის სახელწოდებაზე — „დალანდი“ შევაჩეროთ ყურადღება. ვაგნერმა ნაიკითხა ჰაინეს ნოველა (რიგაში ყოფნისას ნაუკითხავს). იქიდან ლონდონში წასულა გემით, მოხვედრილა საშინელ ლელვაში და ეს ორი რამ კომპოზიტორის წარმოსახვაში ერთმანეთს დაკავშირებია — ნოველა და ის, რაც გადაიტანა ამ საშინელ ლელვის დროს. ასე დაინერა ოპერა „მფრინავი ჰოლანდიელი“, რომლიც მონაწილე მთავარ პერსონაჟებზე ვხვდებით დალანდს — ნორვეგიელ მეზღვაურს და სენტას — მის ქალიშვილს... აქვე წერია, რომ კომპოზიტორმა მოქმედ პირებზე შემოიყვანა ახალი გმირები და მათ რიცხვში დალანდი ნახსენები არ არის. ამიტომ დალანდი ვაგნერმა გამოიგონა თუ მანამდე არსებობდა, ამას დარწმუნებით ვერ ვიტყვით. ვაგნერმა შექმნა ოპერა, რომლის პრემიერა 1843 წელს შედგა დრეზდენში. ანუ დიდი ხნით ადრე, ვიდრე გალაკტიონი ზემოთ ნახსენებ ლექსს დაწერდა.

ერთი რამ ცხადია, ზოგ შემთხვევაში „მფრინავი ჰოლანდიელი“ გემს ჰქვია, ზოგჯერ — კაპიტანს. ზოგ საოპერო დადგმაში დალანდი და მფრინავი ჰოლანდიელი ლამის გაიგივებულია; უფრო ორიული შეიძლება ვუნოდოთ. საგულისხმო ისაა, რომ ცალ-ცალკე არსად გვხვდება ეს ორი სახელწოდება. არადა, მრავალი ქვეყნის სცენაზეა ეს ოპერა დადგმული.

მოკლედ, ჩვენ დალანდს ვუკავშირებთ მფრინავ ჰოლანდიელს. ქართველ ლიტერატორებსა და მკვლევართან დალანდის ასეთი გაშიფრვაც კი გვხვდება, რომ გემი დალანდი უნდა ნავიკითხოთ, როგორც — გემი და ლანდი.

ყველაფერი ეს რისთვის გავიხსენეთ? ლეგენდის თანახმად, მფრინავ ჰოლანდიელს თურმე ვან დერ დეკენი ერქვა და მე-19 საუკუნის ინგლისელი მწერლის ფრედერიკ მარიეტის რომანის მიხედვით, წარმოშობით ქალაქ ტერნიოზენიდან ყოფილა. ერთგან სქოლიაში ისიც ამოვიკითხეთ, რომ „დალანდი“ ერქვა ამ ჰოლანდიელის გემს. ჰაინეს შემოუტანია ის ვერსია, რომ მფრინავ ჰოლანდიელს ჩადენილი ცუდი საქმეების გამო მისჯილი აქვს მუდმივად ყოფნა ზღვაში, მაგრამ შვიდ წელიწადში ერთხელ გადმოდის ნაპირზე და თუ იპოვის ქალს, რომელსაც ის მთელი არსებით

ბით შეუყვარდება, გადარჩება და მისი ტანჯვაც დასრულდება. იგივე ვერსიაა ვაგნერის ოპერაში. ნაპირზე გადმოსული კაპიტანი გადაეყრება დალანდს, რომელსაც მოჰყავს სახლში, გააცნობს თავის ქალიშვილს და გადწყდება მათი შეუღლება, მაგრამ მფრინავი ჰოლანდიელი თავისი საცოლის საუბარს მოჰკრავს ყურს ერთ ახალგაზრდა კაცთან, ეჭვით აღივსება და ჩათვლის, რომ ქალმა უღალატა. იმედგადაწურული და ხელჩაქნეული გაეცლება იქაურობას. ამის შემდეგ სასონარკვეთილი სენტა ხტება ზღვაში, მფრინავ ჰოლანდიელიც იღუპება. თუმცა მათი სულები იმქვეყნად მაინც ერთდებიან; ამქვეყნად ვერა, მაგრამ იმქვეყნად შეიყრებიან. ასეთია ამ ნაწარმოების ქარგა.

ეს ყოველივე რატომ გავიხსენეთ? გალაკტიონის ლექსი „გემი დალანდი“ ასოცირდება მფრინავი ჰოლანდიელის გემთან, რომელიც ვერასოდეს მიადგება ნაპირს და, აქედან გამომდინარე, სულ სხვა აზრსა და შინაარსს იძენს. უკვე ვეღარ ვიტყვით, რომ ის არის ლენინიანის სათავე. კიდევ ერთხელ გავიხსენოთ მისი სტრიქონები: „...შენ და მოსკოვი, პეტროგრადი, ლენინი, კრემლი...“ აქ განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს სიტყვა „შენ“. ან კიდევ: „მე მივდიოდი, მაღლა იდგა გემი დალანდი.“ რას ნიშნავს „მაღლა იდგა“? მაღლა დგას, წყალს არის აცილებული მფრინავი ჰოლანდიელის გემი.

მაგრამ სამშობლოს ძველი გზებით ვეღარ მოვაგენ და არ მახსოვდა მქონდა იგი თუ მომაგონდა?

ამასთან დაკავშირებით გავგახსენდა რუსეთიდან მოწერილი ერთ-ერთი წერილი, ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობის წლებში დაწერილი. მასში გამოხატული იყო ქართველთა ავი წინათგრძნობა: მართალია, საქართველო თავისუფალია, მაგრამ რუსები ძალას იკრებენ და დღეს თუ ხვალ საქართველოში შემოსვლას გადაწყვეტენო. იქიდან ხედავს დიდი მეცნიერი და მამულიშვილი, რომ საფრთხე რეალურია და ჩვენი ქვეყნის კარს არის მომდგარი. ასევე გვესახება გალაკტიონის ლექსიც: ეს არის პოეტის გაფრთხილება თუ წინათგრძნობა, რომელიც, სამწუხაროდ, ახდა.

როგორ გავიგოთ ეს სტრიქონი: „და თვალზე მაღლა განშორების მსუბუქი ცრემლი“? და იქვე სიტყვა „შენ“ უკვე ნახსენებ სტრიქონში ლენინისა და მოსკოვ-კრემლ-პეტროგრადის გვერდით! აქ უფრო შესანიღბად ხომ არ არის მეორე პირის ნაცვალსახელი?! ანუ იგი პირბადეა, რომელიც თავის მიღმა სამშობლოს, საქართველოს მალავს. მოკლედ, გალაკტიონმა იცის, რომ მოდის გემით, რომელიც ნაპირს ვერ მიადგება და ის სამშობლო, რომლისკენაც მოეშურება „დასაკარგავად“ არის განწირული. ამიტომაც წუხს — ვაითუ, ვეღარ მოადგეს მას, ვაითუ ვეღარ „იპოვოს“!

გალაკტიონს ჩვენი დაცვა არ სჭირდება, მაგრამ ამ ლექსს იმის დამლა, რომ, თითქოს ლენინიანის დასაბამია, ცხადია, ხელოვნური და კომუნისტური ეპოქის იდეოლოგია მთავრად დასაბუთებული და მათ შორის ნახსენებია გემი

P.S. დავინტერესდით და გემი „დალანდის“ ისტორია გამოვიკვლიეთ.

მოვიძიეთ შავი ზღვის ფლოტის გემების ჩამონათვალი იმ პერიოდისთვის. ანბანთრიგზეა ხუთასიოდე გემის სახელწოდება დალაგებული და მათ შორის ნახსენებია გემი

ფიქრები

„დალანდი“, ანუ დოკუმენტურად დასტურდება, რომ ეს გემი არსებობდა. რაც შეეხება ამ გემის ისტორიას — რუსი ემიგრანტი ისტორიკოსის — პეტრე ვარნეკის ნარკვევიდან „მოხალისეთა არმიის ევაკუაცია ოდესიდან 1920 წელს“ შევითვალისწინოთ. მკვლევარი ამავე წლის დეკემბრის ამბებს ყვება და ჩამოთვლილი აქვს, ვინ რომელ გემზე მოხვდა, რამდენმა ადამიანმა მოახერხა გაბოლშევიკებული რუსეთიდან თავის დაღწევა და ნასვლა თეთრგვარდიელთა ბოლო პლაცდარმიდან — ოდესიდან. ერთ-ერთი ბოლო, თუ უკანასკნელი არა, ამ გემებს შორის, სახელწოდებით „დალანდია“ ნახსენები, რომელიც ყინულებს შორის ჩაჭედებულა. არადა, ნავსადგურიდან ყველა ბუქსირი გასული ყოფილა, რომ მისთვის ეშველათ, გამოეთრიათ ყინულის მარწუხები-

დან. რეალურადაც „დალანდი“ აღმოჩნდა ბოლო გემი, სავსე ადამიანებით, რომელთაც სურთ გააღწიონ იქიდან, სადაც მათ სიცოცხლეს საფრთხე ემუქრება. ოღონდ ისინი მიდიან სამშობლოდან და... ველარსად ველარ მიდიან... თითქოს ლეგენდაში გადასახლებულან და „მფრინავ ჰოლანდიელში“ სხედან... მეორე დღეს ეს გემი, ლეგენდის ფინალისგან განსხვავებით, გადარჩება. მას მიეშველება ერთ-ერთი ბრიტანული გემი...

გემმა „დალანდმა“ თავისი ისტორია დაასრულა 1921 წელს მარსელში, როდესაც იგი ფრანგულ ფლოტს გადაეცა.

საუბარი ჩაინერა
თამარ ღონაძე

რეპორტაჟი

თამარ ყალიჩავა

სულში ჩაბრუნებული მზერით

□

„აგვისტოს შვილების“ წარდგინება სოხუმის უნივერსიტეტში

„ყოველი კაცი, რომელსაც თვალზე ჩამოფარებული არა აქვს რა, ხედავს, რომ ცხოვრება იცვლება, წინ მიდის“, სოხუმის უნივერსიტეტი გარეგნულადაც თვალდათვალ ლამაზდება, მშვენივრდება. ამ საერთო განახლების ფონზე იმ დღეს ცნობილ 50-ე აუდიტორიაში შეკრებილი სტუდენტები და პროფესორები ცხადად გრძნობდნენ სულის ამალლებას. 2009 წლის დეკემბერს სოხუმის უნივერსიტეტს ეწვივნენ მწერლები პაატა და როსტომ ჩხეიძეები. ჩაფიქრებული იყო როსტომ ჩხეიძის წიგნის „აგვისტოს შვილები (მამაჩემი ოთარ ჩხეიძე)“ წარდგინება. შეხვედრა გასცდა მარტო ერთ წიგნზე საუბრით შემოსაზღვრულ ჩარჩოებს და იქცა მრავალ საჭირობო საკითხზე დაფიქრებად და განსჯად.

სტუმრებს მიესალმა და აუდიტორიას მიმართა უნივერსიტეტის პუმანიტარული ფაკულტეტის დეკანმა, პროფესორმა ლედა ქობალიამ. შემდეგ ისაუბრეს უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებმა.

წინო ვახანია:

მწერლების როსტომ და პაატა ჩხეიძეების სტუმრობა ჩვენს უნივერსიტეტში პირველი არაა. ეს შეხვედრა გაგრძელება იმ, ადრინდელი შეხვედრებისა და თავისებურად გამორჩეული და განსაკუთრებულიც. შვილის მიერ მამის შესახებ დაწერილი მოგონებები იცის ქართულმა ლიტერატურამ, მაგრამ „აგვისტოს შვილები“ ყველა ამ ყაიდის ლი-

ტერატურისგან გამოირჩევა იმით, რომ ეს არ არის მხოლოდ მოგონებანი, ეს არის მწერლის მიერ დაწერილი წიგნი მწერალზე, დიდი (არა მარტო ფორმით) გამოკვლევა. თხრობა მოიყოლებს საზოგადოებისათვის კარგად ცნობილ თუ ნაკლებად გახმაურებულ უამრავ სახეს, დაკავშირებულთ მწერლობასთან, საზოგადოებრივ ყოფასთან. ბატონი როსტომი ხატავს პორტრეტებს, მხატვრულად, დასამახსოვრებლად. წამოჭრის და თავის მოსაზრებას გამოთქვამს ბევრ ისეთ საკითხზე, რომელთა კვლევა ანიც აუცილებელია. ეს პრობლემები, საკითხები უმნიშვნელოვანესი, კარდინალურია ჩვენს ლიტერატურათმცოდნეობაში.

„მწერალიც იქაა, სად ადამიანი შესჭიდებია ბედისწერასა“ — ოთარ ჩხეიძის ეს სიტყვები ნაუმძღვარებია ემიგრაციაზე ბატონ როსტომს გალაკტიონის ამ სიტყვებთან ერთად: „საქართველოში შენ ერთი მაინც არ იტყვი, როგორც იტყვიან სხვები..“ ოთარ ჩხეიძე მართლაც ის მწერალია, რომელსაც ხელისუფლების მიერ მოწოდებული და საყოველთაოდ მიღებული სიცრუე არასოდეს გაუმეორებია. მას თავისი გზა ჰქონდა მწერლობაში და ეს გზა ადამიანის არსის შეცნობასა და გამოხატვას არ გასცილებია. თუ გვინდა სწორად გავერკვეთ წარსულში (ახლო წარსულში, მე-20 საუკუნის მოვლენებში), მოვუსმინოთ მართალ, წრფელ, ბევრის მნახველ და ბევრის გამგონე მწერალს.

დავით გურამიშვილის, ილიას, აკაკის, ვაჟას, მიხეილ ჯავახიშვილის სხვათა სულიერი მემკვიდრეა ოთარ ჩხეიძე. სიმართლის თქმისთვის იდეგნებოდა საბჭოთა ხელისუფალთა და მათი მეხოტბე მწერლებისაგან. წიგნების გამოუცემლობა, ჟურნალებში დაბეჭდვაზე უარის თქმა, სრული იგნორირება ან აშკარა ლანძღვა-ძაგება რეპრესიების ის ხერხებია, რომლებითაც ებრძოდნენ მართალ სიტყვას, მაგრამ მწერალს არასდროს უკან არ დაუხვევია, სიმართლის გზიდან არ გადაუხვევია. როგორც თვითონ იგონებდა, არავისთან ბრძოლას არ აპირებდა, უბრალოდ, წერდა იმას და ისე, რასაც ხედავდა და როგორც გრძნობდა. და ასე ქმნიდა ჩვენი ყოფის პირუთვნელ მატინებს.

სმირად გამიგონია, გამიჭირდა კითხვის დაწყება. სწორედაც — მხოლოდ დაწყება შეიძლება ეძნელოს მიუჩვეველ მკითხველს. ისევე როგორც არ არის ადვილი ვაჟაფშაველას, კონსტანტინე გამსახურდიას, გრიგოლ რობაქიძის... ნაკითხვა. რამდენიმე გვერდის შემდეგ უკვე გათა-

ვისებულები სტილი ბოლომდე სულმოუთქმელად აკითხებს თავს გემოვნებიან ადამიანს.

თვალსაჩინო კრიტიკოსმა თეიმურაზ დოიაშვილმა გამოთქვა მოსაზრება, რომ უნდა შეიქმნას ოთარ ჩხეიძის შემოქმედების კვლევის ცენტრი. ბევრი მონონების გამომხატველი გამომხატურება მოჰყვა ამ წინადადებას საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან. ჩვენც მოკრძალებით მოვიწონეთ, კვერი დავუკარით ამ დროულ და სასიკეთო წამოწყებას და კიდევ შევუდექით საქმეს. ეს, რა თქმა უნდა, მხოლოდ დასაწყისია. კვლევა კვლავ უნდა გაგრძელდეს.

დაბოლოს, არ შემიძლია არ შეგახსენოთ, როსტომ ჩხეიძე ის მწერალია და ის რედაქტორი, ვინც სისხლხორცეულად არის დაინტერესებული აფხაზეთის ბედით, სამაჩაბლოს ბედით, მამასადამე, საქართველოს მომავალი სვე და ბედით. ჟურნალი „ჩვენი მწერლობა“ კი ერთი რომელიმე წრის ან ჯგუფის ჟურნალი კი არ არის, არამედ ჩვენი, ყველასი, მთელი საქართველოსი. აუდიტორიამ წუთიერი დუმლით პატივი მიაგო დიდი მწერლის ხსოვნას.

ნანა კუცია:

ძალიან დიდი ბედნიერებაა, ძალიან დიდი პატივია ისაუბრო ერთ ოჯახზე. ბატონი ოთარის ოჯახზე, ბატონ როსტომზე, ბატონ პაატაზე. იმიტომ, რომ ეს არის ისეთი ოჯახი, როგორც სავსებით მოიაზრება ოჯახი, როგორც უნდა იყოს ოჯახი, როგორც შექმნა ოჯახი ღმერთმა. სადაც დაცულია მთავარი მცნება, უფლისმიერი მცნება — „პატივ ეც მამასა შენსა“, იმიტომ, რომ სადაც არის მამის პატივისცემა, სადაც არის მამულის პატივისცემა, იქ მერე ყველაფერი თავის ადგილას არის. ყველაფერი სწორია, ყველაფერი მიდის საღმრთო გზით...

ეს მართლა არაჩვეულებრივი წიგნია, თავისი ფორმით, თავისი შინაარსით... კულტურული წიგნია, კლასიკური წიგნი... როდესაც ფორმა და შინაარსი აბსოლუტურად ემთხვევა ერთმანეთს. უფრო სწორად, შინაარსი თვითონ განსაზღვრავს ფორმას. ვერაფერს სხვა ამ წიგნს ასე ვერ დანერდის. ეს უნდა დაენერა შვილს. იმიტომ, რომ შვილმა ყოველთვის უკეთ იცის, „სად და რაზე გაჩერდა მამა“ (ეს ილიას ფრაზაა). ნებისმიერმა წიგნიერმა ქართველმა იცის, რა ბედნიერებაა და რა დიდი ტვირთია, იყო ქართველი... ეს ბანალური ფრაზაა, რასაც ახლა ვამბობ, მაგრამ აქ ხშირად გვჭირდება ამ ფრაზის გამეორება, თუნდაც საკუთარი თავისთვის, იმიტომ, რომ ჩვენ ძალიან ხშირად გვარწმუნებენ სანინალმდეგოში. უბრალოდ, მწარედ უნდა გაგვიღმოს, როდესაც „უანბანო“ ქვეყნები დღეს ახალგაზრდა დემოკრატიის ქვეყანას გეძახიან. „უანბანო“ ჩემი დეფინიცია არ გახლავთ, ეს გურამ დოჩინაშვილის ფრაზაა: „სულ ხმალზე ედოთო ზოგიერთი ერის წარმომადგენლებს უანბანო ხელი“. ჩვენი ხელი ყოველთვის იყო „ანბანიანი“. ჩვენ განებვირებული ვართ, იმიტომ რომ დღესაც გვყავს ოთარ ჩხეიძის ტიპის პიროვნებანი. ეს არის ქართველი — ამ სიტყვის უძველესი გაგებით, ღვთაებრივი გაგებით. რასაც ოდესღაც აკეთებდნენ ათონელები და აკეთებდნენ ძალიან ჩუმად, ყოველგვარი რეგალის გარეშე, ყოველგვარი ხმაურის, ზათქის გარეშე — აი, იმას აკეთებდა ეს ოჯახი და აკეთებს დღესაც...

შემთხვევითი არ არის, რომ ქალაქი გორი ძალიან მჭიდროდ უკავშირდება ოთარ ჩხეიძის სახელს, თუ ოთარ

ჩხეიძის სახელი უკავშირდება ამ ქალაქს. ჩვენ გვახსოვს ქართული ლიტერატურიდან პროვინციის დიდი მადლი — „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“. ჩვენ გვახსოვს, რომ გრიგოლ ხანძთელმა პროვინციიდან დაიწყო საქართველოს გაერთიანების უდიდესი საქმე. და რატომღაც, ჩემთვის, როდესაც ვფიქრობ ოთარ ჩხეიძის ფენომენზე, ყოველთვის აი ეს „ტაო-კლარჯეთს წასვლა“ მახსენდება გრიგოლ ხანძთელისა.

სტუდენტმა მკითხა, ვის შეიძლება შევადაროთ მსოფლიო ლიტერატურაში ოთარ ჩხეიძე? და ეს იყო სავსებით გულწრფელი კითხვა. პირადად ჩემთვის, ოთარ ჩხეიძე არის იმავე რანგის მწერალი, რა რანგისაც ჯეიმზ ჯოისი ან უილიამ ფოლკნერი.

ორივე ძალიან დიდი მწერალია, სამივე ძალიან დიდი მწერალია. იმიტომ, რომ ესენი არიან ფესვების მქონე მწერლები. ისინი არ წერენ ერთი დღით და ერთი დღისთვის. ეს არ არის კლასიკური, ტიპური „ბესტსელერები“, რომელსაც დაიტაცებს მასა, წაიკითხავს, ისიამოვნებს და მეორე დღესვე დაავიწყდება. ეს არის წიგნი — იაპონური წიგნია ასეთი და უბრალოდ დავესხსები ამ სათაურს — „სასათუმის წიგნი“, წიგნი, რომელიც მუდმივად სასათუმალთან უნდა გედოს. იმიტომ, რომ როგორც ლოცვაა — ხომ ვერ ვიტყვით ვერასოდეს, რომ „ლოცვა წავიკითხე“ და დამთავრდა... ლოცვა უნდა გადაშალო, გადაფურცლო და წაიკითხო დილით, დღის განმავლობაში შვიდგზის, მერე საღამოს, ძილის წინ ისევ უნდა წაიკითხო... მეორე დღეს, ეს მეორდება, მესამე დღეს, მეხუთე დღეს, მეათასე დღეს და მანამ, სანამ უფალი ინებებს ჩვენს ამქვეყნად ყოფნას.

არ ვიცი, არის თუ არა რაიმე მიჯნა ამ სამ პიროვნებას შორის... ჩემთვის ოთარ ჩხეიძე, როსტომ ჩხეიძე, პაატა ჩხეიძე არიან ის ადამიანები, რომლებიც აკეთებენ ძალიან დიდ ქართულ საქმეს... და ისევ პარალელი, ისევ გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებიდან: ერთი სული ოთხ სხეულში გადანაწილებული... გახსოვთ ეს მაგალითი — საბა იშხნელი, თედორე, ქრისტეფორე და თავად გრიგოლ ხანძთელი. ისინი ერთად წავიდნენ მკვდარი საქართველოს ასაღორძინებლად და მათ მკვდარი საქართველოსაგან შექმნეს ცოცხალი საქართველო...

პირადად ჩემთვის ამ ადამიანების ღვანლი არის ის, რაც უნდა იყოს მაგალითი, რაც უნდა იყოს ნიმუში იმისა, თუ როგორ შეიძლება ჩუმად, ძალიან უხმაუროდ ემსახურო, რასაც უნდა მსახურებდეს საერთოდ ადამიანი. ძალიან ხშირად უჭირთ ხოლმე ადამიანებს თავიანთი თავის პოვნა. „რა ვაკეთო“, „როგორ შევივსო ჩემი ყოფიერება“, „როგორ ვიცხოვრო ისე, რომ ცხოვრება არ იყოს მოსაწყენი, ცხოვრება არ იყოს დამღლელი?“ — ამ კითხვაზე ძალიან დიდი ხანია არსებობს პასუხი, ძალიან მარტივი პასუხი, ალბათ, ისევე, როგორც ყოველგვარი ქვეყნარტება. სწორი ცხოვრება არის უბრალოდ მსახურება. მსახურება იმისა, რაც გვეწყალობა, რაც მოგვეცა, რაც ღვთის სახლია მინაზე და რასაც სამშობლო ჰქვია. დღეს ჩვენ გამუდმებით გვთავაზობენ ფორმულას — „ძნელია, ძნელიაო“... — ძნელია, დიდი ლიტერატურა უნდა იყოს ძნელი, დიდი ლიტერატურა არ შეიძლება იყოს იოლი. ბიბლია იოლი წასაკითხია? ლოცვა იოლი წასაკითხია? რუსთველი იოლია? შუშანიკის წამება იოლია? გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება

იოლია? და ა.შ. იოლია „მგლები“, იოლია კომიქსი. რაც ძნელია, გაიძულებს იფიქრო, გაიძულებს „მზერა ჩაიბრუნო სულში“, ჩაიბრუნო შიგნით. იქ, სადაც არის ჩვენი ნამდვილი არსი, იქ, სადაც არის გული და გამოატარო ამ გულიდან და მერე, ამ გულიდან გამოტარებული შუქით უბრალოდ სხვებსაც გაუნათო...

ერთადერთი, რაც შემძლია ვთქვა, ძალიან დიდი მადლობა, ბატონო როსტომ, ამ წიგნისათვის. წიგნისათვის, რომელიც კიდევ ერთხელ შეგვახსენებს როგორი უნდა იყოს წიგნი. როგორი უნდა იყოს შვილის დამოკიდებულება მამისადმი. როგორი უნდა იყოს მამულიშვილის დამოკიდებულება მამულისადმი და საერთოდ, როგორი უნდა ადამიანური ყოფიერება...

მართალი გითხრათ, ადამიანურად შეიძლება გაგიკვირდეს კიდევ, როდის ასწრებს ერთი ადამიანი შექმნას ასეთი და ამ რაოდენობის, ხაზგასმით ვამბობ — ასეთი და ამ რაოდენობის. იმიტომ, რომ ძალიან ხშირად რაოდენობის გამო კნინდება ხარისხი. მაგრამ ეს ის ბედნიერი შემთხვევაა, როდესაც ხარისხი და რაოდენობა აბსოლუტურად ერთმანეთის ადეკვატურია.

უბრალოდ, ერთი რიგითი ქართველი მკითხველის სახელით, ძალიან დიდი მადლობა, რომ ამ უორიენტრო,

ამ საზღვრებ, ღირებულებანანისლულ ჟამს, არსებობს წიგნები და არსებობენ ამ წიგნთა მთხვევლები...

პირადად ჩემთვის, ის, რასაც აკეთებთ თქვენ, რასაც აკეთებთ თქვენი ოჯახი, — რასაც წერთ ორიგინალურს, რასაც თარგმნით არა ორიგინალურს და იმასაც ორიგინალურად უქცევთ ქართველებს, არის ნიმუში იმისა, თუ როგორ შეიძლება სანთელივით ჩუმად ინვოდე საკუთარი ქვეყნისთვის. ძალიან დიდი მადლობა ამ მადლისათვის.

მარინე ტურავა:

ისე მოხდა, რომ აგვისტო ფატალური და საბედისწერო თვე აღმოჩნდა ბოლო საუკუნის ქართულ სინამდვილეში. 1924 წლის აგვისტოს აჯანყებიდან მოყოლებული, გაგრძელებული აგვისტოში დაწყებული აფხაზეთის ომით და წრე შეიკრა შარშანდელი აგვისტოს ომით. ამიტომაც სათაური „აგვისტის შვილები“ ქართული სახელმწიფოსათვის ბრძოლის მატთანავე გულისხმობს და საქართველოს ბედთან გადაჯაჭვული მწერლის ბიოგრაფიასაც. არსებობს ვახტანგ რაზიკაშვილის წიგნი — „მამაჩემი ვაჟა-ფშაველა“. „აგვისტოს შვილები“ იმითაც არის გამორჩეული, რომ ბევრი ფაქტის მონმე თვითონ ავტორი გამხდარა, ბევრი კი უშუალოდ პირველწყაროდან გაუგია. ეს არის განვლილი ეპოქის — მეოცე საუკუნის საქართვე-

ლოს საზოგადოებრივ-პოლიტიკური და ლიტერატურული ცხოვრების ისტორია. ბევრი ჩვენთვის ცნობილი პიროვნება თუ მოვლენა სრულიად განსხვავებულად, პირუთვნელად არის წარმოჩენილი. ეს წიგნი არის ერთგვარი ლუსტრაციაც.

როსტომ ჩხეიძე თავისივე შეფასებით, არის კაცი, რომელიც თავსაც არ დაზოგავს ერთი მემუარული ფრაგმენტის მოსაპოვებლადაც. ქაქუცა ჩოლოყაშვილზე დაწერილი რომანის შთაგონებად ექცა ერთადერთი ფრაზა, რომელიც ბატონი როსტომის ქვეცნობიერს აერეკლა — მე თვითონ გადავწყვიტე დავმორჩილებულიყავ ლუარსაბ თათქარიძის ბედსო. მწერალი ევედრება ქაქუცას: ხომ იცი, როგორ მიყვარხარ, ამ სტრიქონზე ჰკიდია ჩემი რომანის ბედი და უნდა მიშველო, ის სტრიქონი შენი დაწერილი უნდა იყოს და არა ჩემი ფანტაზიის ნაყოფიო. ჩემთვის ეს ეპიზოდი მეტისმეტად ამაღელვებელია.

ოთარ ჩხეიძემ მძიმე შემოქმედებითი გზა გაიარა. გამოუქვეყნებელ მოთხრობებზე კრიტიკულ გამოხმაურებებს, დაუნდობელ ბრძოლებს გაუძლო. ის არა მარტო კალმით, პიროვნულადაც იბრძოდა. აგვისტოს შვილების თავგამოდებით წერდა და იბრძოდა. მიუხედავად რთული და წინააღმდეგობრივი ეპოქისა, ძლი-

ერი პიროვნებები მაინც ახერხებდნენ ზნეობრივი კომპრომისების გარეშე ცხოვრებას. ახლა ორიოდ სიტყვა „გალას“ პრემიაზე. ეს ლიტერატურული პრემია 2007 წელს დაარსდა თბილისის საკრებულოს ინიციატივით და იგი „თბილისობის“ დღესასწაულის ინტელექტუალურ ნაწილად მოიაზრება. წელს მესამედ გაიმართა „გალას“ დაჯილდოების ცერემონია. იყო კომპეტენტური ჟიური: თამაზ ვასაძე, ნინო ქაჯაია, უჩა შერაზაძე, ივანე ამირხანაშვილი და ბაჩა მალაზონია. ექვს ნომინაციაში გამარჯვებული 120 წიგნიდან შეირჩა. ნომინაციაში „წლის წიგნი“ გაიმარჯვა როსტომ ჩხეიძემ „აგვისტოს შვილებით“.

„აგვისტოს შვილების“ დიდი მოცულობის გამო შეუძლებელია საჯარო გამოსვლისას მისი მეტ-ნაკლები სისრულით წარმოდგენა მსმენელთა წინაშე. ამიტომაც როსტომ ჩხეიძე იმთავითვე ამ გზას დაადგა — ამა თუ იმ ლიტერატურული თავყრილობისას ესაუბრა მხოლოდ ცალკეულ მონაკვეთებზე, რაც კომპოზიციურად მთლიანდება, რათა ამ სიუჟეტური ხაზებით შექმნა ზოგადი შთაბეჭდილება ბიოგრაფიულ რომანზე.



მარინე ტურავა, პაატა ჩხეიძე, თამარ ყალიჩავა, ნინო ვახანია, ნანა კუციია

ასე მოხდა თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტში, როდესაც ოთარ ჩხეიძის სტიპენდიის დანესების აღსანიშნავ საღამოზე მან ყურადღება უმთავრესად გაამახვილა 24 რომანის მომცველ ციკლზე „მატიანე ქართლისა“ და ამ წიგნის შექმნის გარემოებებზე და მის კომპოზიციურ ჩარჩოზე, რომლის ფონადაც გადაიქცა სოფელ ყელქცეულში მწერლის მამაპაპური სახლი და ეზო-ბაღი, სადაც ორჯერ გათამაშდა უმძაფრესი მოვლენები. ორმა ტრაგიკულმა ეპიზოდმა ჩვენი ქვეყნის ისტორიაში ამ გარემოზეც გადაიარა – 1924 წლის აგვისტო-სექტემბრის სისხლიანმა დღეებმა, რომელსაც ოთარ ჩხეიძის მამა-ბიძები შეენიშნენ ქაქუცა ჩოლოყაშვილის აჯანყებაში მონაწილეობისათვის; და 2008 წლის აგვისტო-სექტემბრის ტრაგიკულმა ხანამ, როდესაც რუსულმა ტანკებმა ამ სოფელზეც გადაიარა და ერთხანს კაზაკები დაეპატრონენ იქაურობას. ეს სახლიც გატეხეს, მაგრამ, საბედნიეროდ, ოთარ ჩხეიძის ხელნაწერები და წიგნები გადაურჩა განადგურებას.

ასე მოხდა ქუთაისის ლადო მესხიშვილის თეატრის მცირე დარბაზში, სადაც საუბრის ძირითად თემად აირჩია რომანი „ბორიაყი“ და მის მიხედვით შექმნილი კინოფილმი „ახალგაზრდა კომპოზიტორის მოგზაურობა“ – ერთობ ახვლედანის სცენარითა და გიორგი შენგელაიას რეჟისორობით გადაღებული ეს ერთ-ერთი თვალსაჩინო კინემატოგრაფიული მოვლენა. რაც შეეხება „ბორიაყს“, როგორც 1924 წლის ამბოხებისადმი მიძღვნილ რომანს, რომელიც წარმოდგება „მატიანე ქართლისას“ გვირგვინად, ქართული სალიტერატურო კრიტიკის აღიარებით, ჩვენი რომანისტიკის უკეთესთა უკეთეს ნიმუშებს მიეკუთვნება და უტოლდება მსოფლიო რომანის რჩეულ თხზულებებს. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ლეკო თათაშელის სიმბოლური სახეობა და ხასიათი, რომელიც – კვლავ სალიტერატურო კრიტიკის მოწმობით – დოსტოვესკისებური ანალიტიკური სიღრმითა და ხელოვნებით არის გახსნილი.

ამჯერად მომხსენებელი შემოიფარგლა ოთარ ჩხეიძის სამწერლო ასპარეზზე გამოსვლისა და მისი მძაფრი კრიტიციზმით აღბეჭდილი რომანების – „ჯებირი“, „ბურუსი“, „მეჩეჩი“ – გამოქვეყნების ხანით, და იმ დაუნდობელი თავდასხმებით, რომელიც ჩეკისტურმა კრიტიკამ დაატეხა თავს მწერალს პირუთვნელობისა და გაბედულებისათვის. ეს მხატვრული ქმნილებანი ხელისუფლებისა და უშიშროების კომიტეტის საგანგებო მსჯელობის საგანი გახდა და მწერალი ორჯერ ბედად გადაურჩა დაპატიმრებას. სამაგიეროდ, დაატუსაღეს მისი წიგნები და რომანს „ცთომილი“ მხოლოდ სამი ათეული წლის შემდგომ ეღიროსა მზის სინათლე.

მსჯელობისას გამოიკვეთა არამარტო ჭეშმარიტი ლიტერატურის წინააღმდეგ აღმდგარ ადამიანთა სილუეტები, არამედ იმ მწერალთა და მოღვაწეთა მთელი გაღვრეაც, რომელნიც ჯოჯოხეთური პირობების მიუხედავად არ ეპუებოდნენ კომუნისტურ რეჟიმს და ცდილობდნენ ლიტერატურის მთავარი ძარღვის შენარჩუნებასა და სულიერ ფასეულობათა გადარჩენას, ამისათვის თავის განირვაც რომ დასჭირებოდათ: თუნდაც კონსტანტინე გამსახურდია, ლევან გოთუა, ერეკლე ტატიშვილი, კოტე ხიმშიაშვილი, გიორგი ძიგვაშვილი, ადამ ბობლიაშვილი...

* * *

რამდენი ჩვენთვის მანამდე უცნობი ფაქტი თუ დეტალი გავიგეთ არა მარტო ერთი პიროვნების, არამედ საერთოდ გასული საუკუნის საზოგადოებრივი ცხოვრებიდან. ვისაც ჯერ წიგნი არ წაეკითხა (ასეთებიც იყვნენ მსმენელთა შორის), მათთვის ბატონი როსტომის მონათხრობი ზოგ შემთხვევაში გამოგნებელიც კი იყო. თანამედროვე ახალგაზრდას ძნელად წარმოუდგენია, რომ იყო დრო, როცა თავადური, არისტოკრატიული წარმომავლობა, გვარი ითვლებოდა დანაშაულად, თანაც იმხელა საშიშროებას წარმოადგენდა სახელმწიფოსთვის, რომ ზავშვის სკოლაში მიღებაც კი გაჭირდა... კრიტიკოსთა მიერ სადამსჯელო როლისა და ფუნქციის შეთავსებაც სრულიად შეუძლებლად თუ არა, გადაჭარბებულად მაინც მიაჩნდათ დღემდე. რამდენ ადამიანზე (მწერალზე, კრიტიკოსზე) შეეცვალათ ჩამოყალიბებული შეხედულება... ერთი კი იყო, დიდი მწერლის შვილი, თავადაც ცნობილი მწერალი როსტომ ჩხეიძე ყველას იხსენებდა გაბოროტებისა და გაბრაზების გარეშე. ზოგის პორტრეტი ისე იუმორისტულად წარმოსახა, რომ მსმენელს გულიც კი გაუთბო „ძე შეცდომილთა მიმართ“. ზოგი ეპიზოდის გახსენებამ აუდიტორია კიდევ გაახალისა და ბევრ რამეზეც დააფიქრა.

შემდეგ პაატა ჩხეიძეს ვუსმენდით. იგი საინტერესოდ მსჯელობდა „ახალგაზრდა დემოკრატიის“, საერთოდ, დემოკრატიის შესახებ, საქართველოს წარსულის, აწმყოსა და მომავლის შესახებ, სხვა ქვეყნების პოლიტიკურ წყობათა შესახებ. „ჩვენ უნდა გვახსოვდეს, რომ რაც ჩვენთან შემოდის, აღმოსავლეთიდან იქნება ეს თუ დასავლეთიდან, სამხრეთიდან თუ ჩრდილოეთიდან, — რალაც ახალი რეცეპტი გნებავთ თუ, როგორიცაა „ასეთი უნდა ვიყოთ“ და „ასეთი უნდა იყოს მსოფლიო“, — არავითარ შემთხვევაში არ უნდა დავიჯეროთ, მთავარი ჩვენთვის და ჩვენი ქვეყნისათვის არის ის, რასაც ეძღვნებოდა ოთარ ჩხეიძის მთელი შემოქმედება — ეროვნული იდენტობა, ანუ თვითმყოფადობა. თუ ამას დავკარგავთ, აღარაფერი აღარ გვექნება. ვედარც მამული გვიშველის, ვედარც ენა და ვედარც სარწმუნოება... ჩვენი იდენტობა — აი, აქ არის მოქცეული და ამაშია თავმოყრილი.“

ამჯერად გამოვარჩევთ ერთ პასაჟს ამ მრავალმხრივ დამაფიქრებელი გამოსვლიდან:

„ოთარ ჩხეიძის შემოქმედებისა და მსოფლმხედველობის არსის ორიოდ სიტყვით გადმოცემას თუ მოვინდომებთ, აუცილებლად დავმარცხდებით, რადგან იგი იყო მეტად მრავალმხრივი მოაზროვნე და შემოქმედი და, თუ მოკლედ ვიტყვით მასზე, გამოვა რომ არაფერი გვითქვამს.“

და მაინც, თუ მისი ცხოვრების კრედოთი დაინტერესდება ვინმე, ალბათ იმ სიტყვებში უნდა ეძიოს, რაც არაერთხელ დაუწერია და პირადადაც უთქვამს ჩემთვის: „ყველაფრის საფუძველი არის ზნეობა!“

ზნეობა მისთვის არ ყოფილა აბსტრაქტული ეთიკური პრინციპები. იგი საერთოდ უნდობლად უყურებდა აბსტრაქტულ ღირებულებებს და უნივერსალობასთან მხოლოდ კონკრეტულ, ეროვნულ ღირებულებათა გავლით მიდიოდა.

ზნეობა მისთვის იყო ქართველი ერის ტრადიციული ადათ-წესების ბრძმედში გამოწრთობილი ქრისტიანული ღირებულებანი. სამწუხაროდ, ოთარ ჩხეიძემ ვერ მოასწრო ვრცელი მონოგრაფიის დაწერა სახელმწიფოს შესახებ, რაც ჩაფიქრებული ჰქონდა, და დავიტიოვა მხოლოდ მონახაზი იმ პოლიტიკური პრიციპებისა, რასაც საქართველოს სახელმწიფო უნდა აეღორძინებინა; ეს გახლავთ ესეი “პარლამენტური სამეფო ხელისუფლებისათვის”.

თუ ტომას ელიოტის ანალოგიას მოვიშველიებთ, ოთარ ჩხეიძე იყო აღმსარებლობით მართლმადიდებელი ქრისტიანი, მწერლობასა და ხელოვნებაში — კლასიკურ პრინციპთა მიმდევარი და პოლიტიკაში — მონარქისტი“.

გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, ბატონმა პაატამ ბევრ რამეზე აგვიხილა თვალი, სხვა ჭრილში დაგვანახა მოვლენები და ხელახლა შეხვედრისა და იმ დღეს წამოჭრილ თემებზე საგანგებო საუბრის მოსმენის სურვილი აღგვიძრა.

სტუდენტები დაინტერესდნენ არაერთი საკითხით და კითხვებით მიმართეს სტუმრებს.

უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებმა მადლობა გადაუხადეს მწერლებს და თავიანთი აზრი გამოთქვეს.

ტიტე მოსია:

ძვირფასო მეგობრებო, დღეს უზომოდ აღტაცებული და მოხიბლული ვარ და, ვფიქრობ, ახალგაზრდობა, აი, ასეთი შეხვედრებით აუცილებლად უნდა გავანებივროთ, იმიტომ, რომ დღევანდელი დღე ჩემთვის საოცარი დღეა — იმდენი ახალი ეპიზოდი მოვისმინე ბატონი ოთარის ცხოვრებიდან, იმ ტრაგიკული სინამდვილიდან. ახალგაზრდობას, ბუნებრივია, განსაკუთრებით სჭირდება ეს და არა მხოლოდ ჩემს თაობას...

მე მინდა მივულოცო ჩვენს ძვირფას როსტომს ამ ბრწყინვალე წიგნის გამოცემა და, ბუნებრივია, ის პრემიაც მინდა მივულოცო.

ოთარ ჩხეიძე იყო მართლაც საოცარი მოვლენა ჩვენს ლიტერატურულ სივრცესა და სინამდვილეში. ბატონი ოთარი გოლიათური სულის კაცი გახლდათ, შეუდრეკელი, უშიშარი... მან თავისი სტილით, აზროვნებით წარუშლელი კვალი დატოვა ჩვენს სინამდვილეში. ბატონი ოთარის არა მხოლოდ ფიზიკური მემკვიდრეა ჩვენი ძვირფასი როსტომი, არამედ მისი სულიერი მემკვიდრეც. მე მინდა ახალგაზრდებს ვუთხრა, რომ განცვიფრებული ვარ ბატონი როსტომის მაღალი ნიჭიერებით, საოცარი შრომისმოყვარეობით, იმ ლიტერატურული გემოვნებითა და სტილით, რომელიც მან უკვე დაამკვიდრა ჩვენს ლიტერატურათმცოდნეობაში.

ის არა მხოლოდ მწერალია, არა მხოლოდ მთარგმნელი, არამედ ჩინებული ლიტერატურათმცოდნეც. ახალგაზრდებო, მისი წიგნები ერთად რომ მოვაგროვოთ, მე გამიჭირდება მისი ზიდავა...



სალომე კაპანაძე

დმერთმა არ მოგაკლოთ ჯანი და ენერგია ჩვენს ლიტერატურულ სარბიელზე დიდი ხნის მანძილზე მუშაობის გასაგრძელებლად. დიდ მადლობას გიხდით კიდეც ერთხელ...

სალომე კაპანაძე:

— არ შემიძლია ორიოდ სიტყვით არ გამოვეხმაურო ამ დიდ სტუმრიანობას სოხუმის უნივერსიტეტში.

გოეთეს ფრაზა ამეკვიცა ახლა, გოეთე ამბობს, რომ ყოველდღე უნდა მოისმინო ერთი კარგი მუსიკა, შეხედო ერთ კარგ ნახატს და წაიკითხო ერთი კარგი ლექსი...

სტუდენტებს მინდა მივმართო, — თქვენ ამ ფორმულით უნდა იაროთ, თუ არადა, როგორც ნიკო ლორთქიფანიძე ამბობს, ამ წუთისოფლის ლელვა-ტორტმანს ვერ გადაურჩებით, ბავშვებო. თქვენი გზა არის საოცრად საპატიო, მე თქვენ ყველას გეფერებით, იმისათვის რომ აქ მოხვედით და მოისმინეთ ის, რაც თქვენ ცხოვრებას გაგიადვილებთ, მე ასე მგონია, რომ თქვენ ისხედით აქ ბოლომდე იმიტომ, რომ იგრძენით, რასთან გქონდათ საქმე. დამიჯერეთ, რომ ეს არის თავშესაფარი, მარინა კაკაჩია ამბობს ხოლმე, როცა ბატონი როსტომის სამშაბათობიდან მოდის — ჟანგბადი ჩავისუნთქე, ერთი ყლუბი ჰაერიო; და მე თქვენ მოგიწოდებთ, რომ ყოველ მეორე სამშაბათს, როდესაც ალექსანდრე ორბელიანის საზოგადოების სალონში ტარდება არაჩვეულებრივი საღამოები, აუცილებლად დაესწროთ. თქვენ ეს გაგიადვილებთ იმას, რომ იყოთ კარგი ფილოლოგები, კარგი პროფესიონალები და „არ იტორტმანოთ“, იმიტომ რომ შეიძლება თქვენი ცხოვრება ისე აენყოს, რომ ხშირად იფიქროთ, იქნება სხვა პროფესია ამერიჩაო, — იმიტომ, რომ მძიმეა თქვენი სვედრი, მაგრამ საოცრად ლამაზი და, დამიჯერეთ, საოცრად საპატიო.

მე უღრმესი მადლობა მინდა გითხრათ მობრძანებისთვის, ბატონო როსტომ, ბატონო პაატა.

ბატონო როსტომ, მართლაც აღფრთოვანებული ვარ იმ საკრალური კავშირით, რომელიც არსებობს თქვენსა და მამათქვენს შორის. ბატონმა ტიტემ ბრძანა, არამარტო ფიზიკური, სულიერი მემკვიდრეცაა მამისო, და მე გამახსენდა აკაკი წერეთლის შვილი, რომელიც ხორციელი მემკვიდრე იყო, მაგრამ სულიერი — ვერა... და ასეთი უამრავი მაგალითის დასახელება შეიძლება...

ამ შემთხვევაში უნიკალურ მოვლენასთან გვაქვს საქმე. მინდა წარმატებები გისურვოთ და მინდა მთელ ერს ვუსურვო, რომ აი ის შარავანდი ოთარ ჩხეიძის მწერლობის, მისი სიდიადის შეეცნოს და ღირსეულად ეტარებინოს.

გარეთ კვლავ განახლების სურნელი ტრიალებს, ლამაზდება და რემონტდება შენობა, 503-ე აუდიტორიაში კი კვლავ განახლება და გონების თვალის ახელას შევიგრძნობთ ყველა ნერვით და ყველა საცეცით.

ზურაბ ლავრელაშვილი

წაკითხეთ და დავრწმუნდით!

□

გვაქვს თუ არა ქართული კრიტიკა?!

ძალზე გამახარა ბატონ ანზორ დიდბუღიძის გამოხმაურებამ ზურაბ ხასაიას ესეიზე „აკუტაგავას ტრაგედია“.

„თეთრი შურით“ მშურს ბატონი ანზორისა, რადგან თავად ვაპირებდი ორიოდ საქები სიტყვა მეთქვა ამ ესეიზე და მან „დამასწრო“...

მე თუ არა, მან მაინც ხომ თქვა...

თქვა ლაკონურად, ლაპიდარულად და აქცენტების ზუსტი დასმით...

იქნებ ბევრი რამ საკამათოც იყოს ზურაბ ხასაიას ესეიში, მაგრამ მე უფრო იმან გამახარა, რომ ჩვენში მართლაც არიან ქვეყანი და განათლებული ადამიანები, რომლებმაც არა მარტო ის იციან, როგორ და რას წერენ, არამედ რას და როგორ კითხულობენ.

ბატონმა ანზორმაც, ჩემი აზრით, ისეთივე პათოსით და გულსიტკვირებით „ნაიკითხა“ ჩვენი დღევანდელი სალიტერატურო კრიტიკის მდგომარეობა, როგორც ზურაბ ხასაიამ – აკუტაგავას შემოქმედება.

ნაიკითხა ობიექტურად, ტაქტით და აქცენტების ზუსტი განანიღბებით...

თემცა ბოლოს მაინც „უმტყუნა“ რაციონალურმა სიბასრემ და ფრიად ოპტიმისტური დასკვნა მოგვანოდა: კრიტიკა არსებობს ქართულ ლიტერატურაშიო...

ოპტიმიზმის საფუძველი, ცხადია, ზურაბ ხასაიას კრიტიკული ეტიუდია: ნაიკითხეთ და დარწმუნდით, რომ ქართული კრიტიკა ნამდვილად არსებობსო...

მართლაც მისასალმებელია, ბატონო ანზორ, თქვენეული მხნეობა და უკეთესის დანახვის სურვილი. მაგრამ ამ ოპტიმიზმს მაინც ვერ გავიზიარებთ, კრიტიკა არსებობს ქართულ ლიტერატურაში, თანაც აქ და ახლო, რომ დავგვიმედო...

რადგან – ნავიკითხეთ და დავრწმუნდით, რომ აქ და ახლა კი არა, კრიტიკა იქნებ არც არასდროს არსებულა საქართველოში...

არგუმენტი?

ისევ თქვენი გამოხმაურება, ბატონო ანზორ!

ზურაბ ხასაიას ერთი ან თუნდაც რამდენიმე შესანიშნავი ესეი რას უშველის იმ ფაქტს, როცა „თითო-ოროლა კრიტიკოსს თუ დავასახელებთ, ვისაც აზრის ლოგიკურად დასაბუთება შეუძლია“...

ფრიად საგულისხმოა თქვენგან ასეთი შეფასება: „ჩვენში ემოციური ანალიზის ნაირსახეობები ბატონობს და ამას ისე მივეჩვიეთ, ზოგჯერ გვაგინყდება კიდევ, რომ ამქვეყნად რაციონალური კრიტიკაც არსებობს“.

მერე კი დაიჩვილეთ, რას ვიზამთ, ამნაირი ვითარება

კარგა ხანს არ შეიცვლება, ამას შეგუებულნი ვართ და ხმას არ ვიღებთო...

სამწუხარო და დამაფიქრებელიც ეს არის...

ემოციური ანალიზი და აზრის ლოგიკურად დაუსაბუთებლობა...

რალა კრიტიკა გვქონია, თუ ემოციურებიც ვყოფილვართ და დასაბუთების ხელოვნებაც გვკლება?

ამიტომაც მეექვსეა თქვენი ოპტიმიზმი, თითო-ოროლა მერცხლის შემოფრენა გაზაფხულის მაცნედ რომ მიგიჩნევიათ!

თანაც ეს მერცხლები სულაც უცხოელ მწერლებს დასჭიკჭიკებენ თავზე – ზურაბ ხასაიას ესეიც ხომ აკუტაგავას შემოქმედებას ეძღვნება და არა რომელიმე ჩვენი პროზაიკოსისას...

აკი ამასვე დარდობდა ილია ჭავჭავაძეც: ჩვენებური კრიტიკოსი სიღრმე-სიგანით ჩაგიბულბულებთ უცხოელ მწერალს, მაგრამ ქართველზე კოჭი მოუსხლტებაო...

გამოდის, რომ არც ილიას და არც ჩვენს დროს წმინდად ეროვნული კრიტიკა არ გვქონია, რაკი საკუთარ ლიტერატურას ვერ ვაანალიზებთ და მარტო ემოციურად ვწონით და ვჩხრეკთ, თანაც ულოგიკოდ...

ყველაზე უარესი კი ის არის, რომ ამას შეგუებულები ვყოფილვართ და ხმას არ ვიღებთ!

თქვენი არ ვიცი და, მე რომ ზურაბ ხასაიას მართლაც მშვენიერი კრიტიკული ეტიუდი წავიკითხე, თან გამეხარდა და თანვე გული ჩამწყდა – ნეტავ უცხოელ მწერალზე არ გახარჯულიყო ეს ღრმა და საფუძვლიანი ანალიზი და ჩვენს რომელიმე კლასიკოსზე გამოეჩინა-მეთქი ბატონ ზურაბს ის ინტელექტუალური გამბედაობა, რასაც თქვენ მარქსის, ნიცშესა და ფროიდის „მსოფლმხედველობათა ერთ რაკურსში მოქცევის გამო“ სიქველედ მიუთვლით ესეის ავტორს...

მარქსი, ნიცშე და ფროიდი რომ ათასგზის გადაბულბულებულია და მათი თეორიებიც ასევე დიდი ინტელექტუალური გამბედაობით არის უარყოფილი, ეს არახალია და ზურაბ ხასაიას გამოცხადება ამის გამო გმირად, რბილად რომ ვთქვათ, არასწორია.

თანაც, რატომ უნდა იყოს მათი კრიტიკა დიდად გასაბედი? ამით რომელიმე ოფიციალურ იდეოლოგიას ვებრძვით და დისიდენტობას ვიჩემებთ თუ ჩვენში მარქსისტების, ნიცშეანელებისა და ფროიდისტების ბუშია და ჩაქოლვას გვიპირებენ?!

თუკი რამეა გასაბედი და ინტელექტუალურად უარსაყოფი – ეს ჩვენს ლიტერატურაზე შემობლარდნილი დახავსებული სტერეოტიპებია, რომელთა გადასინჯვაც ლა-მის ეროვნულ უბედურებად აღიქმება ჩვენში...

უცხოელ მწერლებს არც ქება აკლიათ და არც ძაგება და მათი სიდიდეც და სიპატარავიც საფუძვლიანად არის გაზომილი და გამოკვლეული.

ჩვენ ჩვენი ვიკითხოთ...

ამათ მიმართ გამოვიჩინოთ ინტელექტუალური გამბედაობა და უემოციო ანალიზის უნარი, თორემ იპონელები რას მიხვდებიან, საქართველოში აკუტაგავას აქებენ თუ აძაგებენ! თუნდაც უთარგმნონ და მიხვდნენ, ჩვენ ამით რა შეგვემატება...

ჩვენში ხომ ისევ ემოციური და დაუსაბუთებელი კრიტიკის ნაირსახეობები იბოგინებს, რასაც შეგუებულნი ვართ და ხმას არ ვიღებთ!..

როდემდე, ბატონებო, როდემდე?!

ნანა ტრაპაიძე

ზღვართან ყოფნის პოეტიკა

□

გივი ალხაზიშვილის ახალი ლექსები

...შენ ეძებ სიტყვას პირვანდელ ნიშნით და არა ლამაზ ორნამენტით.
გივი ალხაზიშვილი



პოეზიაზე საუბარი დღეს უფრო კითხვითი აზრებისკენ გიბიძგებს, ვიდრე თხრობითისკენ: ბევრი იწერება, ცოტა იქმნება. ამიტომ იძულებულნი ვხდებით გზა უკან გავიაროთ და ახლებურად დავათვალიეროთ ის „ადგილები“, საიდანაც საერთოდ იწყებოდა და იწყება პოეზია.

დრო და სივრცე ბევრ რამეს ინახავს, ის საკმაოდ გულგრილია და ზარმაცი (გნებავთ ტოლერანტული) საიმისოდ, რომ საგნები და მოვლენები ერთმანეთის გვერდიგვერდ გამოჩვენებენ დაალაგოს... მეხსიერება, რომელსაც ყველაზე კარგი გემოვნება აქვს (თუ გემოვნება, რომელსაც ასევე საუკეთესო მეხსიერება გააჩნია) წმენდს განურჩევლობის მტვერს, რომელიც დროსა და სივრცეში გაშლილ სინამდვილეს ნელ-ნელა ედება ხოლმე.

... ვინ არის პოეტი?

პოეტი ის არის, ვისაც შეუძლია დროის დინების სანინა-აღმდეგოდ საგნების წარმავალი ყოფიერება მარადიულში დააფუძნოს, ვისაც შეუძლია შექმნას მეხსიერებაში გამკვერივებული საგნებისა და წარმოდგენების ნამდვილობა და მათი განამდვილება სხვათა ცნობიერებაში.

სრულყოფილება ათავისუფლებს საგნებსა და მოვლენებს ონტოლოგიური საფრთხეებისაგან და ვინცეხებაში, სასრულობაში სამუდამო დაკარგვის უბედურებისაგან. ერთადერთი ადამიანური ცოდვაც არასრულყოფილებაა, რომლის „მონანიება“ ხშირად საბედისწეროდ გვავენიყდება.

პოეზია ათავისუფლებს არასრულყოფილების ცოდვებისაგან. რაოდენ არ უნდა იცვალოს მან ფორმა და შინაარსი, ეს ის ტკივილია, საიდანაც ყოველთვის ყველაფერი იწყებოდა და იწყება.

არასრულყოფილების სამშობლო დროითობაა, წარმავლობა და რაღა საიდუმლოა, რომ დიდია მისი ძალაუფლება. ამ გაგებით პოეტი (თუ პოეზია) უსამშობლოა, რომელსაც არ ეშინია არავითარი ძალაუფლების, რომელსაც დრო ხან ესთეტიკური და ეთიკური ტაქტიკითა და სინაზით, ხან ჯალათის პედანტიზმითა და სისასტიკით ახორციელებს...

შიშველი აღმაფრენა კარგად იყიდება, მაგრამ დროს ის უძლებს, რაც გრდემლის ქვეშ იჭედება და სკულპტურული

სიცხადით დგება ჩვენს წინაშე. შრომა ისტორიაა და ცოდნა. უისტორიო ლექსი ფუყეა და მატყუარა, შუა გზაზე გტოვებს იმედგაცრუებულს. სკულპტორისთვის კი სუნსაც ფორმა აქვს და დარდს სხეული, მათათა დუმლში მათი სიმაღლის სიბრძნე მეტყველებს, სითბო და მწუხარება კი მკლავზე იებად ამოდიან...

გივი ალხაზიშვილის პოეზიის განცდა-გაგების მთავარი კარი ხედვითი აღქმაა, შემდეგ ერთგვებიან სხვა სენსორებიც სმენა, რომელიც ასონანსების მუსიკაში იხსნება, შენება, როგორც სიტყვის სიმკვრივე, და ყნოსვა, როგორც „სხვა“ სუნთქვა.

შენ ზურგს შეაქცევ მშიშარა ფიქრს, მოჩვენებითად სიბილურ გუმანს

და მთებს გახედავ, ისევ რომ სდუმან, რადგან სიმაღლით ყველაფერი თქვეს.

.....

ის დარჩა ძმებზე მოტირალი, მღუღარე ცრემლით ორთავ თვალის ამომკალავი, დვას მისი ლანდი ჩემში, როგორც დარდის კარავი.

ეს არ არის ფოტო—ასლი, ორიგინალში მეც იქ ვიყავ, მაგრამ არ ვჩანვარ, რადგან ისინი ჩარჩნენ ჩემში და სურათი არის ჩემში და მე ჩარჩო ვარ.

დილას აღვიძებს პურის სუნი, არსობის სუნი.. შუალამისას ჭრიჭინების მშვიდი სიმღერა ადგილს არ ტოვებს სხვა ხმებისთვის...

... და ეს ყანები მკათათვეში გადათიბული ჩვენს მოსალოდნელ უძრაობას – გამზუურებულ ლოგინს უშლიან.

(„პურის სუნი“)

ულიმი მედღას, ჩალურჯებულ ვენას უჩვენებ, როგორც მკლავზე ამოსულ იას და გიხარია, დღეს რომ ტკივილს გაგიყუჩებენ.

(„ჩაბრუნებული მზერა“)

მაგრამ შეგრძნებათა მყისიერ სინქრონულობას სად-
ღაც ჩუმი ირონია ბზარავს, როგორც სიბრძნის დალი, რო-
მელიც შეგრძნებათა შორის მკრთალად მიიპარება და
ქმნის პაუზათა ნაპრალს, როგორც მიჯნას დუმილსა და
თქმას შორის, მოკვდავობასა და უკვდავებას შორის, ყოფ-
ნასა და არყოფნას შორის:

**ნატრობდა თავი ხელახლა ეშვა,
მაგრამ სხვა ბგერა არ ჰქონდა ეყვანს.**

**მიაცილებდა მისი წკრიალი,
იქითკენ, სადაც მუდამ წრე არი.**

**კარი ვერ გახსნა დიდი ოქტავის,
უკვდავებაზე დარდობს მოკვდავი.**
(„ეყვანი“)

**რაც თავი მახსოვს, მე ნაპირი ვიყავი მუდამ –
არა მხოლოდ ზღვის, არამედ სიტყვის
და სიტყვებს შორის არსებულ დროში,
რომელიც მუდამ უთქმელობის ტანჯვით სავსეა,
ვიმალეობდი და არ ვჩანდი აღარავისთვის.**
(„არსებობს ვილაც, ვინც ფხიზლობს მუდამ“)

**ეს ლექსიც, ალბათ, კიბეს ნაავას,
რომ ადი-ჩადის იმ ორ კარს შორის,
რომელიც მუდამ დახშულია, რადგან ღიაა.**
(„...ჩვენ ხომ ყველა დაკეტილ კარს ვებლაუჭებით“)

**ზოგჯერ პაუზა
ჩვენც გვაუჩინარებს და ვიგულისხმებით
იმ ბზარში, რომელიც ჟამამა ამოქოლა.**
(„პურის სუნი“)

ზღვარზე დგომა ნიშნავს იპოვო წონასწორობის ცენტრ-
რი, რომელიც თავის თავში კრავს, გადაკვეთს ისტორიასა
და თანამედროვეობას, როგორც პროცესს. ეს პოზიცია იმ-
დენად შეიძლება იყოს ავტორის არჩევანი, რამდენადაც
პოეტური სათქმელი ითხოვს ამას.

გივი ალხაზიშვილის პოეზია სწორედ ამგვარი წონასწო-
რობის გამომხატველია. ე.წ. კონვენციური ლექსი თემა-
ტურ-შინაარსობრივი პლასტის ფორმალური გადაწყვეტაა,
როგორც ინტერტექსტური დიალოგების ბუნებრივი ელე-
მენტი და არა გაცვეთილი პოეტური ინერცია. შესაბამისად,
იგი თავის ადგილს სწორედ იქ უთმობს ლექსწყობის სიახ-
ლეებს, სადაც მხატვრული მზერა საგნებისა და მოვლენების
მიმართ აღარ იხსნება რეტროსპექტულად და მომართულია
პერსპექტივიდან; მაგალითად, სუბიექტ-ობიექტის ინვერ-
სია, როგორც პოსტმოდერნული ხედვითი ალტერნატივა,
გივი ალხაზიშვილის პოეზიაში მზერის ვექტორის ცვლას-
თან ერთად ბუნებრივად იბადება:

**... ყოველი დღე ისე მფურცლავს,
როგორც ადრე ნაკითხულ წიგნს
და ვერ მიხსენებს.**
(„...ამ ოთახებში ერთმანეთის სუნთქვაც კი გვესმის“)

**საშიში მზერა გიმახსოვრებს
და მან, ვინც შენში იქექება,
ჰორიზონტიც ყულფად გიქცია**
(„...ამოიკითხავ ხელნაწერს შენში“)

ამასთან კონვენციური სალექსო ტრადიცია არ თმობს
თავის შესაძლებლობებს: ტექსტთა შორის დიალოგის პა-
როდიულ-ირონიული მოდუსის გამფორმებლად სწორედ
იგი წარმოსდგება.

აქ ტრადიციული ვერსიფიკაცია, როგორც ინტერტექს-
ტის მაორგანიზებელი, თავად იძენს ახალ კონტექსტს.
ამასთან, რემინისცენციები, ალუზიები თავის მხრივ გა-
დატვირთავენ ტექსტთა შორის „შეფერხებულ“, გაუჩინა-
რებულ თუ გამოტოვებულ დიალოგებს და მათ ახლებურ
რეპრეზენტაციას გვთავაზობენ.

ეს არის ვერსიფიკაციის ის სემანტიკური შრე, რომე-
ლიც ნამდვილ პოეზიაში შინაგანი კანონზომიერებით წარ-
მოაჩენს ხოლმე თავის თავს და ახდენს ტრადიციისა და მო-
დერნის ურთიერთგადაფორმებას.

**ქრ.. ქრ..ება. შუქი ქრება..
ქრ..ქრ..ება ქრომატულად,
მაგრამ ალბათ უფრო მარტივად...
გადანაცვლება აკრობატული —
ქარი რომ დაქრის, სადაც უნდა და როცა უნდა
დაქრის, ქრ. ქრ. ქრ. ქრ..ოლვის იმიტაცია,
განქარვება და ქარის დევნის გახსენება.**

უდაბნოს ქარვა ჰორიზონტთან დნება ყოველთვის...

**ქრ. ქარი, ქორი და ქორო ნუ ფრენ..
და ვაჟთა ქორო, და ქარავანი ქორონიკონის.**
(„სანიშნებელი — საავადმყოფო ფურცელი“)

პაროდიულ-ირონიული ნარატივის აღნიშნული ფორმა-
ლური ნახნავი გივი ალხაზიშვილის პოეზიაში საინტერესო
სემანტიკურ დატვირთვასაც ატარებს: იგი ერთსა და იმავე
დროს გამოხატავს ბმასა და წყვეტას ტრადიციასთან, რე-
ლიგიასთან, ექსისტენციასთან, ყველაფერთან, რაც სულ
ცოტა ხნის წინათ გენეალოგიურ მოცემულობად წარმოგ-
ვიდგებოდა. რემინისცენციები, ბგერწერის პოეტური სტრა-
ტეგიები, ევფონიები და ასონანსები გვთავაზობენ ეს წყვე-
ტები განვიცადოთ როგორც მარადიული მთელის ნაწილი.
აქედან მისტიფიკაცია, რომელიც – როგორც განწყობის
შიგნითა მხარე – კიდევ განსაზღვრავს და კიდევ განასრუ-
ლებს მხატვრულ კომპოზიციას.

**ეს მორიალე რეალობაა
და ატმოსფერო ფარისევლურ-ამორალური,
იგივე ხალხი სადუკველ-ამორეველი
და გოდებიდან ამოზრდილი იუდეველი,
ჩვენ — ძველი ფიქრით, სატკივართ, შეცოდებებით,
და შურით, შურის შარი-შურით მიუტყვევლით...**
(„კონტური“)

მეორე მხრივ, ირონია ახალი დროის ხმაა, რომელიც ტრა-
დიციულ განმარტებებსა და სახელებს თავისებურად გადა-

ნათლავს, ან სრულებით აუქმებს... „ქაცვიას დღიურების“ ავტორი არც ამ ხმას გამოტოვებს და იგი თავის ბუნებრივ ადგილას შემოაქვს ირონიისა და პაროდის ქვეტექსტში...

შემოქმედების თემატური პლანი პოეტის მხატვრული ინტერესების სფეროს ასახავს. ამიტომ იგი ყოველთვის საინტერესოა. გივი ალხაზიშვილი ამ თვალსაზრისით ქართული სააზროვნო ტრადიციების გამგრძელებელია.

აბსურდული ყოფა, გაუფასურებული ღირებულებები ადამიანურ სევდასა და მწარე ირონიას წარმოშობს. „იყიდება საქართველოს“ მოტივი გივი ალხაზიშვილის შემოქმედებაში ეროვნული და მოქალაქეობრივი ცნობიერების კრიზისის თემატიკას აგრძელებს.

**ყვიდი სამშობლოს, თუ კი ისევ არსებობს,
საჭირო ინფორმაციისთვის:
“დარეკე, დაუბარე!”
ყვიდი დაუბადებელ შვილს,
ყვიდი მხოლოდ უცხოელზე...
“დარეკე, დაუბარე!”**

(„მორბენალი სტრიქონი“)

**და ეს მერამდენე დღეა,
ვერ იხსენებ
ერთი და იგივე დღე რომ მეორდება
და შენც რომ არსებობ ვილაცის ასლივით,
რომელიც დედანთან ყოველთვის სწორია,
დედანთან სწორია,
როგორც ეს მასივი —
ნაცრისფერ ყოფითაც არ არღვევს სტანდარტებს,
შენ არსად, ის არსად, გრძელდება ზოზინი —
ანდანტე... ანდანტე...**

(„თვალი გზად გავირბის“)

პოეზია ადამიანის სულიერი სამყაროს გახსნის გარშემო ტრიალებს. ტკივილის, მარტოობის, მიუსაფრობის, შიშის, სიხარულის, მშვენიერების ასახვა აქ იშვიათი პოეტურ-რი შთამბეჭდაობით გამოირჩევა:

**და ისევ ტივტივებ, და რადგან ტივტივებ,
ვერ ხვდები სარკმელი რად გექცა მინურად,
შენ ღუზა ჩაუშვი საკუთარ ტკივილში,
და ახლა ჩაშვებულ ღუზასთან მიცურავ
*(„დილის კონცერტი — ძველი ალბომი“)***

**მომენატრები, მაშინაც კი, როცა აქვე ხარ
და მეშინია რომ გაფრინდე სადმე ჩიტივით,
მომენატრება შენი ხელის მჩატე შეხება
და შიშის შიში და ეს ფიქრი შიშის ჩითილი
თვალეში აჩენს უფერულ ფოთლებს...
და ქვასაც შენი გული უცემს...**
(„პურის სუნი“)

**ჰყვოდა მდელო და გწვდებოდა წელამდი...
შენ დროს იზოგავდი, თითქოსდა წელავდი...**

**ერთმანეთს ვეძებდით, ვავსებდით, ვთიბავდით,
ვანწვდით, ვკონავდით, ვკონცნიდით, ვცელავდით.**

**ხსოვნაც კი მალეღვებს; მაშინაც ველავდი,
შენ თვალს აკვესებდი და ჩემში ელავდი,
რად აღარ შემოგვწვდა ბალახი წელამდი,
ჩვენ, მოსაცელები, ერთმანეთს ვცელავდით.**

**სიტყვები დუმის და მზის საათების:
მგონი რალაც დაგრჩა კიდევ გასათიბი.
*(„თუშური პასტორალი“)***

ტრადიციის ნაყოფიერ ძალას პოეტი სრულად აცნობიერებს: ფოლკლორული მოტივები თუ ალუზიები მხატვრული აზროვნების ერთგვარ ნახნაგებად წარმოსდგებიან:

**„აღარ მასვენებს მივიწყებულ შაირის სული:
ცხრა ქალამანი გავცვით, ცხრა გზა,
ცხრა ხერხი ვცადეო,
ვდიე და ვერ დავენიე, დავჯე და დავუცადეო“
*(„ეს დღე სად გაქრა?“)***

**ჩვენ მათ ვსუნთქავთ
ჰაერთან ერთად და დროსთან ერთად,
ვინც მიაბარეს ცასა და ურნას,
კვამლი იქა და ფერფლი აქა.
*(„დავინყებულთა რეკვიემი“)***

სამყაროს ამოუცნობი იდუმალება გულუბრყვილობას კვლავაც უნარჩუნებს ადამიანს, რომელმაც გაკვირვების უნარი თითქოს დაკარგა. ამიტომ უპასუხო კითხვები სწორედ ბავშვის ხმით გაისმის:

**მე რომ გავიზარდები, შენ ხომ ჩაიზარდები?
სად მიდის კაცი, როცა ველარ ბრუნდება?
სად იმალება ქარი, როცა აღარ ქრის?
სად იმალება ცეცხლი, როცა აღარ ანთია?
სად მიდის მუსიკა, როცა აღარ უკრავენ?
*(„ბავშვის შეკითხვები“)***

თიხა ადამიანი: ხან სავსე, ხან ცარიელი. სავსე თიხა „მღერის“ და სიცარიელე ხმის დაკარგვის ტრაგედიაა. თიხა სავსეა ღვინით ცისა და მიწის ზიარებით...

**...მკვდრეთით აღმდგართა ვსვამთ საგალობელს..
ახლა რომ ისმის ფრაგმენტებად და ვსვამთ კიდევაც
და ვგრძნობ საღამოს ლურჯფეროვან გახავერდებას
და ქვეყანაზე მთვარის დარდის გადმოკიდებას.
...მომენატრება, მოფერებისას
ხელისგულის ქვეშ რომ იბურცები..
გადამაფარე შენი მზერის თბილი ქსოვილი...
მოიზილება ჩვენგანაც თიხა,
თიხისგან — დოქი,
მრავლისგან — ერთი,
ხოლო იმ ერთში მრავალთა ძილი.
...მხოლოდ შენი გამოღვიძება...
და გულისცემას აყოლილი სიცოცხლის ჩქამი
და პაუზების ამოქოლვა ცვალებად ტემპრით
დოქი ხმას იცვლის...
გახსოვდეს თიხა
*(„გახსოვდეს თიხა!“)***

მინა მინაა –
ბოლოს მინა საფლავს ეკუთვნის
და ეს ტიპები თიხის ფეხებზე რომ შემდგარან
და არხეინად მიაბიჯებენ,
არც ახსენდებათ რომ თვალებით
თავიანთ ცას დაატარებენ...

... და ეს ყანები მკათათვეში გადათიბული
ჩვენს მოსალოდნელ უძრაობას –
გამზეურებულ ლოგინს უშლიან.
(„...საკმარისია ხელის განვდენა“)

ამაოებაზე ფიქრი, სულისა და ხორცის ერთარსობა და
ჭიდილი ბიბლიურ პარადიგმებს ეფუძნება. ქართული პოე-
ზია ამ პარადიგმებზე ჩამოყალიბდა. დავით გურამიშვილი
მათ სიმბოლურ-მეტაფორულ და პარადიგმულ-ირონიულ
ქსოვილში შლიდა. მისტიფიკაციის ამგვარი ტრადიცია
მთელი თავისი ცხოველმყოფელობით გრძელდება და
მხატვრულ უკუფენებსა და სააზროვნო ტენდენციების ში-
ნაგან უწყვეტობასაც იმპლიციტურად მიუთითებს:

მიპოვეთ ვინმე, ვინც შეაღვიძებს
შვიდსიმიან ქნარს,
რომ მისი სუნთქვა მოსწვდეს იალქანს
და შემაცუროს ზღვაში ნავივით...
მე დავივინყებ ოცდამეერთეს
და უდროობის ზღვართან ჩაივლი.
ვერ დავთმე ყოფა და გამოყოფა,
თავის მღვიმით და მკერდის აივით.
(„მიპოვეთ ვინმე“)

და ისევ სიმღერა ძველებური —
ჰარი—ჰარალე და არხალალი,
ბალახივითაა ეს დღეები,
ქარი დაჰბერავს და... აღარ არი.
(„ფსალმუნის მოტივები“)

დაბოლოს, გივი ალხაზიშვილის პოეზიაზე საუბარი
სრულყოფილების საკითხით დავიწყეთ. მხედველობიდან
არ გამომრჩენია საუბარში ასე შესვლის რისკი, გამოითქვა
ბუნდოვნად და მორალისტურად. მაგრამ თუ ეს ცნობიერი
სტარტია, მაშინ იგი მხოლოდ მათგან დაშორების, განდგო-
მა-გამოქცევის ნიშნულია.

სრულყოფილება დასრულებულობაა. და ის იმდენად-
ვეა შემოქმედებითი ჟინი, რამდენადაც ოსტატობა, იმდე-
ნადვეა აღმაფრენა, გნებავე პლატონის ზემთაგონება,
რამდენადაც მოქანდაკის ფაქიზი შრომა და ზედმინეწითი
ცოდნა, გრძნობა მასალის.

აღმაფრენა და ოსტატობა (ხელოვანება) ერთად მალა-
ლი პოეზიის (საკმაოდ დეფიციტური) კულტურაა.

გივი ალხაზიშვილის შემოქმედება იშვიათი სინატი-
ფითა და სიღრმით ფლობს ამ კულტურის უმაღლეს ნიშ-
ნულებს და ქართული პოეტური კულტურის რეალურ ში-
ნაარსსაც შეგვახსენებს, რაც, სამწუხაროდ, დღეს იმ ალ-
ტერნატივად რჩება, რომლის საჭიროებისთვისაც ნარ-
ცისულ-ეპატაჟურ კმაყოფილებაში ლამის ადგილი აღა-
რავს...

ნინო ვახანია

დანაშაული — სულიერი თავისუფლება



მთარგმნელის დებიუტი

დეტექტივმა, როგორც ჟანრმა, დიდი ხანია მოიპოვა
ლიტერატურაში თავისი განსაკუთრებული ადგილი და
როგორი განსხვავებული შეფასებებიც უნდა მოვისმინოთ
მის შესახებ, მკითხველის სიყვარული, როგორც ჩანს, ურ-
ყევია. ალბათ, სწორია ის შეხედულება, რომლის მიხედვი-
თაც, მდარე ან ამალღებული და პრესტიჟული ჟანრი არ
არსებობს, ასეთი (ერთი ან მეორე) მხოლოდ ნაწარმოები
შეიძლება იყოს.

ჯილბერტ კით ჩესტერტონის დეტექტივი „ჯონ ბულ-
ნუას უცნაური დანაშაული“ ამ ჟანრის ერთი საუკეთესო
ნოველაა. მისი ქართული თარგმანი გამოქვეყნდა ჟურ-
ნალ „ჩვენი მწერლობის“ 2010 წლის პირველ ნომერში (ინ-
გლისურიდან შესანიშნავად თარგმნა ლალი ჩხეიძემ).

ავტორი პერსონაჟთა ფსიქოლოგიური პორტრეტის
ხატვის ოსტატია. პირველივე წინადადებით შექმნილი
მხატვრული სახე ბატონი კიდისა მისი შინაგანი ბუნების
გახსნას ემსახურება, აინტერესებს მკითხველს და იმთა-
ვითვე „ითრევს“ თხრობაში. მისი გახეთისთვის ხუმრო-
ბით შერქმეული სახელი „ამომავალი დასი“ კი თავისი
კონტრასტით ხიბლავს გემოვნებიან ადამიანს, ვისაც, უნ-
და ვიფიქროთ, არც ამერიკული ჟურნალისტიკის ირონი-
ული დახასიათება გამორჩება მხედველობიდან.

მთავარ მოქმედ პირზე — ჯონ ბულნუაზე — თხრობა-
ში გამოჩენისთანავე გვექმნება წარმოდგენა და დასრუ-
ლების შემდეგ შეგვიძლია შევავასოთ, რომ სწორი წარ-
მოდგენა შეგვექმნია.

ეს, რა თქმა უნდა, მწერლისა და მთარგმნელის დამსა-
ხურებაა. ქართულ თარგმანში შენარჩუნებულია ის ჩუმი,
იდუმალი, არამყვირალა ირონია, რაც უთუოდ არის დე-
დანშიც. ჯონ ბულნუას მსგავსი ფსიქოლოგიური ტიპი,
ერთი შეხედვით, სრულიად უსაფრთხოა საზოგადოების-
თვის. მას არც გაზეთებში ატეხილი (მისივე თეორიით გა-
მონვეული) აჟიოტაჟი აწუხებს ან სულაც არ აინტერე-
სებს, არც, როგორც ჩანს, მთელი საზოგადოება თავისი
სიჭრელით, მომხრე-მონინაალმდეგებით, დამფასებელ-
შემფასებლებით. მორიდებული, საერთო ხმაურისა და
ჟრიაშლისაგან შორს მყოფი ბულნუა ბედნიერად ცხოვ-
რობდაო, გვეუბნება მწერალი და ეს არ არის ირონია. ყო-
ველგვარ შურზე, მტრობაზე, მეტოქეობაზე, სამაგიეროს

გადახდის სურვილზე მაღლა თუ შორს მდგომი ადამიანი მართლაც ბედნიერი უნდა იყოს.

მაგრამ ფსიქოლოგებს აღწერილი და შესწავლილი აქვთ შემთხვევები, როცა სწორედ ასეთ მორიდებულ, ხშირ შემთხვევაში უჩინარ, ყველა შემთხვევაში კი უწყინარ ადამიანებს ჰყავთ მტერი. მტერი, როგორც წესი, მათზე აღმატებულია, მათზე ძლიერია, მათზე ცნობილი და წარმატებული. ასეთ ადამიანებს თითქოს არაფერი უნდა ჰქონდეთ ერთმანეთთან არც საერთო და არც გასაყოფი, მაგრამ ერთს მეორის თვით არსებობა აღიზიანებს, ალღევებს, არ ასვენებს. ჩუმნი, წყნარნი და უჩინარნი ხშირად თავისდაუნებურად იმარჯვებენ „შეჯიბრებაში“.

„ჯონ ბულნუას უცნაურ დანაშაულშიც“ სწორედ ასეთ ვითარებასთან გვაქვს საქმე.

სერ კლოდ ჩემპიონი — ინგლისის მონინავე ათეულში შემავალი ერთ-ერთი ყველაზე მდიდარი და საზრიანი კაცი ისე ცოცხლად, სახიერადაა დახატული, რომ სრული შთაბეჭდილება გვრჩება, ის ჩვენც გვინახავს, არაერთხელ შევხვედრივართ, კარის მეზობელი და მეგობარი თუ არა, ჩვენი კარგი ნაცნობი მაინც არის.

რა უნდა ჰქონოდათ საკამათო ან გასაყოფი ბავშვობის მეგობრებს — ჯონ ბულნუასა და სერ კლოდს? რა უნდა შეხარბებოდა წარმატებულ სპორტსმენს, პოლიტიკოსს, მხატვარს, მუსიკოსსა და ლიტერატურათმცოდნეს ერთი მორიდებული და ბოლო დრომდე ყველასთვის უცნობი ფილოსოფოსისა?

სერ კლოდი ტყავიდან ძვრება, ყველაფერს აკეთებს იმისთვის, რომ ბულნუას თავისი უპირატესობა დაანახოს, დაუმტკიცოს. მისი გულგრილობა თუ სიმშვიდე აცოფებს, სურს, ენატრება, დამცირებული, მუხლზე დაჩოქილი ან სამტროდ შემართული იხილოს. ბულნუას გამონვევა თითქმის შეუძლებელია. მას თავისი სამყარო აქვს, თავისი წიგნები, თავისი ინტერესები... და არა და არ აინტერესებს ე.წ. საზოგადოებრივი აზრი.

რა გულქვა ან რეგვენი უნდა იყოს ადამიანი, სიმშვიდე შეინარჩუნოს მაშინაც, როცა მის ცოლს სხვა მამაკაცი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს და ცოლსაც ამ ამბით გამონვევილი აშკარა სიამოვნება ეტყობა? მაგრამ ბულნუა არც გულქვაა და არც რეგვენი, მოთმინებიდან კი არა და არ გამოდის, წონასწორობას არ კარგავს... „კატასტროფიზმის“ თეორიას ამუშავებს. და არავითარ ყურადღებას არ აქცევს მეგობრის წარმატებებს.

არაჩვეულებრივად შთამბეჭდავდა აღწერილი, როგორ მიდის ამერიკელი ჟურნალისტი პენდრაგონ პარკისკენ. წინათგრძნობა თუ რაღაც უხილავი ძალა გამოუსწორებელი შეცდომის, გაუსაძლისად სამწუხაროს, ტრაგიკულის, მოჩვენებითის, არარეალურის გარემოცვაში ამყოფებს. როცა მწერალი მთლიანად მოგვაქცევს უჩვეულოს მოლოდინში, თხრობას მხოლოდ მერე აგრძელებს და ჩვენც „კატასტროფიზმის“ დადასტურების მოწმე ვხდებით. სიცოცხლით სავსე, წარმატების პიკზე მყოფი, უზადოდ ჩაცმული ბატონი ჩემპიონი სისხლით მოსვრილი, ხმლით განგმირული გდია ჩვენ წინ.

სულის ამოსვლამდე მხოლოდ მკვლელის დასახელებას ასწრებს — ბულნუა! მისი მკვლელი ბულნუა!

ბულნუაზე შურისძიების სურვილმა ასეთი არაბუნებრივი, წარმოუდგენელი რამ გააკეთებინა ჩემპიონს. თავი

მოიკლა, ყველანაირი მომავალი მოისპო, ოღონდ მკვლელობა ბულნუას დაბრალებოდა...

„მებრალეებიან მე ჩემი მტრები—არ ვიცი მტრობა!“ ადამიანის ფსიქოლოგიის ღრმა ცოდნითაა დაწერილი გალაკტიონის ეს სიტყვები.

ბულნუამ მტრობა არ იცის.

მღვდლისა და ქალბატონი ბულნუას საუბარში ორივე „მეტოქის“ ხასიათი გადაიშლება. შეუძლებელია, ეს მკვლელობა ჯონ ბულნუას ჩაედინა. ეს მის ხასიათს არ შეესაბამება, „რომანტიკული მკვლელობა“ მისი ცხოვრების სტილს ეწინააღმდეგება.

აღმოჩნდა, რომ არც ჩემპიონია შეყვარებული ქალბატონ ბულნუაზე, ასე რომ, სიყვარულისთვის თავის მოკვლა ამ შემთხვევაში გამორიცხულია. მაშ რა? ბატონმა ჩემპიონმა ასე იძია შური ბულნუაზე.

ნოველის ბოლოს ვხედავთ მამა ბრაუნის წინაშე ძლიერ დარცხვინილ ფილოსოფოსს, რომელსაც თავისი ნათქვამი ტყუილის აღიარება უჭირს. არადა, ამერიკელ ჟურნალისტს თვითონ გაულო კარი და თავად უთხრა, ჯონ ბულნუა პენდრაგონ პარკში წავიდაო. მისი დანაშაულიც ეს არის — ჟურნალისტის მოტყუება.

ამ მცირე დანაშაულმა ის უდიდეს სასჯელს — ჩამოხრჩობას ააცდინა — ჭეშმარიტი მწერლური ხელოვნებით მთავრდება დეტექტიური ნოველა.

მაგრამ ბულნუას დანაშაული განა მართლა ის უწყინარი ტყუილია? მისი „დანაშაული“ მისი შინაგანი თავისუფლება, დამოუკიდებლობაა, მისი „დანაშაული“ ისაა, რომ „ამერიკას საერთოდ ქვეყნად“ არ მიიჩნევს და, რაც მთავარია, არ იცის შური, არ იცის მტრობა...

უცხოურიდან ქართულად თარგმნის ისეთი დიდი და ხანგრძლივი ტრადიციების ქვეყანაში, როგორც საქართველოა, კარგი თარგმანი არ გვიკვირს, უბრალოდ — მოგვწონს. მთარგმნელობითი თეორიების ერთმანეთისგან განსხვავების მიუხედავად, ყველა თეორიტიკოსი ელიარებს, მთარგმნელმა კარგად უნდა იცოდეს ის ანაც, რომლიდანაც თარგმნის, და ის ენაც, რომელზედაც თარგმნის. და კიდევ, მთარგმნელის განათლება, გემოვნება და იქნებ ხასიათიც კი ჩანს სათარგმნელი ტექსტის შერჩევაში.

ამ ნოველის ახალგაზრდა მთარგმნელი ყველა ძირითად მოთხოვნას ბრწყინვალედ ართმევს თავს. შერჩეულია ე. წ. ინტელექტუალური დეტექტივის ნიმუში, ინგლისურიდან თარგმნის დროს შენარჩუნებულია დედნისეული განწყობა, შეფარული იუმორი თუ იდუმალეების განცდა, რაც ცხადად ამტკიცებს, რომ მთარგმნელმა შესანიშნავად იცის ინგლისური, ხოლო ქართულის ცოდნა გასაოცარიც კია (ვიცი, რომ არც ეს უნდა გავიოცო), იმიტომ, რომ მისი ტოლი გოგო-ბიჭების უმრავლესობამ არც კი იცის ზოგი იმ ქართული სიტყვის მნიშვნელობა, რომლებსაც ლალი ჩხეიძე მოხდენილად და ძალდაუტანებლად იყენებს თარგმანში.

დიდი მადლობა ჟურნალ „ჩვენს მწერლობას“ იმისთვის, რომ ერთგულად იცავს პრინციპს: მიეცით ნიჭსა გზა ფართო...

მაკა ჩარკვიანი

და ვიცი, ღელვანა საგანი

□

ბია მირზაშვილის ერთი ნახატის გამო

თვალთ დავინახე, მაგრამ სულით შევიგრძენი, თვალდახუჭულიც ვიგრძნობდი მის მძლავრ ვიბრაციას.

გამოფენაზე დასწრების ბედნიერება არ მქონია და მხოლოდ ერთ ტილოზე ვლაპარაკობ, ნახატზე, რომელიც გაურკვეველი გზებით თვითონ მოვიდა ჩემთან, დამენახა და დამარწმუნა, რომ მთელ გამოფენაზე მაინც და მაინც ის იქნებოდა ჩემი რჩეული.



ის უსათაუროა, შეიძლება ვცდები, მაგრამ სახელი არ გამიმხილა, არც მე მიკითხავს; მგონი ჩარჩოს ზევით დასმული სამი წარმოსახული ვარსკვლავითაა დასათაურებული, როგორც გალაკტიონის „წინანდალელი ნათელა“ და არა მარტო ის. 2010 წელს ალბეჭდილი განცდაა.

ნახატიდან წამოსული აღმური მომეკიდა და დავიბენი. „გრიგალთა სადაურ შებერვას მისდევენ ფოთლების შვავები“? – მეტი ვერაფერი ვკითხე კარგა ხნის დუმილის მერე. მეტი ან რა უნდა მეკითხა... მ ი ჰ ა ს უ ხ ა... და მხოლოდ მე გამანდო... რა თქმა უნდა, მეც საიდუმლოდ შევი-ნახავ. მხოლოდ იმას ვიტყვი, რისი თქმაც შემიძლია.

გამოცა განცდის სიშიშვლემ, დაუფარავმა და თავშეუკავებელმა ნდომამ და გამოხატვის სურვილმა, ყოფაში დაუხარჯავი შესაძლებლობების არდახარჯვის შეუძლებლობამ, სრულ მოძრაობაში მოყვანილ სტიქიათა ალოგიკურმა, მაგრამ ჰარმონიულმა კავშირებმა. წყალი უცეცხლოდ დულს და თუნგიდან მსუყე და ცხელი ორთქლის ღრუბლები ამოდის და ეს დულილი ამ ანთებული ტილოს ყველაზე მშვიდი ფრაგმენტია; შემდეგ ცეცხლის სტიქია მძლავრობს, ვარდი ცეცხლითაა მორწყული და აყვავებული... მაგრამ ვარდია? აყვავებულია? არა, უფრო მატერი-ით გამოსახული აფეთქებული ეთერია, მეხუთე ელემენტი, კვინტესენცია... შეუდარებლად ადვილია ცეცხლ-მოდებული საგანი ტილოზე გადმოიტანო, გაცილებით ძნელია, ოსტატურად შეძლო ამის გაკეთება, მაგრამ შე-

უძლებელია გადმოსცე შინაგანი წვა, მატერიალური თუ ეთერული საგნების უკიდურესობამდე გავარჯარებული სულიერი მღელვარება; აქ სწორედ ესაა გადმოცემული: “და ვიცი ღელვანა საგანი” – მეც ვიცი, ეს სიტყვაც ამავე განცდით იწერებოდა...

შედეგრი, რა ფორმითაც უნდა იყოს გამოსახული, ერთი და მხოლოდ ერთი გრძნობის ორგანოთი აღიქმება და შეიცნობა, განსაკუთრებული ორგანოთი, რომელიც არც მეექვსეა, არც მეშვიდე და, შესაძლოა, საერთოდ არც იყოს გრძნობის ორგანო. ეს შეცნობა რალაც ისეთს იწვევს, რაც ექსტაზის მსგავსია, მაგრამ უფრო მყარი, ზეალმატებული და ჯანმრთელი. სრულიად ფხიზელი ხარ და, ამავე დროს, ნეტარება მთლიანად იპყრობს სამშვიდველს, არც ვიცი, როგორ ვთქვა... ეს ის სიფხიზლეა, როდესაც ღმერთი თვრება შენში.

გარდა ამისა, კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, რომ მუსიკა, სიტყვა, ნახატი – ერთ მთლიან განცდას იწვევს, მთლიანს და მსგავსს, ანუ იდეტურს. პირადად ჩემთვის უფრო ადვილია, ეს ის ტილო, რომელზედაც ახლა ვლაპარაკობ, ბეთჰოვენის რომელიმე სონატას ან გალაკტიონის ჰოეზიას დაუჟკავშირო ან შევადა-

რო, ვიდრე რომელიმე სხვა ნახატს, თუნდაც იმავე ავტორისას მაგალითად — პათეტიკურ სონატას, რომელიც ეპილეფსიურ აურას მაგონებს, რასაც უმძიმესი პაროქსიზმი უნდა მოჰყვეს; უნდა მოჰყვეს, აი, უნდა დაიწყოს, აი, იწყება, აი, თითქმის დაიწყო, შემდეგ დროებითი და შედარებითი შვება და მოჩვენებითი სიმსუბუქე შემოდის... (როგორც ამ ნახატში – ორთქლის ღრუბლები), შემდეგ ისევ გააყვებული აკორდების რიგი იწყება და ასე ცვლის ერთი ტალღა მეორეს შინ კი მეცხრეს ელოდები და ოპუსი ისე მთავრდება, ვერც კი ხვდები, რომ ყველა ტალღა მეცხრე იყო და ცხრავემ თავზე გადაგაიარა; ძრწოლოვით ელოდებოდი ნგრევას, მან კი, საბოლოოდ, კათარზისი მოგიტანა.

განსხვავება მხოლოდ დროისა და სივრცის კატეგორიებშია, მუსიკა თუ დროში აღიქმება და სუქცესიურია, ნახატი სივრცის ერთდროული მოცემულობაა.

საბოლოოდ სივრცე და დრო ანუ უსასრულობა და მარადისობა, მაინც ერთ მარადისობაში ერთიანდება. ისე, რომ ეს აღქმითი კატეგორიებიც ილუზორულია და მხოლოდ ჩვენი მატერიალური სამყაროსთვის დამახასიათებელი აღქმის შესაძლო მექანიზმებია. ე.ი. არსებობს სხვა მექანიზმებიც და სხვა შესაძლებლობები, სადაც დრო, სივრცე, ფერი, ბგერა, სიტყვა და ა.შ. სულაც არ აღიქმება იმ ორგანოებით, რომლებსაც ეს ფუნქცია აკისრიათ.

ერთ-ერთი მიზეზი იმისა, რომ შედეგთან მიახლება

ამაღლებულ და ღვთიურ განცდებს ინვეს... სწორედ ესაა, რომ იგი სხვა, არაამქვენიური მექანიზმების არსებობაზე მიგვანიშნებს. მინიშნება მით უფრო ძლიერია, რაც მეტად ღირებულება შემოქმედების ნიმუში. როდესაც პოეტი ამბობს – „ოცნება, ნახაზი საგანთა უარით“ — ამ დროს იგი ინტუიციურად აგნებს სიტყვის გამოყენების უჩვეულო ხერხს და ამით ზუსტად ახერხებს იმ განცდის გადმოცემას, რომელსაც ჩვეული ხერხებით ვერაფრით მიიტან მეორე ადამიანამდე; ასე რომ, მკითხველამდე უკვე გამზადებული და მოძიებული ფრაზა მიდის, რომელსაც იგი იმ იშვიათი ორგანოთი თუ საცეცებით აღიქვამს, რომელსაც ყოველდღიურობაში ჩვეულებრივ არ ან ვერ იყენებს.

კიდევ ერთი საინტერესო და მნიშვნელოვანი მომენტი არსებობს, როდესაც ამაღლებულ, ზღურბლს მიღმა არსებულ განცდებზე ვლაპარაკობთ. ეჭვი არაა, განცდის სიმძაფრე მხოლოდ შედეგის ღირებულებით ვერ განისაზღვრება. ადამიანისა და ხელოვნების ნიმუშის ურთიერთობა ორმხრივია, ალიანსია, ერთგვარი ტრანსაქციაა, რომელიც უნდა შედგეს. ხშირად ტილოს უყურებ, მაგრამ ვერ ჭვრეტ. ჭვრეტა კი ურთიერთობის წინაპირობაა. მაგრამ თუკი კავშირი დამყარდა, წყდება სიბრტყეზე მოძრა-

ობა და სიღრმის ათვისება ინყება უღრმავდები მანამ, სანამ ნახატი გაძლევს ამის საშუალებას; საშუალებას კი იგი იმდენად გაძლევს, რამდენადაც გააჩნია ეს სიღრმეები. მაგრამ, მეორე მხრივ, წვდები იმდენად, რამდენადაც უკვე შენ შეგწევს ამის უნარი. ეს უნარი ნულიდან უსასრულობამდე მერყეობს, ის კაცობრიობის ძალზე მცირე ნაწილს გააჩნია, რადგან ხელოვნებასთან ჭეშმარიტი ურთიერთობა თავადაა ხელოვნება, რომელიც საკმაოდ რთულ და მძიმე მუშაობას, გამძლეობას, სიფრთხილეს მოითხოვს... მას მხოლოდ სიხარული როდი მოაქვს, ტანჯვაც მოაქვს, შესაძლოა – სამოთხისეული, მაგრამ – მაინც ტანჯვა. ყოველი განწმენდა მტკიცეული და ხშირად აუტანელია. აქ არაფერია სახალისო. ის მაღლი, რაც შედეგთან ურთიერთობისას მოდის მსუბუქიცაა და მძიმეც, უდიდესი ნეტარების მომტანია, მაგრამ ამავე დროს უკიდურესად გავალდებულებს, პასუხისმგებელს გხდის...

სიტყვამ წამილო... ისევ ნახატს შევხედე, ახალი, ზღვა ინფორმაცია გადმოაფრქვია, საფიქრალი გამიჩინა, ბევრი საფიქრალი... ცეცხლის ენებმა ისევ გამიღვივებს გრძნობა და გონება...

ჩემთვის გავიფიქრე, ღმერთო, რა სიმხურვალეს უძ-

საორტი

გივი გამრეკელი

ჭადრაკის ტრფიალს რომ ეტყვიან

□

ბოკაჩო, შაქსპირი, რუსო, დიდრო, პოლტარი...

ჭადრაკი ყოველთვის იყო მწერლების საყვარელი თამაში. ბევრი შემოქმედი მათ დიდ ყურადღებას უთმობდა, ნაწარმოებსაც უძღვნიდა და, ამავე დროს პრაქტიკულ შეჯიბრებებშიც ჩინებულ შედეგებს აღწევდა.

ჭუმანისტი და ალორძინების ეპოქის რეალისტური პროზის ფუძემდებელი ჯოვანი ბოკაჩო ჭადრაკს არაერთხელ ასხენებს თავის მთავარ ნაწარმოებში, ნოველების განთქმულ კრებულ „დეკამერონში“. რაც შეეხება მის ერთ-ერთ ადრინდელ რომან „ილ ფილოკოლოს“ (1341), აქ მწერალმა შექმნა თავი ფრიად საყურადღებო ეპიზოდი მოიყვანა: ფილოკოლო ეთამაშება თავის უშუალო უფროსს და ყველაფერს აკეთებს, რომ აუცილებლად წააგოს, მმართველმა მას შამათი გამოუცხადოს. დიახ, მაგრამ რატომ? ამით ფილოკოლო ცდილობს უფროსი დაიმეგობროს, რომელიც მას სატროფოსთან დაახლოებაში დაეხმარება. „ფილოკოლო კარგად ხედავდა: შექმლო მხედ-

რით ისე ეთამაშა, რომ მეტოქის მეფისთვის ქიში და შამათი გამოეცხადებინა. ამის ნაცვლად მან ეტლით ის უფრა დაიკავა, სადაც მის საკუთარ მეფეს შექმლო საიმედო თავშესაფარი მოენახა. მმართველმა მხიარულად გადიხარხარა, ფილოკოლოს წამით გონება დაუბნელდაო. ეს მას საშუალებას აძლევდა მყისვე მოეგო, რაც მან გააკეთა კიდევ და მოწინააღმდეგეს პაიკით შამათი გამოუცხადა“.

ფრანსუა რაბლეს რომანში „გარგანტუა და პანტაგრუელი“ გვხვდება ცოცხალი ჭადრაკის ერთ-ერთი პირველი აღწერა მსოფლიო ლიტერატურაში, ხოლო მიგელ სერვანტესმა „დონ კიხოტის“ ერთ-ერთ პერსონაჟს სანჩო პანსას ათქმევინა შემდეგში ფრთიანად ქცეული სიტყვები: „ჩვენი ცხოვრება ჭადრაკის თამაშს ჰგავს“.

XX საუკუნის დასაწყისში ამერიკის შერთებულ შტატებში აღმოჩნდა სურათი, რომელიც ჯერ კიდევ 1603 წელს ჰოლანდიელ მხატვარ კარელ ვან მანდერს შეუქმნია. უილიამ შექსპირი ჭადრაკს ეთამაშება ცნობილ დრამატურგსა და თავის მეტოქეს სცენაზე ბენ ჯონსონს. ამასთან შექსპირი ჯონსონს შამათს უცხადებს. ჭადრაკი შექსპირს ძალიან უყვარდა და თავის ნაწარმოებებში არაერთ სპეციფიკურ საჭადრაკო გამოთქმასაც იყენებდა. კომედიაში „ჭირვეულის მორჯულება“ კატარინა უსაყვედურებს თავის მამას, რომელიც მისთვის საქმროს მოძებნისას შვილს „სულელების დასაცინად ხდის“... „თქვენ, მამაჩემო, გსურთ, რომ მე „ფათათ“ ვიქცე ამ დამშამათებელთა შორის“? (პირველი მოქმედება, პირველი სცენა). საქმე ის არის, რომ ის, ვინც იმ დროს საჭადრაკო პარტიაში „ფათის“ მდგომარეობაში ჩავარდებოდა, საყოველთაო დაცივნის საგანი ხდებოდა.

საინტერესოა ტერმინ „შახის“ ანუ ჩვენებურად ქიშის მხატვრული ინტერპრეტაცია, რომელიც მოწინააღმდე-

გეს მისი მეფისადმი აღძრულ მუქარაზე აფრთხილებს. დრამაში „მეფე ჯონი“ დედოფალი ელეონორა მრისხანე სიტყვებით მიმართავს ბრეტონის ჰერცოგის დედას, კონსტანციას, ამტყუნებს მას, რომ ცდილობს ტახტს დაეუფლოს და მთელ მსოფლიოს დაემუქროს. ელეონორა ამბობს: „გამეცალე, თავხედო! შენი ნაბიჭვარი (უღლეური შვილი) მეფე თუ გახდება, შენ დედოფლად იქცევი და მთელ მსოფლიოს ქიშს გამოუცხადებ“ (მეორე მოქმედება, პირველი სცენა).

ტრაგედიაში „მეფე ლირი“ გრაფი კენტის დამოკიდებულება საკუთარი მბრძანებლისადმი შემდეგნაირად არის გამოხატული: „ჩემს სიცოცხლესა პაიკად (ჩაღად) ვხადი ოდეს შენს მტერთან მე ვიბრძვი ხოლმე“ (პირველი მოქმედება, პირველი სცენა). დრამა „ქარიშხლის“ მესამე მოქმედების პირველ სცენაში აღწერილია გამოქვამული, სადაც ახალგაზრდები ფერდინანდი და მირანდა ჭადრაკს თამაშობენ.

1525 წელს იტალიელმა პოეტმა მარკ იერონიმ ვიდამ ლათინურ ენაზე დაწერა პოემა „ჭადრაკის თამაში“, რომელიც ჯერ ანონიმურად დაიბეჭდა, ორი წლის შემდეგ კი ავტორის სახელისა და გვარის მითითებით. ვიდამ ეს ნაწარმოები ჭადრაკის დიდ მოყვარულს, პაპ ლეო X-ეს მიუძღვნა, რომელსაც ძალიან გაუხარდა, ჯერ ავტორი წმ. სილვესტრის ეკლესიის პრიორად დანიშნა, შემდეგ კი ალბის ეპისკოპოსად. ვიდას პოემა ჭადრაკისადმი მიძღვნილი ნამდვილი ხოტბაა. იგი ასეთი სიტყვებით იწყება: „სიმღერას ვუძღვნი თამაშს — ნამდვილ ბრძოლას რომ ესოდენ ჰგავს“. საჭადრაკო მატადორების ფსიქოლოგიის ღრმა გაგებით ვიდა აღწერს თამაშს აპოლონსა და მერკურის შორის, რომელსაც ბევრი ოლიმპიელი ღმერთი ესწრება. პოემა ჭადრაკის თავისებურ სახელმძღვანელოდ იქცა და იმავე საუკუნეში ისეთი პოპულარობა მოიპოვა, რომ ში-ჯერ (!!!) გამოიცა. სწორედ მისი გავლენით იყო, რომ პოლონელმა პოეტმა იან კოხანოვსკიმ დაწერა პოემა „ჭადრაკი“ (1563), ხოლო უფრო მოგვიანებით — ინგლისელმა პოეტმა უილიამ ჯონსმა პოემა „კაისა“ (1762).

XVIII საუკუნის ფრანგულ ლიტერატურაში ჭადრაკს სათანადო ყურადღება ეთმობა. უნდა აღინიშნოს პოპულარულ მწერალ ლესაჟის „კოჭლი მაიმუნის შესახებ“, ჟან-ჟაკ რუსოს „იულია ანუ ახალი ელოიზა“ და „აღსარება“, დენი დიდროს „რამოს ძმისწული“. დიდრომ ფრანგულ ენციკლოპედიაში მოათავსა ჭადრაკისადმი მიძღვნილი არაერთი წერილი. რუსოსა და დიდროს ნაწარმოებები იმითაც არის საინტერესო, რომ საჭადრაკო ეპიზოდები პირველად არის ჩართული ავტობიოგრაფიული ლიტერატურის ჟანრში. დიდროს ნაწარმოებებში ჭადრაკზე ბევრს მსჯელობენ კაფე „რეჟანსში“. ეს კაფე თითქმის XX საუკუნემდე ძალიან პოპულარული იყო. იქ ხომ საფრანგეთის (და ევროპის) უძლიერესი მოჭადრაკეები იყრიდნენ თავს.

ადი მწერლის, ფილოსოფისისა და ისტორიკოსის, ფრანსუა-მარი ვოლტერის ცხოვრებაში ჭადრაკს მაინც განსაკუთრებული ადგილი ეჭირა. ბავშვობიდან ღრმა სიბერემდე (ვოლტერი 1778 წელს, 84 წლისა გარდაიცვალა). მწერალი, სადაც კი ცხოვრობდა, გნებავთ ინგლისში, გნებავთ გერმანიაში, ჭადრაკს არ მოშორებია. პარიზში სის-

ტემატურად ეწვეოდა ხოლმე კაფე „რეჟანსს“, სადაც ზოგჯერ იმდროინდელ პირველ მოჭადრაკესთან, პირობითად რომ შეიძლება მსოფლიო ჩემპიონიც კი ეწოდოს, ფრანსუა-ანდრე დანიკან ფილიდოსთანაც კი უთამაშია, რითაც ვოლტერიც ძალიან ამაყობდა და ყველა სხვაც. თავისი სიცოცხლის ბოლო წლები ვოლტერმა საკუთარ მამულში ფერნიეში (შვეიცარია) გაატარა, სადაც ხშირად თამაშობდა მღვდელ ადამთან. თურმე მღვდელი ვოლტერზე უკეთესად თამაშობდა, ხშირად უგებდა, რასაც მწერალი მეტად ემოციურად განიცდიდა. ლორაგე იგონებს ვოლტერის ასეთ სიტყვებს: „მე ჭადრაკს, შეიძლება ითქვას, მეტი დრო მოვანდომე, ვიდრე ნებისმიერ სხვა საქმეს (!). მე ჭადრაკი მიყვარს, მისით დიდად ვარ გატაცებული და, რა ხდება, ეს მამა ადამი, უჭკუო ყოველგვარი მორიდების გარეშე, სისტემატურად მამარცხებს. ყველაფერს ხომ თავისი საზღვარი აქვს!“ ისე კი, ჩვენც რომ ვთქვათ, XVIII საუკუნის პირველ ადამიანად აღიარებულ ვოლტერს, ვილაც მამა ადამი, თუნდაც ჭადრაკში, როგორ უზედავდა დამარცხებას! ცხადია, ხუმრობაა, მაგრამ ვოლტერი რომ მწარედ განიცდიდა?!

ცხადია საჭადრაკო მოტივები ვოლტერის შემოქმედებაში ძალიან ხშირად გვხვდება. ავიღოთ თუნდაც „კარლ XII-ის ისტორია“. ვოლტერი აღწერს, რომ პოლტავასთან დამარცხების შემდეგ შვედეთის მეფე თურქეთში გადავიდა და ბენდერში ცხოვრობდა, ფაქტობრივად, როგორც სულთანის ტყვე. „აქ მისი ერთადერთი გასართობი იყო ხანდახან ჭადრაკის თამაში“. აი, ავტორის საყურადღებო შენიშვნა: „თუკი ადამიანზე მსჯელობა ხშირად უმნიშვნელო დეტალებით შეიძლება, საჭირო იქნება აღინიშნოს, რომ მას (კარლ XII-ს) ყველაზე ძალიან უყვარდა ჭადრაკის თამაშის დროს მეფით სვლა. იგი მეფეს სხვა ფიგურებთან შედარებით უფრო ხშირად ამოძრავებდა, და ამიტომაც იყო, რომ ყოველთვის აგებდა“.

ვოლტერს ყოველთვის აინტერესებდა ჭადრაკის შექმნის საკითხი და მტკიცედ იყო დარწმუნებული, რომ იგი ინდოეთში გამოიგონეს. იგი ამაზე პირდაპირ ლაპარაკობს ფილოსოფიურ მოთხრობაში „ზადიგი ანუ ბედი“ და „ცდებში ხალხების ზნეობისა და სულის შესახებ“. აი, ავტორის აზრი: „ჩვენს თამაშებს შორის ის, ვინც ადამიანის გონებას ყველაზე მეტ ღირსებას ანიჭებს, უდავოდ წარმოშობით ინდოეთიდან არის. ამის დამამტკიცებელი არიან სპილოები, რომლებსაც ჩვენ ჭადრაკის თამაშში კოშკები ვუნოდეთ“. შემდეგ ვოლტერი წერდა, რომ ჭადრაკის შექმნის საკითხში გამოჩნდა ინდოელების თავისებური აზროვნება: „ჩვენ არა გვაქვს არაფერი, რომელიც ამ თამაშს შეედრებოდა. იგი ისეთივე ალევორიულია, როგორც ინდოელების იგავ-არაკები. ჭადრაკი მხატვრულად ასახავს ინდოელების გადატანილ ომებს“. ძალიან საინტერესოა ვოლტერის წერილი „გენიოსები“, რომელიც მან 1771 წელს გამოაქვეყნა. აქ იგი ამტკიცებს, რომ გენიოსი არის ის, ვინც ახლებურად, ორიგინალურად მსჯელობს: „შეცდომებილია, რომ ბევრი ჭადრაკს უკეთესად თამაშობს, ვიდრე ამ თამაშის გამომგონებელი. შეეძლოთ მოეგოთ მისთვის ხორბლის ის მარცვლები, რომლითაც ინდოეთის მეფეს სურდა მისი დაჯილდოება. ამასთან ჭადრაკის გამომგონებელი გენიოსი იყო. ისინი კი, ვინც მას ამარცხებ-

გია მურღულია

მე — ალუდა ქეთელაური

რად ჰყავთ ადამიანებს მტრები?

რატომ იქცევა ყოველთვის სხვად ის, რაც შიგნიდან მიმღვრევს სულს, გულსა და გონებას?

ყოველთვის მომწონდა ჩემი თავი — ის დღე იყო პირველი, როდესაც საპირისპირო ვიფიქრე და განვიცადე. ყველაფერი ელვისებური მოულოდნელობით მოხდა: ერთი მომხვედური სწრაფად ვიმსხვერპლე — ანკი ვინ წასვლია ჩემს თოფს ეგრე ვაგლახად! მეორემ გამოაცა სწორედ — არაფრით უნდოდა სიკვდილი რჯულძალს. არ შემეპუა, არაფერს თმობდა, მე ლამის დავავინწყდი — სიკვდილს ეჩხუბებოდა გააფთრებით. მტერი რომ მოგეწონება კაცს! იმ წუთას მისი მოკვლის გარდა არაფერი მიხდოდა, მაგრამ მაინც მომეწონა — ღმერთმა არ დამანება არმოწონება. ღირსებასა და ვაჟკაცობას ფულით ვერ იყიდი. თოფს ვესროდი ადამიანს, რომელიც კარგ კაცად შევიცანი.

და რატომ? რისთვის ვებრძვით ადამიანები ერთმანეთს? რატომ მოვკალი მუცალი?

ჰო, ეს შედეგი უფრო იყო. არ გამოვიდოდა, რომ არ მომეკლა. მისი სიკვდილი ყველასთვის ბუნებრივი და ადვილი გამოსავალი იყო — ახალმა გადანყვეტილებებმა ახალი კითხვების დაბადება იცის, არავის რომ არაფრად არგია და სიმშვიდეს რომ ურღვევს ყველას — ისეთების.

„რჯულ-ძალღოს“ გარდა არაფერი გვითქვამს ერთმანეთისთვის, არადა, რამდენი რამე გვექონია სათქმელი! ჩემთვის მეგობრად დაბადებული შეიძლებოდა ყოფილიყო — ყველაზე ახლობელი, ჩემსავითი კაცი. აქამდე არასდროს მეფიქრა ამაზე - საყველათად მიდიოდა ჩემი ცხოვრება, სოფელს რაც სურდა და რასაც ელოდა ჩემგან, იმას ვაკეთებდი. ჭკუასაც მეკითხებოდნენ და ყველასგან გამომარჩევდნენ კიდეც სოფლის იმედსა და სინდისს. ამას ახლა სასხვათაშორისოდ ვამბობ, თორემ ნაკლებად მიღირს. არა, სოფელსა და თემს კი არაფერს ვერჩი - ბევრი კაცის განწყობა და ფიქრი ერთი კაცის განწყობა-ფიქრს ორი ნაბიჯით ყოველთვის ჩამორჩება; უბრალოდ, მუცალის გადმოგდებულმა თოფმა ბევრი რამ შეცვალა ჩემში.

თოფი გესროლონ და თოფი გადმოგიგდონ — ორი სხვადასხვა რამ არის. ესხლა შენ იყოს, რჯულ-ძალღო, ხელს არ ჩავარდეს სხვისასაო! — მომაძახა და უცბათ რაცამ გამკრა სულში. რატომ გადმოგიგდო თოფი, განა მე თავად ვერ ავიღებდი და დავისაკუთრებდი?! ვილა დამიშლიდა მუცალისა და მისი ძმის მომკვლელს? ჩემსა და თოფს შორის ის დაბრკოლებაც არ იყო, რაც მის გულსა და ნაჭრილობებზე დაფენილ მთის მწვანე ბალახს შორის. აბა, რა უნდოდა? პასუხზე ადრე ცრემლები მომადგა და ლამის ქალივით ავტირდი - აღარც თოფი მიხდოდა მისი და არც სხვა იარაღი. კაცმა თავისი ნებით დამითმო თოფი, სხვის ხელს არ ჩავარდესო, — მითხრა და მაგრძნობინა, რომ... რა მაგრძნობინა? შენში მტერს აღარ ვხედავ, მხოლოდ ადამის შვილს, მოყვასს გიყურებ და შენს ღირსებას ვაფა-

სებო! მტერშიც შეიძლება ადამიანი დაინახო. თოფთან ერთად ეს აზრიც გადმოგიგდო იმ ცხოვრებულმა.

არც იარაღი ამიყრია და აღარც მარჯვენა მომიჭრია — ცოდვად მიმაჩნევინა რალაცამ ჩემს შიგნით. ან კი საკუთარ თავთან გათანაბრებულ კაცს ხელს როგორ მოვჭრიდი?! გავესულე და მკვდარს დავემეგობრდი. საკუთარ ცხოვრებას გავუკადნიერდი და ღმერთს მისი ცხოვრება შევთხოვე. ჰმ! ძალიან კი გაიკვირვებს და იუცხოვეს ჩემიანებმა — რას ამბობ, ქისტის ცხოვრება არ დაწერილა რჯულადო!

მაგათ ჩემი ფიქრი და ზმანება უნდა დახვედროდათ თავიანთი ფიქრის ტრიალ მინდორში — როგორ აუშნოებს ადამიანთა ყოფას დაუშთაფრებელ მკვლელობათა ბოროტი და სისხლიანი ღიმილი. სულის მწვერვალებს სწვდება და გუბებულო სისხლი, რომელსაც ემატება და ემატება კაცის-კვლის მდინარება — ლამის დაგვფაროს და ნაგვლეკოს ყველა დედაბუდიანად. სანამ მუცალის თვალეზის სინათლე ჩაქრა, ჩემი სისხლით ავსებული სახლის დანახვაც მოვასწარი და კაცის წვნიანისაც, რომელსაც ჩემიანები მაძალბდნენ. ცოლი, შვილები, საკვები, საფლავი — ყველაფერი სისხლიანიც იყო და სისხლისთვისაც. შენ რომ სხვა მოკლა, შენც მოკლავენ — არავინ არაფერს შეგარჩენს.

კი მაგრამ, სად არის ამ ყველაფრის დასაწყისი ან დასასრული?

მე ჩემი პასუხი უკვე ვიცოდი — მუცალის სიკვდილმა ხელახლა დამბადა ამ ქვეყანაზე. მიხვდი, რომ ორი ყველაზე ძვირფასი რამ, რაც ღმერთმა ადამიანებს მოგვცა — რწმენა და სამშობლო — შეიძლება (სწორედ უსაზღვრო სიყვარულისა და მისგან გამომდინარე თავგანწირვის გამო) დაუსრულებული მტრობისა და სისხლისღვრის სათავედ იქცეს, თუ მათ არ ახლავს ღვთისგან ნაბოძები მესამე სიკეთე — მოყვასის სიყვარული. მხოლოდ ეს მესამე აქცევს პირველ ორს ნამდვილ სიყვარულად და არა ფანატიკოსის გამმაგებად. თუ ეს მესამე არა გაქვს, ძალიან მომხიბვლელი ამპარტყანება გეფულდება და გგონია, რომ ყოველთვის და ყველაფერში მხოლოდ შენ ხარ მართალი და სხვას ოდენ ორი არჩევანილა დარჩენია — დაგეთანხმოს ან მოკვდეს! მხოლოდ ჩვენს დედებს სტიკოდით მუცლები ჩვენზე? მხოლოდ ჩვენი დედები შობენ ღმერთთან მოსაუბრე ადამიანებს?! ვუყურებდი ჩემიანებს, მათ გაავებულ, დაუნდობელ, შავი სიყვარულით გაჟღენთილ სახეებს და ვფიქრობდი, რომ მუცალი, საწყალი და ვაჟკაცი მუცალი, უფრო ჩემიანი იყო. მისი სიკვდილი დასჭირდა ჩვენს შერიგებას, მაგრამ მოყვრების მორიგებისთვის სიცოცხლეც არასაკმარისი აღმოჩნდა.

ხუცესს, ბერდიას, რალა მოვკითხო, ურჯულოვები მაგითაო, — დანარჩენების სათქმელი მითხრა თითქოს, მაგრამ არა მგონია, რჯული სისხლის მდინარის სათავე იყოს — ჩემი რწმენა, ქრისტიანობა, სისხლიანი მსხვერპლ-შენიერვის დამამთავრებელია ამ ქვეყანაზე და ბალებების ნათრევი გაშავებული კაცის ხელი მისი სახე არ არის.

გამომამევეს თვისტომთა, დამატოვებინეს თვალთა გამახარელი საჯიხვეები, მაგრამ არც ერთი სიტყვა არ დამცდენია მათ სამტროდ — ერთხელაც იქნება, ის ნათრევი ხელი მათ ღირსებას სილას გაანწავს და გაუხადლისი ტკივილი მოხსნის მართალ შეგნებას.

ამას მე ვამბობ — ალუდა ქეთელაური, ახლა წამსვლელი, მაგრამ მუდამ მომბრუნებელი. მე ის ვარ, ვისაც უკან დახევა არა მჩვევია.

ჩარლზ დიკენსი


ლოთის სიკვდილი

ადამიანები, რომლებიც მთელ თავისუფალ დროს ქუჩაში სეირნობას უთმობენ, ადვილად იმასსოვრებენ იქ მოხეტიალე სხვა ადამიანთა სახეებს, ჩაცმულობას და, თქვენ წარმოიდგინეთ, ხასიათსაც კი, მათ გამომეტყველებლაში რომ იკითხება. თუკი ამ ადამიანთა კატეგორიას განეკუთვნებით, ანუ მრავალი წელი მთელ თავისუფალ დროს ლონდონის ერთ-ერთ ხალხმრავალ ქუჩაში სეირნობას უთმობთ, შეუძლებელია არ შეგენიშნათ იქ მუდმივად მოხეტიალე, ძონძებში გახვეული, ცხოვრებისაგან დაბეჩავებული და დათრგუნვილი ადამიანი. მას არა მხოლოდ შენიშნავდით, არამედ შეგეძლოთ თვალყურით გედევნებინათ მისი მეტამორფოზისათვის იმ დროიდან, როცა ძვირფას ტანსაცმელში გამონყობილი ამაყად მიაბიჯებდა ქუჩაში იქამდე, სანამ ცხოვრების ფსკერზე დაიღებოდა და არარაობად იქცეოდა. გაიხსენებდით ყოველივე ამას და გული გეტკინებოდათ, რომ მას, სავარაუდოდ, წარმატებულ ბიზნესმენს ან სახელმწიფოს მაღალჩინოსან მოხელეს, ადრე საზოგადოებისათვის ცნობილი პიროვნებები მოწინებთ ესალმებოდნენ, ხელს ართმევდნენ, ესაუბრებოდნენ; დღეს კი, დაფლეთილი ტანსაცმლით შემოსილსა და მშიერ-მწყურვალს, სული ძლივსღა უდგას; უმწეოდ მილასლასებს ქუჩაში, ძველ ნაცნობებს თავს არიდებს და სახეზე ხელებს იფარებს, თუმცა რომც შეხედონ, ვერ იცნობენ, ისე დამახინჯებულა. უნებურად კითხვა გეზადებათ: განა იშვიათია ასეთი ადამიანები საზოგადოებაში? სამწუხაროდ, არა! მეტიც — საკმაოდ ხშირია. მკითხველო, აბა, გაიხსენე, განა ვინმე ასეთი უახლოეს ადამიანებში თუ არა, შორეულ ნათესავებსა და ნაცნობებში მაინც არ გეგულება?!

ამ საშინელი მოვლენის მიზეზი ლოთობაა, წელი სიკვდილით რომ კლავს მსხვერპლს; ავინყებს ზნეობასა და მორალს; აიძულებს მიატოვოს ცოლ-შვილი, მეგობრები და, ბოლოს ფიზიკურადაც სპობს.

ზოგჯერ ადამიანს ლოთობისაკენ სილატაკე, წარუმატებლობა, იმედგაცრუება, თავს დამცყდარი უბედურება უბიძგებს. ის თავდაპირველად ღვინოსა და ვისკის დარდის გასაქარველად ეტანება, მერე კი თანდათანობით, შეუმჩნევლად ეფლობა ლოთობის ქაობში, საიდანაც თავის დაღწევა შეუძლებელია; მისი ცხოვრება საშინელ სპექტაკლს ემსგავსება, ტრაგიკულად რომ მთავრდება. ხშირად ლოთობის მიზეზი ცხოვრების ამორალური წესი, ეგოიზმი: კაცი სვამს საკუთარი სიამოვნებისათვის, დროს ატარებს, ცხოვრებას თავიდანვე ზურგს აქცევს და ლოთობის უფსკრულში იჩეხება. ასეთ შემთხვევაში სილატაკე და წარუმატებლობა ლოთობის მიზეზი კი არა, შედეგია, რომელიც ოჯახურ ტრაგედიადა იქცევა ხოლმე. სწორედ ასეთი ადამიანის თავგადასავალი მინდა მოგითხროთ.

იგი მომაკვდავი მეუღლის სასთუმალთან იდგა, შვილებს კი სანოლთან მუხლი მოეყარათ და დედის გადარჩენას ტირილით ღმერთს ევედრებოდნენ. პატარა ოთახი, მორყეული ავეჯი და მომაკვდავი ახალგაზრდა ქალის ნატანჯი, გაფითრებული სახე გაფიქრებინებდათ, რომ ოჯახი მრავალი წელი უკიდურეს სილატაკეში



ცხოვრობდა. ახალგაზრდა ქალის დედას, ხანდაზმულ ქალბატონს, ხელები შვილისთვის თავქვემ ამოედო და ცრემლად იღვრებოდა. მომაკვდავს თვალები დედისკენ კი არა, ქმრისკენ ჰქონდა მიპყრობილი, რომელიც დედის გვერდით იდგა; მისი ათრთოლებული თითები ჩასჭიდებოდნენ არა დედის, არამედ ქმრის მკლავებს. სახენამოჭარხლებული, თვალებდასისხლიანებული ქმარი მომაკვდავი ცოლის მზერას ვერ უძლებდა და მთელი ტანით ცახცახებდა. იგი სულ ცოტა ხნის წინათ შემოიყვანეს მეუღლესთან; ძლივს გამოგლიჯეს ლოთების ბრბოს, რომლებთანაც თავაშვებული ღრებოდა.

სანთლის მქრქალი სინათლე მხოლოდ მომაკვდავის და მათ სახეებს ანათებდა, სასთუმალთან ახლოს რომ იდგნენ. ოთახის დანარჩენ ნაწილში ბნელოდა. ბნელოდა გარეთაც, უკვე დაღამებულიყო. ოთახში სიკვდილის მდუმარება სუფევდა, რომელსაც ბუხრის ზემოთ დაკიდებული კედლის საათის ნიკნიკი არღვევდა. წუთის ისარი თორმეტს უახლოვდებოდა. მალე ჩამოჰკრავდა ზარი, მაუწყებელი იმისა, რომ კიდევ ერთი საათი გავიდა. ახლაც და ყოველი შემდგომი საათის შესრულების წინაც სულგანაბლული ელოდნენ ამ ზარს, რადგან გრძობდნენ, რომ, იმავდროულად, ეს საყვარელი ადამიანის გარდაცვალების მომასწავებელი ხმა იქნებოდა.

საშინლად მტანჯველი იყო მოლოდინი ახლობელთათვის, ღამეებს რომ უთენებდნენ მომაკვდავს. გული ეწურებოდათ, შეეღა რომ არ შეეძლოთ. აძრწუნებდათ იმაზე ფიქრი, რომ ეს ბედკრული ადამიანი ბევრ რამეს გულში იკლავდა; მრავალი წელი უდრტვინველად იტანდა არაერთხელ მიყენებულ შეურაცხყოფასა და დამცირებას.

მომაკვდავს ხშირად აბოლებს ხოლმე სიკვდილის წინ და ამ ბოღვაში ამჟღავნებს ყოველივე იმას, რასაც მთელი სიცოცხლე საიდუმლოდ ინახავდა. მაგრამ ამჯერად მსგავსი არაფერი მომხდარა. მდუმარებას მხოლოდ სანოლთან მუხლმოყრილი შვილების ქვითინი არღვევდა. მომაკვდავმა უკანასკნელად შეხედა მათ, მერე ქმარს; რალაც უნდოდა ეთქვა, მაგრამ ვერ მოახერხა. ბოლოს ქმრის მკლავებს ჩაჭიდებული ხელები მოუღუნდა და ლოგინზე დაეშვა. თავი ბალიშს მიესვენა. ყოველივე ეს ისე უხმაუროდ მოხდა, გეგონებოდათ, ჩაეძინაო. ბავშვები გულსაკლავად ატირდნენ; შემზარავი იყო მათი გოდება. წამოდგ-

ნენ, დედის ცხედარს დაეკონნენ; ვერ იჯერებდნენ დედის სიკვდილს, მაგრამ დედა აღარ სუნთქავდა. მკერდზე ყური დაადეს, ეგებ ჯერ კიდევ ძვერს გულიო, მაგრამ ამოოდ: ის აღარ იყო ამქვეყნად.

ქმარი სავარძელში ჩაეშვა და შუბლზე ხელები შემოიჭდო. ჯერ ერთ შვილს შეხედა, მერე მეორეს, მაგრამ მათი აცრემლებული თვალების შემოხედვას ვერ გაუძლო და თავი ჩაქინდა. არავის უცდია მისი დამშვიდება, არავის შეუხედავს მისთვის თანაგრძნობის თვალით. არავინ შეხმინებია, როცა ბარბაცით ოთახიდან გადიოდა.

ადრე მრავლად ჰყავდა მეგობრები, ჭირში ყოველთვის მხარში რომ ედგნენ და ლხინსაც მასთან ერთად იზიარებდნენ. მაგრამ ახლა სად არიან? რატომ არ მოვიდნენ მოსასამძიმრებლად, სანუგეშებლად? არა, დღეს ჭეშმარიტი მეგობრები აღარ ჰყავს. ისინი მას, ლოთსა და არამზადას, თანდათან შემოეფანტნენ. მხოლოდ ცოლი ედგა ბოლომდე მხარში; ამხნევებდა, ანუგეშებდა; ამოდ ცდილობდა, ლოთობის ჭაობიდან ამოეყვანა. დღეს კი მისი მეგობრები მხოლოდ ისინი არიან, ვისთანაც დღენიადაგ ღრუბს და დროს ატარებს. დუქანში თავაშვებული ქეიფისას სწორედ ასეთ მეგობრებს გამოგლიჯეს ხელიდან და აიძულეს, მომაკვდავი ცოლის სარეცელთან მისულიყო.

ოთახიდან გამოსული ქმარი ჩქარი ნაბიჯით ქუჩებში დაეხეტებოდა. მის დაბინდულ გონებაში ერთმანეთში ირეოდა სინდისის ქენჯნა, სირცხვილი საზოგადოების წინაშე და შიში მასთან შემდგომი ურთიერთობისა. დაბნეულმა და აფორიაქებულმა არ იცოდა, როგორ მოქცეულიყო. ბოლოს ისევ იმ დუქანში შევიდა, საიდანაც ძალით გამოათრის, რათა მომაკვდავი ცოლისათვის მიესწრო. ჭიქას ჭიქაზე ცლიდა. სისხლი აემღვრა, გონება აერია. მოკვდა? მერე რა! ადრე თუ გვიან ყველა კვდება. ნათესავები ხშირად ეუბნებოდნენ, რომ საუკეთესო მეუღლე და ჭეშმარიტი მეგობარი ჰყავს. ეშმაკსაც წაუღია მათი თავი! განა მათ არ მიატოვეს სილატაკეში?! ის მოკვდა, მაგრამ ეგებ ასე სჯობდეს მისთვის? აბა კიდევ ერთი ჭიქა! ერთიც! ერთიც!... ვაშაა! ცხოვრება წარმავალია, ამიტომ მიიღე მისგან ყველაფერი, რისი მოხვეჭაც შეგიძლია, იცხოვრე ლალად!

გავიდა დრო. შვილები გაიზარდნენ. მამა სულ უფრო და უფრო მეტად იძირებოდა ლოთობის წუმპეში. დაძაბუნდა, დაგლახაკდა; გარეგნულადაც შესაზარი გახდა. მისი სამი ვაჟი დროის უმეტეს ნაწილს ქუჩაში ატარებდა და ბოლოს სულ მიატოვეს ოჯახი. ცხოვრების ჭაპანს მხოლოდ მეოთხე შვილი — გოგონა ენეოდა; გაჭირვებით ირჩენდა თავს და ძმებსაც ეხმარებოდა. პარაზიტად ქცეული მამა ხვეწნა-მუდარით აიძულებდა გოგონას, მუდმივად ეძლია მისთვის ფული, რომელსაც ლოთობაში ფლანგავდა.

დეკემბრის ცივი, ქარიშხლიანი დღე იდგა. წვიმდა. საღამოს ათი საათი იქნებოდა. დუქნიდან გამოსული ლოთი შინისკენ მიეხეტებოდა. ასე ადრე იმიტომ გამოვიდა დუქნიდან, რომ იმ დღეს ცოტა ჰქონდა ფული და რაც ებადა, უკვე დაეხარჯა. უფულობის მიზეზი ქალიშვილის ავადმყოფობა გახლდათ, რის გამოც უკვე რამდენიმე დღე იყო, არ მუშაობდა. გზად მიმავალი, ქალიშვილის გამოჯანმრთელებაზე ფიქრობდა; საჭირო იყო უბნის ექიმისთვის შეეტყობინებინათ მისი ავადმყოფობა. შვილის ჯანმრთელობა იმდენად

ანუხებდა, რამდენადაც ამაზე იყო დამოკიდებული ლოთობის დაუოკებელი სურვილის დაკმაყოფილება. გამვლელს ცოტა ფული სთხოვა და მშვიდი ავადმყოფი შვილისათვის პური იყიდა. მერე კი ჩქარი ნაბიჯით ლარბობა უბნისკენ — უაითფრაიერსისაკენ* გაემართა, ფლიტ-სტრიტსა** და მდინარე ტემზას შორის რომ მდებარეობს. ერთ ატალახებულსა და ჩაბნელებულ ქუჩაში შეუხვია. შენობები, რომელთა სიმაღლე ორიდან ოთხ სართულამდე მერყეობდა, ძალიან დიდი ხნის წინათ (მათი ასაკი საუკუნეზე ნაკლები არ იქნებოდა), საკმაოდ მკვრივად იყო ნაგები, მაგრამ ფასადები იმდენად უსახური და მოუვლელი ჰქონდა, მნახველს ცუდ გუნებაზე დააყენებდა: ფერს ვერ გაარკვევდით — შეგექმნებოდათ შთაბეჭდილება, რომ სახლიანი მხოლოდ ერთხელ, მშენებლობის დამთავრებისას შელებეს. ფანჯრების ჩამსხვრეულ მინებზე მცხოვრებლებს ქალაქი გაეკრათ, ჩარჩოსა და მინის შეპირაპირების ადგილები კი ჭუჭყიანი ძონძებით ამოეტენათ; ზოგიერთი სადარბაზოს კარი დამრეცად ეკიდა მორყეულ ანჯამებზე; ყოველი ფანჯრის წინ სარეცხის საშრობი ჭოკი იყო დამაგრებული; თითქმის ყველა ოთახიდან ლოთებისა თუ მოჩხუბარი ადამიანების ლანძღვა-გინება და აყალმაყალის ხმა გამოდიოდა. მთელს უბანში გასანათებლად ერთადერთი ფარანი იყო აღმართული და ისიც ჩამქრალი გახლდათ; ალბათ ქარიშხალმა ან საეჭვო საქმიანობის მცხოვრებმა თუ დააზიანა, რომელსაც ერჩია, ჩაბნელებულ ქუჩაში ეცხოვრა, რათა გარეშე პირთათვის შეუმჩნეველი ყოფილიყო. ტროტუარებს მხოლოდ შეძლებულ მოქალაქეთა ოთახებიდან გამომავალი გაზის ნათურების შუქი ანათებდა; მხოლოდ მათ შეეძლოთ თავისთვის ისეთი ფუფუნების უფლება მიეცათ, როგორც გაზის ნათურით ოთახების განათებაა. წვიმის ნიაღვარი პირდაპირ შუა ქუჩაში მოედინებოდა, თან ათასგვარი სიბინძურე მოჰქონდა და საშინლად მყარალ სუნს აყენებდა. ქარი აზანზარებდა კარ-ფანჯრებსა და დარბაზებსაც კი; ისეთი გრიალი იდგა, გეგონებოდათ, სადაცაა ცა ჩამოიქცევაო.

ჩვენს გმირს სიარული უჭირდა; ხშირად ჩატოპავდა ხოლმე ნიაღვარში, ხანაც სიბინძურეში ეფლობოდა, ამ ნიაღვარს რომ მოჰქონდა. გალუმპულმა და ტალახში ამოსვრილმა, როგორც იქნა, ქუჩის ბოლო სახლამდე მიაღწია. სახლის სადარბაზოში შესასვლელი კარი, უფრო სწორად ის, რაც მისგან დარჩენილიყო, ღია დაუხვდა (ალბათ იმიტომ, იქ მცხოვრებთ დაბრკოლება რომ არ შექმნოდათ ბინამდე მისასვლელად). არანაკლები ძალისხმევა დასჭირდა მანსარდამდე — სხვენში განთავსებულ ბინამდე ასასვლელად, სადაც ქალიშვილთან ერთად ცხოვრობდა.

კარი ახალგაზრდა ქალმა გაუღო, გაფითრებულმა და დასუსტებულმა იმ სანთელივით, ანთებული ხელში რომ ეჭირა.

— შენა ხარ, მამა? — ჰკითხა ლოთს.

— სხვა ვინ უნდა იყოს? — მიუგო უხეშად. — რატომ ცახცახებ? დამშვიდდი, დღეს ძალიან ცოტა დავლიე, ფული აღარ გამაჩნდა. ან საიდან უნდა მქონოდა, შენ ხომ არ მუშაობ. ეშმაკმა დალახვროს, რამ გაგხადა ასე ავად?!

* შენობათა ჯგუფი, სადაც ძველად განთავსებული იყო ლარბ-ლატაკთა და მანანალათა თავშესაფრები

** ლონდონის ცენტრალური ქუჩა

— მამა, ცუდად ვარ, ძალიან ცუდად. — თქვა ქალიშვილმა და ლოყაზე ცრემლის კურცხალი ჩამოუგორდა.

— ო, ღმერთო ჩემო! — ლოთმა ისეთი გამომეტყველებით თქვა, გეგონებოდათ, გულთან ახლოს მიიტანა შვილის ავადმყოფობაო, სინამდვილეში კი საქეიფო ფულის დაკარგვის პირქუში ხვალინდელი დღე აშინებდა, — უნდა გამოჯანმრთელდე, ამისათვის კი უბნის ექიმთან წახვიდე და წამლის გამოწერა მოთხოვო! ეშმაკსაც წაუღია მისი თავი, ტყუილად ხომ არ იღებს ხელფასს! თუმცა ღია კარში რატომ ვლაპარაკობთ? სანთელი მომეცი, შინ შემოვიდე!

— მამა, — წასჩურჩულა ქალიშვილმა, გარეთ გამოვიდა და კარი მიხურა, — უილიამი დაბრუნდა.

— რაო? ვინ დაბრუნდაო? — შეცბა ლოთი.

— ჩუ, არ გაიგოს! უილიამი, მამა, უილიამი — ჩემი ძმა.

— აქ რა უნდა? რა დარჩენია? ფული, სასმელი თუ საჭმელი? თუ ასეა, ძალიან შემცდარა! მომეცი-მეთქი სანთელი, შემოვიდე! ნუ გეშინია, არაფერს დავუშავებ!

ამ სიტყვებთან ერთად ქალიშვილს სანთელი გამოგლიჯა და ოთახში შევიდა.

უილიამი, ოცდარი წლის ჭაბუკი, ძველ სკივრზე იჯდა, თავი მუხლებზე დაყრდნობილ ხელებში ჩაერგო და ბუხარში ჩაფერფლილ ნაკვერჩხალს მიჩერებოდა; ძველი, გაცვეთილი ტანსაცმელი ეცვა. მამის შესვლისას ფეხზე წამოდგა.

— კარი ჩაკეტე, მარი! — მიაძახა დას, — რას მომჩერებხარ, ჩაკეტე-მეთქი კარი!

მერე მამას მიუბრუნდა:

— დიდი ხნის წინათ შენ მე სახლიდან გამავდე; ალბათ, აღარც კი გახსოვარ.

მამა ბუხრის მეორე მხარეს მდგარ სკამზე ჩამოჯდა; შვილის საყვედურს ხანმოკლე დუმილით შეხვდა. მერე მრისხანე ტონით მიახალა:

— აქ რა გინდა? რისთვის მოხვედი?

— თავშესაფარს გთხოვ, მეტს არაფერს. თუ დამიჭირეს, სახრჩობელა არ ამცდებდა. საკმარისია აქედან გავიდე, პოლიცია მყისვე შემომპყრობს. ესაა და ეს.

— იმის თქმა გინდა, რომ მკვლელობა ან ყაჩაღობა ჩაიდინე. ასეა ხომ?

— სწორედ ასეა. განა გიკვირს ეს? — მიუგო შვილმა და მამას მიაჩერდა.

მამამ შვილის მზერას ვერ გაუძლო და თავი ჩაქინდრა.

— შენი ძმები სადღა არიან? — ჰკითხა დიდი ხნის დუმილის შემდეგ.

— რას კითხულობ, შენ ხომ მათი ბედი არასდროს განუხებდა. — მიუგო შვილმა, — ჯონი ამერიკაში წავიდა, ჰენრი კი ცოცხალი აღარაა.

— როგორ თუ ცოცხალი აღარაა! — დაიკვნესა მამამ და აკანკალდა; მისი სულის სიღრმეში ჯერ კიდევ ბჟუტავდა გრძნობა უახლოესი ადამიანის სიკვდილზე წუხილისა.

— მეტყვევებ მოკლა ისე დაუნდობლად, თითქოს ძალი ყოფილიყო. როცა ესროლეს, გვერდით ვედექი; ხელები შევაშველე. ჭრილობიდან სისხლი შადრევანივით იფრქვეოდა, ჩემს ხელებს ესხურებოდა და მერე ძირს იღვრებოდა. თანდათან ღონე ეცლებოდა, მაგრამ არ დაცემულა; თავის შეკავება შეძლო. დაიჩოქა და ლოცვა დაიწყო: დედის სულს ევედრებოდა, ეპატიებინა მისთვის — უსაყვარლესი უმც-

როსი შვილისათვის, არაერთხელ ჩადენილი უღირსი საქციელი. „ყველაზე მეტად მე ვუყვარდი დედას, უილ“.*

— მითხრა მომაკვდავმა. „მახსოვს სარეცელთან მუხლმოყრილი, ღმერთს რომ ვევედრებოდი მის გადარჩენას; ბავშვის გულს ცოტათი ის მიმშვიდებდა, რომ ყოველთვის ვუჯერებდი და არასდროს ატირებულა ჩემი საქციელის გამო... მერე კი რამდენი წყენა მივაყენე მის სულს... განა სამართლიანია, რომ იგი აღარაა ამქვეყნად, ჩვენი უღირსი მამა კი ცოცხალია?!“ ასეთი იყო მომაკვდავის უკანასკნელი სიტყვები. ეგებ ახლა მაინც მოინანო შენი საქციელი. აბა გაიხსენე, როგორ სცემე დედა გარდაცვალების დღეს, დილით; გაიხსენე, რომ ბავშვებმა ვერ გაუძელით ამ სურათს და გარეთ გავევარდით, შენ კი წახვიდე და უზომოდ დათვერი. აი, ამის თქმა მინდოდა შენთვის.

მარი ძმის სიტყვებზე აქვითინდა; მამა კი, თავჩაქინდრული, უხმოდ უსმენდა, წონასწორობას ვერ ინარჩუნებდა და ტანი ხან ერთ და ხან მეორე მხარეს გადაუქანდებოდა ხოლმე.

— თუ დამიჭირეს, ჩამომახრობენ ძმის მკვლელი მეტყვევის მოკვლისთვის. აქ ჩემს კვალს ვერ მოაგნებენ, თუ შენ არ გამცემ. დარწმუნებული არ ვარ, რომ ამას არ ჩაიდენ, მაგრამ სხვა გზა არ მაქვს; აქ უნდა დავრჩე, ვიდრე საზღვარგარეთ გაქცევას მოვახერხებ.

ორი დღე მშვიდად ცხოვრობდნენ, გარეთ არავინ გასულა. მაგრამ მესამე დღეს, საღამოს, გოგონას ჯანმრთელობა გაუარესდა; თუ აქამდე ლოგინიდან წამოდგომა და მცირე ხნით გარეთ გასვლა მაინც შეეძლო, ახლა ლოგინიდან წამოდგომაც ვეღარ შეძლო. სურსათი და წამლები გამოეღიათ, ფულიც აღარ ჰქონდათ. სხვა გზა არ იყო, მამა უნდა გამოსულიყო გარეთ, ფული ეშოვა, წამალი და საჭმელი ეყიდა.

გარეთ გამოსულმა მათხოვრობით ცოტა ფული იშოვა და ქალიშვილისთვის წამალი იყიდა. მერე ერთ კაცს დაეხმარა ეტლიდან ცხენის გამოშვებასა და დაბინავებაში, რისთვისაც გასამრჯელოდ ექვსი პენი მიიღო. ამის შემდეგ უკვე გააჩნდა თანხა, რომელიც, მომჭირნედ თუ დახარჯავდნენ, ორი-სამი დღე მაინც ეყოფოდათ. შინ დაბრუნებისას, როცა გზად მდებარე დუქანს გვერდით ჩაუარა, არყის დაღვეის მწვავე სურვილმა შეიპყრო; შეჩერდა და დუქანში შესვლა დააპირა, მაგრამ მოვალეობის გრძნობამ სძლია და შინისაკენ განაგრძო გზა, მერე კვლავ შეჩერდა; ამჯერად ცდუნებას ვეღარ გაუძლო და გადანყვიტა, დუქანში შესულიყო. დუქანში ორი მამაკაცი შეჰყვა, რომლებიც ადრევე ადევნებოდნენ და მის საქციელს აკვირდებოდნენ. ისინი მზად იყვნენ, უშედეგო თვალთვალი შეეწყვიტათ, მაგრამ ლოთის მერყეობამ დუქანში შესვლაზე, კვლავ ეჭვი აღუძრათ და ამიტომაც გადანყვიტეს, თვალთვალი გაეგრძელებინათ და დუქანში შეჰყოლოდნენ.

— მეგობარო, მოდი ერთად დავლიოთ! — უთხრა ლოთს ერთ-ერთმა და არყით სავსე ჭიქა მიანოდა.

— ნება მომეცით, მეც შემოგიერთდეთ. — თქვა მეორემ.

ლოთმა იცოდა, რომ ვალდებული იყო, შინ დარჩენილ მშვიერ შვილებზე ეზრუნა, მაგრამ მისთვის ეს არაფერი იყო დათრობით მიღებულ სიამოვნებასთან შედარებით.

* შემოკლებით უილიამ

მას შემდეგ კი, რაც რამდენიმე ჭიქა გადაჰკრა, შვილები საერთოდ აღარ ახსოვდა.

— საშინელი ღამეა. — წასჩურჩულა ლოთს ერთ-ერთ-მა უცნობმა.

— საშინელი ჩვენთვისაა. მისთვის კი, ვინც გვემალება, უსაფრთხოა. — უთხრა მეორემ.

— მოდი, დავსხდეთ. ზეზეულად სმა ნაკლებად სასიამოვნოა. — თქვა პირველმა უცნობმა და ხელი კუთხეში მდგარი მაგიდისკენ გაიშვირა.

— ერთ ახალგაზრდა მეგობარს დავეძებთ, — განაგრძო მას შემდეგ, რაც მაგიდას მიუსხდნენ, — გვინდა ვაცნობოთ, რომ ყველაფერი რიგზეა; მაგრამ არ ვიცით, სად ცხოვრობს; ლონდონი იმხელა ქალაქია, სანამ ჩამოვიდოდა, ალბათ თვითონაც არ იცოდა, სად დაბინავდებოდა.

— რა თქმა უნდა, არ იცოდა. — მიუგო ლოთმა.

უცნობებმა ერთმანეთს გადახედეს.

— ნავმისადგომთან, რომელიც აქედან ძალიან ახლოსაა, გემი დგას; შუალამისას, როცა ზღვის მოქცევა დამთავრდება და უკუქცევა დაიწყება, იგი ნავსადგურიდან გავა. — განაგრძო პირველმა, — განზრახული გვაქვს ეს ახალგაზრდა საზღვარგარეთ გავამგზავროთ, სხვა გვარზე გამოწერილი პასპორტი გამზადებულია და, რაც მთავარია, სამგზავრო ფული გადახდილია. რა კარგია, რომ თქვენ შეგხვდით.

— ნამდვილა! — კვერი დაუკრა მეორე უცნობმა.

— ბედმა გაგვიღიმა. — თქვა პირველმა უცნობმა და მეორეს თვალი ჩაუკრა.

— და მერე როგორ! — დაუმატა მეორემ.

— აბა, ერთიც დავლიოთ, მეგობრებო! — შესთავაზა დანარჩენებს პირველმა უცნობმა.

ასე და ამრიგად, უცნობებთან არც თუ ხანგრძლივი საუბრის შედეგად, ლოთმა თავისდაუნებურად შვილის ადგილსამყოფელი გაამჟღავნა.

მშიერ-მწყურვალ და-ძმა თავიანთ უბადრუკ ბინაში მოუთმენლად ელოდა მამის დაბრუნებას; სმენა ისე ჰქონდათ გამახვილებული, მცირეოდენი გაფაჩუნებაც კი არ რჩებოდათ უყურადღებოდ. ბოლოს კიბეზე ამომავალი ადამიანების მძიმე ნაბიჯების ხმა გაიგონეს. ხმა თანდათან ახლოვდებოდა და მალე ოთახში მამა ბარბაცით შემოეხეტა. ქალიშვილმა შეამჩნია, რომ ის ძალიან მთვრალი იყო და ანთებული სანთლით მიეგება, გზა რომ გაენათებინა. ლოთს შემოყოლილი ორი აგენტი უილიამს ეცა, გაკოჭეს და ბორკილი დაადეს.

— ყველაფერი აურზაურის გარეშე დამთავრდა და ეს ამ მოხუცის დამსახურებაა. გოგონა, ადექი, ნუ ტირი; ამას ახლა აღარაფერი ეშველება; ტომ, ააყენე ქალიშვილი!

შებორკილმა უილიამმა ჯერ აცრემლებულ დას შეხედა, მერე კედელთან მდგარ მამას, უაზროდ რომ მიჩერებოდა პოლიციელებს და ჯერაც ვერ გარკვეულიყო, რა მოხდა.

— მამა, მომისმინე, შე ნაძირალავ! — უთხრა უილიამმა ისეთი ტონით, რომ ლოთი შეძრწუნდა, ყრფოლამ აიტანა და გამოფხიზლდა, — შენს სინდისზეა ჩემი და ჩემი ძმის სისხლი. არასდროს მიგრძენია შენგან მამაშვილური სიტობი; არასდროს მსმენია შენგან თბილი სიტყვა; არასდროს გიზრუნია ჩვენზე, მხოლოდ სასტიკი მოპყრობა გვახსოვს შენგან. მალე ამქვეყნად აღარ ვიქნები. არც ჩემი და არც ჩემი ძმის სული არ გაპატიებს ჩვენდამი ჩადენილ ბოროტებას; სანამ იცოცხლებ, შვილების სულთა რისხვა არ მოგასვენებს, სიკვდილის შემდეგ კი უფლის სამსჯავროს წინაშე წარდგები. შენი შვილებიც იქ ვიქნებით და უფალს შევევედრებით, საკადრისი სასჯელი მოგიზღოს.

ამ სიტყვების შემდეგ, იქვეყნიდან შურისძიების მუქარის ნიშნად, შებორკილი ხელეები შემართა, მამას უკანასკნელად შეხედა და პოლიციელებთან ერთად ოთახიდან გავიდა.

ლოთს ღამე ღრმად ეძინა და მხოლოდ მამის გაიღვიძა, როცა რიჟრაჟის მქრქალმა სინათლემ მანსარდის შეჭვარტული მინები და შენობის ვინრო ეზო გაანათა. თვალები გაახილა, მიმოიხედა: ოთახში მარტოდმარტო იყო, ქალიშვილი არსად ჩანდა; მისი ლოგინი

გაშლილი არ ყოფილა, რაც ნიშნავდა, რომ ღამე ოთახში არ გაუთენებია. ირგვლივ ყველაფერი ისეთივე მდგომარეობაში იყო, როგორც დაღამებამდე. ოთახიდან გავიდა, მეზობლები გამოკითხა, მაგრამ ამაოდ: არც არავის ენახა, არც არაფერი გაეგოთ მის ქალიშვილზე. მერე ქუჩაში გავიდა, ეგებ სადმე წავანყდეთ; შვილის ძებნაში მთელი დღე ამაოდ იხეტიალა. ბოლოს, დაღამებისას, მოქანცული და გულგატეხილი თავის უბადრუკ ბინაში დაბრუნდა.

ასე დაეხეტებოდა ქუჩებში რამდენიმე დღე, მაგრამ ქალიშვილის კვალს ვერსად მიაგნო. ბოლოს იმედი გადაეწურა და ძებნას თავი დაანება. საგონებელში ჩავარდა, ფიქრები მიეძალა: ადრევე ვგრძნობდი, რომ მიმატოვებდა და ეს დღეც დადგაო; მოხუცი მამა მარტო დამტოვა და ახლა რაღა ვქნაო? ო, ეგ არამზადა, ეგ...

მათხოვრობა დაიწყო; კარდაკარ დადიოდა, ხალხს თავს აბრალებდა და, რასაც მათხოვრობით შოულობდა,



მხატვარი ნინო მამაცაშვილი

სმამი ხარჯავდა. გავიდა ერთი წელი. ლოთი ნამდვილ მანანალად იქცა; სულიერი გადაგვარებისა და ფიზიკური დაუძღურების უკანასკნელ საფეხურამდე დაეშვა. თავშესაფარი აღარ გააჩნდა. ხან სად ათევედა ღამეს და ხან სად: მიტოვებულ ფარდულეებში, თაღებქვეშ, მაღლივი შენობების სადარბაზო შესასვლელებში, ქუჩაში დადგმულ სკამებქვეშ და ყველგან, სადაც კი შეიძლებოდა წვიმას, თოვლსა და სიცივეს შეფარებოდა. მეტისმეტად გახდა, უპეები და ლოყები უზომოდ ჩაუცვივდა, კანი გაუფერმკრთალდა, თვალები გაუფერულდა, ცარიელი ძვალი და ტყავილა იყო, ფეხებს ძლივს მიათრევდა. მიუხედავად ამისა, გაუნყვეტლოვ სვამდა, სვამდა და სვამდა.

ერთხელ, საღამოაღმოსამ, ნამთვრალევი ლოთი მაღლივი შენობის შესასვლელის საფეხურზე ჩამოჯდა. სმისაგან გაბრუებულსა და მოთენთილს ფიქრები მიეძალა. გაახსენდა თავისი ცხოვრების ადრინდელი ხანა, როცა სოფლად საკუთარი სახლი და ბედნიერი ოჯახი ჰქონდა. გაახსენდა უდროოდ დაღუპული შვილები. ისე ნათლად წარმოუდგა მათი სახეები, რომ, სამარინდან წამომდგარო, ლამის ხელით შეეხებოდა. მკაფიოდ ჩაესმოდა მათი კისკისი, ფონად სოფლის ეკლესიის ზარების რეკვის ხმა რომ გასდევდა. მაგრამ წამიერი იყო ეს გაახსენება: კოკისპირული წვიმის შხეფებმა, სიცივემ და შიმშილმა ფიქრი შეაწყვეტინა.

რის ვაი-ვაგლანით წამოდგა და, წვიმას რომ გარიდებოდა, თავშესაფრის მოსაძებნად გაემართა. დაცარიელებულ ქუჩაში სიჩუმე სუფევდა. მალე ქარმა წამოუბერა. ლოთი ყრფოლამ აიტანა, ძარღვებში სისხლი გაეყინა. იმდენად ცუდად შეიქნა, რომ ცოტაც და დაეცემოდა. მიკნავლებული, ხრინინანი ხმით შევლას ითხოვდა, მაგრამ მის ხმას ქარი ახშობდა და მშველელიც არსად იყო. როგორც იქნა, ერთ-ერთი შენობის სადარბაზო შესასვლელს მიაღწია. კარი ღია დახვდა. შევიდა და ძირს მიეგდო, დაძინება სცადა.

მაგრამ მის უფერულსა და უსიცოცხლო თვალებს ძილი არ ეკარებოდა. კვლავ წარსულზე ფიქრებს დაუბრუნდა, რაც წვიმამ და ქარმა შეანყვეტინა. ამჯერად ეს ფიქრები, ზმანებებში გადაზრდილი, მისი ცხოვრების „ლოთურ“ ხანას ეხებოდა. მის გონებაში გაცოცხლდა გაშლილი სუფრა, ნაირ-ნაირი საქმელი, ღვინო, არაყი, აზარტში შესულ მოქიფეთა შეძახილები, ჩხუბი, აყალმყალი... მშვიერ-მწყურვალმა სუფრისაკენ ხელი გაიშვირა, უნდოდა სუფრიდან რამე აეღო და ეჭამა, მაგრამ გამოფხიზლდა, მიხვდა, რომ ეს ილუზია იყო; რეალობა კი ის იყო, რომ ლონდონის ერთ-ერთ მიყრუებულ ქუჩაში მარტოდმარტო, მშვიერ-მწყურვალ იჯდა, ირგვლივ კი წვიმდა. იგრძნო, რომ სიკვდილი ახლოვდებოდა, მშველელი კი არ ჩანდა.

უეცრად ზეზე წამოიჭრა; სიკვდილის შიშმა წამოაგდო ფეხზე. მაგრამ, ჩუ! რას უნდა ნიშნავდეს ეს? ღამის სიბნელეში შორიდან კვნესისა და გოდების ხმა მოისმოდა. მიაყურადა. ეს ხომ მისივე ხმა იყო! ხა-ხა-ხა, საკუთარ ხმას უსმენდა, შორიდან მომავალს. ლოთს გონი ეკარგებოდა; გაგიჟების ზღვარზე იმყოფებოდა; გაუგებარსა და ერთმანეთთან დაუკავშირებელ სიტყვებს წარმოთქვამდა. ფრჩხილებით ტანსა და სახეს იკანრავდა. რაც ძალი და ღონე ჰქონდა, გაჰყვიროდა, შველას ითხოვდა; გაჰყვიროდა, ვიდრე ხმა ბოლომდე არ წაერთვებოდა.

თავი აწია; ქუჩას გახედა. ქუჩას, ბნელსა და მიყრუებულს. იცოდა, რომ მისებრ მარტოსულნი და განკიცხულნი სი-

ცოცხლის ბოლოს სწორედ ასეთ ქუჩებში დაეხეტებინან. გაიხსენა რამდენიმე წლის წინათ გაგონილი ამბავი: ერთ-ერთი ასეთი ქუჩის კუთხეში გამვლელებს შეუმჩნეველად მანანალა, ძველ დაჟანგებულ დანას რომ ლესავდა, მერე კი ამ დანით განგმირული უპოვიათ იმავე კუთხეში. გადაწყვიტა, თვითონაც ასე მოქცეულიყო. ამისათვის დანა საჭირო არ იყო; ამაში მდინარე ტემზა დაეხმარებოდა. უკანასკნელი ღონე მოიკრიბა, სასწრაფოდ თავისი სამყოფელი დატოვა და ცოტა ხნის შემდეგ მდინარის ნაპირზე, ვატერლოოს ხიდან აღმოჩნდა.

ხიდის თავში წყლის ზედაპირამდე ჩასასვლელი ქვის საფეხურები იყო მოწყობილი. საფეხურებთან მივიდა, იქ მყოფ პოლიციელებს დაეძალა და, როცა იქაურობა დატოვეს, საფეხურებს დაუყვავა. ღელავდა, გული უფრო მძლავრად უცემდა, ვიდრე გათავისუფლების მომლოდინე პატიმარს. უკანასკნელ საფეხურზე, ნავმისადგომის პირქუშ თალთან შეჩერდა.

წყლის მოქცევა დიდი ხნის დაწყებული იყო; წყლის შხეფები ფეხებზე ესხურებოდა. მალე უკუქცევა დაიწყებოდა. წვიმამ გადაიღო, ქარი ჩადგა. ირგვლივ ისეთი სიწყნარე სუფევდა, მის ყურამდე იმ ტალღების ტყლამუნის ხმაც კი აღწევდა, მოპირდაპირე ნაპირთან ღუზაჩაშვებულ კარჭაპებს რომ ეხეთქებოდა. წყალი მდორედ მიედინებოდა მდინარის კალაპოტში. ლოთი წყლის ზედაპირს მიჩერებოდა. კვლავ დაეწყო ზმანებები: წყლის სიღრმიდან ზედაპირზე ფანტასტიკური არსებები ამოდოდნენ, თვალებში შესცქეროდნენ და თავისკენ ინვევდნენ; გაუბედობის გამო დასცინოდნენ. იმავდროულად უკნიდან რაღაც ხმა აქეზებდა, წყალში გადაშვებულები. ლოთმა ოდნავ უკან დაიხია, მერე მდინარისკენ ნაბიჯი გადადგა და გადახტა.

რამდენიმე წამის შემდეგ წყალქვეშა დინებამ ზედაპირზე ამოატივტივა. ლოთი ფართხალედა, ტალღებს ეომებოდა, სიცოცხლისათვის იბრძოდა. არა, არ სურდა სიკვდილი, უნდა ეცოცხლა! დაე, ყოფილიყო მანანალა, ლატაკი, მიუსაფარი, ოლონდ ეცოცხლა. მთელი ძალით გაჰყვიროდა, შველას ითხოვდა. შვილის წყევლა ჩაესმოდა. ძალის არაბუნებრივი დაძაბვით შეძლო ნაპირს მიახლოებოდა; სულ ახლოს იყო ნაპირთან — მკლავის ერთი მოსმაც და ქვის საფეხურზე ხელის ჩაჭიდებას და თავის გადარჩენას შეძლებდა, მაგრამ უკუქცევის მძლავრმა დინებამ ნაპირს დააშორა და ხიდის პირქუშ თაღებთან მდინარის სიღრმეში ჩაითრია.

კვლავ ამოტივტივდა ზედაპირზე. ამჯერად მხოლოდ წამით შეძლო წყლის ზედაპირზე გაჩერება. ამ მოკლე დროში მოასწრო, დაენახა მდინარის ნაპირას მდგარი შენობები, ხიდის ტროტუარებზე ანთებული ჩირალდნები, ცის კაბადონზე „მცურავი“ ღრუბლები და მდინარის მღვრიე ტალღები. მერე კვლავ ჩაიძირა. კიდევ ერთხელ ამოტივტივდა ზედაპირზე, მაგრამ იმ წამსვე დაძვრებულმა მძლავრმა ტალღამ გონება დაუხშო და მდინარის ფსკერზე ჩაძირა.

ერთი კვირის შემდეგ, ვატერლოოს ხიდიდან რამდენიმე მილის დაშორებით, ტემზის ნაპირზე გამოიყვლი ადამიანის საშინლად დამახინჯებული გვამი იპოვეს. ამოუცნობი და დაუტირებელი მკვდარი უპატრონოთა სასაფლაოზე სახელდახელოდ გათხრილ სამარეში იმ დღესვე დამარხეს.

ინგლისურიდან თარგმნა
ზურაბ ტარცვაძე

* * *

კონსტანტინე ლორთქიფანიძის ალესილი გონება და დადარაჯებული მზერა მაშინვე გამოარჩევდა აკაკი ბაქრაძეს სხვა კრიტიკოსთაგან, რომელნიც უმთავრესად დითირამებულად იღვრებოდნენ.

თავის მიმართ ძალიანაც მოსწონდა ეს დითირამბიადა და ვერა და ვერ შეეჯერებინა გული ქება-დიდებათ, მაგრამ სხვებსაც თუ სულ ხოტბას შეასხამდნენ, რალა გამოვიდოდა?! აუცილებელი იყო კრიტიციზმის გამკვეთრება სალიტერატურო კრიტიკაში და საამისოდ შეიგულედა სწორედ აკაკი ბაქრაძეს, ვის სტატიებსაც არც სიმწვავე აკლდა და არც სიმახვილე, თანაც ისე მარჯვედ გამოძებნიდა ხოლმე გასაკრიტიკებელ შრეებს, ისეთ შეუვალ სქემებს ააგებდა, ავტორის ძირფესვიანი მოთხრა რასაც ჰქვია, ოღონდ ისე, რომ ოდნავაც არ გადაცდებოდა ეთიკის საზღვრებს, მარტოდენ ლიტერატურის ფარგალში იტრიალო და პიროვნების შეურაცხყოფას მოერიდო.

ამ მხრივ სანიმუშოა აკაკი ბაქრაძის კრიტიკული მიმოხილვები, მითუფრო იმ ფონზე, როდესაც პიროვნული შეურაცხყოფა გაიგივდა კრიტიციზმთან, ცილისწამება და ქუჩური ლანძღვა-გინება გადაიქცა კრიტიკის ნიშნებად.

კონსტანტინე ლორთქიფანიძეს ძალიან მოსწონდა ის სტილი, როგორც აკაკი ბაქრაძე წერდა, არ აქეზებდა პიროვნული შეურაცხყოფისაკენ და ფართოდ გადაუხსნიდა „ცისკრის“ რედაქციის კარს: შენ ოღონდ შენებური სტატია მომიტანე და არ დავეძებ, ზედიზედ რომ მომიწიოს გამოქვეყნებაში.

ნიგნებს თვითონვე შეურჩევდა გასაკრიტიკებლად.

ერთხელაც არ ყოფილა შემთხვევა, აკაკი ბაქრაძეს თავისი სინდისის წინააღმდეგ დაეწეროს კრიტიკული შეფასება – მისი გემოვნებაც წუნობდა იმ თხზულებებს და პირნათლად ამიტომაც ასრულებდა დავალებას.

კონსტანტინე ლორთქიფანიძე ალტაცებულია და სულ მის ქებაშია, მაგალითად უსახავს სხვებს, აი, ასე უნდა ლიტერატურის გამომარგვლო.

კეთილი ურთიერთობა გრძელდება.

„ცისკრის“ რედაქტორი ახალ ნიგნს დაახვედრებს.

იმას მიაქვს და მოკლე ხანში ბრუნდება გამანშალებული წერილით ხელში.

მაგრამ ერთხელაც „ცისკრელებს“ რედაქტორი შეფიქრიანებული დახვდებათ. აქედან მოუვლიან, იქიდან მოუვლიან და ბოლოს მაინც ათქმევინებენ უგუნებობის მიზეზს:

– პირველი მსოფლიო ომის დროს ავსტრიელი სნაიპერები იყვნენ...

რაო? ავსტრიელი სნაიპერებიო? თუ ხუმრობს, განა რა ხუმრობაა, მითუმეტეს, კონსტანტინე ლორთქიფანიძე იუმორით დიდად ვერ დაიკვეხნის.

გაფაციცდებიან.

რედაქტორი ერთხან იყურებს და განაგრძობს:

– ამ ავსტრიელ სნაიპერებს ვინც მეტს გადაუხდია, იმის მხარეს იბრძოდნენ, არ დაგიდევდნენ გუშინდელ მოკავშირეებს და შესაძლოა მათთვისაც ისევე მიეყოლებინათ შუბლში ტყვია, როგორც წინა დღით მათი დავალებით ავლებდნენ მუსრს სხვებს. მტერსა და მოყვარეს არ განარჩევდნენ და ძვირად უსვამდნენ ყველას სანგრიდან ოდნავ თავის ამოყოფასაც.

მიუხვდებოდნენ, რასაც შეეფიქრიანებინა და ზედმეტად აღარ ჩაეკითხებოდნენ.

ნეტა გულმა უგრძნო თუ რა.

ერთი კვირაც არ გაივლიდა, რომ ერთ-ერთ ლიტერატურულ თავყრილობაზე აკაკი ბაქრაძე გამოუტანდა ზოგიერთს იმ ცვლილებათაგან, რაც კი კონსტანტინე ლორთქიფანიძეს პოლიტიკური კონიუნქტურის კვალობაზე მოეხდინა თავის ნაწერებში – იმ წუთას როგორც უჯობდა, ისე ცვლიდა და ასწორებდა არამართო ცალკეულ პასაჟებსა თუ ეპიზოდებს, არამედ პერსონაჟთა ხასიათებსაც, სიუჟეტურ ხაზებსაც, მხატვრული დეურ კონცეფციასაც.

ამ მხრივ მისი ნაწერები მართლაც უხვ მასალას იძლევა დროისა და მედროვის ფსიქოლოგიაზე დასაკვირვებლად. ჯერ მარტო „კოლხეთის ცისკარი“ რად ღირს და მექი ვაშაკიძის სახე, რომელსაც ისე გაამიშვლებდა აკაკი ბაქრაძე ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც დაბეჭდვით ამას ვერ დაბეჭდავდი, ხელშესახებად წარმოაჩენდა კომუნისტური ეპოქის ახალი ადამიანის ნიშნებს, ზნეობრივი დაცემის გამომხატველის, რაც პირწმინდად ეწინააღმდეგებოდა ბიბლიურ ათ მცნებას – თავდაყირა აყენებდა ყველა იმ მუხლს, ურომლისოდაც სულიერი გაპარტახება და განადგურება ემუქრება კაცობრიობას.

რა გგონიათ – კონსტანტინე ლორთქიფანიძე ამის შედეგაც ძველებურად მიაყურადებდა პოლიტიკურ კონიუნქტურას და მის თარგზე გამართავდა ამ რომანის ტექსტს.

აკაკი ბაქრაძე ტრიბუნიდან შეახსენებდა სერგეი ესენინის თვითმკვლელობისადმი მიძღვნილ ლექსსაც და იმ სტრიქონებსაც: შორს ქუჩიდან ფარანი ფერმიხილი, მიმქრალი, როგორც თავი დამხრჩვალი ესენინის მიტქერდა. მწუხარებამ შემიპყრო, მსურს გავძანო: მავნეა შენი უკანასკნელი ხულიგნობა, ესენინო!.. – და კიდევ: განა ჩვენი ცხოვრება ისე ჩლუნგი რამეა სასიკვდილო თოკზე რომ გადმოჰკიდო კისერიო?..

ასე გამომხაურებოდა იმ ტრაგიკულ აქტს ცხელ კვალზე: ჟურნალ „ქართული მწერლობის“ 1926 წლის სექტემბერ-ოქტომბრის გაერთიანებულ ნომერში.



პოლიტიკური ამინდი ერთგვარად რომ იცვლიდა სახეს, კონსტანტინე ლორთქიფანიძე ამ ლექსის მიმალვასაც შეეცდებოდა და 1978 წლის 6 ოქტომბრის „ლიტერატურულ საქართველოში“ მის ახალ ვარიანტს რომ გამოაქვეყნებდა, თარიღად ზედ ისე მიაწერდა 1926 წელს, თითქოს ზოგიერთი სიტყვა თუ გამოთქმა სტილური მოსაზრებით ჩაესწორებინოს, რადიკალურად კი არ გადაესხვაფერებინოს ლექსის შინაარსი.

არადა, ამ მგლოვიარე, უმძაფრესი თანაგრძნობით განმსჭვალულ სტრიქონებს განა რა საერთო აქვთ იმ სულისკვეთებასთან, რაც ზემომოხმობილ ტაეპებში ასე მკაფიოდ გამჟღავნდა?

**ასე მწარედ არასდროს მე გული არ მტკენია,
ის მარყუჭი თითქოსდა მეც კისერზე მიჭერდეს...
ნუთუ ჩვენი ცხოვრება ისე მოსაწყენია,
შენისთანა ბულბული ბაღში არ გაგვიჩერდეს.**

* * *

გაუთავებელი თვალთვალი ნერვებს აწყვეტს ადამიანს, ხან სულაც უნადგურებს ფსიქიკას.

ამიტომაც ესახებოდა ალექსანდრე ორბელიანს შვებობის ხანად ის ორად ორი წელი, როდესაც – გრიგოლ ორბელიანის გამეფისნაცვლების წყალობით – დამსმენები და მოყურადეები არ დაჰყვებოდნენ.

არადა, რა გინდა ილონო.

ტრიალებენ შენს სახლთან, დაგყვებიან კვალდაკვალ, ხმას არ გცემენ, ოდნავადაც არაფერს ამწვავებენ, მხოლოდ გაგრძობინებენ: ვერსად დაგვემალევიო, – და თავიდან თუ გელიმება, აბა, ვნახოთ, ვინ ვისო... თანდათან სულ უფრო და უფრო გიპყრობს ფორიაქი და უკვე ძილშიც ჩაგესმის მათი ნაბიჯების ხმა, რომელსაც ყოფით რეალობაში სრულგებობით ვერ აღიქვამდი, მაგრამ მერე და მერე თითქოს ლურსმნებს გაჭედებენ თავშიო, ისე ითრგუნები.

შენ შენსას მაინც არ ეშვები, შენს მოვალეობად რაც მიგიჩნევია, ვერ განუდგები და იფლობი ნაბიჯების გუგუნ-გრილაში, რაკილა ვერც ისინი გამოეცლებიან საკუთარ მოვალეობას.

ეს გუგუნ-გრიალი მოსდევდათ ბორიაციით ზვიად გამსახურდიასა და მერაბ კოსტავასაც, გაუსაძლისი, სულისშემხუთავი, ძილსა და ღვიძილში ერთნაირად გამათანგავი.

არადა, თითქოს ისეთიც რა – დადიან და უკან მიუხედავადც გრძობენ, ვიღაცები მოგყვებიანო.

უკიდურესობამდეა მისული შინაგანი ბრძოლა, დაჭიმულია ყველა ნერვი – დისიდენტებისაც და სუკელებისაც. მაგრამ არსებობს დაუნერული კანონიც.

რაოდენ საზარელ მოვლენადაც უნდა გესახებოდეს

მაგრამ როგორ გინდა დანაშაული დაფარო, როდესაც მამხილებელი თავს დაგდგომია და, ორივე ლექსს გვერდი-გვერდ რომ დაგილაგებს, სინდისის ქენჯნაზეც ჩამოგიგდებს სიტყვას.

ქენჯნასაც იმიტომ ახსენებს, რომ ბოლომდე ვერ გიმეტებს და მონანიების საშუალებას გიტოვებს, რაკილა თავდაპირველად ზუსტად გაგემეორებინა კომპარტიის ნაკარნახევი, რაც ბუხარინის პირით ამგვარად გამოთქმულიყო:

– „ესენინშჩინა“ მთლიანად საზიზღრად შეპუდრული, ურცხვად შეფერუშარილებული რუსული დედისგინებაა, ლოთური ცრემლებით მაგრად დასველებული და ამიტომაც უფრო მეტად საზარელი...

– ესეც რა ყველაფერს კითხულობსო, – ბუზღუნება აფორიაქებული კონსტანტინე ლორთქიფანიძე და ელანდებოდა ავსტრიელი სნაიპერები და მათ მიერ გახვრეტილი შუბლები.



მხატვარი სპარტაკ ცინცაძე

სუკი და თვალის დასაახავად ვერ იტანდე მის თანამშრომლებს, რაც უნდა იყოს, ისინიც ხომ ადამიანები არიან, შიმშილის გრძობა მათაც აწუხებთ, მითუმეტეს, ძალიან არიან დაძაბულნი, რომ თვალთაგან არ დაგკარგონ. შენ შესაძლოა ერთხანს კიდეც მოეშვა მათი ყურადღების მოსადუნებლად და... უეცრად ისე დაუსხლტე მზერიდან, ველარსად მოგაგნონ და წყალში ჩაეყაროთ ამდენი ნაშრომი.

ამიტომ მათ დანაყრებას ხელი არ უნდა შეუშალო.

როგორ?

სრულიად იოლად – შედიხარ სარდაფსა ან რესტორანში და მიუჯდები მაგიდას. სუკელებიც შემოგყვებიან და მახლობელ მაგიდას იკავებენ. თქვენ აქეთ სადილობთ, ისინი – იქით... ვიდრე გარეთ გამოხვიდოდეთ და კვლავ გაგრძელებდეთ თქვენს საქმეს, დევნილმდევენელის რიტუალს.

იმ დღესაც ასე შესულან ქართველი ჰელსინკელები რესტორნის დარბაზში.

მახლობელი მაგიდა სუკელებს დაუკავებიათ, ვითომდა დროსტარების გარდა სხვა არც არაფერი ანაღვლებდეთ, არადა, მშვილდით მოზიდულან.

უახლოვდებით ოფიციანტი და, სანოვანს რომ ჩამოულაგებთ მაგიდაზე, დამატებით ორ შამფურსაც დაუნყობთ:

– ეს იმ ახალგაზრდებმა მოგართვეს.

შამფურზე კი სუკის მწვადია ნამოცმული.

...ასეა, ასე, შეღიმილების საშუალება თუ მოგეცემა, ხელიდან არაფრისდიდებით არ უნდა გაუშვა, თუნდაც შემზარაობა გეხლებოდეს სახეში.

იქნებ ასეთ დროს კიდეც უფრო აუცილებელი იყოს ლიმილი, ნკვარამში რომ გადაიეღვოს.

ედიშა ვაჩნაძე

როდესაც ვახსენებთ ბაზალეთის ომს, მყისვე გვახსენდება გიორგი სააკაძის, ზურაბ არაგვის ერისთავისა და თეიმურაზ პირველის სახელები, მაგრამ ამ თავზარდამცემ და დაუფიქრებელ ომს მეოთხე გმირიც ჰყავს, ვისი სახელიც, ვაგლახ, დაინწყების ზღვაში ჩაძირულა.

ბაზალეთის ომის ბედი კი, როგორც ჩანს, სწორედ ამ მეოთხე გმირის – ედიშა ვაჩნაძის თავგანწირვამ გადაწყვიტა.

ბედმა არ გაუღიმა ედიშას სსოვნას და ბუმბერაზთა ჩრდილში მიუჩინა ბინა, თუმცა ჩვენი წარსულის მემკვიდრეთა – არჩილ მეფის, ფარსადან გორგიჯანიძისა და ვახუშტი ბატონიშვილის – თხზულებებში ედიშა ვაჩნაძის გამორჩეული ადგილი უჭირავს.

ედიშას სახელმა ბაზალეთში იქუხა.

თურმე ბაზალეთში ელოდა თავისი ხანმოკლე სიცოცხლის ყველაზე ელვარე და მღელვარე წუთები, თითქოს მხოლოდ და მხოლოდ საბაზალეთოდ მოეცლინა ქვეყანას.

არჩილ მეფის პოემაში „გაბაასება თეიმურაზისა და რუსთველისა“ გადმოცემულია, თუ როგორ მოუწოდებს ედიშა ვაჩნაძე საომრად გამზადებულ თანამებრძოლთ: ეცადენით, რომ მოურავი მოიხეტოთ და კარგად დაუხვდეთ, თორემ თუკი ცოცხალი გადავირჩა, უარეს დღეში ჩაგვაგდებთ.

გულჯავრიანი წარმოთქვამს: „საქართველოს ის როგორ რეცს, სხვანი ეგრე როგორ ნავხდეთ?!“

ვახუშტი ბატონიშვილი უფრო სიტყვაძუნუნად იმონებს ედიშას მონოდებას: „ეცადენით სიკვდილსა მოურავისასა, რამეთუ იგი აღაშფოთებს ყოველთა“.

ასე რატომ გაიმეტეს ქართველებმა სწორუბოვარი მხედართმთავარი, სულისჩამდგმელი და შემოქმედი მარტყოფის აჯანყებისა, რომელმაც „გათათრებისგან“ იხსნა ქვეყანა და მკვეთრად შეაბრუნა ბედი ქართლისა? სიმართლეს ვერსად ვაქეცვი. მოხდა საოცარი ფერისცვალება. ძალაუფლების მაცდურმა ხიბლმა მონუსხა დიდი მოურავი, გზა-კვალი აუბნია; უფლის სამსახური დაავიწყა და ეშმაკს დაუყენა მსახურად. შესაშური თავდადება სამშობლოსათვის ნალეკა თავკერძობისა და პატივმოყვარეობის მღვრიე ნაკადმა.

ძნელი დასაჯერებელია, რომ ერთსა და იმავე პიროვნებას უკავშირდებოდეს სასახელო მარტყოფიც და საძრახი ბაზალეთიც.

ერთი სიტყვით, არჩილისეული „უჩემოთ ვინ იმღერეთა?“ სწორედ დიდ მოურავზე არის ზედგამოჭრილი და შემთხვევითი როდია ის გარემოება, რომ აღნიშნული გამოთქმა სწორედ ბაზალეთის ომის აღწერილობაში გვხვდება.

ფარსადან გორგიჯანიძის მიხედვით, გიორგი სააკაძემ ორთაბრძოლაში გამოიწვია თეიმურაზ პირველი, მეფე ქართლ-კახეთისა. თეიმურაზი მზად იყო მიეღო უტიფარი გამოწვევა, მაგრამ ზურაბ ერისთავმა დაუშალა, ხელმწიფე ხელმწიფეს უნდა შეეხებინა, არათუ თავის ყმასაო. სააკაძეს მისივე ტოლი შევაბათო – ურჩია მეფეს სააკაძის ცოლისძმამ და შეილივით გაზრდილ-განვრთნილმა ზურაბმა.

და სწორედ ედიშა ვაჩნაძეს ხვდა წილად, რომ მეფეს შენაცვლებოდა ორთაბრძოლაში. ყველაზე მეტად ის ნატრობ-

და დიდ მოურავთან შერკინებას და აუხდა გულისწადილი.

არჩილ მეფე, ფარსადან

გორგიჯანიძე და ვახუშტი ბატონიშვილი ერთხმად გვაუწყებენ, რომ ედიშა უმუზარადოდ გასულა დუელში.

რა იყო ეს – ახალგაზრდული თავმონონება და თავდაჯერება თუ ფსიქიკური შეტევა, არც მოურავის და არც სიკვდილისა არ მეშინიაო!

არჩილ მეფის პოემაში საყვედურიც ისმის ალტკინებულ ქაბუკის მისამართით: „უმუზარადოთ ომს შესვლა კარგთა კაცთაგან ავია“.

ფარსადან გორგიჯანიძე მოგვითხრობს, რომ ედიშა ელვისებური სიჩქარით დაიძრა მოურავისკენ და შუბი აძგერა. სააკაძემ მარჯვედ დაახვედრა ფარი და შუბი შეიმტვრია. ახლა მისი ჯერი დადგა და ედიშას ფარმა შეიმტვრია მოურავის შუბი. მერე ედიშამ ხმლით შეუტია და მუზარადი გაუტეხა. მართალია „გერში ვერ ააღებინა“ (ე.ი. ჭრილობა ვერ მიაყენაო), მაგრამ „ნამეტნავად შეაღონა მოურავი“.

გიორგი სააკაძემ ხმაბლდა შეუძახა: ნეტავი იმ ყმასაო, ვინც თავის პატრონს ენაცვალოსო. ხმალი დაჰკრა შიშველ თავს და შუაზე გაუჩნხა.

მაგრამ ამოად როდი გარჯილა ედიშა. იმავე ფარსადან გორგიჯანიძის სიტყვით, „იმ ყმანვილის ხმლის ცემას მოურავი უღონო შეექნა. თვითონ ომი ველარ შეიძლო და სხვათა ომთ უმზერდა“.

მთავარსარდლის გამოთიშვა ბრძოლიდან, უთუოდ, გულს გაუტეხდა მის ლაშქარს (ბერი ეგნატაშვილის ცნობით, ბაზალეთის ომში კაცი არ დარჩენილა

დაუჭრელი და თვით მოურავიც დაიჭრაო).

ბაზალეთში ალაგმეს „უგვირგვინო მეფობის“ ყველაზე მძლავრი და სახელგანთქმული პრეტენდენტი.

ამ საშურ საქმეს შეენიშნა ოციოდ წლის ედიშა ვაჩნაძე. განგება თითქოს ამ ერთი, საბედისწერო შერკინებისათვის ამზადებდა და წვრთნიდა ედიშას. ამ ერთი შერკინებით ენერა შესვლა უკვდავთა სამყაროში.

ვკითხულობთ გარდასულ ჟამთა აღწერილობას და ეგებ მოგველანდოს კიდევ მეფის ცხენზე ამხედრებული ქაბუკი, უმუზარადო და შუბშემართული რომ მიისწრაფის ბაზალეთის ომის უპირველესი ავტორის შესახვედრად. არც მისი დიდი სახელი აკრთობს და არც მისი ღონე აშინებს. წარბშეუხრელად უსწორებს თვალს გარდუვალ განსაცდელს, რადგანაც სჯერა, რომ ამას მოითხოვს საქვეყნო საქმე და მამულიშვილის ღირსება.

მიაგვლეგებს მეფის ცხენს საბრძოლველად გულანთებულ ედიშა და სიცოცხლეზე მეტად სწყურია, რომ ანგარიში გაუსწოროს მეფის წინააღმდეგ ამბოხებულ ფეოდალს, რომელიც განასახიერებს იმ ძველთაძველ სატყევეს, დღენიადაგ რომ სტანჯავდა საქართველოს და აგერ, ჩვენს დრომდეც მოუღწევია – უჩემოთ ვინ იმღერეთაო...

ბაზალეთში დამდგარა ედიშა ვაჩნაძის ცხოვრების უკანასკნელი დღე – ყველაზე მწარე და, იმავდროულად, ყველაზე ლამაზი.



პელასული ლეგენდა

როგორც ამბობენ, სიყვარულის გულისათვის ადამიანი მზად არის გაილოს ნებისმიერი მსხვერპლი, განწიროს თავისი რეპუტაცია თუ ქონება, მეგობართა და ნათესავთა კეთილგანწყობა, განწიროს თავისი სიცოცხლეც კი, ოღონდ დაიმსახუროს უმაღლესი ჯილდო – სიყვარული თავისი რჩეულისგან.

მთელი საუკუნე ეგებ მხოლოდ ერთხელ შეესწროს ისეთ უჩვეულო მსხვერპლს, რომელიც სამარადისოდ რჩება კაცობრიობის მესხიერებაში, როგორც რომანტიკული და უჭკნობი ლეგენდა.

XX საუკუნეში ამგვარ ლეგენდად შეიძლება ჩაითვალოს ინგლისის მეფისა და ამერიკელი ლამაზმანის „ლაე სტორი“. ინგლისის სამეფო ტახტის დათმობა საყვარელი ქალის გულისათვის – რომელი რომეო, რომელი ტრისტანი, რომელი ტარიელი გაუტოლდება ედუარდ VIII-ს?

მაგრამ ლეგენდებს, ისევე როგორც ლამაზმანებს, ამქვეყნად მტერი არ დაეღუვათ. ხან ნაფიცი ისტორიკოსი გამოაჭენებს ჭეშმარიტების ბედაურს ზღაპრულ ასპარეზზე, ხანაც ცნობისმოყვარე მეძებარი მიაგნებს მწარე სიმართლეს, რომელიც თვალის დახამხამებაში გააქარწყლებს ტკბილი ლეგენდის ემხსა და ძალას.

ერთი სიტყვით, ლეგენდა მუდმივ საფრთხეში იმყოფება სულში მძრომელთა თუ ჭეშმარიტების ტრფიალთა ლუპის ქვეშ.

საუკუნეების მანძილზე შეიძლება ცოცხლობდეს და ყვაოდეს ლეგენდა, მაგრამ არ არის გამორიცხული, რომ ერთ მშვენიერ დღეს ჩრდილი მიადგეს, თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ არაერთი ლეგენდა გამხდარა მრისხანე თავდასხმის ობიექტი და მაინც შეუნარჩუნებია თავისი უმნიკვლობა. ხალხი ხომ ლეგენდებს უფრო ენდობა, ვიდრე უტყუარ ისტორიას. და ეგებ ასეც უნდა იყოს, ვინაიდან ლეგენდა ტკბილ ოპტიმიზმს ნერგავს მოკვდავთა სულში, ისტორია კი – მწარე პესიმიზმსა და სასონარკვეთას.

ამასწინათ სკოტლენდ-იარდმა გამოამზეურა ერთი საიდუმლოება, რომელმაც შოკში ჩააგდო აუღელვებელი ბრიტანელები. როგორც ირკვევა, ამ სახელმწიფოებრივი დანებებულების სპეციალური ქვედანაყოფი ფხიზლად ადევნებდა თვალყურს ზემოხსენებულ ამერიკელ ლამაზმანს (მისის

უოლის სიმპსონს) დღიდან მისი რომანისა ინგლისის მომავალ მეფესთან.

სკოტლენდ-იარდში დაუფიქსირებიათ, რომ „ეს ქალბატონი, მართალია, ბევრ დროს ატარებს მემკვიდრე უფლისწულთან, მაგრამ მას ჰყავს კიდევ ერთი იდეალური მიჯნური, ვისაც იგი ინახავს“.

თურმე ეს მიჯნური ყოფილა ავტომობილებით მოვაჭრე გაი ტრენდლი, რომელსაც მეტსახელად ჰქონია „სასიყვარულო მანქანა“. გასული საუკუნის 30-იანი წლების ღონეში იგი შერაცხული იყო უბადლო დონ ჟუანად, ვისაც ელტვოდნენ ინგლისის დედაქალაქის რჩეულ-რჩეული ლამაზმანები.

პოლიციის დოსიეში აღნიშნულია, რომ გაი ტრენდლი გახლდათ ტანმაღალი, ახოვანი ვაჟკაცი – ყოფილი სამხედრო მფრინავი, რომელიც 1927 წლიდან მსახურობდა „ფორდის“ საფირმო მალაზიაში და ლამაზმანთა გულებს იპყრობდა იმით, რომ ბრწყინვალედ ცეკვავდა. თავად კი ტრაბახობდა, ჩემს წინაშე ვერც ერთი ქალი ცდუნებას ვერ გაუძლებსო.

პოლიციამ დაადგინა, რომ უოლის სიმპსონი და გაი ტრენდლი ხშირად ხვდებოდნენ ერთმანეთს „ინტიმური ურთიერთობისთვის“.

სკოტლენდ-იარდში მოახერხეს კიდევ ტრენდლის დაკითხვა. და მან გულახდილად აღიარა, რომ ამერიკელი ლამაზმანისგან იღებდა ძვირფას საჩუქრებსა და ფულს.

დოსიეში არ არის მითითებული, თუ როდის შეწყდა მათი იდეალური რომანი. ვარაუდობენ, რომ მისის სიმპსონი განაგრძობდა შეხვედრებს ტრენდლთან, ვიდრე მეფეედყოფილი ედუარდი 1936 წელს დაინიშნებოდა ბაჰამის კუნძულების გუბერნატორად და, თავის მიუღწეველსთან ერთად, იქ დამკვიდრდებოდა.

ბარაქალა ამერიკელ ლამაზმანს, პირნათლად რომ ემსახურებოდა სარეცელზე ინგლისის სამეფო ტახტის მემკვიდრესაც და გაქნილ ალფონსსაც!

დღეს გაკვირვებას გამოთქვამენ, რომ პოლიციამ ამერიკელი ლამაზმანის თავგადასავალი არ აცნობა არც ედუარდს და არც დიდი ბრიტანეთის ხელისუფალთ.

ეს ამბავი რომ გაეგო ინგლისის მეფეს, ვინ იცის, ეგებ დაეთმო არა სამეფო ტახტი, არამედ – გულმონყალე ამერიკელი ლამაზმანი.

ქრონიკა

ნიგნის მალაზია-სალონ „პარნასის“ ლესელიძის ქუჩაზე მდებარე ფილიალში ახალგაზრდა მწერლის, ლადო კილასონიას ნიგნის პრეზენტაცია გაიმართა.

კრებულის სახელწოდებად ერთ-ერთი მოთხრობის სათაურია გამოტანილი — „უსიზმრონი“. ნიგნში, რომელიც გამოცემილია „საარმა“ გამოსცა, 12 მოთხრობაა გაერთიანებული.

ახალი ნიგნისა და მისი ავტორის ირგვლივ უცებ შეიქმნა სასიამოვნო, თბილი, ახალგაზრდული ენერგიით დამუხტული ატმოსფერო და განწყობილება, რომელმაც მკითხველი და მწერალი კიდევ უფრო დაახლოვა...

შეხვედრაზე სიტყვით გამოვიდა ფილოლოგი ნესტან ჩხიკვაძე. მისი თქმით, ლადო კილასონია არ მისდევს „დაკარგული თაობის“ თემას და ქმნის თავის სამყაროს, მიმზიდველს, ცოცხალსა და დასამახსოვრებელს.

თეატრმცოდნე ირინე ლოლობერიძემ, რომელიც ლადო კილა-

სონიას იცნობს მისი პიესით — „ბანაჯუას კომბალი“ (ნარდგენილი იყო ახალი ქართული პიესის კონკურსზე და ფინალში გავიდა), ახალგაზრდა მწერალს ქართული მოუწონა; ენა, რომლითაც თავის ნაფიქრ-ნაგრძობს ნათლად, გულწრფელად და მკითხველისთვის საინტერესოდ გამოხატავს. ამასთან ერთად, ყალბ იდეალებს, ეგრეთწოდებულ „ფეისებსა“ და ცრუ ფასეულობებს უპირისპირებს ნამდვილსა და ღრმა სამყაროს.

გამომცემელი ლევან თითმერია მიესალმა ახალგაზრდა მწერლის მეორე ნიგნის გამოქვეყნებას და ავტორს საქმიანობის ამავე შემართებით გაგრძელება უსურვს.

თვითონ ლადო კილასონიამ კი მკითხველს ასე მიმართა: ჩემი მოთხრობები მინდა მზესუმზირას ჰგავდეს — გემრიელად და შეუმჩნეველად გამოგელიოთ... ეს გახლავთ ჩემი სურვილი და, თუ როგორ გამომივიდა, ეს უკვე მთლიანად მკითხველის, თქვენი გადასაწყვეტია...